



ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა
კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

2021 წელს შესრულებული სამუშაოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

თბილისი
2022

სარჩევი

აბრევიატურები	
შესავალი	7
დკსჯეცის მართვა	9
დკსჯეცის სტრუქტურა	10
სტრატეგიული პრიორიტეტი 1: გადამდები დაავადებებით განპირობებული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობების და სიკვდილიანობის შემცირება	11
1.1. ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) მიმართულებით განხორციელებული აქტივობები	13
1.2. გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობის შესაძლებლობების გაძლიერება და მდგრადობა	17
1.3. ლუგარის ცენტრის სიმძლავრეების გამოყენება	38
1.4. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობაში „ერთიანი ჯანმრთელობის“ პრინციპების დანერგვა	63
1.5. გლობალური სტრატეგიით განსაზღვრული ან ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დაავადებების ელიმინაცია / ერადიკაცია	69
1.6. ანტიმიკრობული რეზისტენტობა და ინფექციური კონტროლი	76
1.7. უსაფრთხო სისხლის სისტემის განვითარება და გაძლიერება	77
1.8. იმუნიზაცია	79
სტრატეგიული პრიორიტეტი 2: არაგადამდები დაავადებებით განპირობებული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სიკვდილიანობის შემცირება	94
2.1. ზედამხედველობა არაგადამდებ დაავადებებზე	94
2.2. დედათა და ბავშვთა, მოზარდთა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა	103
2.3. ჯანმრთელობის ხელშეწყობა	104
2.4. თამბაქოს კონტროლის გაძლიერება	108
სტრატეგიული პრიორიტეტი 3: კლიმატის ცვლილებისა და გარემო ფაქტორების ზემოქმედებით განპირობებულ ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სიკვდილიანობის პრევენცია	113
3.1. საქართველოს გარემოს და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2018-2022 წწ (NEHAP-2) და სტრატეგიის განხორციელება. გარემოსა და ჯანმრთელობის მე-6 მინისტერიალის ე.წ. „ოსტრავას დეკლარაციის“ ვალდებულებების შესრულება	113
3.2. კოორდინირებული, თანმიმდევრული, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის ჩამოყალიბება და ინტერსექტორული თანამშრომლობის გაძლიერება გარემოს ჯანმრთელობის სფეროში	118
3.3. გარემოს ეპიდემიოლოგიის კვლევების დაგეგმვა და განხორციელება გარემოს რისკ-ფაქტორების ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების მიზნით	119
სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნის შესაძლებლობების გაძლიერება სწრაფი და ეფექტური რეაგირებისათვის	124
4.1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე რეაგირების ოპერაციული ცენტრის (PHEOC) ჩამოყალიბება	124
4.2. ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების (ჯსწ) ჩარჩოს ფარგლებში შემოსასვლელი პუნქტების შეფასება	125
4.3. ტრენინგები	125
4.4. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა	125
სტრატეგიული პრიორიტეტი 5: გამოყენებითი და ფუნდამენტური ბიოსამედიცინო და ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო კვლევების პოტენციალის განვითარება	127
5.1. სამეცნიერო პოტენციალის განვითარება, მათ შორის პრეციზიოზულ მედიცინაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა	127
5.2. ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება	131
5.3. გენომის ცენტრის გაძლიერება და ვივარიუმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტებით	133
5.4. სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაცია და ინტერნაციონალიზაცია	140
სტრატეგიული პრიორიტეტი 6: ელექტრონული ინფორმაციული სისტემების განვითარება	145
6.1. თემატური რეგისტრების და სისტემების განვითარება	146

6.2. ელექტრონული მობილური ჯანმრთელობის პლატფორმის განვითარება	152
სტრატეგიული პრიორიტეტი 7: საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მართვის განვითარების ხელშეწყობა	159
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და ცენტრის განვითარებაზე მიმართული სხვა საკითხები	172
უწყვეტი პროფესიული მზადება და განვითარება	172
პარტნიორობა	177
ადმინისტრაციული საქმიანობა	195
ფინანსური უზრუნველყოფა	199
დანართები	206
დანართი 1 მაგისტრატურა	209
დანართი 2 საკვალიფიკაციო თემებზე მუშაობა	210
დანართი 3 სხვა დაწესებულებების თანამშრომლების მიერ საკვალიფიკაციო თემების შესრულება ცენტრის ბაზაზე	212
დანართი 4 დაცული დისერტაციები	213
დანართი 5 2021 წლის პუბლიკაციები და გამოცემები	214
დანართი 6 აბსტრაქტები	217
დანართი 7 სტატიები	218
დანართი 8 სტაჟირება	220
დანართი 9 ცენტრის მიერ მიღებული/შემენილი ახალი აპარატურა, აღჭურვილობა, ტექნიკა	221
დანართი 10 საქართველოს ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები	236
დანართი 11 საერთაშორისო დონის სემინარებში, ტრენინგებში, სასწავლო კურსებში მონაწილეობა	241
დანართი 12 საქართველოს ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობა	242
დანართი 13 ახალი მეთოდები	243
დანართი 14 საერთაშორისო კონფერენციები, რომლებშიც ცენტრის სპეციალისტები მონაწილეობდნენ	244
დანართი 15 ერთობლივი სამუშაოების ჩატარება	245
დანართი 16 საზღვარგარეთ ჩატარებული საერთაშორისო შეხვედრები	246
დანართი 17 ზეპირი მოხსენებები	247
დანართი 18 მონაწილეობა სხვადასხვა სახის ონლაინ ღონისძიებებში	248
დანართი 19 ცენტრის თანამშრომლების სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო სტრუქტურების (კავშირი, სამუშაო ჯგუფი, საზოგადოება და ა.შ.) წევრობა	252
დანართი 20 ცენტრის თანამშრომლების საქართველოს სხვადასხვა ტიპის სტრუქტურების (კავშირი, სამუშაო ჯგუფი, საზოგადოება და ა.შ.) მუშაობაში მონაწილეობა	254
დანართი 21 ვიზიტები, შეხვედრები და სხვა ღონისძიებები	256
დანართი 22 ჩატარებული მსოფლიო დღეები და კვირეულები	257
დანართი 23 საქართველოში ჩატარებული სამუშაო შეხვედრები	258
დანართი 24 თანამშრომლობის მემორანდუმები	265
დანართი 25 პროგრამები / პროექტები	266
დანართი 26 პროექტების საერთაშორისო პარტნიორები და დონორები	274
დანართი 27 შიდა მივლინებები	275
დანართი 28 საქართველოს ფარგლებში მივლინებების დროს ჩატარებული სხვადასხვა სახის კვლევები	279
დანართი 29 საზღვარგარეთ მივლინებები	283

აბრევიატურები

აგდ	არაგადამდები დაავადებები
აივ ინფექცია	ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსით გამოწვეული ინფექცია
ამრ (AMR)	ანტიმიკრობული რეზისტენტობა
არვ	ანტირეტროვირუსული
გსპ	განსაკუთრებით საშიში პათოგენები
დზეის	დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა
დკსჯეც	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
კსმ	კომერციული სექს მუშაკი
მსმ	მამაკაცი, რომელსაც სქესობრივი კონტაქტი აქვს მამაკაცთან
ნიმ	ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი
პჯდ	პირველადი ჯანდაცვის რგოლი
პჯრ (PCR)	პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია
სსპ	სტანდარტული სამოქმედო პროცედურა
სჯ	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სოტდმჯსდს	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
შსს	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
ჯანმო (WHO)	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
BMJ	ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალი
COVID-19	ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადება
GAVI	იმუნიზაციის და ვაქცინების გლობალური ალიანსი
CAESAR	ჯანმოს ანტიმიკრობულ რეზისტენტობაზე ეპიდზედამხედველობის ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ქსელი
CCHF	ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება
CDC	აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრები
DOT	უშუალო ზედამხედველობის ქვეშ მკურნალობა
DTRA	აშშ თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო
ECHO	სათემო დონეზე ჯანდაცვის შედეგების გაფართოება
ESPAD	ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა
ETAG	ევროპის იმუნიზაციის ექსპერტთა ტექნიკური მრჩეველთან ჯგუფი
EU	ევროკავშირი
GIS	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა
GHOST	გლობალური ჰეპატიტების ეპიდემიოლოგიის და ზედამხედველობის ტექნოლოგია
GLAAS	გაეროს სანიტარიისა და სასმელი წყლის გლობალური ანალიზი და შეფასება
IGME	ბავშვთა სიკვდილიანობის შეფასების გაეროს სააგენტოთაშორისი ჯგუფი
IHME	ვამინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი
ILI	გრიპისმაგვარი დაავადება
ISO	სტანდარტიზების საერთაშორისო ორგანიზაცია
JTA	საქართველოს მთავრობასა და აშშ მთავრობას შორის პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ შეთანხმება
MICS	მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევა
MMEIG	გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფი
NEHAP	გარემოს და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმა

NIH	აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტები
SARI	მძიმე მწვავე რესპირატორული ინფექცია
STEPS	არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა
TAIEX	ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი
Twinning	ევროკავშირის საჯარო სამსახურების თანამშრომლობის (დამმობილების) პროგრამა
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
USAID	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WRAIR	აშშ ვოლტერ რიდის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტი

შესავალი

წინამდებარე პუბლიკაციით წარმოდგენილია სსიპ - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) განვლილი 12 თვის მანძილზე შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

2021 წლის მთავარ გზავნილს, რომლის მანძილზეც ქვეყანა აგრძელებდა მიმდინარე COVID-19-ის პანდემიის გამოწვევებთან გამკლავებას, წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და დაავადებების ტვირთის შემცირებისკენ მიმართული საქმიანობის უწყვეტობის მნიშვნელობა, რადგან აღნიშნული გავლენას ახდენს ქვეყნის საქმიანობის ყველა მიმართულებაზე, მის განვითარებასა და სტაბილურობაზე.

ცენტრი 2021 წლის მანძილზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ცენტრის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით, უწყვეტად ახორციელებდა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის შეფასებასა და რისკების მონიტორინგს; მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის გადამდები და არაგადამდები დაავადებების ეპიდ-ზედამხედველობას, კონტროლსა და პრევენციას; ერთიანი ლაბორატორიული სისტემის გამართული ფუნქციონირების მხარდაჭერას; ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი გარემოს საფრთხეების შეფასებას; ასევე, მეცნიერებისა და განათლების ხელშეწყობას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში.

წლის მანძილზე ახალი კორონავირუსით გამოწვეულ (COVID-19) პანდემიაზე რეაგირებისთვის ცენტრი უწყვეტი რეჟიმით ახორციელებდა ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობდა არა მხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, არამედ რისკის მინიმიზაციას და ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული შესაძლო უარყოფითი შედეგების შემცირებას. აღნიშნული აქტივობები ხორციელდებოდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების, საერთაშორისო ორგანიზაციებთან საზოგადოებრივი და გლობალური ჯანმრთელობის სფეროში არსებული თანამშრომლობის ფარგლებში და გამყარებული იყო სამეცნიერო მტკიცებულებებით. ცენტრმა პარტნიორებთან თანამშრომლობით გაიზიარა და გამოიყენა მსოფლიოში წამყვანი მეცნიერების მიღწევები, მათ შორის პანდემიასთან ბრძოლის მიმართულებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალი მეცნიერული მტკიცებულებების და საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილების გათვალისწინებით მიმდინარეობდა არსებული მიდგომების განახლება.

2021 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა, რამაც როგორც გლობალურ, ასევე ეროვნულ დონეზე გარდამტეხი როლი ითამაშა პანდემიის მიმდინარეობაში არის COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია - ცენტრმა, ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყანაში ამ პროცესის წარმართვის საქმეში, დაწყებიდან - დღემდე, 2021 წელს ქვეყნის მასშტაბით განმეორებით შეფასდა „ცივი ჯაჭვის“ ინფრასტრუქტურა და მნიშვნელოვნად გაძლიერდა სახელმწიფოს და დონორების

მხარდაჭერით, გადამზადდა ადამიანური რესურსები და მომზადდა COVID-19-ის საწინააღმდეგო ყველა ტიპის ვაქცინების მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებებთან ერთად ცენტრის სტრუქტურული ერთეულები აგრძელებდნენ მათზე დაკისრებული ყველა ვალდებულების შესრულებასაც და არ ყოფილა რუტინული საქმიანობის წყვეტის ეპიზოდი. პანდემიის წინააღმდეგ მიმართული აქტივობების პარალელურად, ცენტრი აგრძელებდა ეპიდ-ზედამხედველობას და სხვადასხვა გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მეთვალყურეობას. აძლიერებდა ლაბორატორიულ სიმძლავრეებს, მათ შორის გენომის სექვენირების პოტენციალს და მხოლოდ ახალი კორონავირუსის მიმართულებით, GISAID-ის საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში საქართველოში გავრცელებული 1 005 სექვენირებული SARS-CoV-2 შტამის თანმიმდევრობა აიტვირთა. მიმდინარეობდა როგორც SARS-COV-2-ზე, ასევე სხვა პრიორიტეტული მიმართულებებით სამეცნიერო კვლევები.

2021 წელი კვლავ გამორჩეულია რიგი მიღწევებით. საანგარიშო წელს არ აღრიცხულა მაღარი ადგილობრივი გადაცემა, პოლიოვირუსის ველური ან ვაქცინა-დერივატიული შტამით გამოწვეული შემთხვევები; რელევანტური ვაქცინაციის პროგრამების ეფექტური განხორციელების შედეგად მინიმუმამდეა დასული როგორც სეზონური გრიპის, ასევე წითელას ადგილობრივი შემთხვევები; გაფართოვდა ადამიანის პაპილომავირუსის აკრისათვის სამიზნე ასაკობრივი ჯგუფის მოცვა; აღინიშნა ჰეპატიტი C-ს ინფექციის შთამბეჭდავი კლება როგორც მოზრდილებში, ასევე ბავშვებში; შემუშავებული და დამტკიცებულ იქნა თამბაქოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია და 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმა; ქვეყანაში არ შექმნილა სხვადასხვა სახის ვაქცინების, ტესტების, პირადი დაცვის საშუალებებისა და სტრატეგიული მარაგების დეფიციტი. დეტალურად, 2021 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე გამოცემაში.

წინამდებარე ანგარიშში აღწერილი საქმიანობის განხორციელება შესაძლებელი გახდა ცენტრის პერსონალის, ამ დიდი გუნდის მუშაობის შედეგად, მათი პროფესიისადმი თავდადებათა და მონდომებით. თითოეული მათგანის წვლილი მნიშვნელოვანია. მადლობას ვუხდით ჩვენს კოლექტივს, ცენტრალურ ოფისს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რეგიონული და მუნიციპალური ცენტრების წარმომადგენლებს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ქსელში დასაქმებულ ადამიანებს. ამასთან, განსაკუთრებით გამოვყოფთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების თანადგომას და უპრეცედენტო დახმარებას, ცენტრისათვის არაერთი მნიშვნელოვანი მიმართულებით და ბოლოს, გვსურს გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც წლების მანძილზე იზიარებენ ცენტრის მიერ მიწოდებულ რეკომენდაციებს.

დვსჯეცის მართვა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მულტისექტორული სამეთვალყურეო საბჭო

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
- სათათბირო ხმით მონაწილეობის მიღება შეიძლება ეთხოვოდ DTRA-ს, CDC-ის, WRAIR-ის და სხვა საერთაშორისო/პარტნიორი ორგანიზაციების (WHO, UNICEF და ა.შ.) წარმომადგენლებს

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
(ბიოსამედიცინო კვლევების უმაღლესი დონის ცენტრი)

ლაბორატორიული ნაწილი

დვსჯეცის ლაბორატორიები
რ. ლუგარის ს/ჯ ცენტრი
„ერთიანი სამყარო - ერთიანი ჯანმრთელობა“


არალაბორატორიული ნაწილი

დვსჯეცის საოფისე ნაწილი

იმუნიზაცია
ცივი ჯაჭვის ინფრასტრუქტურა

დაჯგუფების სტრუქტურა

სსიპ „და. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“



სტრატეგიული პრიორიტეტი 1: გადამდები დაავადებებით განპირობებული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობების და სიკვდილიანობის შემცირება

გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგია, პროფილაქტიკა და კონტროლი წარმოადგენს ცენტრის სტრატეგიულ პრიორიტეტს და ხორციელდება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ, კომპეტენციის ფარგლებში.

ძირითადი მიღწევები

COVID-19

- ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ინტენსიური განხორციელება
- ტესტირების შესაძლებლობების გაფართოება
- სერო-პრევალენტობის კვლევების ჩატარება
- ადამიანური რესურსების მომზადება/გადამზადდა მთელი ქვეყნის მასშტაბით COVID-19-ის ეპიდემიოლოგიის, რესპირაციული დაავადებების პრევენციის, სინჯის აღების ტექნიკის, ბიოუსაფრთხოების, ვაქცინაციის საკითხებში
- ლაბორატორიული მართვის სისტემის შექმნა, ხარისხის კონტროლი
- მაღალი წარმადობის სექვენირება დანერგვა
- ქვეყანაში გავრცელებული შტამების სისტემატური მონიტორინგი და მუტაციებისა და ვარიანტების დროული გამოვლენა
- SARS-COV-2 ვირუსის კულტურის იზოლაცია ადამიანის ნიმუშიდან და SARS-COV-2 ვირუსის დეტექცია საკანალიზაციო წყლებში
- წითელას ადგილობრივი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა
- წითურას ელიმინაცია
- გრიპზე, გრიპისმაგვარ რესპირაციულ დაავადებებზე ზედამხედველობის ბაზების რაოდენობის გაზრდა
- გრიპისა და COVID19-ის საყრდენი ბაზებით ზედამხედველობის ახალი სისტემის ჩამოყალიბება
- გრიპის საწინააღმდეგო სეზონური ვაქცინაციის გაფართოება
- პრაქტიკული იმუნიზაციის სასწავლო მოდულების შემუშავება
- SARS-CoV-2-ის, B და C ჰეპატიტების სეროპრევალენტობის ეროვნული კვლევის ჩატარება
- C ჰეპატიტისა და იმუნიზაციის მოდულებიდან ყოველკვირეული ანგარიშების დანერგვა
- აივ-ინფექცია/შიდსის სახელმწიფო პროგრამას დაემატა ორი ახალი პრევენციული ტიპის აქტივობა: 1. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენცია მაღალი რისკის ჯგუფებში; 2. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგი;
- აივ თვითტესტირებისთვის ონლაინ პლატფორმის ამოქმედება
- ტბ ყველა ფორმის შემთხვევების კლება
- ტბ კონტაქტების კვლევის ახალი გაიდლაინის დანერგვა
- ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პაციენტისთვის სწრაფი დიაგნოსტიკისა და ხარისხიანი მედიკამენტების ხელმისაწვდომობა
- „ერთიანი ჯანმრთელობის“ პრინციპების გაძლიერება
- ინფექციის კონტროლის გაძლიერება სამედიცინო დაწესებულებებში

1.1. ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) მიმართულებით განხორციელებული აქტივობები

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული COVID-19-ის პანდემია სწრაფად გავრცელდა მსოფლიოში და მრავალი გამოწვევა შექმნა არა მხოლოდ ჯანდაცვის სექტორში. COVID-19-თან დაკავშირებული პოტენციური ზიანის შემცირება და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა საქართველოს მთავარი პრიორიტეტი გახდა, რისთვისაც ქვეყანამ სათანადო ღონისძიებების გატარება პანდემიის ადრეულ ეტაპზე დაიწყო. ეპიდემიის მართვის ყველა სტადიაზე გატარებული აქტივობების ძირითადი ღირებულება მოსახლეობის დაცვა და ზიანის შემცირება იყო. ამასთან, დროული და კოორდინირებული და თანმიმდევრული რეაგირების მიზნით, 2020 წლის 28 იანვარს საქართველოს მთავრობის განკარგულება N164-ით „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩამოყალიბდა ეროვნულ დონეზე კრიზისზე რეაგირების უმაღლესი პასუხისმგებელი ორგანო – უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ოპერატიული რეაგირების გეგმის მიხედვით, თითოეულ მონაწილე სამინისტროს და სამთავრობო უწყებას აქვს COVID-19-ზე რეაგირებაში მკაფიოდ განსაზღვრული როლი და პასუხისმგებლობა. საბჭოს წევრია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, იგი საბჭოს და ჯანდაცვის სამინისტროს სისტემატურად წარუდგენს ქვეყანაში COVID-სიტუაციის მიმოხილვასა და მტკიცებულებების გათვალისწინებით, საერთაშორისო და ეროვნულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს.

ცენტრის ძირითადი პასუხისმგებლობაა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის მზადყოფნა, რეგიონული და მუნიციპალური ს/ჯ ცენტრების კოორდინაცია, ეპიდ-ზედამხედველობა და მეთვალყურეობა, მოდელირება და ეპიდემიის განვითარების პროგნოზირება, საინფორმაციო სისტემების მხარდაჭერა, სტატისტიკის წარმოება და გაზიარება, გარკვეული პერიოდულობით ანალიზის მომზადება და გამოქვეყნება, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროგრამის განხორციელება და კომუნიკაცია. დკსჯეც-ის აქტიური მონაწილეობით შემუშავდა „ჯანდაცვის სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება და გადაუდებელი მზადყოფნა COVID-19-ის შემდგომი ტალღებისთვის“ სამოქმედო გეგმა 2020-2021 და „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის ეროვნული გეგმა“. კონკრეტული აქტივობები მოიცავს მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებებს, მათ შორის რეალურ დროში ეპიდზედამხედველობას, გამოვლენილი და საექვო შემთხვევების მიდევნებას და მონიტორინგს, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, ტრენინგებს, „ცივი ჯაჭვის“ უზრუნველყოფას, იმუნიზაციის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენების აღრიცხვას და სხვა. ცენტრი მუდმივად აკონტროლებს ეპიდმახასიათებლებს: დღიური და კუმულაციური ინციდენტობა, შემთხვევასთან ასოცირებული სიკვდილიანობის სიხშირე, რეპროდუქციის ინდექსი, ტესტირების დადებითობის მაჩვენებელი, გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა, ჭარბსიკვდილიანობის ნიშნული და სხვა. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ისაზღვრება ქვეყნის განგაშის დონე. განგაშის სხვადასხვა დონე ასოცირებულია განსხვავებულ რეკომენდაციებთან, რაც ეროვნულ დონეზე პანდემიის მართვისა და კონტროლის წინაპირობაა.

პანდემიის პერიოდში ამოქმედდა გადაუდებელი ოპერაციული ცენტრი. უწყვეტად ხორციელდება ახალი კორონავირუსის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მართვა, სტანდარტების შესაბამისობის მეთვალყურეობა და ვირუსის გენომის სექვენირება. მოსახლეობაში ხორციელდება COVID-19-ის პრევენციისა და საფრთხის შემცირებისთვის სამეცნიერო კვლევებითა და მტკიცებითი მედიცინის გამოყენებით შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციების დანერგვა. ქვეყანაში ინფექციის რეალური გავრცელების შესაბამისად, ცენტრი მუდმივად ახორციელებს სერო-პრევალენტობის კვლევებს, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორობის ჩართულობით. ასევე, ცენტრი რეგულარულად აზიარებს მონაცემებს საერთაშორისო არენაზე როგორც COVID-პანდემიის, ეპიდ-პარამეტრებისა და ტესტირების მონაცემების, ასევე ვაქცინაციის შესახებ. შესაბამისად, დკსჯეც-ი რეგულარულ კომუნიკაციაშია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წამყვან ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (WHO, US CDC, ECDC, ჩინეთისა და კორეის CDC, რობერტ კოხისა და ბუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტები და სხვა). პანდემიის დაწყებიდანვე ცენტრმა გააძლიერა თანამშრომლობა ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვებისა და შეფასების ინსტიტუტთან (Institute of Health Metrics and Evaluation, IHME) და რეგულარულად ახორციელებს როგორც IHME-ს მოდელირების, ასევე ცენტრის გუნდის მიერ წარმოებული პროგნოზირების შედარებასა და ანალიზს. შეჯერებული ინფორმაცია შეადგენს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვის შემადგენელ კომპონენტს.

2020 წლის იანვრიდან ცენტრში ამოქმედებულია სპეციალური ცხელი ხაზი დამატებითი ინფორმაციის გაზიარების მიზნით. პანდემიის პერიოდში ცენტრში ხორციელდება ახალ კორონა ვირუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტივობები, მათ შორის ცენტრის ყველა შენობასა და ტერიტორიაზე ვირუსის გავრცელების პრევენციის სავალდებულო კომპლექსური ღონისძიებები. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესდა ნარჩენების მართვა. ამავე დროს, მობილიზდა ადამიანური რესურსის ფუნქციური მართვის სისტემები და სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ადაპტირდა დისტანციურ-როტაციული სისტემა.


ცენტრის რეაგირების პროცესი ეფუძნება რამდენიმე ძირითად ღირებულებას: მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინება, სამეცნიერო მტკიცებულებებით ხელმძღვანელობა, თანასწორობა, სამართლიანობა და ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა და სხვა სექტორებთან კოორდინირებული მუშაობა.




COVID-19-ის მართვა

ცენტრმა COVID-19-ზე ტესტირება დაიწყო 2020 წლის 30 იანვარს, პირველი ოფიციალურად დადასტურებული შემთხვევა აღირიცხა 26 თებერვალს, პირველი გამოჯანმრთელება 16 მარტს და პირველი სიკვდილი 5 აპრილს.

საქართველომ, როგორც მსოფლიოს უმეტესმა ქვეყნებმა, ახალი კორონავირუსის შემთხვევების მატებისა და კლების რამდენიმე ტალღა გამოიარა. პანდემიის საწყის ეტაპზე მიღებულმა ღონისძიებებმა გარკვეული პერიოდი ბუფერის როლი შეასრულა და შეაკავა მატების ტალღა, თუმცა შემდგომ სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ქვეყანაში დაიწყო ფართომასშტაბიანი გავრცელება და ეპიდ-კონტროლისთვის მნიშვნელოვანი ინდიკატორების მკვეთრი ზრდა.



2022 წლის 1 იანვრისთვის ოფიციალურად აღირიცხა COVID19-ის 936 844 შემთხვევა, კუმულაციურმა ინციდენტობამ შეადგინა 975 / 100 000 მოსახლეზე, ხოლო რეპროდუქციის ინდექსმა - 0.74. გარდაცვლილთა ჯამური რაოდენობაა 13 860, გარდაცვალების 7-დღიანი მაჩვენებელი 16 / 1 000 000 მოსახლეზე და ლეტალობა 1.45%.



პანდემიის დასაწყისში, ტესტირების პროგრამა ხორციელდებოდა რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიაში, რომელიც ეტაპობრივად ფართოვდებოდა სახელმწიფო-კერძო სექტორის თანამშრომლობის პრინციპით. ქვეყანაში დამტკიცებული პროტოკოლით, ყველა დადასტურებული შემთხვევა ვლინდება ან პჯრ, ან ანტიგენის სწრატი ტესტის გამოყენებით. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვის“ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის ვაუჩერული პროგრამის მიმწოდებლად სულ დარეგისტრირებულია 701 დაწესებულება (საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირდა 157 დაწესებულება), მ.შ. 30 - მხოლოდ ბიოლოგიური მასალის ამღები, 75 - მხოლოდ სწრაფი მარტივი ტესტირების მიმწოდებელი, ხოლო 544 დაწესებულება - ორივე სერვისის მიმწოდებლადაა დარეგისტრირებული.

მიმწოდებელი დაწესებულებების განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	სულ რაოდენობა
აჭარა	53
გურია	13
თბილისი	313
იმერეთი	102
კახეთი	33
მცხეთა-მთიანეთი	16
რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი	7
სამეგრელო და ზემო სვანეთი	60
სამცხე-ჯავახეთი	25

ქვემო ქართლი	48
შიდა ქართლი	31
სულ	701


შედეგად უზრუნველყოფილ იქნა უფასო ტესტირების მაქსიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საანგარიშგო პერიოდში სულ ჩატარებულია 13 108 645 ტესტირება (5 883 013 პჯრ და 7 225 632 ანტიგენით ტესტირება).

SARS-CoV-2-ით გამოწვეული ეპიდემიის მართვის ხელშეწყობისთვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის სპეც-აღჭურვილობის, სხვადასხვა სამედიცინო სახარჯი მასალის, კარტრიჯების, ტესტ-სისტემებისა და სამედიცინო დანიშნულების/ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვის ღონისძიების ფარგლებში, საანგარიშგებო პერიოდში დაფინანსებულია 2 807 210,98 ლარის შესყიდვები. დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, ცენტრის მიერ შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა 105 პირს.

ცენტრი პასუხისმგებელია ქვეყნის მასშტაბით იმუნიზაციის პროცესზე, მათ შორის COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე. მზადება ვაქცინების მისაღებად და ეროვნული პროგრამის დასაწყებად 2020 წლის ზაფხულიდან დაიწყო, ქვეყანაში ვაქცინის პირველი დოზა - ბრიტანულ-შვედური კომპანიის წარმოებული ასტრაზენეკა - კოვაქს-პლატფორმის მეშვეობით 2021 წლის მარტში შემოვიდა და აცრები ქვეყანაში 15 მარტს დაიწყო. აცრები უფასოდ მიეწოდებათ 12 წლის ზევით ყველა ბენეფიციარს.

საანგარიშგო პერიოდში მოხმარებულია 2 512 858 დოზა ვაქცინა, მინიმუმ 1 დოზით აცრილია 1 289 407 (მოზრდილი მოსახლეობის 44.9%), ხოლო სრულად - 1 148 962 ინდივიდი (მოზრდილი მოსახლეობის 40%). აცრები ქვეყანაში უპირატესად 4 ტიპის ვაქცინით მიმდინარეობდა: ასტრაზენეკა, პფაიზერი, სინოფარმი და სინოვაკი. აცრების ინტენსიობა თვეების მანძილზე იცვლებოდა. 2022 წლის 1 იანვრისთვის 7 დღის მაჩვენებელია 302.4 /100 000 მოსახლეზე დოზა აცრა და საშუალოდ დღეში ტარდება 11 276 დოზა აცრა.




COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოს სრული ანგარიში განთავსებულია: <https://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=5eb9222e-8150-4dd9-bc6d-c888ffff89987>.

1.2. გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობის შესაძლებლობების გაძლიერება და მდგრადობა

საანგარიშო პერიოდის მანძილზე, საერთაშორისო მოთხოვნებისა და თანამედროვე გამოწვევებზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი სტანდარტების მიხედვით წარმოებდა გადამდებ დაავადებათა მართვა.

ტუბერკულოზი: საქართველომ ტუბერკულოზთან ბრძოლის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. 2010-2019 წლებში ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა საშუალოდ 9%-ით მცირდებოდა და სანდო და მდგრადი ეპიდზედამხედველობის სისტემის მონაცემებით ეს ტენდენცია ინციდენტობის ჭეშმარიტი შემცირების შედეგია. თუმცა 2020 წელს რეგისტრირებულმა შემთხვევებმა 25%-ით დაიკლო, რაც ნაწილობრივ COVID-19-ის გავრცელებას და მობილობის შეზღუდვებს უკავშირდება. კლების ტენდენცია გაგრძელდა 2021 წელსაც, მაგრამ ნაკლები ტემპით. წინასწარი მონაცემებით, სულ დარეგისტრირდა 1 646 პაციენტი.

ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევები, საქართველო, 2006-2020



საანგარიშო წელს:

- დაინერგა ტბ კონტაქტების კვლევის ახალი გაიდლაინი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურში;
- აჭარაში ნულოვანი ტუბერკულოზის პროგრამის ფარგლებში სჯც-ს ტექნიკური დახმარების მიზნით მიმდინარეობდა პერიოდული ვიდეო-კონსილიუმები ECHO TB ფარგლებში;
- მომზადდა Trace TB ტუბერკულოზის მქონე ინდექს-პაციენტების ახლო კონტაქტებისა და ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის მკურნალობაზე მყოფი პირების ელექტრონული აღრიცხვის პლატფორმა;
- მიმდინარეობდა პერიოდული კვარტალური შეხვედრები ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში.
- მიმდინარეობდა აჭარის პროექტის - „ნულოვანი ტუბერკულოზი“ რეგულარული მონიტორინგი და ECHO TB დისტანციური შეხვედრების ორგანიზება ყოველთვიურად, რეკომენდაციების მომზადება და სალექციო თემების განხილვა შემთხვევის მენეჯერებთან;
- ტუბერკულოზის შემთხვევათა რეგისტრაციის მუდმივი მონიტორინგი დზეის-ის სისტემაში.

ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა:

- ხორციელდებოდა დზეის-ის მეშვეობით შემთხვევების შეტანის, კვლევების სიზუსტის და დუბლირების გამორიცხვის პროცესის მუდმივი, რუტინული ზედამხედველობა;
- ყოველთვიურად ხორციელდებოდა ლოგისტიკური და სტატისტიკური ანგარიშების მიღება და დამუშავება;

- ტუბერკულოზის ბაქტერიოლოგიურ კვლევასა და ბაქტერიოსკოპიასთან ერთად კეთდებოდა GenXpert კვლევები, მათი რეგისტრაცია LIMS-ის და დზეის-ის სისტემებში;
- ქვეყნის მასშტაბით სულ ჩატარებულია:
 - ა) ბაქტერიოსკოპული კვლევა -15 899, მათ შორის:
 - ✓ სადიაგნოსტიკო კვლევა- 4 425;
 - ✓ ქიმიოკონტროლი - 11 474;
 - ბ) ბაქტერიოლოგიური კვლევა 11 318, მათ შორის:
 - ✓ კულტურალური გამოკვლევა თხევად ნიადაგზე MGIT - 8 193;
 - ✓ კულტურალური გამოკვლევა მყარ ლევენშტეინ–იენსენის ნიადაგზე - 3125;
 - გ) ანტიბიოტიკომგრძობელობის კვლევა:
 - ✓ ანტიბიოტიკომგრძობელობა I რიგის ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატების მიმართ - 2 590;
 - ✓ ანტიბიოტიკომგრძობელობა II რიგის ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატების მიმართ - 711;
 - გ) GeneXpert აპარატით ჩატარებული კვლევების რაოდენობა - 16 485;
 - დ) ფილტვარეთა ტუბერკულოზის კვლევა - 1 242, მათ შორის:
 - ✓ კულტურალური გამოკვლევა თხევად ნიადაგზე MGIT - 37;
 - ✓ კულტურალური გამოკვლევა მყარ ლევენშტეინ–იენსენის ნიადაგზე - 1205;
 - ე) ხარისხის კონტროლის მიზნით - 1 565;
 - ვ) შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ განხორციელდა 4 139 სატრანსპორტო ყუთის ტრანსპორტირება;
 - ზ) საანგარიშო პერიოდში გამოკვლეულ იქნა 391 მგბ+ პაციენტის 1 016 კონტაქტი (საშუალოდ 1 ინდექს პაციენტზე 2,6 კონტაქტი).

გლობალური ფონდის საგრანტო პროგრამა „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის #2488 განკარგულების შესაბამისად 2020 წლის 1 იანვრიდან გლობალური ფონდის მხარდაჭერით დაიწყო „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ სამწლიანი პროგრამის (NGEO-T-NCDC) განხორციელება.

პროგრამის მიზანია ტუბერკულოზის ტვირთის შემცირება, ტუბერკულოზის ყველა ფორმის დროულ და ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, რაც შეამცირებს დაავადების გავრცელებას და სიკვდილის შემთხვევებს და მოახდენს წამალ-რეზისტენტობის შემდგომი განვითარების პრევენციას.

პროგრამის ხელშეწყობით წარმატებით ინერგება თანამედროვე საერთაშორისო მიდგომები და სტრატეგიები დაავადების კონტროლის კუთხით. გლობალური ფონდის თანადაფინანსებით უზრუნველყოფილია ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული და ექსტენსიურად რეზისტენტული ტუბერკულოზის თანამედროვე დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობა. საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა უზრუნველყო ახალი ტუბსაწინააღმდეგო წამლების პროგრამული გამოყენება და აქტიური ფარმეკოზედამხედველობა.

მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოიყენება სწრაფი დიაგნოსტიკის მეთოდი GeneXpert აპარატების მეშვეობით. ნახველის კვლევასთან ერთად 2020 წლიდან დაინერგა და 2021 წლიდან გაფართოვდა ფილტვგარეთა ნიმუშების კვლევა GeneXpert-ით. წინაწარი მონაცემებით, 2021 წელს როგორც ფილტვის, ასევე ფილტვგარეთა ტუბერკულოზზე სავარაუდო პაციენტების 93%-ს ჩაუტარდა გამოკვლევა სწრაფი მეთოდით. ამავე წელს ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის რეფერენს ლაბორატორია აღიჭურვა GeneXpert აპარტის 10 ფერიანი მოდულებით, რამაც შექმნა მოლეკულური მეთოდით მეორე რიგის მედიკამენტების მიმართ მგრძობელობის სწრაფი დადგენის შესაძლებლობა.

გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში შესყიდულია Xpert® Xpress SARS-CoV-2 ტესტები, რომელიც გამოიყენება ახალი კორონავირუსის სწრაფი დიაგნოსტიკისთვის. ტესტები გადაეცა ტუბერკულოზის პროგრამით FAST სტრატეგიაში ჩართულ სპეციალიზებულ და ზოგადი პროფილის დაწესებულებებს, და ასევე, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიებს, რამაც ხელი შეუწყო ახალი კორონავირუსის პჯრ ტექნოლოგიით დიაგნოსტიკის დეცენტრალიზაციას.



ტუბერკულოზით დაავადებული ინდექს-პაციენტთან კონტაქტის მქონე პირები აქტიური სკრინინგის ერთ-ერთ ძირითად ჯგუფს წარმოადგენენ. ტუბერკულოზთან ბრძოლის სტრატეგიის შესაბამისად, აუცილებელია პაციენტთან ახლო კონტაქტში მყოფი პირების კვლევა აქტიური თუ ლატენტური ტუბერკულოზის გამოსავლენად. 2021 სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების შესაბამისად, კონტაქტებისა და ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის მკურნალობაზე მყოფი პირების აღრიცხვის მიზნით შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა (TraceTB), რომელიც საშუალებას მისცემს ტუბერკულოზის ეროვნულ პროგრამას, ელექტრონულად აღრიცხოს ტუბერკულოზით დაავადებული ინდექს-პაციენტის ყველა ახლო კონტაქტი და ლატენტური ტბ ინფექციის მკურნალობაზე მყოფი პირი.


ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, მიგრანტებს შეიძლება ჰქონდეთ ტუბერკულოზით ინფიცირების ან აქტიური დაავადების განვითარების მაღალი რისკი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მიუხედავად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში საკმაოდ კარგად განვითარებული სამედიცინო დაკვირვების სისტემებისა და შესაძლებლობებისა, ინფორმაცია მიგრანტ მოსახლეობაში ტუბერკულოზის და მისი პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საჭიროებების შესახებ არასაკმარისია. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან ხელშემშლელ მიზეზს მიგრანტებზე მორგებული ჯანდაცვის სისტემების განვითარებისა და დანერგვისთვის. სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ პრევენციული მექანიზმების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს დაიწყო უცხოელი ვიზიტორების მხრიდან მომავალი ტუბერკულოზის ინფექციის გავრცელების რისკების შეფასება, რომელიც დასრულდება 2022 წელს.

აჭარაში გაგრძელდა „ნულოვანი ტუბერკულოზის“ პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში „ტუბერკულოზის ელიმინაციის კუნძულის“ შექმნას, რაც აისახება ტუბერკულოზის გავრცელების შემცირებაზე როგორც აჭარაში, ასევე ზოგადად საქართველოში. ინიციატივა მოიცავს ორ მიმართულებას: ადრეულ გამოვლენას აქტიური სკრინინგის მეშვეობით და სრულყოფილ მკურნალობას ტუბერკულოზის შემთხვევის ინტენსიური მართვის გზით, რისთვისაც ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების ჩართულობით შეიქმნა ტუბერკულოზის „შემთხვევის მართვის“ მოდელი. მკურნალობისადმი დამყოლობის გაუმჯობესებისათვის მულტილატერალური კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით გამოიყენება ECHO სესიები, სადაც განიხილება რთული პაციენტები და ეპიდემიოლოგებს მიეწოდებათ დიდაქტიკური ინფორმაცია შერჩეულ თემებზე.

2021 წლის განმავლობაში ჩატარდა ტუბერკულოზის, აივ ინფექციის, C ჰეპატიტის და COVID-19 აქტიური სკრინინგი (სკრინინგ-გავლილ პირებში არტერიული წნევის და გლუკოზის დონის განსაზღვრის ჩათვლით) აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების მოსახლეობის სამიზნე ჯგუფებში, როგორცაა კომპაქტური ჩასახლების ადგილები, საერთო საცხოვრებლები, თავშესაფრები. სკრინინგისთვის გამოიყენება რენტგენოდიაგნოსტიკური სისტემით და GeneXpert-ის აპარატით აღჭურვილი ავტომობილი.

რეგიონულ დონეზე მკურნალობის გამოსავლის გაუმჯობესების მიზნით გარძელდა ECHO მოდელით კონსულტირება. TB-ECHO სესიების დროს კლინიკურ კონსილიუმს რეგიონიდან რეგულარულად წარედგინება ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებული პაციენტების შემთხვევები და იმართება საერთო დისკუსია მათი სწორი კლინიკური მართვის მიმართულებით.

გლობალური ფონდის და სახელმწიფოს თანადაფინანსებით მოქმედი ფულადი წახალისების სქემის ფარგლებში მულტირეზისტენტული და სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები, რომლებიც იჩენენ მკურნალობისადმი კარგ დამყოლობას, ამბულატორიული მკურნალობის პერიოდში იღებენ ფულად დახმარებას. 2021 წელს პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებზე საპასუხოდ და სრულფასოვანი კვების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს ერთჯერადი დახმარების სახით დაურიგდათ საკვები ამანათები.



ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით პაციენტების უფრო დიდი ნაწილი გადავიდა 2019 წლიდან დანერგილ ვიდეო მეთვალყურეობით მკურნალობაზე სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით, რომელმაც მეთვალყურეობა კიდევ უფრო მოქნილი გახადა. 2021 წელს ვიდეო მხარდაჭერით სარგებლობდა 514 სენსიტიური და 166 რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული და ასევე, 24 ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობაში ჩართული პირი.

ამბულატორიული მკურნალობის ეტაპზე, პაციენტებისთვის სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის ხელშეწყობით 2021 წელს განაგრძობდა ფუნქციონირებას მობილური ამბულატორია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ბინაზე აწოდებს მედიკამენტებს.

ტუბერკულოზის კონტროლის ნაციონალური პროგრამის მართვის, კოორდინაციის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გაძლიერება - აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ქვეყანაში შექმნილია მონიტორინგის და შეფასების ჯგუფი, რომელიც მოიცავს 10 რეგიონულ კოორდინატორს და 3 სპეციალისტს ცენტრალურ დონეზე (ეპიდემიოლოგი, ლაბორატორიის სპეციალისტი და ფარმაცევტი). ჯგუფი კვარტალურად ახორციელებს ტბ დაწესებულებების რაიონულ, რეგიონულ და ცენტრალურ და ასევე, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სუპერვიზიას, რომლის მიზანია ძირითადი ინდიკატორებისა და აქტივობების, მათ შორის ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფი მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევების მართვის კონტროლის გაუმჯობესება. შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, რეგულარული მონიტორინგი და სუპერვიზია ტარდება პენიტენციურ სისტემაშიც.

გლობალური ფონდის და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ბიუროს მხარდაჭერით 2021 წელს ჩატარდა 2019-2022 წლების ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიის შუალედური შეფასება და ეპიდემიოლოგიური მიმოხილვა, რის საფუძველზეც შეფასდა ტუბერკულოზის ეროვნული პასუხის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრა შემდგომი სტრატეგიული პერიოდის (2023-2025 წწ) პრიორიტეტები და სამიზნეები.

COVID-19 ეპიდემიის პასუხი გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის ფარგლებში: 2021 წელს საქართველომ COVID-19 რეაგირების მექანიზმის ფარგლებში წარადგინა განაცხადი და გლობალური ფონდისგან მიიღო 5,4 მილიონი დოლარის დაფინანსება. ამ კომპონენტის დახმარებით შესყიდულია სამედიცინო და ლაბორატორიული აღჭურვილობა,

COVID-19-ის სადიაგნოსტიკო ტესტები, პერსონალური დაცვის საშუალებები, რამაც ხელი შეუწყო დიაგნოსტიკის დეცენტრალიზაციას და მოცვის გაფართოებას, ასევე მკურნალობის გაუმჯობესებას.

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირთან თანამშრომლობით განახლდა „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) საექვო შემთხვევის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და საოცალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა დისტანციური ტრენინგი. გარდა ამისა, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრთან თანამშრომლობით დაიწყო სტაციონარულ დაწესებულებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის ტრენინგი COVID-19-ის შემთხვევების კლინიკურ მართვაში.

გამოწვევები


- შემცირდა ტუბერკულოზზე კვლევისთვის მიმართვიანობა და შეფერხდა აქტიურ გამოვლენაზე მიმართული აქტივობები. შესაბამისად, შემცირდა დიაგნოსტიკური შემთხვევები
- COVID-19 გავრცელების რისკის გამო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგები შეიცვალა ონლაინ სწავლებით ან გადავადდა

აივ ინფექცია/შიდსი: საქართველო განეკუთვნება აივ ინფექცია/შიდსის კონცენტრირებული ეპიდემიის მქონე ქვეყნებს. ეპიდემია კონცენტრირებულია ე.წ. მაღალი რისკის პოპულაციის ჯგუფებში, როგორებიცაა ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები, კომერციული სექს-მუშაკები, მამაკაცები, რომელთაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან (მსმ) და ტრანსგენდერი პირები. ამ ჯგუფებიდან ეპიდემიის ყველაზე სწრაფი განვითარება ამჟამად აღინიშნება მსმ-ებს შორის.

საქართველოში 2022 წლის 31 იანვრის მონაცემებით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში რეგისტრირებული იყო შიდსის ვირუსით ინფიცირების 9 221 შემთხვევა, მათგან 6 888 - მამაკაცი და 2 333 - ქალია. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდეა.


2015-2016 წლების მატების შემდგომ, 2017 წელს დაფიქსირდა აივ ინფექციის რეგისტრირებული ახალი შემთხვევების საგრძნობი კლება (12%). 2018 წელს კვლავ დაფიქსირდა ახლად გამოვლენილი შემთხვევებმა მცირედი (6%/672 შემთხვევა) მატება, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში აივ ინფექციაზე მოსახლეობის გაზრდილი ტესტირების რაოდენობით. 2020-2021 წლებში აღინიშნა აივ ინფექციის ახალი შემთხვევების კლება და რეგისტრირებული იქნა 530 შემთხვევა ორივე წელს. სავარაუდოდ, აივ ინფექციის ახალი შემთხვევების გამოვლენის კლება უკავშირდება COVID-19-ის ეპიდემიის პირობებში მოსახლეობის სამედიცინო სერვისებზე შემცირებულ მიმართვიანობას.

საქართველოში გამოვლენილი აივ-ინფექციის ახალ შემთხვევათა დინამიკა წლების მიხედვით



წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი; http://aidscenter.ge/epidsituation_geo.html

აივ ინფექციის რეგისტრირებული შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით (31 იანვარი 2022 წ.)



აივ ინფექციის გადაცემის გზებს შორის წამყვანი გახდა ჰეტეროსექსუალური გზა (50.4%) და ნარკოტიკების ინექციურმა მოხმარებამ გადაინაცვლა მეორე ადგილზე (34.7%), 2017 წელთან შედარებით მოიმატა ჰომოსექსუალური გზით აივ ინფექციის გავრცელების წილმაც (12.6%). 2003 წლიდან გლობალური ფონდის შიდსის და აივ ინფექცია/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საქართველოში მცხოვრებ ყველა აივ დადებით და შიდსით დაავადებულ ადამიანს ხელი მიუწვდება სასიცოცხლო მნიშვნელობის უფასო მაღალეფექტიან ანტირეტროვირუსულ მკურნალობასა და შესაბამის ხარისხიან

ლაბორატორიულ და მკურნალობაზე დამყოლობის მონიტორინგზე. თბილისთან ერთად პაციენტებს არც მკურნალობა მიეწოდებათ ქვეყნის 4 რეგიონში: იმერეთი, სამეგრელო, აჭარა და ასევე აფხაზეთი.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის 2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, 2021 წელს არც მკურნალობაზე იმყოფებოდა 5746 აივ /შიდსით პაციენტი, მათ შორის 630 აფხაზეთში, რაც დაგეგმილი სამიზნე მაჩვენებლის 91% შეადგენს. მკურნალობის ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს ის ფაქტი, რომ აივ ინფექციის შემთხვევების საშუალოდ 50%-ის დიაგნოსტიკა კვლავ ხდება გვიან სტადიაზე, რის გამოც იკლებს მკურნალობის ეფექტიანობის დონე.

საანგარიშო წელს:


- მომზადდა აივ ინფექცია/შიდსზე გლობალური მონიტორინგის ანგარიში (GAM -2021);
- მომზადდა აივ ინფექცია/შიდსის ეპიდზედამხედველობის განახლებული გაიდლაინი;
- მიმდინარეობდა აივ/შიდსის ეპიდზედამხედველობაში ჩართული დაწესებულებების ანგარიშგების მონიტორინგი;
- მიმდინარეობდა აივ ინფექცია/შიდსისა და სგდ-ების პრევენციის სამუშაო ჯგუფის (PTF) შეხვედრებში მონაწილეობა.

სახელმწიფო პროგრამა „აივ-ინფექცია/შიდსის მართვა“: პროგრამის „აივ-ინფექცია/შიდსის მართვა“ მიზანია აივ-ინფექცია/ შიდსით ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა:

- აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტირება (ტესტის წინა და ტესტის შემდგომი) და ტესტირება;
- აივ-ინფექციის/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა, მიღება და ტრანსპორტირება;
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების დიაგნოსტიკა და მკურნალობა აივ-ინფექციის/შიდსის მაღალი რისკის პირებში;
- პილოტი - აივ-ინფექციის/შიდსის პრევენცია ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში (ნიმ).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 290 764 სკრინინგი, მ.შ. 1 050 ბლოტის წინა განმეორებითი. ამავე საანგარიშგებო პერიოდში სკრინინგით დადებით შემთხვევებში იმუნობლოტინგის მეთოდით ჩატარებული კონფირმაციული კვლევების რაოდენობამ შეადგინა 508, ხოლო პჯრ მეთოდით ჩატარებულმა კონფირმაციულმა კვლევებმა - 52, ჯამში კონფირმაციით დადასტურდა 508 შემთხვევა (მათ შორის, იმუნობლოტინგით დადასტურდა - 506, ხოლო პჯრ მეთოდით - 2 შემთხვევა).

აივ ინფექცია/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ტესტირების, კონსულტირების და გამოვლენილი დადებითი შემთხვევების რაოდენობა:



საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აივ-ინფექცია/შიდსზე შემდეგი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება:


- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირების აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტაცია და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით - გამოკვლეულ იქნა 2 069 პატიმარი, მათ შორის გამოვლინდა აივ ინფექციაზე საეჭვო 5 შემთხვევა და კონფირმაციული მეთოდით დადასტურდა - 5;
- ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე 10 193 პაციენტის აივ ინფექციაზე კვლევისას გამოვლინდა 9 სავარაუდო დადებითი შემთხვევა, რომელთაგან კონფირმაციული კვლევით დადასტურდა 9 შემთხვევა;
- ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების (ნიმ) და მათი სქესობრივი პარტნიორების აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ქვე-კომპონენტის ფარგლებში სკრინინგული კვლევა ჩატარდა 1 284 ნიმ-ს და მათ 415 სქესობრივ პარტნიორს. ნიმ-ში გამოვლინდა 44 სავარაუდო და 42 დადასტურებული შემთხვევა, ხოლო ნიმ-ის სქესობრივ პარტნიორებში 9 სავარაუდო და 8 დადასტურებული შემთხვევა;
- სექს-მუშაკების, მათი კლიენტების და მსმ-ების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ქვეკომპონენტის ფარგლებში გამოკვლეულია 1 647 პირი, გამოვლინდა 111 სავარაუდო დადებითი შემთხვევა, რომელთაგან კონფირმაციული კვლევით დადასტურდა 108 შემთხვევა;
- ჰეპატიტების მქონე პაციენტების აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით - გამოკვლეული იქნა 10 114 პაციენტი, მათგან გამოვლინდა სკრინინგით დადებითი 27 შემთხვევა, რომელთაგან კონფირმაციული კვლევით აივ ინფექცია დადასტურდა 27 შემთხვევაში;

- აივ-ინფექციაზე/შიდსზე საექვო კლინიკური ნიშნების მქონე პაციენტების და აივ-ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების აივ-ინფექციაზე/შიდსზე კონსულტაცია, ნებაყოფლობით გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით - გამოკვლეულ იქნა 16 438 პირი, მათგან გამოვლინდა 293 სავარაუდო და დადასტურდა 259 შემთხვევა;
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სიფილისი, ქლამიდია, გონორეა და ტრიქომონიაზი) დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მომსახურება აივ-ინფექციის/შიდსის მქონე პირებსა და აივ-ინფექციის/შიდსის მაღალი რისკის პირებში (ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები, კომერციული სექსმუშაკი ქალები, მსმ და ტრანსგენდერი პირები) - კომპონენტის ფარგლებში საანგარიშგებო პერიოდში აივ-ინფექცია შიდსზე ჩატარდა 1351 სკრინინგული გამოკვლევა, მათგან გამოვლინდა სავარაუდო დადებითი 26 შემთხვევა;
- ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ განხორციელებული, პირველად ჯანდაცვაში C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის უზრუნველყოფის პროგრამების ფარგლებში, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისა და სოფლის ექიმების მიერ შესაბამის რეგიონში დარეგისტრირებული 18 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობის აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტირებას და გამოკვლევის ფარგლებში, ჩატარდა 162 753 სკრინინგი, მათგან გამოვლინდა სავარაუდო დადებითი 103 შემთხვევა, დადასტურებულია 31 (20 ახალი შემთხვევა, 11 ძველი);
- გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში, მაღალი რისკის ჯგუფებში აივ-ინფექცია/შიდსის, B ჰეპატიტის, სიფილისის სკრინინგული გამოკვლევის ქვეკომპონენტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში თანასწორობის მოძრაობამ ჩატარა 1 627 სკრინინგული გამოკვლევა, მათგან გამოვლინდა სავარაუდო დადებითი 41; საინფორმაციო ფსიქოლოგიურმა ცენტრმა თანადგომამ (მსმ პირები) ჩატარა 938 სკრინინგი და მათგან გამოვლინდა სავარაუდო დადებითი 11 შემთხვევა;
- აივ-ინფექციის/შიდსის პრევენცია ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებსა (ნიმ) და კომერციულ სექსმუშაკ ქალებში, საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა ჩატარა 36170 კვლევა, მათგან გამოვლინდა სავარაუდო დადებითი 23 შემთხვევა; საინფორმაციო ფსიქოლოგიურმა ცენტრმა თანადგომამ ჩატარა 1 914 სკრინინგი, სავარაუდო დადებითი შემთხვევა არ გამოვლენილა;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე - ზ.დანელიას სახელობის კავშირი „თანადგომას“ მიერ საანგარიშგებო პერიოდში ჩატარდა 1 640 სკრინინგული გამოკვლევა, მათგან გამოვლინდა 9 სავარაუდო დადებითი შემთხვევა;
- სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ჰოსპიტალიზებული 18 წლის და მეტი ასაკის პირების ტესტირება აივ-ინფექციაზე/შიდსზე მომსახურების ფარგლებში ჩატარდა 36 524 სკრინინგული გამოკვლევა, მათგან გამოვლინდა 96 სავარაუდო დადებითი შემთხვევა, დადასტურებულია 15;
- „რეგიონებში ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივის ხელშეწყობა და ტუბერკულოზის აქტიური გამოვლენა ტუბერკულოზის, Covid-19-ის, აივ-ინფექციის/შიდსის, C ჰეპატიტის აქტიური სკრინინგისა და

კონტაქტების კვლევის პილოტირების გზით“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 1 633 სკრინინგული გამოკვლევა, მათგან გამოვლინდა 3 სავარაუდო დადებითი შემთხვევა, დადასტურებულია 3 (1 ძველი, 2 ახალი შემთხვევა);

- საანგარიშგო პერიოდში აივ-ინფექციის/შიდსზე გამოკვლეულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ცენტრებში განთავსებული 131 პირი;
- „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ტანდემ-ტესტირების ფარგლებში:
 - ✓ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ზოგადი პოპულაციისათვის ჩატარებული სკრინინგების რაოდენობა - 1 730, მათ შორის სავარაუდო დადებითი 2, დადასტურებულია 2 (1 ძველი, 1 ახალი შემთხვევა);
 - ✓ დესჯ ცენტრის ლაბორატორიების მიერ ჩატარებული სკრინინგების რაოდენობა - 3 141, მათ შორის სავარაუდო დადებითი შემთხვევა - 4, დადასტურდა 4 (1 ძველი, 3 ახალი შემთხვევა).

აივ ინფექცია/შიდსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რისკის ჯგუფებში ჩატარებული სკრინინგული კვლევების ხვედრითი წილი




• გასულ წელთან შედარებით გაიზარდა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე და ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე პაციენტების სკრინინგული კვლევების რაოდენობა აივ-ინფექცია შიდსზე. 2020 წლის განმავლობაში აივ ინფექციაზე სკრინინგი ჩატარდა 9 152 პაციენტს, ხოლო 2021 წლის განმავლობაში - 10 193 პაციენტს.

• შემცირდა აივ-ინფექცია/შიდსზე საეჭვო კლინიკური ნიშნების მქონე პაციენტების და აივ-ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტირება და გამოკვლევა

სკრინინგული მეთოდებით - ქვეკომპონენტის ფარგლებში მიმართვიანობა „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში“. 2020 წლის განმავლობაში ამ ქვეკომპონენტში აივ-ინფექციაზე სკრინინგი ჩატარდა 18 514, ხოლო 2021 წლის განმავლობაში - 16 438 პირს.

- 2020 წელთან შედარებით მცირედით გაიზარდა მაღალი რისკის ჯგუფის პირთა და მათი კონტაქტების მოძიებითი სამუშაოების, აივ ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ქვეკომპონენტის ფარგლებში „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევების რაოდენობა. 2020 წელს ჩატარდა 1 025 კვლევა, 2021 წელს - 1 076.

აივ ინფექცია/შიდსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ორსულების, სისხლის დონორების და სხვა ჯგუფების სკრინინგული კვლევებით მიღებული სავარაუდო დადებითი შემთხვევების გადამოწმება



- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აივ-ინფექციაზე/შიდსზე გამოკვლეული საექვო დადებითი 98 ორსულიდან, აივ-ინფექცია დაუდასტურდა 7-ს, ხოლო აივ ინფექციაზე გამოკვლეული 59 საექვო დონორის სისხლის ნიმუშის კონფირმაციული კვლევისას აივ ინფექცია დადასტურდა 20 შემთხვევაში. ორსულებისა და დონორების, ასევე, ზემოაღნიშნული ჯგუფების გარდა სხვა (მ.შ. ქირურგიული ჩარევის ან მშობიარობის წინ გამოკვლეული პირები და ა.შ.) აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგული ტესტით დადებითი 29 შემთხვევის კონფირმაციული კვლევისას დადასტურდა 23 შემთხვევა.

„გლობალური ფონდის საგრანტო პროგრამა „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“

2021 წლის განმავლობაში მოხდა პროგრამის განხორციელების გახანგრძლივება 6 თვით, შესაბამისად, გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი დაფინანსების მომდევნო ალოკაციის ბიუჯეტის გამოყენებით და ჯამურად შეადგინა 10.9 მილიონი აშშ დოლარი (ნაცვლად 9.3 მილიონი აშშ დოლარისა) 2019 წლის ივლისიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე.

პროგრამა მიზნად ისახავს აივ ინფექცია/შიდსით დაავადებული ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ხარისხის გაუმჯობესებას მაღალეფექტიანი მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით, ისევე როგორც აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების პრევენციას, განსაკუთრებით კი მაღალი რისკის მქონე ჯგუფებში, კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების გზით. ამავე დროს, გადადგმული იქნა მნიშვნელოვანი ნაწილები გლობალური ფონდის ვალდებულებების სახელმწიფო დაფინანსებაზე გადაბარების მიმართულებით, შეთანხმებული გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ძალისხმევა და რესურსები მიმართული იყო აივ პრევენციულ ღონისძიებებზე მაღალი რისკის ჯგუფებში (ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები, მსმ-ები, კომერციული სექს-მუშაკები და პატიმრები).

გლობალური ფონდის პროგრამების მდგრადობისა და გადაბარების გეგმის ღონისძიებები: გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში არც მკურნალობის მაღალი სტანდარტებისა და მოცვის მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება საჭიროებს ეფექტიან კოორდინაციას გლობალური ფონდისა და შესაბამის სახელმწიფო პროგრამებს შორის და სახელმწიფო დაფინანსების ზრდის უზრუნველყოფას გლობალური ფონდის დაფინანსების მომდევნო პერიოდში (2023-2025 წლები), განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ გაეროს შიდსის პროგრამისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, საქართველო 2016 წლიდან სრულად გადავიდა „მკურნალობა ყველასთვის“ სტრატეგიის განხორციელებაზე, რაც გულისხმობს არც მკურნალობის შეთავაზებას ყველა აივ პაციენტისთვის CD4 ლიმფოციტების დონის მიუხედავად, რაც თავის მხრივ, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გაზრდის არც მკურნალობის პროგრამაში ჩართული პაციენტების რიცხვს მომდევნო წლებში.

- 2021 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა ინტენსიური სამუშაოები 2023-2025 წლების გლობალური ფონდის შიდსის და ტუბერკულოზის გაერთიანებული პროგრამის ახალი განაცხადის მომზადების მიზნით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს შიდსის პროგრამის მხარდაჭერით განახლდა აივ ინფექცია/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა და ინდიკატორების ჩარჩო;
- 2021 წლის განმავლობაში წარმატებით განხორციელდა პირველი და მეორე რიგის არც მედიკამენტების მარაგის 80%-ის შესყიდვა (20% შესყიდული იქნა გლობალური ფონდის შიდსის პროგრამის ფარგლებში); შპრიცების, ნემსებისა და კონდომების შესყიდვა გლობალური ფონდის მიერ მოწოდებული შესყიდვის საერთაშორისო მექანიზმებით, მათ შორის მეორე რიგის არც მედიკამენტები შესყიდულ იქნა გაერთიანებული შესყიდვის პლატფორმის ვამბოს მეშვეობით;
- გლობალური ფონდის პროგრამების ფარგლებში COVID-19-ის ეპიდემიის პასუხისმგებლობის C19 RM მექანიზმის ფარგლებში 2020წ საქართველომ წარადგინა განაცხადი და მიიღო დამატებითი დაფინანსება 1.2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომლის დიდი ნაწილი მიმართულია COVID-19-ის სადიაგნოსტიკო აპარატურის, ტესტებისა და

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესამენად, ასევე აივ ინფიცირებული და აივ მაღალი რისკის პირების, ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებისთვის სპეციალიზირებულ და პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე;


- COVID-19-ის ეპიდემიის პირობებში სრულად იქნა შენარჩუნებული აივ ინფექცია/შიდსის მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით პაციენტების მომარაგების უწყვეტობა, მათ შორის აფხაზეთის კონფლიქტის რეგიონშიც;
- გაიზარდა პაციენტზე ერთჯერადად გასაცემი მედიკამენტების მარაგის მოცულობა 2-დან 3 თვემდე საჭიროების დასაფარად;
- გაფართოვდა მკურნალობის მონიტორინგის მობილური ბრიგადების საქმიანობა მედიკამენტების ბინაზე მიწოდების და ლაბორატორიული ანალიზებისთვის სისხლის ნიმუშების აღების მიზნით;
- COVID-19-ის ეპიდემიის პირობებში მოქალაქეების გადაადგილების შეზღუდვის გამო გადაიხედა აივ პრევენციის მომსახურების მიწოდების პროტოკოლები და გაფართოვდა ონლაინ კონსულტირების მომსახურების მოცულობა;
- განახლებული იქნა ონლაინ პლატფორმა აივ თვითტესტირებისთვის, სადაც ხდება მაღალი რისკის პირების მიერ აივ სწრაფი თვითტესტის, ასევე აივ პრევენციის საშუალებების შეკვეთა, რომლის მიწოდება ხდება მობილური ოპერატორების ან აუთორიზ მუშაკების მიერ;
- გაფართოვდა აივ პრევენციის საშუალებების მინიმალური პაკეტი და მასში გათვალისწინებული იქნა COVID-19-ის ეპიდემიის პრევენციისთვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ასევე გაიზარდა ერთ ბენეფიციარზე გაცემული პრევენციის საშუალებების რაოდენობა;
- პროგრამის ფარგლებში აქტიური კონსულტაციების და კოორდინაციის შედეგად, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად იქნა გათვალისწინებული გლობალური ფონდის შიდსის პროგრამიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასული კომპონენტების მდგრადობის საჭიროებები და ბიუჯეტის ზრდა დაგეგმილი სამიზნეების შესაბამისად;
- ქვეყანა კვლავ ინარჩუნებს მოწინავე პოზიციას შიდსით დაავადებული პირების არე მკურნალობით მოცვისა და ამ მკურნალობაზე დამყოლობის მაჩვენებლების მიხედვით.

ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამა: 2021 წელს გლობალური ფონდის პროგრამების ფარგლებში ზიანის შემცირების მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფდა 13 სერვის ცენტრი 11 ქალაქში (თბილისი, რუსთავი, გორი, თელავი, სამტრედია, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, ოზურგეთი, ბათუმი, სოხუმი).

2021 წელს 9 მობილური ამბულატორიის საშუალებით ზიანის შემცირების მომსახურებების მიწოდების საშუალებით მნიშვნელოვანი იყო პროგრამის მოცვის გეოგრაფიული არეალი (50-ზე მეტი რაიონი). გარდა ამისა, აღნიშნული ამბულატორიები აქტიურად არიან ჩართული მოსახლეობის C ჰეპატიტის სკრინინგის პროგრამაშიც.

მობილური ამბულატორიების საშუალებით გეოგრაფიულმა გაფართოვებამ და სამუშაო მიდგომების მოდიფიკაციამ განაპირობა პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მნიშვნელოვანი ზრდა. უკანასკნელ წლებში ასევე აღინიშნა ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების აივ-ზე ტესტირების მნიშვნელოვანი ზრდაც.

ნემსებისა და შპრიცების პროგრამით მოცვა (სულ მცირე ერთი სერვისი), 2018–2021



წყარო: ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი (GHRN)

2021 წლის განმავლობაში ზიანის შემცირების სერვისების პაკეტით (2 სერვისი, რომელთაგან ერთი არის შპრიცისა და ნემსის დარიგება) ისარგებლა 35 650 ბენეფიციარმა.

2021 წელს აივ ტესტირება ჩაიტარა 34 114 ბენეფიციარმა (32 933 ნიმ-ი და 2 324 პარტნიორი), ინფიცირება დაუდასტურდა 8 პირს. C ჰეპატიტიზე ტესტირება ჩაიტარა 27 967 ბენეფიციარმა (ანტისხეულ დადებითთა წილი იყო 6.2%), B ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევა ჩაიტარა 31 096-მა ბენეფიციარმა, მათგან 774 (2.5%) იყო დადებითი. პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი იქნა სიფილისის ინფექციის 28 შემთხვევა. ტუბერკულოზით ინფექციაზე სიმპტომური სკრინინგი ჩაუტარდა 1 791 ნიმ-ს, 4 პირი გადამისამართდა ტუბერკულოზის კლინიკაში, დიაგნოზი არ დადასტურდა. 2021 წელს ჯამში დარიგებულია 4 070 000 სტერილური საინექციო საშუალება (პროგრამის ერთ ბენეფიციარზე საშუალოდ 106 ცალი).

კსმ ქალებისა და მსმ-ების მოცვა აივ პრევენციული სერვისებით: მამაკაცებში, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან (მსმ) და კომერციულ სექს მუშაკებში (კსმ) აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით, გლობალური ფონდის პროგრამების ფარგლებში ხორციელდება შემდეგი სახის მომსახურებები:

- რისკის შემცირების კონსულტაცია;
- ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება (ნკტ) აივ ინფექცია/შიდსზე;
- ნებაყოფლობითი კონსულტაცია სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე;
- სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებების მკურნალობა;
- საინფორმაციო საგანმანათლებლო მასალებისა და კონდომების დისტრიბუცია, საინფორმაციო საქმიანობის ორგანიზება.

აღნიშნული მომსახურებების მიწოდება ხორციელდებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომის“ თბილისისა და რეგიონული ქსელის, სათემო ორგანიზაციების „თანასწორთა მოძრაობა“ და „იდენტობა“, აგრეთვე დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაციის ე.წ. ჯანმრთელობის კაბინეტების ბაზაზე, სერვისები ხელმისაწვდომია ქვეყნის 6 ქალაქში: თბილისი, თელავი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი და რუსთავი. 2021 წელს აივ პრევენციული პაკეტით მოცული იყო 8 502 მსმ, მათგან აივ ტესტირება ჩაიტარა 6 920 პირმა. 2021 წელს აივ პრევენციული პროგრამებით კსმ ქალების მოცვა შემცირდა COVID-19-ის ეპიდემიის ფონზე. კერძოდ, გასულ წელს მოცული იქნა 3 155 კსმ ქალი.

მნიშვნელოვანია ამ ორი მაღალი რისკის პოპულაციის მოცვის შემდგომი ზრდის უზრუნველყოფა გაერო-ს შიდსის პროგრამის მიერ რეკომენდებული მოცვების მისაღწევად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის ეპიდემიის პირობებში აივ ტესტირებით მსმ-ების

მოცვის უზრუნველყოფის მხრივ კარგად იმუშავა ინტერნეტ პლატფორმამ, რომლის საშუალებით ბენეფიციარებს აქვს შესაძლებლობა ონლაინ შეუკვეთონ და ბინაზე მიიღონ აივ თვითტესტები.

ექსპოზიციის წინა არე პროფილაქტიკის (PrEP) პილოტური პროგრამა მსმ-ებს შორის: ჯანმოს



რეკომენდაციების შესაბამისად, გლობალური ფონდის შიდსის პროგრამის ფარგლებში 2017 წლის აგვისტოდან საქართველოში, რეგიონში პირველ ქვეყანაში, დაიწყო PrEP - ის პილოტური პროგრამა მსმ-ებს შორის თბილისში. 2019 წელს გაფართოვდა პროგრამის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა (დაემატა ქუთაისი და ბათუმი). 2021 წლის ბოლოს პროგრამაში ჩართული იყო 299 ახალი ბენეფიციარი, სულ 2021 წელს პრეპის მედიკამენტი მიიღო 792 პირმა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მაღალი რისკის ქცევების მქონე აივ ნეგატიური მსმ-ები და ტრანსგენდერი პირები იღებენ არე მედიკამენტს. აივ

ინფექციის პროფილაქტიკის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ ჯგუფში მზარდ აივ ეპიდემიის შეჩერებას. ყოველდღიური მედიკამენტოზური მკურნალობის პროგრამის პარალელურად, შემუშავებული იქნა მოთხოვნაზე დაფუძნებული PrEP პროტოკოლი, რაც გულისხმობს აივ პრევენციის მიზნით მედიკამენტის მიღებას სარისკო ქცევის ეპიზოდამდე 2 დღით ადრე და 2 დღის შემდეგ. როგორც სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, აღნიშნული მიდგომა უფრო ეკონომიურია და ასევე ხასიათდება მაღალი ეფექტიანობით აივ პრევენციის თვალსაზრისით. მოთხოვნაზე დაფუძნებული PrEP-ის ფართედ დაწერვა იგეგმება 2022 წლიდან.

გამოწვევები


- COVID-19-ის ეპიდემიის პირობებში მნიშვნელოვანი ბარიერები შეიქმნა მაღალი რისკის ჯგუფებისა და აივ ინფექცია/შიდსით დაავადებული პირებისთვის სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, შემცირდა მიმართვიანობა
- პანდემიასთან დაკავშირებული ლოგისტიკის პრობლემებთან დაკავშირებული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მარაგების შესყიდვის და მოწოდების სირთულეები
- რეპრესიული ნარკოპოლიტიკის პირობებში არსებული რთული გარემო შპრიცისა და ნემსის პროგრამაში ნიმ-ების მოსაზიდად
- საზოგადოებაში არსებული აივ ინფექციასთან ასოცირებული სტიგმისა და დისკრიმინაციის მაღალი დონე
- აივ ინფექციის შემთხვევების გამოვლენის დაბალი მაჩვენებელი და გვიან სტადიაზე დაავადების გამოვლენის მნიშვნელოვანი პროცენტი

ბოტულიზმი: 2021 წელს საქართველოში აღირიცხა საკვებისმიერი ბოტულიზმის 5 შემთხვევა. ყველა მათგანი, გასული წლების ანალოგიურად, ეპიდ-ანამნეზის მიხედვით უკავშირდება ოჯახურ პირობებში დამზადებულ ბოსტნეულის ჰერმეტიკულად შენახულ კონსერვებს. ბოტულიზმით გარდაცვალება არ დაფიქსირებულა.

**საკვებისმიერი ბოტულიზმი 2021 - 2019 წლებში, საქართველო
თვეები (იანვარი-დეკემბერი)**

წელი/თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	სულ
2019	4	1	0	1	1	0	0	0	0	0	4	0	11
2020	2	0	3	1	0	0	0	0	2	0	0	1	9
2021	0	0	0	1	0	0	1	0	0	3	0	0	5

შედარებითი ანგარიში, ბოტულიზმი, საქართველო, 2018-2020




საკვებთან და სასმელ წყალთან სავარაუდოდ ასოცირებული დაავადებები: საქართველოს ეპიდზედამხედველობის სისტემაში სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებული დაავადებები და მდგომარეობები განსაზღვრული და დამტკიცებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის №01-26/ნ ბრძანებით (სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ).

საქართველოს ეპიდზედამხედველობის სისტემაში რეგისტრირებულ დაავადებათა ერთეული შემთხვევებისა და ეპიდაფეთქებების კვლევისას, დაავადების გადაცემის გზებისა და რისკფაქტორების განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტისგან (ან ახლობლისგან) მიღებულ ინფორმაციას, რომლის რეალობა და სიზუსტე დამოკიდებულია დაავადების ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობაზე, ადამიანთა მეხსიერების ცდომილებაზე, მიკერძოების ფაქტორსა და სხვა გარემოებებზე.

სავარაუდოდ სურსათითა და სასმელი წყლით გადაცემადი დაავადებების შემთხვევაში, როგორცაა სალმონელოზი, შიგელოზი, ენტეროჰემორაგიული ეშერიხიოზი, ბოტულიზმი, სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა, სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა და სხვა, ერთეული შემთხვევების ეპიდკვლევის (აღნიშნული არაა სავალდებულო ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით) შედეგად ხშირად ვერ დგინდება დაავადების გამომწვევსა და საკვებს/ან სასმელ წყალსა და/ან სხვადასხვა დანიშნულების საგნებს შორის ზუსტი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ვინაიდან ამ დაავადებათა გავრცელება შესაძლებელია გამოწვეული იყოს როგორც სასმელი წყლითა და საკვებით, ასევე საკონტაქტო-საყოფაცხოვრებო გზითაც.

სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეები: 2021 წ. საქართველოში აღირიცხა ამ დაავადებების 8 415 შემთხვევა (ინციდენტობა 225,7), 2020 წელს - 10 172 შემთხვევა (ინციდენტობა 273,6) (ინციდენტობა დათვლილია 100000 მოსახლეზე).


სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების ინციდენტობა რეგიონების მიხედვით



სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გასულ 2020 წელთან შედარებით, შემთხვევათა საერთო რაოდენობამ მოიკლო 17%-ით. შემთხვევათა უმნიშვნელო მატება არის გურიაში. ეპიდ-აფეთქებები ამ რეგიონში არ დაფიქსირებულა, მაღალი მაჩვენებელი (წინა წელთან შედარებით) ძირითადად უკავშირდება ერთეული შემთხვევების მატებას. საანგარიშო პერიოდში აჭარაში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წინსვლაში, გამოვლინდა ერთი ეპიდაფეთქება, 29 დაავადებულით (ერთ დასახლებულ უბანში მცხოვრები ოჯახებიდან). ეპიდკვლევის შედეგად, სავარაუდო რისკ ფაქტორად მიჩნეული იქნა სასმელი წყალი, რომელიც მიეწოდებოდა 40 ოჯახს საერთო სარგებლობის წყლის ავზიდან.

შიგელოზი: 2021 წელს საქართველოში აღირიცხა შიგელოზის 72 შემთხვევა (ინციდენტობა 1,9), 7-ჯერ ნაკლები, ვიდრე გასულ 2020 წელს (565 შემთხვევა, ინციდენტობა 15,2).


შიგელოზის ინციდენტობის განაწილება რეგიონების მიხედვით



ინციდენტობის ანალიზით, შემთხვევათა კლება გამოიხატა ყველა რეგიონში. ეპიდაფეთქებები საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა.

სალმონელოზები: 2021 წელს საქართველოში აღირიცხა სალმონელოზების 140 შემთხვევა (ინციდენტობა 3,8), მათგან *Salmonella spp*-ით გამოწვეული იყო 109, *Salmonella enteritidis*-ით 30, ხოლო *Salmonella typhimurium*-ით - 1. 2020 წელთან შედარებით (165 შემთხვევა, ინციდენტობა 4,4), შემთხვევათა რაოდენობამ მოიკლო 15%-ით.

სალმონელოზების ინციდენტობა რეგიონების მიხედვით, საქართველო, 2019-2021



წარმოდგენილი ეპიდემიოლოგიური და სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2021 წელს ინციდენტობის მაღალი მაჩვენებელი (ეროვნულ მაჩვენებელთან შედარებით) გამოიკვეთა იმერეთში (ინციდენტობა 12,7) და თბილისში (ინციდენტობა 5,5). აღნიშნული უკავშირდება იმერეთსა და თბილისში ადამიანთა ჯგუფურად დაავადებებს, რომლებიც ეპიდკვლევის მონაცემების თანახმად, გამოწვეულია საზოგადოებრივი კვების ობიექტებში მიღებული/შემენილი საკვებით.

ლეიშმანიოზი: ჯანმო-ს დახმარებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური და ენტომოლოგიური შესწავლით ასპინძასა და ახალციხეში დადასტურდა აქამდე უცნობი ერთი აქტიური და ერთი შესაძლო აქტიური კერა. გამოჭერილ იქნა დაავადების გადამტანი ფლებოტომუსები, ხოლო ვეტერინარული სამსახურის მიერ ქ. ასპინძაში გამოვლინდა კერძო პირთა საკუთრებაში მყოფი ლეიშმანიოზით დაავადებული 16 ძაღლი. ასპინძის საზ.ჯანდაცვის ცენტრს გამოვლენილ კერებში დეზინსექციის ჩასატარებლად გადაეცა ინსექტიციდი (სოლფაკი ვპ10).

მუცლის ტიფი და პარატიფები: საქართველოში დაავადების შემთხვევები ბოლო 17 წლის განმავლობაში არ აღრიცხულა.

ვაქცინით მართვადი სხვა დაავადებები:

2021 წელს აღრიცხა **ყივანახველას** 26 შემთხვევა, რაც თითქმის 4-ჯერ ნაკლებია წინა წელთან შედარებით. ინციდენტობა - 0.6. 2020 წელს დარეგისტრირდა ყივანახველას 96 შემთხვევა, ინციდენტობა - 2.5.

2021 წელს აღრიცხა **ყბაყურას** 3 შემთხვევა (2020 წელს - 9). ინციდენტობა - 0.08 (2020 წელს - 0.2). 2021 წელს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ყბაყურას ინციდენტობა შემცირდა 150%-ით.

2021 წ. საქართველოში **ტეტანუსით** დაავადების 3 შემთხვევა დაფიქსირდა, სამივე მოზრდილი, ინციდენტობა - 0.08, 2020 წელს კი ერთი შემთხვევა, 9 წლის ბავშვი, ინციდენტობა - 0.02. არც ერთი შემთხვევა ლეტალურად არ დასრულებულა.

2021 და 2020 წლებში **დიფთერიის** არც ერთი შემთხვევა არ დარეგისტრირებულა.

გრიპი და სხვა რესპირატორული დაავადებები: 2021 წლის მანძილზე უწყვეტად გრძელდებოდა საყრდენი ბაზებით ეპიდზედამხედველობა და ILI-სა და SARI-ის გამომწვევების დიაგნოსტიკა. 2021-2022 წლების გრიპის სეზონისთვის თბილისსა და ქუთაისში არსებულ საყრდენ ბაზებს დაემატა ბათუმის 3 სამედიცინო დაწესებულება - ერთი ILI-სა და 2 - SARI-ის.

2021-2022 წლების გრიპის სეზონისთვის მზადყოფნის მიზნით, სახელმწიფოს მიერ შესყიდული იყო 200 000 დოზა სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა. მიზნობრივი იმუნიზაცია ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ პოპულაციაში.

ჩატარებული სწავლებები: 2021 წლის განმავლობაში გადამზადდა სხვადასხვა სამედიცინო - სახელმწიფო და კერძო - დაწესებულების თანამშრომლები ნაცხის აღებისა და ბიოუსაფრთხოების საკითხებში.

პროექტით „საქართველოში SARS-CoV-2-ის ლაბორატორიული და ეპიდზედამხედველობის სიმძლავრეების გაძლიერება, ქვეყანაში არსებული ILI/SARI საყრდენი ბაზებით ეპიდზედამხედველობის სისტემაში COVID-19-ის ინტეგრირების ჩათვლით“ საქართველოს ზოგიერთ რაიონში სამედიცინო პერსონალთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებთან განხორციელდა სამუშაო შეხვედრები და სწავლება. სწავლების ძირითადი თემები იყო კორონა ვირუსის ეპიდემიოლოგია, ლაბორატორიული კვლევები, ინფექციის კონტროლი და ვაქცინაცია. სულ გადამზადდა 500-მდე სამედიცინო პერსონალი.

1.3. ლუგარის ცენტრის სიმძლავრეების გამოყენება

1.3.1. ვირუსოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიისა და გენომის შემსწავლელი დეპარტამენტი

ძირითადი მიღწევები

- სეროლოგიური ლაბორატორიის მიერ ISO 15189 აკრედიტაციის შენარჩუნება.
- წარმატებით ჩატარდა ISO 15189 აკრედიტაციის სფეროს სეროლოგიური და C ჰეპატიტის მოლეკულური ტესტირების ხარისხის გარე კონტროლის პროგრამები.
- C ჰეპატიტის მოლეკულური ტესტირების ხარისხის გარე კონტროლის ეროვნული პროგრამის ფარგლებში აქტიურად გრძელდება ელიმინაციაში მონაწილე ლაბორატორიებისათვის პანელების მომზადება და მიწოდება.
- ჩამოყალიბდა C ჰეპატიტის რეფერენს ცენტრი, რომელიც ახორციელებს გარე ხარისხის კონტროლის ეროვნულ პროგრამას სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ლაბორატორიებისათვის, ასევე შემდგომ მონიტორინგს და იძლევა სარეკომენდაციო რჩევებს. განხორციელდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ბიუროს ყოველწლიური აკრედიტაციის ფარგლებში წითელა/წითურას და პოლიომიელიტის ნაციონალური ლაბორატორიების სრული აკრედიტაცია.
- GHOST ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებულია შედეგები, რომლებიც გამოიყენება C ჰეპატიტის ზედამხედველობაში.
- დაინერგა და ხელმისაწვდომია ონკოლოგიური მარკერების - TruSight 15 მყარი სიმსივნის და BRCA1 და BRCA2 მკერდის სიმსივნის კომერციული სერვისი ახალი თაობის სექვენირების მეთოდით Illumina პლატფორმაზე.
- აეწყო ტუბერკულოზის მიკობაქტერიის სექვენირება ახალი თაობის NextSeq პლატფორმაზე. მიმდინარეობს მისი ყოველდღიურობაში დანერგვა და შედეგების ინტეგრირება კლინიკური დიაგნოსტიკის პროცესში.
- დაინერგა SARS-COV-2 მაღალი წარმადობით სექვენირების მეთოდები Illumina MiSeq-ზე ახალი თაობის სექვენირების ტექნოლოგიის გამოყენებით.
- დამონტაჟებული და ამუშავებულია Roche cobas 6800 სრულად ავტომატიზებული სისტემა.
- დაინერგა და გამოცდის ეტაპზეა ბოტულიზმის ტოქსინების დეტექციის პჯრ მეთოდი.
- დაინერგა SARS-COV-2 სხვადასხვა ვარიანტებისათვის დამახასიათებელი მუტაციების დეტექციის პჯრ მეთოდები.
- შეიქმნა SARS-COV-2 დიაგნოსტიკის მონიტორინგისათვის გარე ხარისხის ეროვნული პროგრამა, რის ფარგლებშიც ხორციელდება COVID-19-ის დიაგნოსტიკაში ჩართული ლაბორატორიების ზედამხედველობა.

პოლიომიელიტის და სხვა ენტეროვირუსების კვლევა

- რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში, პოლიომიელიტისა და სხვა ენტეროვირუსების კვლევა ხორციელდება როგორც საქართველოში დარეგისტრირებული მწვავე დუნე დამბლიანი (მდდ) ავადმყოფებიდან აღებული, ასევე სომხეთიდან შემოსული ანალოგიური პაციენტების საანალიზო ნიმუშებზე;
- პოლიო და სხვა ენტეროვირუსებზე კვლევა უტარდებოდა პაციენტებს ასეპტიური მენინგიტის დიაგნოზით და ქვეყნის სხვადასხვა რაიონში აღებულ ჩამდინარე, ნახმარი წყლების საანალიზო ნიმუშებს (თბილისი, ბორჯომი, თელავი, გორი, ოზურგეთი, მარნეული, გარდაბანი, ზუგდიდი, ბათუმი);
- ვირუსოლოგიური კვლევები, პოლიომიელიტისა და სხვა ენტეროვირუსების გამოყოფის მიზნით, მიმდინარეობდა ორი ტიპის უჯრედოვანი კულტურის გამოყენებით;

- გამოყოფილი კულტურების ტიპირება რეალურ დროში პჯრ მეთოდის გამოყენებით ხდებოდა. დადასტურებისა და შემდგომი დეტალური კვლევის მიზნით გამოყოფილი შტამები იგზავნებოდა ფინეთში, ჯანმო-ს რეფერალურ ლაბორატორიაში;
- სულ 2021 წელს პოლიომიელიტისა და სხვა ენტეროვირუსების ლაბორატორიაში გამოკვლეული იყო 156 საანალიზო ნიმუში, საიდანაც გამოიყო 16 შტამი, მათ შორის 1 მესამე ტიპის პოლიოვირუსის შტამი - შემდგომი გამოკვლევით დადგინდა მისი ვაქცინური წარმოშობა, შედეგი ასევე დადასტურდა ჯანმო-ს რეფერენს ცენტრში;
- პოლიომიელიტის ლაბორატორიამ მონაწილეობა მიიღო ჯანმო-ს გარე კონტროლის პანელების ტესტირებაში და წარმატებით შეასრულა ვირუსების იზოლაციისა და შტამების შიგა ტიპირების პროფესიული ტესტები.

პოლიომიელიტისა და სხვა ენტეროვირუსების კვლევის შედეგები, 2021

	საქართველო		სომხეთი	სულ სინჯები	გამოყოფილი კულტურები
	წყლის სინჯები	ფეკალია	ფეკალია		
მწვავე დუნე დამბლა (მდდ)		12 (6 პაციენტი)	22 (11 პაციენტი)	34	NPEV – 4
პაციენტები სხვა დიაგნოზით		23		23	-
ჩამდინარე წყლების კვლევა	98			98	PV3 –1, NPEV – 11
სულ	98			156	PV3 –1, NPEV –15

- ლაბორატორია აქტიურად მონაწილეობდა ჯანმო-ს დაფინანსებულ პროექტში „საქართველოში 2021 წელს პოლიომიელიტის ზედამხედველობა გარემოში“.

გრიპისა და სხვა რესპირატორული ვირუსების კვლევა

2021 წელს გრიპსა და სხვა რესპირატორულ ვირუსებზე გამოსაკვლევად სულ შემოსული იყო 2 180 ცხვირისა და ხახის კომბინირებული ნიმუში.

- გრიპის ვირუსებზე გამოსაკვლევად რეალურ დროში პჯრ დაიდგა ყველა ნიმუშზე, სულ გრიპზე დადებითი იყო 15 ნიმუში, აქედან:
 - 1 - A/H1pdm09
 - 13 - A/H3
 - 1 – B victoria ხაზი.
- სხვა რესპირატორული ვირუსების დეტექციის მიზნით, რეალურ დროში მულტიპლექს პჯრ დაიდგა 2 180 ნიმუშზე, საიდანაც 1 090 ნიმუში დადებითი იყო ერთ ან რამდენიმე რესპირატორულ ვირუსზე.

რესპირატორულ ვირუსებზე რეალურ დროში პჯრ კვლევის შედეგები:	1090 ნიმუში
დადებითი ერთ ან რამდენიმე რესპირატორულ ვირუსზე:	151
რესპირატორულ სინციტიალური ვირუსი A/B	231
რინოვირუსი	501
ადენოვირუსი	67
პარაგრიპის ვირუსები:	144
პარაგრიპი 1 -	0

პარაგრიპი 2 -	0
პარაგრიპი 3 -	96
პარაგრიპი 4 -	48
ადამიანის ბოკავირუსი	54
კორონავირუსები	178
Cor 43 -	118
Cor 63 -	10
Cor 229 -	50
HKU -	0
ადამიანის მეტაპნევმოვირუსი A/B	52
ენტეროვირუსი	20
მიკოპლაზმა	3
პარექოვირუსი	8

- გრიპის ლაბორატორიამ მონაწილეობა მიიღო ჯანმო-ს გრიპის და კორონავირუსის ხარისხის კონტროლის გარე შეფასების პროგრამაში (რეალურ დროში პჯრ დაიდგა გრიპის 10 ნიმუშზე და SARS-CoV-2-ის 5 ნიმუშზე). მიღებულია 100% შედეგები.

ქსოვილოვანი კულტურების მომზადება/გამოყენება

- 2021 წელს მუშაობა მიმდინარეობდა ორი დასახელების კულტურაზე: RD, L20B;
- სამუშაო მოიცავდა უჯრედების კრიოკონსერვაციას, გამოყინვა/აღდგენას და სამუშაოსთვის მომზადებას მონოშირიანი სინჯარებისა და მონოშირიანი კულტურალური ფლაკონების სახით;
- უჯრედების გადაცემა ხდებოდა პოლიომიელიტისა და გრიპის ლაბორატორიებისათვის.

შესრულებული სამუშაოს მოცულობა

	RD			L20B		
	სინჯარა მონოშირიით	ფლაკონები მონოშირიით (50 მლ)	უჯრედების სუსპენზია (მლ)	სინჯარა მონოშირიით	ფლაკონები მონოშირიით (50 მლ)	უჯრედების სუსპენზია (მლ)
გაცემული კულტურები	491	147	-	487	206	-

სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში განხორციელებული სეროლოგიური და მოლეკულური კვლევები

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში ლუგარის ცენტრის ბაზაზე სულ ჩატარებული იყო 70 140 სეროლოგიურ ტესტი. მათ შორის:

- ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა - 13 771 ტესტი

ტესტის ტიპი	დადებითი	საეჭვო	სულ
CCHF IgM	12	3	94
CCHF IgG	5	3	94

Hanta IgM	65	39	476
Hanta IgG	19	18	475
Hanta WB M	0	1	4
Leptospira IgM	256	163	1220
Leptospira IgG	43	83	1220
Brucella IgM	110	143	1189
Brucella IgG	70	43	1189
Coxiella burnetii (Phase II) IgM	18	10	254
Coxiella burnetii (Phase I) IgG	5	3	254
Borrelia IgM	415	210	1609
Borrelia IgG	158	90	1603
Borrelia IgM (WB)	407	39	476
Borrelia IgG (WB)	110	13	142
TBEV IgM	4	3	28
TBEV IgG	0	0	20
Leishmania IgG	13	17	703
Spotted Fever Rickettsia IgM	1	1	4
Spotted Fever Rickettsia IgG	0	0	4
R. Type IgM	1	0	5
R. Type IgG	0	1	5
Francisella tularensis IgM	5	6	29
Francisella tularensis IgG	1	1	29
Francisella tularensis Ab (MAT)	1	0	2
Parvovirus B19 IgM	7	3	18
Parvovirus B19 IgG	1	1	18
EBV CA-IgM	20	12	110
EBV CA-IgG	112	4	145
EBV EA-IgM	23	16	103
Dengue IgM	0	0	3
Dengue IgG	0	0	5
Varicella Zoster virus IgM	4	2	10
Varicella Zoster virus IgG	8	0	11
Enterovirus IgM	4	1	14
Enterovirus IgG	3	3	14
HAV IgM	0	0	2
Mumps IgM	1	0	1
Mumps IgG	0	0	2

HEV IgM	0	0	1
West Nile IgM	15	11	98
West Nile IgG	2	3	94
Bartonella henselae IgG	27	7	104
Bartonella Quintana IgG	16	4	104
Clostridium difficile Toxin A/B	1	0	10
SARS-CoV-2 IgA	334	61	593
SARS-CoV-2 IgG	346	34	803
Anti SARS-CoV-2 S Ab	5	0	6
Anti SARS-CoV-2 Ab	185	0	295
Measles IgM	8	4	34
Rubella IgM	9	1	31
Measles IgG	8	0	9
Rubella IgG	5	0	5

- ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის ქვეკომპონენტი: დიარეები - მწვავე და ქრონიკული დიარეების კვლევა ვირუსული და ბაქტერიული პათოგენების ანტიგენებზე - 3 სეროლოგიური ELISA მეთოდით შესრულებული ტესტი

ტესტის ტიპი	დადებითი	სულ
Rotavirus Ag	0	1
Adenovirus Ag	0	1
Norovirus Ag	0	1

- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა - 285 ELISA ტესტი

ტესტის ტიპი	დადებითი	საექვო	სულ
HBsAg	136	2	147
HBsAg-confirmation	137	0	138

- 2021 წელს სეროლოგიურმა ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა ISO 15189 შენარჩუნების სააკრედიტაციო შეფასება და მიიღო აკრედიტაცია 2024 წლის 5 იანვრამდე: B და C ჰეპატიტების და წითელა-წითურას სეროლოგიურ ტესტირებაში;
 - მან წარმატებით შეასრულა ISO აკრედიტაციის სფეროს ფარგლებში გამოგზავნილი ჰეპატიტების (INSTAND, CAP), წითელა-წითურას (INSTAND, WHO) სეროლოგიური პანელების ტესტირება.
- 2021 წელს სეროლოგიურმა ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა ჯანმო-ს ყოველწლიური სააკრედიტაციო შეფასება და როგორც წითელა/წითურას ნაციონალურმა ლაბორატორიამ მიიღო სრული აკრედიტაცია 2022 წლისთვის.
 - ჯანმო-ს ხარისხის გარე კონტროლის ფარგლებში ლაბორატორიამ მონაწილეობა მიიღო პროფესიულ ტესტირებაში. ნიმუშები გადაიგზავნა ლუქსემბურგის წითელა/წითურას რეფერალურ ლაბორატორიაში რეტესტირებისთვის. ორივე შემთხვევაში ტესტირების და რეტესტირების შედეგად ლაბორატორიამ მიიღო

100% შეფასება.

- **C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის სკრინინგით HCV დადებითი ბენეფიციარების პირველადი კონფირმაციული ტესტირების ფარგლებში:**
 - Abbott Architect, i2000 აპარატზე ჩატარდა 1054 HCVcore Ag სეროლოგიური ტესტი, რომელთაგან HCVcore Ag უარყოფითი და ზღვრული მნიშვნელობის მქონე 458 ნიმუში გადაეცა მოლეკულური ტესტირებისათვის;
 - სულ მოლეკულური კვლევისათვის მიღებული იყო 2 048 ნიმუში, აქედან:
 - 12 ნიმუში დაწუნებული იქნა არასაკმარისი მოცულობის გამო;
 - გამოკვლეული სისხლის ნიმუშებიდან HCV RNA ტესტირებით უარყოფითი შედეგი მიღებული იქნა 1 020 შემთხვევაში;
 - დადებითი შედეგი გამოვლინდა 1 016 შემთხვევაში.
- **CDC – „SARS-CoV-2-ის, ვირუსული B და C ჰეპატიტების სეროპრევალენტობისა და რისკ-ფაქტორების პოპულაციური კვლევის“** ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით შეგროვებულ სისხლის ნიმუშებზე ჩატარდა შემდეგი ტესტირებები:

ტესტი	სულ
Anti-HBcII CLIA	8790
Anti-HCV CLIA	8790
HBsAg Q2 CLIA	1695
COV-2 IgG II CLIA	8790
COV-2 IgG CLIA	8790
Anti-HCV LIA	390
HCV VL	479
HBV VL	166

- **WHO პროექტის „BBS Lite კვლევა“** - პროექტის ფარგლებში ტესტირებები ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზიანის შემცირების ქსელის ბენეფიციარებიდან შეგროვებულ სისხლის ნიმუშებზე:

ტესტი	სულ
HBsAg CLIA	61
HBsAg-confirmation CLIA	48
COV-2 IgG II CLIA	408
COV-2 IgG CLIA	408
HCV VL	1077
HIV VL	30

- **WHO პროექტის „COVID-19-ის სეროპრევალენტობის კვლევა“** ჩატარდა საქართველოს ოთხ რეგიონში (ხელვაჩაური, ქობულეთი, მარტვილი, ბორჯომი) ფარგლებში შეგროვებული სისხლის ნიმუშები გაიტესტა Roche-ს წარმოების cobas e411 ანალიზატორზე Elecsys Anti-SARS-CoV-2 ელექტრო ქემილუმინესცენტური იმუნო ანალიზის (ECLIA) მეთოდით, რომელიც ადამიანის სისხლის შრატში/პლაზმაში SARS-CoV-2-ის საწინააღმდეგო სუპარული ანტისხეულების განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ტესტი	სულ
SARS-CoV-2 Ab ECLIA	1 218

- WHO პროექტი - „ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პროტოკოლის დანერგვა SARS-CoV-2-ის წინააღმდეგ ვაქცინის ეფექტურობის შესაფასებლად სამედიცინო პერსონალში, საქართველოს ჰოსპიტლებში რისკ-ფაქტორების შესწავლა“ - კვლევა ჩატარდა მედპერსონალის სისხლის ნიმუშებზე, რომლებიც შეგროვდა თბილისის და ბათუმის ჰოსპიტლებში. ნიმუშების ტესტირება ჩატარდა Roche-ს წარმოების cobas e411 ანალიზატორზე Elecsys Anti-SARS-CoV-2 Anti-SARS-CoV-2 S ელექტრო ქემილუმინესცენტური იმუნო ანალიზის (ECLIA) მეთოდით, რომელიც ადამიანის სისხლის შრატში/პლაზმამი SARS-CoV-2-ის (Nucleocapsid და Spike პროტეინის) საწინააღმდეგო სუმარული ანტისხეულების განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ტესტი	სულ
Anti-SARS-CoV-2 S ECLIA	3 990
Anti-SARS-CoV-2 Ab ECLIA	3 990

- CDC – „საქართველოში ზოონოზური და გადამტანებით გადაცემადი მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადებების ეტიოლოგიისა და რისკ ფაქტორების შესწავლა და მოლეკულური ეპიდემიოლოგია, 2020-2025“ კვლევის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ტესტირებები:

ტესტის ტიპი	დადებითი	საეჭვო	სულ
Plasmodium IgG	6	1	58
WNV IgM	6	8	56
WNV IgG	4	1	56
Dengue IgM	10	5	56
Dengue IgG	4	1	56
Leptospira IgM	7	5	57
Leptospira IgG	1	2	57
Riketsia Spotted Fever IgM	2	8	56
Riketsia Spotted Fever IgG	5	4	56
R.type IgM	38	4	56
R.type IgG	10	8	56
Chikungunya IgM	9	6	56
Chikungunya IgG	0	0	56

- „WRAIR#2527 - საქართველოში ციებ-ცხელების მქონე პაციენტებს შორის შერჩეული ზოონოზური და ტრანსმისიული ეტიოლოგიების დაკვირვება/მეთვალყურეობა საავადმყოფოს ბაზაზე.“ ტესტირება ჩატარდა თბილისში, ბათუმსა და ზუგდიდის ჰოსპიტლებში ცხელებით მიმდინარე დაავადებების მქონე პაციენტებიდან შეგროვებულ სისხლის ნიმუშებზე.

ტესტი	სულ
Brucella IgM, ELISA	252
Brucella IgG, ELISA	252
WNV IgM, ELISA	252
WNV IgG, ELISA	252
TBEV IgM, ELISA	252
TBEV IgG, ELISA	252
Hanta IgM, ELISA	252
Hanta IgG, ELISA	252
F. tularensis IgM	252
F. tularensis IgG	252
Leptospira IgM	252
Leptospira IgG	252
C. burnetii IgM Phase II	252
C. burnetii IgG Phase I	252
R. Typhi IgM	252
R. Typhi IgG	252
Spotted Fever IgM	252
Spotted Fever IgG	252
Borrelia IgM, ELISA	57
Borrelia IgG, ELISA	57
CCHF IgM	252
CCHF IgG	252
Leishmania IgG	252

- პროექტის „რიკეციაზებისა და კოქსიელას ინფექციების ზედამხედველობა საქართველოში და აზერბაიჯანში“ ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ჯანმრთელ მოსახლეობაში შეგროვებულ სისხლის ნიმუშებზე ჩატარდა შემდეგი ტესტირებები:

ტესტი	სულ
C. burnetii IgM	392
C. burnetii IgG	392

- ქვეყანაში ეპიდზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით შესრულებულია შემდეგი მოლეკულური ტესტები:
 - *B. anthracis* დიაგნოსტიკისთვის Real-Time PCR მეთოდით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:
 - *B. anthracis*-ის კულტურის დადასტურება - გამოკვლეულია ადამიანის ნიმუშებიდან გამოყოფილი 4 იზოლატი. ყველა შემთხვევაში დადასტურდა *B. anthracis* გენეტიკური მარკერების არსებობა.
 - გამოკვლეულია ჯილეხზე საეჭვო 74 კლინიკური ნიმუში (წყლულის შიგთავსი, სისხლი, ნაცხი). *B. anthracis* დადასტურდა 10 შემთხვევაში, ხოლო 65 სინჯში არ დადასტურდა.
 - 2 პაციენტის ნიმუში გამოკვლეულია მალარიაზე, არცერთ შემთხვევაში მალარიის გენეტიკური მარკერები აღმოჩენილი არ ყოფილა.
 - პოქსვირუსების დიაგნოსტიკის მიზნით შესწავლილია 34 პაციენტის კლინიკური ნიმუში, აქედან პარაპოქსვირუსებზე დადებითი აღმოჩნდა 19 პაციენტისგან აღებული ნიმუში.

- ბაქტერიული ნაწლავური ინფექციების დეტექციისათვის შესწავლილ იქნა:
 - შიგა-ტოქსინმაპროდუცირებელი *E. coli* სადიაგნოსტიკოდ (STEC) 120 კლინიკური ნიმუში, საიდანაც 29 დადებითი აღმოჩნდა *Escherichia coli*-ის (STEC) ტოქსიურობის განმსაზღვრელ სხვადასხვა მარკერებზე (stx1, stx2, eae, Ehly);
 - ბაქტერიულ გასტროენტერიტებზე გამოკვლეული პაციენტების ნიმუშებიდან 2 ნიმუში დადებითია *Clostridium difficile*-ზე; 1 ნიმუში დადებითია *Campilobacter spp*; 2 ნიმუში დადებითია *Salmonella spp*;
- CCHF-ზე გამოკვლეულია 51 კლინიკური ნიმუში Real-Time PCR გამოყენებით, 17 შემთხვევაში დადასტურდა CCHF ვირუსის გენეტიკური მარკერების არსებობა;
- ვირუსულ მენინგიტებზე მულტიპლექს Real-Time PCR გამოყენებით გამოკვლეულია 8 კლინიკური ნიმუში. არცერთი ნიმუში არ აღმოჩნდა დადებითი.

ტესტის ტიპი	დადებითი	სულ
<i>B. anthracis</i> Real-Time PCR Target 2, Target 3, BioFire (იზოლატი)	4	4
<i>B. anthracis</i> Real-Time PCR (კლინიკური ნიმუშები - წყლულის შიგთავსი, სისხლი, ნაცხი)	10	74
ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება (CCHF) Real-Time PCR (კლინიკური ნიმუში)	17	51
პოქსვირუსების დიაგნოსტიკა	19 Parapox	34
მალარია, Real-Time PCR, (კლინიკური ნიმუში)	0	2
<i>Escherichia coli</i> (STEC), PCR, სხვადასხვა ტოქსიურ მარკერებზე (stx1, stx2, eae, Ehly) (კლინიკური ნიმუში)	29	120
<i>Clostridium difficile</i>	2	
ვირუსული მენინგიტების კვლევა მულტიპლექსური Real-Time PCR ნაკრებებით	0	8

პულსირებად ველში გელ ელექტროფორეზის (PFGE) გენოტიპირების მეთოდით შესწავლილია:

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან გამოყოფილი *Shigella sonnei* – 11 და *Salmonella spp* – 111 კულტურა, აქედან 74 კულტურა გამოყოფილია ინფიცირებული ადამიანებიდან, ხოლო 37 - საკვები პროდუქტებიდან.
- ყველა კულტურის გენეტიკური პროფილი აიტვირთა PulseNet ნაციონალურ ბაზაში და გაანალიზდა BioNumerix 7.5 პროგრამით.
- ამ კვლევების შედეგად გამოვლენილი და ეპიდემიოლოგიურად შესწავლილია 3 აფეთქება.

EQA პანელები

მოლეკულური ეპიდემიოლოგიის ლაბორატორიამ წარმატებით მიიღო მონაწილეობა რამდენიმე პათოგენის ხარისხის კონტროლის პანელის ტესტირებაში, კერძოდ:

- გამოგზავნილი მალარიის პანელის ნიმუშების მოლეკულური ტესტირება - ჯანმო
 - წითელა / წითურას პანელის ნიმუშების მოლეკულური ტესტირება და გენოტიპირება - ჯანმო
 - ბაქტერიებისა და ვირუსების პანელის ნიმუშების მოლეკულური ტესტირება - კოხის ინსტიტუტი, გერმანია.
- **კლინიკური ონკოლოგიური კვლევები:**
 - კომპანია ასტრაზენეკას დაფინანსებით შესრულდა ეპითელიური ზრდის ფაქტორის რეცეპტორის (EGFR) გენის მოლეკულურ-გენეტიკური კვლევა პჯრ მეთოდით, რის

შედეგადაც საქართველოში ფილტვის ადენოკარცინომის ჰისტოლოგიურად დადასტურებული დიაგნოზის მქონე პაციენტებს საშუალება ჰქონდათ უფასოდ ჩაეტარებინათ კვლევები EGFR გენის მუტაციის გამოსავლენად.

- დაინერგა ახალი თაობის სექვენირებაზე დაფუძნებული ორი კლინიკური ონკოლოგიური აპლიკაცია. მიმდინარეობს ნაკრებების რეგისტრაცია, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება პაციენტებისათვის კლინიკური მომსახურების გაწევა:

- **TruSight 15 მყარი სიმსივნის პანელის ტიპები და მათზე პასუხისმგებელი გენები.**

პანელში თავმოყრილია თხუთმეტი ყველაზე მნიშვნელოვანი გენი, რომლებიც პასუხისმგებელია შვიდი ტიპის მყარი სიმსივნის განვითარებაზე და ხდება პათოგენური ვარიაციების დეტექცია გენების მიხედვით. ამ პანელით ხორციელდება შემდეგი გენების ანალიზი სიმსივნეების მიხედვით:

- ფილტვი - BRAF, EGFR, ERBB2, KRAS, MET, PIK3CA, RET, TP53;
- მკერდი - AKT1, ERBB2, PIK3CA; მელანომა - BRAF, GNA11, GNAQ, KIT, NRAS, PDGFRA, TP53;
- სწორი ნაწლავი - BRAF, KRAS, NRAS, MET, TP53;
- საკვერცხე - FOXL2, TP53; კუჭი - KIT, KRAS, MET, PDGFRA;
- პროსტატა - PIK3CA.

პილოტურ რეჟიმში განხორციელდა პირველი რვა პაციენტის ნიმუშის უსასყიდლო ანალიზი. დღეისათვის ლუგარის ცენტრში TruSight 15 სიმსივნის პანელის გამოყენებით მყარი სიმსივნეების ანალიზი ხელმისაწვდომია.

- **BRCA1 და BRCA2 მკერდის სიმსივნის პანელი** - ამ პანელის შექმნის საჭიროება კლინიკურ ონკოლოგებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა. იგი უკვე შექმნილია და მისი მეშვეობით ხორციელდება BRCA1 და BRCA2 გენების შემდეგი პათოგენური ვარიანტების დეტექცია:

- **BRCA1** - c.1360_1361delAG (del); c.5062_5064delGTT (del); c.5266dupC (dup); c.1462dupA (dup); c.1016dupA (dup); c.3331_3334delCAAG (del); c.4117G>T (SNV); c.1505T>G (SNV); c.5074+1G>T (SNV); c.181T>G (SNV); c.1016dupA (dup); c.5335_5335delC (del); c.1881C>G (SNV); c.5123C>A (SNV);
- **BRCA2** - c.9252_9255delAACainsTT (Complex); c.4131_4132insTGAGGA (ins); c.1238_1238delT (del); c.5211_5214delTACT (del); c.5718_5719delCT (del); c.2684_2684delC (del); c.6591_6592delTG (del); c.7007G>A (SNV); c.7008-62A>G (SNV); c.72delA (del); c.6275_6276delTT (del).

1.3.2. ბიუსაფრთხოებისა და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტი

ძირითადი მიღწევები

ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება

- ISO 15189 აკრედიტაციის შენარჩუნება
- ISO 17043 აკრედიტაციის სტანდარტზე მუშაობა
- წარმატებით ჩატარდა ISO 15189 აკრედიტაციის სფეროს ზოგადი ბაქტერიოლოგიის და ანტიმიკრობული რეზისტენტობის ხარისხის გარე კონტროლის პროგრამა (LAbQuality)
- წარმატებით ჩატარდა ხარისხის გარე კონტროლის ეროვნული პროგრამა ქვეყნის 25 მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის მონაწილეობით
- განხორციელდა EUCAST სტანდარტზე ქვეყნის ლაბორატორიების გადასვლის ხელშეწყობის მიზნით სპეციალისტების გადამზადება (15 ლაბორატორია)
- WHO AMR ხარისხის გარე კონტროლის ყოველწლიურ პროგრამაში წარმატებული მონაწილეობა
- „ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის“ იმპლემენტაცია და მონიტორინგი

უწყვეტი განათლება

- EUCAST სტანდარტზე ქვეყნის ლაბორატორიების გადასვლის ხელშეწყობა სპეციალისტების გადამზადებით (ქვეყნის 27 ლაბორატორიის წარმომადგენლების გადამზადება ბაქტერიოლოგიური დიაგნოსტიკის და რეზისტენტობის მექანიზმის EUCAST სტანდარტით განსაზღვრის საკითხებში)
- მომზადდა და ჩატარდა მიკრობიოლოგიური ქსელის ვირტუალური სამი სამუშაო შეხვედრა (27 ლაბორატორიის მონაწილეობით)
- ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა ანტიმიკრობული საშუალებების ცნობიერების ამაღლების მსოფლიო კვირეული - WAAW 2021

პანდემიის გამო დიდი ყურადღება დაეთმო ლაბორატორიის, აგრეთვე კლინიკების და COVID სასტუმროების პერსონალის ტრენინგებს ბიო-უსაფრთხოებაში, სადაც ძირითადი აქცენტები გადატანილი იყო COVID19-თან დაკავშირებულ ბიოლოგიურ რისკებზე. ასევე გამოსარჩევი იყო ქბრბ ეროვნულ გუნდთან თანამშრომლობა.

რისკის მართვის/შემცირების ღონისძიებები

- სადიაგნოსტიკო საშუალებების გატანის 11 აქტი
- გარე ხარისხის კონტროლის პანელების გატანის 21 აქტი
- საცავის ინვენტარიზაცია 2 აქტი
- კულტურებისა და რეფერენს შტამების გატანის 5 აქტი
- ბიოლოგიური ნიმუშების გატანის 12 აქტი
- აპარატურის გატანის 3 აქტი
- ვირუსების სატრანსპორტო ნიადაგების გატანის 4 აქტი
- სხვადასხვა სახარჯი მასალის გატანის 6 აქტი
- ბიოუსაფრთხოების კომიტეტის 1 სხდომა
- მომხდარი ინციდენტის 4 აქტი.

დეკონტამინაცია/განადგურება

- ჩატარდა აღჭურვილობისა და აპარატურის დეკონტამინაცია (5 პროცესი)
- შედგა ვადაგასული ფარმაცევტული და სხვა სახარჯი მასალის მიღებისა და განადგურების 10 აქტი
- კვირაში 3-ჯერ ხდება რეგიონალური ლაბორატორიებიდან (გორი, თელავი, ახალციხე) ავტოკლავირებული ლაბ. ნარჩენების მიღება ინსინერაციისათვის

- სისტემატურად ხორციელდებოდა ნიმუშის ამღები საველე ჯგუფების მიერ მოტანილი სახიფათო ნარჩენების განადგურება
- შენახული ნიმუშების განადგურების 1 აქტი.

ინსპექტირება

- ჩატარდა ლუგარის ცენტრის ლაბორატორიების ინსპექტირება (4 სრული ინსპექცია)
- ყოველდღიურად ხორციელდებოდა ლუგარის ცენტრის სრულ აქტივობაზე კონტროლი, მათ შორის გამორჩეულად COVID-19-ზე მიმდინარე სადიაგნოსტიკო პროცესების ზედამხედველობაზე. აგრეთვე ხორციელდებოდა სისტემატური ზედამხედველობა ნიმუშის მოძრაობის პროცედურულ ჯაჭვზე.

ჩატარებული სწავლებები/ტრენინგები

- ლუგარის ცენტრის თანამშრომელთა განმანათლებელი (refresh) ტრენინგი ბიოუსაფრთხოებაში - 67 პირი: იანვარი/2021
- BSL_3 ბიოუსაფრთხოებისა და უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკის ტრენინგები (refresh) - 2 დღიანი: თებერვალი/2021
 - ა. ლუგარის ლაბორატორიის 39 თანამშრომელი
 - ბ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის ინსტიტუტის 7 თანამშრომელი
 - გ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 11 თანამშრომელი
- ლუგარის ცენტრის სტაჟორებისთვის ზოგადი ბიოუსაფრთხოების ტრენინგი - 30 პირი. წლის განმავლობაში
- ლაბორატორია "მედ.დიაგნოსტიკის" თანამშრომლების ტრენინგი ბიოუსაფრთხოებაში - 3 დღიანი -17 თანამშრომელი, 11/10/-13/10/2021
- სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტების ტრენინგი ბიოუსაფრთხოებასა და უსაფრთხო ლაბორატორიულ პრაქტიკასა და პროცედურების ჩატარებაში - 3 კვირიანი - 16 პირი, 22/11/-13/12/2021
- ბიოუსაფრთხოების სპეციალისტების მომზადება ივ.ჯავახიშვილის სახ უნივერსიტეტში - 2 კვირიანი - 25 პირი, 17/07/2021-22/07/2021
- ზოგადი ბიოუსაფრთხოების კურსი სტაჟორებისთვის ერაყიდან - 2 კვირა 20/12/-31/12/2021
- ბიოუსაფრთხოების ზოგადი კურსი - შპს. „ჯეო ჰოსპიტალის“ თანამშრომლები -15 პირი
- ბიოუსაფრთხოების ზოგადი კურსი შპს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი - აკადემიკოს ფ.თოდუას კლინიკის თანამშრომლებისთვის - მაისი/2021
- ბიოუსაფრთხოების ზოგადი კურსი შპს "იმერმედი" - იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის (თერჯოლაშენი) თანამშრომლებისთვის - იანვარი/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები - ვანის რაიონის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 7პირი. 14/03-20/03/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები - სამტრედიის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 19პირი. 14/03-20/03/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები - ხონის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 17 პირი. 14/03-20/03/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები - ონის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 23 პირი. 14/03-20/03/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები ზესტაფონის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 25 პირი. 14/03-20/03/2021


- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები ბოლნისის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 12 პირი, 11/04/-16/04/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები - დმანისის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 10 პირი, 11/04/-16/04/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები - მარნეულის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 15 პირი, 11/04/-16/04/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები თეთრიწყაროს სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 8 პირი, 11/04/-16/04/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები ფოთი - ევექსის კლინიკის თანამშრომლები - 10 პირი, 21/02/2021-28/01/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები სენაკის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 8 პირი, 21/02/2021-28/01/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები ზუგდიდის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 20 პირი, 21/02/2021-28/01/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები აბაშის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 7 პირი, 21/02/2021-28/01/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები კასპის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 8 პირი, 14/04-17/04/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები ქარელის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 10 პირი, 14/04-17/04/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები ხაშურის სჯც და კლინიკის თანამშრომლები - 10 პირი, 14/04-17/04/2021
- COVID-19 და მასთან დაკავშირებული ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები თბილისის სჯც თანამშრომლები - 54 პირი, 26/04/-28/04/2021.

სხვა აქტივობები

- სისტემატურად კონტროლდება ლაბორატორიების შიგნით არსებულ ავტოკლავებში ნარჩენების განადგურება და მათი შემდგომი ინსინერაცია
- მიმდინარეობს ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული საცავის სისტემატური კონტროლი
- სისტემატურად ხორციელდება კონტროლი ცენტრალურ კორპუსში შემოსულ ვიზიტორებზე
- ბიოუსაფრთხოების ჯგუფი მონაწილეობას ღებულობს ხარისხის კონტროლის სისტემის მუშაობაში
- სისტემატური კონტროლი ლაბორატორიების მუშაკების მიერ უსაფრთხო სამუშაო პროცედურების შემოწმებაზე
- სისტემატური კონტროლი ბიოუსაფრთხოების აპარატურის გამართულ მუშაობაზე და შესაბამის დოკუმენტაციის შევსებაზე
- მიმდინარეობს სოპ-ის რევიზია
- მონაწილეობა მივიღეთ ბიოუსაფრთხოების სფეროში ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული შეფასების სამუშაო პროცესში
- თანამშრომლობა WRAIR-ის წარმომადგენლებთან რისკის მართვისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელებაში
- სამმართველოს თანამშრომლებმა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში.

ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული საცავი

- საცავში შესანახად შემოვიდა და პათოგენების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში (PACS) დარეგისტრირდა საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილი და იდენტიფიცირებული 32 შტამი, მათ შორის: *B.anthraxis* - 5 და *C.jejuni* – 27.



- კვლევებისთვის მომზადდა და ცენტრის ლაბორატორიებს გადაეცა 134 შტამი (ზოგადი ბაქტერიოლოგიის ლაბორატორიას - 17; განსაკუთრებით საშიში პათოგენების ლაბორატორიას - 117 შტამი (*C.botulinum* -8, *Brucella* -109);
 - ✓ ჩატარდა საცავში დაცული პათოგენების გეგმიური და არაგეგმიური ინვენტარიზაციები (EDP - ერთხელ, Non-EDP და რეფერენს შტამების ორჯერ);
 - ✓ გ. ელიავას ბაქტერიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან ერთად ჩატარდა საცავში დაცული ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი *B. anthracis* კოლექციის განახლება;
 - ✓ ლაბორატორიის შიდა ხარისხის კონტროლის მიზნით შესწავლილ იქნა ლუგარის ლაბორატორიებში გამოყენებული სადეზინფექციო საშუალებების (NAOCL და ChemoCL) ბაქტერიოციდული ეფექტი - 5 ანალიზი;
 - ✓ ხარისხის გარე კონტროლის ჩატარების მიზნით მომზადდა და სამედიცინო ცენტრებსა და კლინიკებს (შპს „მიკრობიოლოგი“, შპს „მულტიტესტი“) გადაეცა მიკროორგანიზმთა 14 შტამი (შტამი გაიცა კომერციული საქმიანობით, ცენტრის ბიუჯეტში შევიდა 1 680 ლარი);
 - ✓ IATA-ს საერთაშორისო წესების საფუძველზე შეფასდა ქვეყანაში შემოსული/გასული ბიოლოგიური მასალის შემცველი 17 ტვირთის საფრთხის კატეგორია და მომზადდა შესაბამისი წერილები საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და საბაჟო დეპარტამენტის სახელზე;
 - ✓ შემოწმდა 72 შპს-ს, ფიზიკური პირის და ინდემწარმის მიერ წარმოდგენილი სადეზინფექციო საშუალების ბაქტერიოციდული ეფექტი; სულ ჩატარდა 421 ანალიზი. ცენტრის ბიუჯეტში შევიდა 62 000 ლარამდე;
 - ✓ საცავის პერსონალი აქტიურად იყო ჩართული COVID-19-ის ნიმუშების აღებასა და მის მენეჯმენტში.

გამოწვევები

- მიმდინარეობს აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული საცავის და ბიოზანკის სტანდარტიზაციასა და საერთაშორისო ISO აკრედიტაციისათვის
- მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ბუდაპეშტის ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხებზე
- გრძელდება საცავში დაცული BSL2 ბაქტერიების არსებული კოლექციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად

ძირითადი მიღწევები

- ნიმუშის რეგისტრაციის პროცედურულ ჯაჭვის პრენალიზურ ეტაპზე ქმედებების მარეგულირებელი სოპ-ების შესრულებისას, აგრეთვე ლაბორატორიული კვლევის მოთხოვნის ფორმების გამოყენების დროს გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით შეიქმნა ახალი სოპ-ები
- მზადყოფნაშია ჰემორაგიულ ცხელებათა შემთხვევაზე მორეაგირე ჯგუფები
- მომზადდა BSL 3-ის სპეციალისტები

გადატანილი იქნა ახალ ფორმატში სოპები:

- ✓ მღრღნელთა კოლონიებიდან მღრღნელებისა და მათი ბუდეების მოპოვება
- ✓ საველე ლაბორატორიის მოწყობა არა გსპ კერაში და მღრღნელთა ნიმუშებიდან სინჯების მოპოვება
- ✓ ფიქსირებული ნაცხის მომზადება ნიმუშებიდან და მიკროორგანიზმთა კულტურიდან
- ✓ შეღებვა გრამის წესით
- ✓ ლუგარის ცენტრში ინფექციური მასალის მიღება
- ✓ ბიოუსაფრთხოება პაციენტთან ვიზიტის დროს (ნიმუშის აღებამდე და აღების შემდეგ)
- ✓ ინფექციური მასალის შეფუთვა და ტრანსპორტირება
- ✓ მოძრაობის ტესტი ბაქტერიული ორგანიზმების იდენტიფიკაციისთვის
- ✓ პირადი დაცვის აღჭურვილობა გარემო ნიმუშების მოპოვებისას
- ✓ ნიმუშის/სინჯის პირველი მიმღები ლაბორატორიის შერჩევა
- ✓ ნაწლავური იერსინიოზისა და ფსევდოტუბერკულოზის საწინაარმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა სინჯარაში აგლუტინაციის მეთოდით
- ✓ ბიოქიმიური ტესტები
- ✓ ნიმუშის, სინჯის, კულტურის მდგომარეობის შეფასება
- ✓ ნიმუშის/სინჯის/კულტურის შენახვის ვადები
- ✓ ნიმუშში ბოტულოტოქსინის აღმოჩენი ნეიტრალიზაციის რეაქცია
- ✓ *Y.pseudotuberculosis* და *Y.enterocolitica*-ს იზოლირება ნიმუშებიდან და კვლევა API20E სისტემით
- ✓ BSL 3 ლაბორატორიაში შესვლისა და გამოსვლის პროცედურები
- ✓ ნაწლავური იერსინიოზისა და ფსევდოტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა ანტიგენის, სასაგნე მინაზე, აგლუტინაციით.

ლაბორატორიული სამუშაოს მოცულობა და მიღებული შედეგები.

- ✓ შავ ჭირზე გამოკვლეული იქნა გარემო ნიმუშის 535 სინჯი. მათ შორის: ექტოპარაზიტთა სინჯები - 28, მღრღნელთა სინჯები - 507; შედეგი უარყოფითი
- ✓ ტულარემიაზე გამოკვლეული იქნა გარემო ნიმუშის 535 სინჯი. მათ შორის: ექტოპარაზიტთა სინჯები - 28, მღრღნელთა სინჯები - 507. შედეგი უარყოფითი
- ✓ ნაწლავურ იერსინიოზზე გამოკვლეული იქნა სინჯი -1 67; შედეგი უარყოფითი
- ✓ ჯილეხზე საექვო კულტურების კვლევა და დადასტურება – 2
- ✓ ჯილეხზე გამოკვლეული იქნა კლინიკური ნიმუში - 40
- ✓ იზოლირებულია ჯილეხის გამომწვევის კულტურა - 2
- ✓ ბრუცელოზზე გამოკვლეულია კლინიკური ნიმუში - 17
- ✓ იზოლირებულია ბრუცელოზის 2 კულტურა
- ✓ ბოტულიზმზე გამოკვლეული იქნა კლინიკური ნიმუში - 8; შედეგი უარყოფითი

- ✓ ბოტულიზმზე გამოკვლეული იქნა საკვები პროდუქტების ნიმუში - 1; შედეგი უარყოფითი
- ✓ BSL3-ის, ლუგარის ლაბორატორიის თანამშრომელთა, განმეორებითი ტრენინგები 9 (38 სპეციალისტი)
- ✓ BSL3-ის, ელიავას ინსტიტუტის თანამშრომელთა, განმეორებითი ტრენინგები - 2 (7 სპეციალისტი)
- ✓ BSL3-ის, LMA თანამშრომელთა, განმეორებითი ტრენინგები - 3 (11 სპეციალისტი)
- ✓ ჩატარდა BSL3-ის ბაზისური ტრენინგი 1; მომზადდა 7 სპეციალისტი
- ✓ მზადყოფნაშია ჰემორაგიულ ცხელებათა შემთხვევაზე მორეაგირე ჯგუფები - 4
- ✓ ჩატარდა განსაკუთრებით საშიში პათოგენების ლაბორატორიის თანამშრომელთა განმეორებითი ტრენინგი საკვლევი მასალის ლაბორატორიაში მიღება-დამუშავებისა და კვლევის საკითხებში - 2 (8 სპეციალისტი).

გამოწვევები

- თანამშრომელთა პროფესიული ტრენინგების არასაკმარისობა
- შავი ჭირის ბუნებრივი კერების კვლევა მიმდინარეობს მხოლოდ საგრანტო პროექტის ფარგლებში

ზოოენტომოლოგიური ლაბორატორია

ცენტრის წლიური გეგმით და ეპიდსამსახურიდან მიღებული შეტყობინების შესაბამისად, თბილისში, ფოთში, ქუთაისში, ბათუმსა და ქვეყნის სხვა 45 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარდა განსაკუთრებით საშიში ინფექციების ბუნებრივი კერების ეპიზოოტოლოგიური მონიტორინგი, კერძოდ, რეზერვუარების და ვექტორების შეგროვება და მათი გადაცემა ლაბორატორიისათვის, აღსანიშნავია, რომ ზოოლოგიური ლაბორატორიის სპეციალისტები პრიორიტეტად თვლიან:

- იქსოდისებური ტკიპების გავრცელების ახალი არეალების დადგენა, რასაც გადამწყვეტი როლი ენიჭება განსაკუთრებით საშიში ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკის საკითხებში. ლაბორატორიული კვლევებით მიღებული შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა განსაკუთრებით საშიში და მასთან გათანაბრებული ინფექციების გავრცელების საწინააღმდეგო რეკომენდაციები.
- მალარიის და არამალარიის კოლოების პოპულაციებზე მონიტორინგი.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გურიის და სამეგრელოს რეგიონების მუნიციპალიტეტებში „საქართველოს შავი ზღვისპირეთის საკურორტო ზოლში ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების საწინააღმდეგო ღონისძიებების“ ფარგლებში კოლოებზე მონიტორინგი.
- ქვეყანაში გავრცელებული მღრღნელების გამოჭერა ცოცხალ მდგომარეობაში და მათი სახეობრივი იდენტიფიკაციის ჩატარება.
- სადერატიზაციო და სადეზინსექციო პროდუქტების საექსპერტო დასკვნების მომზადება.

ეპიზოოტოლოგიური მონიტორინგი

გამოკვლეულია 20400 ჰა ღია სტაცია და 9100მ² დახურული სტაცია.

დღესდღეობით საქართველოში არსებულ COVID-19-ის ვირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით, ადრეულ პერიოდისთვის ვერ მოხერხდა სახელმწიფო პროგრამით სავსე სამუშაოების ჩატარება, რის გამოც, ტკიპები ნიადაგის ზედაპირიდან შეგროვდა მცირე რაოდენობით. ვექტორების (იქსოდისებური ტკიპების) მოპოვება ღია სტაციაში ხდებოდა ნიადაგის ზედაპირიდან ფლანელის დროშის გამოყენებით და სასოფლო სამეურნეო პირუტყვებიდან დახურულ სტაციაში. ღია და დახურულ სტაციებში შეგროვებულ იქნა შემდეგი სახეობის ტკიპები: *Dermacentor marginatus*, *Hyalomma marginatum*, *Haemaphysalis punctata*, *Haemaphysalis sulcata*, *Haemaphysalis parva*, *Rhipicephalus sanguineus*, *Rhipicephalus bursa*, *Ixodes ricinus*, *Rhipicephalus (Boophilus) annulatus*.

ნიადაგის ზედაპირიდან სულ შეგროვებული იქნა 55 ეგზ. იქსოდისებური ტკიპი, ხოლო პირუტყვებიდან - 3 505 ეგზ. იქსოდისებური ტკიპი. სულ მოპოვებული იქნა 3 560 ეგზ. ტკიპების არსებობაზე სულ გასინჯული იქნა 1 435 სული სასოფლო სამეურნეო პირუტყვი. ლუგარის ლაბორატორიაში ადამიანებისგან შემოვიდა და სახეობრივი იდენტიფიკაცია ჩაუტარდა 15 ეგზ. სხვადასხვა სახეობის ტკიპს.

- სავსე სამუშაოებისას გამოჭერილია და სახეობამდე იდენტიფიცირებულია კოლო 1004 ეგზ.: *Ae. albopictus* 430; *Ae. aegypti* 3; *Ae. caspius* 11; *Ae. vexans* 51; *Ae. geniculatus* 5; *An. maculipennis* 159; *An. subalpinus* 17; *Cx.p. pipiens* 328.
- ფლებოტომუსი 44 ეგზ.: *Ph. Kandelakii* 21; *Ph. Halepensis* 23.

- რეზერვუარების გამოჭერა ხდებოდა ღია და დახურულ სტაციებში. სულ გამოჭერილი იქნა 121 ეგზ. მათ შორის: წითელქუდა მექვიშია - 6; რუხი ვითაგვა - 23; შავი ვითაგვა - 9; სახლის თაგვი - 81; ტყის თაგვი - 1, კბილთეთრა - 1.

ეპიდემიოლოგების მითითებით, ეპიზოოტოლოგიური კვლევები ჩატარდა მღრღნელებზე, რომლებიც წარმოადგენენ ჰანტავირუსული ინფექციების გამომწვევების რეზერვუარებს. რეზერვუარებიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სინანტროპულ მღრღნელებს, რომელთა მოკვლევის მიზნით პირველ რიგში ჩატარდა სარეკოგნოსცირო სამუშაოები ცენტრალური ქალაქების და მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. სამუშაოები ჩატარებული იქნა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: გარდაბანი, ფოთი, ბათუმი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ანაკლია, სენაკი, წყალტუბო, ქუთაისი, საგარეჯო, დედოფლისწყარო. გამოჭერილი სინანტროპული მღრღნელებიდან ორგანოების აღება ხდებოდა ღია სავსე ლაბორატორიებში ბიოუსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტული სამოქმედო პროცედურების დაცვით. სულ აღებული იქნა 242 სინჯი, რომლებიც გადაეცა ლუგარის სახ. ლაბორატორიის მიმღებ განყოფილებას.

დასკვნა: ამ ეტაპზე მონაცემთა სიმწირის გამო (მოგვეპოვება მხოლოდ ერთნახევარი წლის მონაცემები) მათ რიცხოვნობაზე მსჯელობა ნაადრევია; აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სურსათის საწყობების და სხვა სათავსოების მფლობელები ბოლო ხანებში მიმართავენ მღრღნელების საწინააღმდეგო შხამ-ქიმიკატების ინტენსიურ გამოყენებას.

შედეგები

- მზადდება უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით საშიში ინფექციების გავრცელების კერებში ვექტორების ეპიზოოტოლოგიური გამოკვლევების შედეგები, როგორც სახეობრივი, ასევე გავრცელების მახასიათებლების მიხედვით. ვექტორების მონაცემები მომავალში გამოყენებული იქნება სპეციალური პროგრამით შესწავლის მიზნით (ARCMAP და სხვ.).
- შედგენილი იქნა იქსოდისებური ტკიპების გავრცელების ელექტრონული რუკის ბუკლეტი.
- განხორციელებული სამუშაოების შედეგად საქართველოში დაფიქსირდა ვისცერული ლეიშმანიოზის კიდევ ერთი, ახალი, აქტიური და აქამდე უცნობი კერა - დაბა ასპინძაში. ახალციხეში და ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეში აღმოჩენილ იქნა ფლებოტომუსის ორი სახეობა. დაკვირვება ამ რეგიონში უნდა გაგრძელდეს და ფლებოტომუსების აქტიურობის ბიოლოგიური კალენდარი და ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობის ანალიზი გაკეთდეს რამდენიმეწლიანი დაკვირვების შედეგად.
- მიმდინარეობს ამჟამად უკვე მოპოვებული და ლაბორატორიისათვის გადაცემული ტკიპების ძირითადი რაოდენობის PCR გამოკვლევები.

დაავადების ერთეული შემთხვევების კვლევები

- პათოგენური მიკროფლორის არსებობაზე გამოკვლეულია 589 კლინიკური ნიმუში (3 528 ანალიზი), აქედან - 49.7% (293/589) დადებითი შედეგით;
- *Campilobacter* spp არსებობაზე გამოკვლეულია 260 კლინიკური ნიმუში (1 016 ანალიზი), აქედან - 13.5% (35/260) დადებითი შედეგით; 35 *Campilobacter* იზოლატიდან 9 იზოლატი დადასტურდა, როგორც *Campilobacter coli* და 26 იზოლატი, როგორც *Campilobacter jejuni*.
- კომერციული მომსახურებით - 64 საანალიზო ნიმუში (512 ანალიზი);
- დაიდგა 392 ბაქტერიული იზოლატის - AST- ანტიბიოტიკოგრამა EUCAST სტანდარტით;
- გამოკვლეულია დასადასტურებლად შემოსული 179 კულტურა; დადასტურდა - 124; არ დადასტურდა - 55; კულტურები შემოსულია ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომით ქვეყნის მასშტაბით;
- მალარიაზე გამოკვლეულია 96 საანალიზო ნიმუში (221 ანალიზი), ყველა უარყოფითი შედეგით.

სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში განხორციელებული ბაქტერიოლოგიური კვლევები

- ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა - ნოზოკომიური ინფექციების კომპონენტით - 807 კლინიკური ნიმუში (4 842 ანალიზი) - აქედან 40.7% (329 ნიმუში) დადებითი შედეგით; გამოყოფილ ნოზოკომიურ შტამებს შორის 95% არის გრამ-უარყოფითი ბაქტერიები, საიდანაც 61% არის რეზისტენტული კარბაპენემების მიმართ და 15% - რეზისტენტული კოლისტინის მიმართ (სარეზერვო ანტიბიოტიკი).
- ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა - მალარიის კომპონენტით - 98 ნიმუში - დადებითი შედეგის გარეშე.
- CDC/GDD დიარეული დაავადებების ეპიდზედამხედველობა - შემოსულია დასადასტურებლად 41 იზოლატი; აქედან, 12 *Shigella* spp და 29 - *Salmonella* spp; შესწავლილია კულტურების რეზისტენტობის მექანიზმი.
- WRAIR/NCDC - ზოონოზური და ვექტორული ეტიოლოგიის ცხელებით მიმდინარე დაავადებების ზედამხედველობა ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში - შემოსულია დასადასტურებლად 264 სისხლის კულტურის ნიმუში, საიდანაც 9.1% (24/264) არის დადებითი. შესწავლილია კულტურების რეზისტენტობის მექანიზმი.


• **CDC/GDD - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტის შესაძლებლობების შექმნა: ლუგარის ცენტრის ჩამოყალიბება ამრ (AMR) გარე ხარისხის კონტროლის პროგრამის (AMR) ცენტრად -**

- ✓ მიკრობიოლოგიური რეფერენს ლაბორატორიის შესაძლებლობების გაძლიერება;
- ✓ ეროვნული გარე ხარისხის პროგრამის (EQA) გაძლიერება/გაფართოება (ID, AST);
- ✓ მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიებში ხარისხის გასაუმჯობესებლად მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება;
- ✓ ISO 17043 სტანდარტის მიხედვით ახალი დოკუმენტების შექმნა და დამტკიცება (ხარისხის სახელმძღვანელო, პროგრამის პოლიტიკა, ტექნიკური სსოპ-ები - 7, ტექნიკური ფორმები - 15 ფორმა).

ლუგარის ცენტრის ზედამხედველობით დაიწყო და განხორციელდა:

- დაიწყო ქვეყნის მასშტაბით მიკრობიოლოგიური ლაბორატორიების მონიტორინგი ჯანმრთელობის ლაბორატორიის შეფასების კითხვარის გამოყენებით. შეფასებულია 12 ლაბორატორია ხარისხის მართვის სისტემის თორმეტივე მოდულის მიხედვით. შეფასების დასრულების შემდეგ საბოლოო ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები წარედგინება ცენტრს და სამინისტროს;
- გარე ხარისხის კონტროლის პანელების მომზადება და ქვეყნის მასშტაბით 27 ლაბორატორიაში დისტრიბუცია; შედეგების შეფასება და უკუკავშირი თითოეულ ლაბორატორიასთან, საჭიროებიდან გამომდინარე სპეციალისტების მენტორინგი. განხორციელდა 4-ჯერადად პანელების მომზადება;
- ლაბორატორიების სტანდარტიზაციაზე მუშაობა; პრე-ანალიტიკური ეტაპის სტანდარტული დოკუმენტების გაცნობა და სწავლება ქსელის ლაბორატორიების ფარგლებში (27 ლაბორატორია);
- გრძელდება ლაბორატორიების სპეციალისტების უწყვეტ განათლებაზე მუშაობა; მენტორინგი გაეწია 15 ლაბორატორიის თანამშრომელს - ბაქტერიული დიაგნოსტიკა და ამრ მექანიზმის ფენოტიპური შესწავლა ეუკასტის სტანდარტით;
- გრძელდება საგანგაშო-რეზისტენტული შტამების მიღება ქვეყნის ლაბორატორიებიდან შემდგომი დადასტურებისა და ღრმა კვლევებისთვის; 145 ამრ შტამის ფენოტიპური შესწავლა/დადასტურება, დამატებით გამოკვლეული იქნა პჯრ მეთოდით - NDM, OXA, KPC, mcr1, mcr2 გენების არსებობაზე.

AMR გენების გავრცელება



ვივარიუმი

01.01 2021 წლის მონაცემებით ვივარიუმი ირიცხებოდა:

- თეთრი თაგვი - 295 ეგზ.
- ნამატი - 135 ეგზ. თეთრი თაგვი
- დაეცა - 15 ეგზ. თეთრი თაგვი
- გსპ ლაბორატორიას ბოტულიზმის სადიაგნოსტიკოდ გადაეცა 46 ეგზ. თეთრი თაგვი

აღნიშნული ცხოველების გამოსაკვებად 2021წელს შეძენილ იქნა:

- ქერი - 450 კგ
- მშრალი საკვები - 140კგ

გაიხარჯა:

- ქერი - 375 კგ
- მშრალი საკვები - 100კგ

ნაშთი:

- ქერი - 75 კგ
- მშრალი საკვები - 40 კგ

01.01.2022 წლის მონაცემებით ვივარიუმი ირიცხება 369 ეგზ. თეთრი თაგვი.

ანალიზების მიმღები და დამუშავების ლაბორატორია

კვლევისათვის მიღებული ნიმუშების რაოდენობა პროგრამების მიხედვით:

- დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ეპიდზედამხედველობა - 149 489 ნიმუში
- საკუთარი შემოსავლები - COVID-19-ის ტესტირება - 19 861 ნიმუში (ცხვირ-ხახის ნაცხი, სისხლი)
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა, HBV ვირუსი -155 ნიმუში (შრატი)
- სახელმწიფო პროგრამა „ნოზოკომიურ ინფექციების ეპიდზედამხედველობა“, ბაქტერიოლოგიური კვლევა - 867 ნიმუში
- ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა მალარიასა და სხვა ტრანსმისიული დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება - 3 ნიმუში
- მემორანდუმის ფარგლებში, შიდა ჰოსპიტალური ინფექციები, ბაქტერიოლოგია - 7 ნიმუში
- ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა, გრიპზე - 137 ნიმუში (ცხვირ-ხახის ნაცხი)
- საქართველოში დიარეით მიმდინარე დაავადებების შემთხვევებისა და ეპიდაფეთქებების გამოვლინება - 26 ნიმუში, 12 ბაქტერიული კულტურა
- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ვირუსული დიარეა - 32 ნიმუში, 6 ვირუსული კულტურა
- საქართველოში SARS-CoV-2, HCV, HBV პოპულაციური პრევალენტობა - 4 203 სისხლის ნიმუში
- უცნობი ეტიოლოგიის ცხელების მოლეკულური და სეროლოგიური კვლევა - 124 სისხლის ნიმუში
- დიარეით მიმდინარე დაავადებები (CDC) - 5 ნიმუში
- COVID-19-ის სეროპრევალენტობა - 66 სისხლის ნიმუში
- იერსინიას სახეობების მოლეკულური ეპიდემიოლოგია და ეკოლოგია (DTRA) - 1 ნიმუში (შრატი)

- რიკეტსიების და კოკსიელა ბურნეტის ზედამხედველობა საქართველოსა და აზერბაიჯანში (DTRA) – 2 000 ნიმუში (სისხლი)
- აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში ბრუცელოზის ბიოზედამხედველობა - 9 სისხლის ნიმუში
- WRAIR ბაქტერიოლოგია, სეროლოგია 362 ნიმუში (სისხლი კულტურა ჩათესილი სისხლი შარდი)
- გარემოს ნიმუში - 287, აქედან საკუთარი შემოსავლები: წყალი - 55, პოლიო - 14, ტკიპი - 44, კოლო - 32. სხვადასხვა ნიმუშები -144
- მიმღებ ლაბორატორიას დაწუნებული აქვს 22 ნიმუში. გამოვლენილია 13 ნიმუშის შეუსაბამობა

პროექტების ფარგლებში შესრულებული სამუშაო

- **„ექსტენსიურ მულტი-რეზისტენტული და პან-რეზისტენტული ვირულენტური ენტერობაქტერიების რისკ-ფაქტორების და მოლეკური მახასიათებლების კვლევა საქართველოში“**, ISTC, 01.02.2020 - 31.01.2022.

პროექტის მიზანი - ექსტენსიურ მულტი-რეზისტენტული და პან-რეზისტენტული ვირულენტური ენტერობაქტერიების რისკ-ფაქტორების და მოლეკური მახასიათებლების შესწავლა საქართველოში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემუშავდა XDR და PDR ინფექციებზე კლინიკური ზედამხედველობის ფორმები. SPSS-ის პროგრამაში შეიქმნა ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული მონაცემების ბაზები. შეგროვდა მონაცემები XDR და PDR ინფიცირებული პაციენტების შესახებ. შესწავლილ იქნა 601 პაციენტის სამედიცინო ისტორია. ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული მონაცემები შეტანილ იქნა მონაცემთა ბაზაში. 325 კლინიკური ნიმუშიდან ბაქტერიოლოგიური მეთოდების საშუალებით განხორციელდა ენტერობაქტერიების შტამების დეტექცია, იზოლაცია და იდენტიფიკაცია. განისაზღვრა იდენტიფიცირებული ენტერობაქტერიების ანტიმიკრობული მგრძობელობა. მულტიპლექს პჯრ-ის საშუალებით ჩატარდა XDR და PDR ენტერობაქტერიების სკრინინგი.

- **„დასავლეთ აზიაში ღამურის მიერ გამომწვევი ზოონოზური დაავადებების რისკების ანალიზი“**, DTRA BAA, 21.10.2017- 31.10.2022.

პროექტის მიზანი - კორონავირუსების (CoVs) მახასიათებლების მრავალფეროვნების კლასიფიკაცია და ძირითადი ჰიპოთეზების ტესტირება დასავლეთ აზიაში, ღამურის მიერ გამომწვეული ზოონოზური დაავადებების რისკების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა საფრთხეების შემცირება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესწავლილი ნიმუშებიდან დაახლოებით 21-23% PCR რეაქციით დადებითი აღმოჩნდა კორონავირუსზე. სანგერ სექვენირების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ღამურებიდან გამოყოფილი კორონავირუსები წარმოადგენს ხელფრთიანებისთვის სპეციფიურ ალფა და ბეტა კორონავირუსებს.

- **„MediLabSecure - ტრანსმისიული დაავადებები ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის რეგიონში“** - პროექტი მიზნად ისახავს ხმელთაშუა და შავი ზღვების რეგიონის ქვეყნების (19 ქვეყანა) ლაბორატორიული ქსელების დაკავშირებას, რომლებიც მუშაობენ ადამიანის და ცხოველთა აღმოცენებადი ვირუსების დეტექციასა და შესწავლაზე. პროექტის პირველი ფაზა დასრულდა 2018 წელს და დამფინანსებლის, ევროკავშირის, გადაწყვეტილებით გაგრძელდა კიდევ სამი წლით.

✓ 2021 წელს პროექტის ფარგლებში ონლაინ ჩატარდა ტრენერების ტრენინგი (TOT) თემაზე “Strengthening Country capacities on inter sectoral preparedness and response to face threats from a One Health perspectives”, რომელიც მიმდინარეობდა 15-დან 26

მაისის ჩათვლით. აღნიშნული ღონისძიება მოიცავდა ლექციებისა და ვორქშოპების სერიას.


- ✓ პერიოდულად იგზავნებოდა ინფორმაცია მსოფლიოში პანდემიის მიმდინარეობის, დიაგნოსტიკური შესაძლებლობებისა და გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების შესახებ. სამუშაო პაკეტების მიხედვით იგზავნებოდა ინფორმაცია სიახლეების შესახებ.
- ✓ 2021 წლის 2-3 დეკემბერს გაიმართა შავი ზღვისა და ბალკანეთის ქვეყნების რეგიონალური ონლაინ შეხვედრა.
- ✓ 19 დეკემბერს გაიმართა ონლაინ ვორკშოპი თემაზე „COVID-19-ის პანდემიის მონიტორინგი“ (MONITORING COVID 19 PANDEMIC: EPIDEMIOLOGICAL AND SEQUENCING DATA for DECISION-MAKING)”, სადაც პროექტის სამედიცინო და ვეტერინარული ენტომოლოგიის ჯგუფის საქართველოს წარმომადგენელი წარსდგა მოხსენებით „COVID-19 Response in Georgia“.

• „დასავლეთ აზიური ქსელის შექმნა კავკასიის რეგიონში ბიოუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად“ - გერმანიის ბუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტთან ერთობლივი პროექტი წარმოადგენს „ბიოლოგიური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გერმანიის პარტნიორული პროგრამის“ ნაწილს. პროექტის პირველი და მეორე ფაზები დასრულდა 2019 წელს. პროექტის მესამე ფაზა დაიწყო 2020 წელს, რომლის მიზანია გერმანულ-ქართული თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება საშიში ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკის და ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროში, ბიოუსაფრთხოებაში ცოდნის ასამაღლებლად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სემინარების ჩატარება სეროლოგიური და მოლეკულურ-ბიოლოგიური ლაბორატორიული თანამედროვე მეთოდებისა და სავლე ეპიდემიოლოგიის თემაზე.


- ✓ 2021 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა *Clostridium botulinum*-ის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით დეტექციის ვალიდაცია. პროცესის დასრულების შემდეგ დაინერგება *Clostridium botulinum*-ის პჯრ დეტექცია ბუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის მიერ მოწოდებული პროტოკოლის მიხედვით. იმერეთის რეგიონში შეგროვდა 50 მღრღნელი, შეგროვებული ნიმუშები გაიტესტება ლეპტოსპიროზის გამომწვევზე MAT და პჯრ მეთოდებით.
- ✓ პროექტის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები: ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენელთათვის ჩატარდა სემინარი ლეპტოსპიროზისა და მისი გამომწვევის შესახებ. ჩატარდა სემინარები ქუთაისში, ბათუმსა და თელავში რეგიონალური ჯანდაცვის სექტორისათვის ბიოლოგიური მასალების გამოყენებისა და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (სოპ) შესახებ. პროექტის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანიაში, მიუნხენში გამართულ სამედიცინო ბიოდაცვის მე-17 საერთაშორისო კონფერენციაში.
- ✓ ბიოუსაფრთხოების სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩაუტარეს ტრენინგი მეცნიერების დუალისტური (ორმაგი) დანიშნულების (DURC) შესახებ.

• „SARS-CoV-2 გენომის სექვენირების შესაძლებლობების გაფართოება (Establishment of SARS-CoV-2 genomic sequencing capacity)“ - პროექტი დაფინანსებულია აშშ CDC-ს მიერ. მისი მიზანია SARS-CoV-2 ვირუსის ცნობილი და ახალი ვარიანტების გამოჩენისა და ცირკულაციის მონიტორინგი საქართველოში. ჩატარდა ონლაინ ტრენინგი CDC და ელტა-90 კოლეგების მიერ და წარმატებით დაინერგა SARS-CoV-2 მაღალი წარმადობის სექვენირების მეთოდები, რამაც ხელი შეუწყო GISAIID მონაცემთა ბაზაში ატვირთული ნიმუშების რაოდენობის გაზრდას და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ატვირთული იყო 1005 შტამის სექვენსი. ცენტრი აქტიურად აგრძელებს ქვეყანაში გავრცელებული შტამების მონიტორინგს შესაძლო ახალი მუტაციებისა და ვარიანტების დროული გამოვლენის მიზნით.

- **პროექტი #1446 CDC** – „ახალი თაობის სექვენირების შესაძლებლობების განვითარება C ჰეპატიტის ზედამხედველობის ეფექტურობის გაძლიერებისათვის საქართველოში“ - პროექტი მიზნად ისახავს ცენტრის გენომის ცენტრის ბაზაზე გლობალური ჰეპატიტების ზედამხედველობის რეგიონული ლაბორატორიის (GHOST - Global Hepatitis Outbreak and Surveillance Technology) შექმნას და განვითარებას.
 - ✓ სექვენირების შედეგების ხარისხის შეფასება და კონტროლი ხორციელდებოდა აშშ CDC-ის GHOST ტექნოლოგიის პროგრამის გამოყენებით.
 - ✓ ანალიზი ჩატარდა თბილისისა (50) და ზუგდიდის (50) ზიანის შემცირების ცენტრების მიერ მოწოდებულ 100 ნიმუშზე.
 - ✓ რეკომბინანტულ ფორმებთან ერთად აღმოჩენილი იქნა სხვადასხვა გენოტიპები და ქვეტიპები. დადგინდა კავშირები - თბილისის ექვსმა ნიმუშმა წარმოქმნა დამოუკიდებელი კლასტერი, სამმა კი - მეორე კლასტერი.



- **CDC პროექტი:** „გლობალურად და ლოკალურად საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის ჩატარება სამეცნიერო ბაზის შექმნის მიზნით, საჯარო ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისა და გაფართოებისთვის საქართველოში“ - ქვეკომპონენტი: საქართველოში ზოონოზური და გადამტანებით გადაცემადი მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადებების ეტიოლოგიისა და რისკფაქტორების შესწავლა და მოლეკულური ეპიდემიოლოგია. პროექტის მიზანია ზოონოზური და გადამტანებით გადაცემადი მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადებების გამომწვევი აგენტების, ეპიდემიოლოგიისა და მათი მოლეკულური მახასიათებლების შესწავლა ერთიანი ჯანმრთელობის პრინციპით საქართველოში.
 - ✓ 2021 წელს პროექტის ფარგლებში მოხდა სამუშაო პროტოკოლის, კვლევაში ჩართვის ყველა საჭირო კითხვარის (პაციენტის შერჩევის სკრინინგის ფორმა, ძირითადი კითხვარი) და კლინიკური და ლაბორატორიული კვლევის ალგორითმების შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტები დამტკიცდა ლოკალური IRB-ის მიერ. განისაზღვრა და შეიერჩა კლინიკები, სადაც პირველი წლის პილოტური კვლევის ფარგლებში მოეწყობა მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადებებზე მონიტორინგის საყრდენი ბაზები. აკ. ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა განისაზღვრა ქვეყანაში მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადებებზე მონიტორინგის პირველი საყრდენი ბაზის მოსაწყობად. შემუშავდა სატრენინგო მასალები.
 - ✓ CDC და ცენტრის მიერ დამტკიცდა პროექტის მართვის მთავარი პროტოკოლი. შემუშავდა ლაბორატორიული ტესტირების ალგორითმი.



- ✓ შეიქმნა მონაცემთა შეგროვების ელექტრონული ხელსაწყო „REDCap cloud server“ (<https://www.afige/>), რომელიც მოიცავს შემდეგ ელექტრონულ ინსტრუმენტებს: სკრინინგის ფორმა, ეპიდ-კითხვარი, ლაბორატორიული მონაცემები. აღნიშნული ხელსაწყო ხელმისაწვდომი იქნება ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად.
- ✓ პაციენტები მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადების ნიშნებითა და სიმპტომებით იდენტიფიცირებულები და კვლევაში ჩართულები არიან; ხდება სისხლის ნიმუშების აღება და გამოგზავნა ლუგარის ლაბორატორიაში შემდგომი ტესტირებისათვის კვლევით შერჩეულ პათოგენებზე, სადაც ტარდება როგორც სეროლოგიური, ასევე PCR ტესტირება;
- ✓ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ლაბორატორიაში გამოსაკვლევად შემოვიდა სულ 79 სისხლის ნიმუში. სეროლოგიური კვლევის შედეგები მოყვანილია ცხრილში. ამასთან, PCR-ით დადასტურებული იყო მალარიის ერთი, აფრიკიდან შემოტანილი შემთხვევა.

Assay	N (%) positive samples total n=79 (enrollment samples)
Chikungunya virus IgM	7 (9%)
Dengue virus IgM	1 (1.2%)
Dengue virus IgG	9 (11%)
<i>Leptospira</i> spp. IgG	1 (1.2%)
<i>Leptospira</i> spp. IgM	9 (11%)
<i>Plasmodium</i> spp. IgG	6 (7%)
<i>Rickettsia</i> spp. (SFG) IgG	4 (5%)
<i>Rickettsia</i> spp. (SFG) IgM	2 (3%)
<i>Rickettsia typhi</i> IgG	8 (10%)
<i>Rickettsia typhi</i> IgM	31 (39%)
West Nile Virus IgG	4 (5%)
West Nile Virus IgM	4 (5%)

ხარისხის კონტროლის კუთხით განხორციელებული საქმიანობა

- ცენტრმა გაიარა მართვის სისტემის გეგმიური გარე აუდიტი, რის შედეგადაც განმეორებით მიენიჭა ISO 9001:2015 სერტიფიკატი.
- შეიქმნა/გადაიხედა და დამტკიცდა ხარისხის შენარჩუნებისთვის აუცილებელი დოკუმენტები/პროცედურები.
- ლუგარის საზ.ჯანდაცვის ცენტრის ზოგადი ბაქტერიოლოგიისა და სეროლოგიის ლაბორატორიებმა გაიარეს რეაკრედიტაცია, რის შედეგად აღნიშნულმა ლაბორატორიებმა განმეორებით მიიღეს ამერიკული სააკრედიტაციო ორგანოს ANAB-ის საერთაშორისო აკრედიტაცია ISO15189:2012 აკრედიტაცია მოიცავს შემდეგ სფეროებს:
 1. სეროლოგიის ლაბორატორია: წითელა, წითურა და ჰეპატიტის სეროლოგიური კვლევები
 2. ზოგადი ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია: ყველა სახის ნიმუშის მანუალური მიკრობიოლოგიური კვლევა.
- ხარისხის კონტროლის სამმართველო აქტიურად მონაწილეობდა „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვა“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში ლაბორატორიული სერვისების მიმწოდებელი ლაბორატორიების მონიტორინგსა და გარე ხარისხის კონტროლის პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში 3 ჯერ გაიგზავნა მონაწილე ლაბორატორიებში გარე ხარისხის კონტროლის პანელები. დამუშავდა შედეგები და ლაბორატორიებს გაეწიათ რეკომენდაციები შეუსაბამოების აღმოსაფხვრელად. ასევე განხორციელდა მონიტორინგი 36 ლაბორატორიაში.
- ხარისხის კულტურის ამაღლების მიზნით შემუშავდა ხარისხის კონტროლის სასწავლო მასალები, მომზადდა პრეზენტაციები და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ტრენინგები C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ლაბორატორიებისთვის.

გამოწვევები

- სეროლოგიურ ლაბორატორიაში ISO 15189 აკრედიტაციის შენარჩუნება და მოლექსულორი ლაბორატორიის მომზადება აკრედიტაციისათვის.
- ყველა ლაბორატორიაში ხარისხის კონტროლის სრულყოფა
- ლაბორატორიული ინფორმაციული მენეჯმენტის სისტემის (LIMS) დახვეწა
- ლაბორატორიული სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დახვეწა
- ახალი მეთოდების ათვისება და მათ დანერგვაზე მუშაობა
- სამეცნიერო პროექტების მართვა და ახალი პროექტებისათვის დაფინანსების მოძიება
- ახალი თაობის აღზრდა და მათი დასაქმებისა და განვითარების ხელშეწყობა


1.4. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობაში „ერთიანი ჯანმრთელობის“ პრინციპების დანერგვა

ცენტრი აგრძელებს გადამდებ დაავადებებზე ზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებების გატარებას ერთიანი ჯანმრთელობის პრინციპით. ცენტრში ფუნქციონირებს ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველო, რომელიც აკოორდინირებს სამუშაოებს ცენტრის შიგნით და უზრუნველყოფს ეპიდემიოლოგებისა და ზოონტომოლოგების ერთობლივ საველე გასვლებს. ამასთან ერთად, წარმოებს ინტენსიური თანამშრომლობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებთან. მოთხოვნის შესაბამისად, რეგიონებში ჩატარდა სწავლებები ზოონოზური დაავადებების ეპიდემიოლოგიისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება: საქართველოში, 2021 წლის მონაცემებით, აღრიცხულია ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 24 შემთხვევა, ყველა შემთხვევა ლაბორატორიულად ტესტირებული და დადასტურებულია (ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე - 0.64). საანგარიშო წლის განმავლობაში, შესწავლილი იქნა 71 საექვო შემთხვევა, საიდანაც 24 (33.9%) არის დადასტურებული, ხოლო 47 (66.1%) უკუგდებული. გარდაიცვალა 2 ადამიანი: 10 წლის მამაკაცი (ადიგენი, გომარო), 49 წლის ქალი (ადიგენი, წახანი). ლეტალობის მაჩვენებელი 8.3%-ს შეადგენს.

საანგარიშო წელს, გასულ წელთან შედარებით, შემთხვევათა რაოდენობა მნიშვნელოვნად მომატებულია, თუმცა შემცირებულია ლეტალობის მაჩვენებელი. 2021 წელს შემთხვევები აღრიცხულია 2 რეგიონში: სამცხე-ჯავახეთში - 14/9.26, შიდა ქართლში - 10/3.93.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ინციდენტობა (100 000 მოსახლეზე) რეგიონების მიხედვით, საქართველო, 2012–2021



2017-2021 წლებში, ზოონტომოლოგიური ჯგუფის მიერ მოპოვებულ მდრღნელებში, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ვირუსი აღმოჩენილ იქნა შემდეგ რეგიონებში: იმერეთი - 49 მდრღნელი (53.8%), შიდა ქართლი - 21 მდრღნელი (23.1%), სამცხე-ჯავახეთი - 16 მდრღნელი (17.6%), რაჭა-ლეჩხუმი - 5 მდრღნელი (5.5%).

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ვირუსის გავრცელება მღრღნელებში რეგიონების მიხედვით, საქართველო, 2017-2021

		ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ვირუსი		ჯამი
		დადებითი	უარყოფითი	
რეგიონი	სამცხე-ჯავახეთი	16 (6.1%)	246 (93.9%)	262 (100%)
	რაჭა-ლეჩხუმი	5 (9.4%)	48 (90.6%)	53 (100%)
	შიდა ქართლი	21 (14.4%)	125 (85.6%)	146 (100%)
	იმერეთი	49 (25.9%)	140 (74.1%)	189 (100%)
ჯამი		91 (14.0%)	559 (86.0%)	650 (100%)

ჰანტავირუსული ინფექციები: 2021 წლის მონაცემებით, აღრიცხულია ჰანტავირუსით გამოწვეული ინფექციის 9 სავარაუდო შემთხვევა (ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე - 0.24). ყველა შემთხვევა ლაბორატორიულად ტესტირებულია. ზედამხედველობის სისტემით შესწავლილ იქნა 15 საექვო შემთხვევა, რომელთა 40% (6 შემთხვევა) არის უკუგდებული. აღიცილებული შემთხვევები ლეტალური გამოსავლით არ დასრულებულა. საანგარიშო წელს დაფიქსირებული შემთხვევები და ლეტალობის მაჩვენებელი თითქმის მსგავსია გასული წლის მონაცემების. შემთხვევების განაწილება და ინციდენტობა რეგიონების მიხედვით: თბილისი 4/0.33, იმერეთი 1/0.61 (ქუთაისი, წყალტუბო, ვანი), მცხეთა-მთიანეთი (დუშეთი) 1/1.07, შიდა ქართლი (ქარელი) 1/0.39. გასული წლების მონაცემების მიხედვით, ჰანტავირუსი ცირკულირებს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

ჰანტავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევების 53.8% მოდის 30-59 ასაკობრივ ჯგუფზე. განაწილება სქესის მიხედვით: 4 ქალი (44.5%), 5 მამაკაცი (55.5%). რისკფაქტორი თითქმის ყველა შემთხვევაში არის მღრღნელებთან კონტაქტი.

ჯილეხი: 2021 წელს საქართველოში დარეგისტრირდა ჯილეხის 13 შემთხვევა (ინციდენტობა 100 000 - მოსახლეზე 0.3). ყველა შემთხვევა დაფიქსირდა კანის ფორმით და ადამიანის გამოჯანმრთელებით დამთავრდა. ლაბორატორიულად დადასტურებულია 11 შემთხვევა (დადასტურების მაჩვენებელი - 85%), მათ შორის 11 პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის საშუალებით, ხოლო 2 - ბაქტერიოლოგიურად. ლოკალიზაციის ადგილი ყველა შემთხვევაში ზედა კიდურებია. შემთხვევათა სქესობრივი განაწილება შემდეგია: 3 (23%) ქალი და 10 (77%) მამაკაცი.

შემთხვევები შემდეგ რეგიონებსა და რაიონებში დაფიქსირდა: თბილისი - 1 შემთხვევა; კახეთის რეგიონი - 2 (საგარეჯოს რაიონი - 2); ქვემო ქართლი - 6 (რუსთავი - 2, ბოლნისის რაიონი - 1, თეთრიწყაროს რაიონი - 1, მარნეულის რაიონი - 2); იმერეთი - 1 (ქუთაისი - 1); სამეგრელო-ზემო სვანეთი - 3 (ხობის რაიონი - 3).

ინფექციის წყარო 2 შემთხვევაში (15%) არის ნიადაგი, 11 შემთხვევაში (85%) - დაავადებულ საქონელთან და ხორცთან კონტაქტი, მათ შორის 10 შემთხვევაში დავარდნილი, დაავადებული საქონლის დაკვლა-გატყავება და ხორცთან კონტაქტია, ხოლო 1 შემთხვევაში - ნაყიდი კონტამინირებული ხორცის დამუშავება. 2021 წელს აღირიცხა 3 ჯგუფური შემთხვევა (სულ 7 დაავადებული ადამიანი). ყველა ჯგუფური შემთხვევის დროს, ინფექციის წყარო დავარდნილი საქონლის დაკვლა-გატყავება და დაავადებულ ხორცთან კონტაქტია.

ბრუცელოზი: 2021 წელს, საქართველოში დარეგისტრირდა ბრუცელოზის 121 შემთხვევა (ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე - 3.4). 2020 წელს დაფიქსირდა ბრუცელოზის 125 შემთხვევა (ინციდენტობა - 3.4). ყველა შემთხვევა ლაბორატორიულად სეროლოგიით დადებითია. ბაქტეროლოგიურად შესწავლილია 15 ნიმუში, საიდანაც დადებითი შედეგი მიღებულ იქნა 2 შემთხვევაში: გამოყოფილია 2 *B. Melitensis*. თვეების მიხედვით შემთხვევათა განაწილება შემდეგია: იანვარი - 7, თებერვალი - 11, მარტი - 9, აპრილი - 15, მაისი - 16, ივნისი - 18, ივლისი - 11, აგვისტო - 11, სექტემბერი - 6, ოქტომბერი - 4, ნოემბერი - 7, დეკემბერი - 6 შემთხვევა.


ლეპტოსპიროზი: 2021 წელს საქართველოში აღრიცხულია ლეპტოსპიროზის 129 შემთხვევა (ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე - 3.45). ყველა შემთხვევა ლაბორატორიულად ტესტირებულია. ზედამხედველობის სისტემით აღირიცხა 346 საექვო შემთხვევა, რომელთაგან 129 კლასიფიცირდა სავარაუდო შემთხვევად, ხოლო 217 (62.7%) - უკუგდებულად. ლეტალური გამოსავლით დასრულდა 1 შემთხვევა (მამაკაცი, 79 წლის, იმერეთი, ბაღდათი). ლეტალობის მაჩვენებელი 0.77%-ს შეადგენს. ლეპტოსპიროზის შემთხვევები გამოვლენილია საქართველოს ყველა რეგიონში. 2021 წელს მაღალი ინციდენტობა დაფიქსირდა იმერეთში (13.4), რაჭა-ლეჩხუმსა (14.0) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (6.8). ბოლო 10 წლის განმავლობაში, ლეპტოსპიროზის ინციდენტობის მაღალი მაჩვენებლით ქვეყანაში გამოირჩეოდა აჭარის რეგიონი, ხოლო ინციდენტობის სწრაფი ზრდის ტენდენციით ბოლო ორი წელია გამოირჩევა იმერეთი.

გასულ წლებთან შედარებით, ინციდენტობა და ლეტალობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირებულია, რაც, სავარაუდოდ, არ უნდა ასახავდეს ლეპტოსპიროზის შემთხვევების რეალურ კლებას, არამედ COVID-19-ის პანდემიაზე აქცენტების გამო, ლეპტოსპიროზის საექვო შემთხვევებზე მედპერსონალის ყურადღების მოდუნებას.

ტულარემია: 2021 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე აღირიცხა ტულარემიის 2 დადასტურებული შემთხვევა. აღნიშნული შემთხვევებიდან, კლინიკური ლოკალიზაციის მიხედვით 1 იყო წყლულოვან-ზუბონური, ხოლო მეორე - ოროფარინგიალური ფორმის. 2021 წელს, ზედამხედველობა დაწესებული იყო ტულარემიის 11 შემთხვევაზე. ამ პერიოდის განმავლობაში ლეტალური გამოსავალი არ დაფიქსირებულა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველოში ფიქსირდებოდა ტულარემიის ერთეული შემთხვევები, თუმცა, 2007 წელს 2 ეპიდ-აფეთქებას ჰქონდა ადგილი. ეპიდაფეთქება დაფიქსირდა 2017 წელსაც დასავლეთ საქართველოში.

ტულარემიის ინციდენტობის მრავალწლიანი დინამიკა (100 000 მოსახლეზე), საქართველო, 1997-2021




2021 წელს, ტულარემია დაუდასტურდა კახეთში (ინციდენტობა - 0.32), ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში მცხოვრებ პირს. მისი სავარაუდო ექსპოზიცია განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას, რა დროსაც დაუზიანდა თითი. მეორე შემთხვევა გამოვლინდა თბილისში (ინციდენტობა - 0.2). აღნიშნული შემთხვევისთვის არ არის ცნობილი სავარაუდო დაინფიცირების წყარო.

ბორელიოზი: 2021 წლის განმავლობაში, სისტემაში დარეგისტრირდა ბორელიოზის 402 შესაძლო შემთხვევა. მათ შორის 160 (39.8%) არის სავარაუდო; 10 (2.5%) - დადასტურებული; 232 (57.7%) - უკუგდებული; ყველა შემთხვევა ტესტირებულია ლაბორატორიულად და მიეკუთვნება ლაიმის დაავადებას, ანუ ტკიპისმიერ სისტემურ ბორელიოზს, რომლის გამომწვევია *Borrelia burgdorferi*.


დაავადება აღრიცხულია ქვეყნის ყველა რეგიონში. ქვეყნის მასშტაბით ინციდენტობა (100 000 მოსახლეზე) შეადგენს 4.4-ს. ინციდენტობა შემცირებულია 1.5-ჯერ წინა წელთან (6.8/100 000) შედარებით. მაღალი ინციდენტობის მაჩვენებელი აქვს რაჭა-ლეჩხუმს (21.1), მცხეთა-მთიანეთს (11.8), იმერეთს (7.1). ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა ქვემო ქართლი (2.1) და გურია (1.9).

ბორელიოზის ინციდენტობის დინამიკა (100 000 მოსახლეზე), საქართველო, 2017-2021



170 შემთხვევიდან 6 აღნიშნავს, რომ სავარაუდო ინფიცირების პერიოდში იმყოფებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთ, კერძოდ, მითითებულ იქნა შემდეგი ქვეყნები: აშშ, გერმანია და ნორვეგია.


ბორელიოზის ინციდენტობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (100 000 მოსახლეზე), საქართველო, 2017-2021



ბორელიოზის შემთხვევების ასაკობრივი დიაპაზონი ვარირებს 1-დან 89 წლამდე. (მედიანური ასაკი - 35.5, IQR - 23-54). დაავადების შედარებით მაღალი ინციდენტობა 20-29, 30-59 და 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფებში აღინიშნა, რაც შესაძლებელია აიხსნას ამ ჯგუფების აქტიური ცხოვრების წესით და რეკრეაციულ აქტივობებში ჩართულობით, რაც თავის მხრივ, ზრდის ტკიპებთან ექსპოზიციის რისკს.

შემთხვევათა სქესობრივი გადანაწილება შემდეგია: 73 (43%) ქალი და 97 (57%) მამაკაცი.


ბორელიოზის შემთხვევების პროცენტული განაწილება თვეების მიხედვით, საქართველო, 2017-2021



სიმკვრივის დაწყების თარიღი ცნობილი იყო შემთხვევების 64%-ში (109 შემთხვევა). შემთხვევების უმეტესი წილი (41%) ზაფხულის თვეების განმავლობაში დაფიქსირდა.


ქუ ცხელეზა: 2021 წელს, ქუ ცხელეზის 24 საექვო/შესადლო შემთხვევიდან, ლაბორატორიული კვლევის შედეგად, 2-ს (8.3%) სავარაუდო შემთხვევის კლასიფიკაცია მიენიჭა, დადასტურდა 7 (29.2%), ხოლო უკუგდებულა 15 (62.5%). შემთხვევების განაწილება რეგიონების მიხედვით შემდეგია: კახეთი - 6 შემთხვევა, იმერეთი - 1, აჭარა - 1, მცხეთა-მთიანეთი - 1.

ქუ ცხელეზის ინციდენტობა რეგიონების მიხედვით (100 000 მოსახლეზე), საქართველო, 2014-2021




უკანასკნელ წლებში, 12 რეგიონიდან, დაავადების შემთხვევები ძირითადად ფიქსირდებოდა 8 რეგიონში. 2021 წელს, კახეთის რეგიონში დაფიქსირდა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სხვა რეგიონებთან შედარებით.

ქუ ცხელეზის ინციდენტობა (100 000 მოსახლეზე) რეგიონების მიხედვით, საქართველო, 2021



ქუ ცხელების 6 შემთხვევა 30-59 ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა (60%), 4 შემთხვევა - ≥60 ასაკობრივ ჯგუფში (40%). 2021 წელს, ქუ ცხელების შემთხვევიდან 7 (77.8%) მამაკაცია და 2 – ქალი (22.2%).

ქუ ცხელების შემთხვევების განაწილება სქესის მიხედვით (%), საქართველო, 2017 – 2021



1.5. გლობალური სტრატეგიით განსაზღვრული ან ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დაავადებების ელიმინაცია / ერადიკაცია

წითელა/წითურა/თანდაყოლილი წითურას სინდრომის ეპიდზედამხედველობის მიზნით, გრძელდებოდა ზედამხედველობა თითოეულ ნოზოლოგიაზე. 2021 წელს დზეის-ის ანგარიშში (ფორმა IV-03) რეგისტრირებულია წითელას 5 შემთხვევა, ინციდენტობა - 0.13; აცრის სტატუსის მიხედვით, აუცრელია 3 შემთხვევა, მ.შ. ერთი 0-1 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც არ ექვემდებარება ვაქცინაციას, შესაბამისად, აუცრელი რჩება 2 შემთხვევა. 1 დოზით აცრილია - 2 შემთხვევა, ორივე 1-4 ასაკობრივ ჯგუფში. 2020 წელს დარეგისტრირდა 20 შემთხვევა, ინციდენტობა - 0.5 წინა წელთან შედარებით შემთხვევების რაოდენობა 4-ჯერ შემცირდა. ლეტალური გამოსავალით წითელას არც ერთი შემთხვევა არ დასრულებულა. თითოეული შემთხვევა სტანდარტულად ანგარიშგებულია ჯანმო-ს ევროპის რეგიონულ ბიუროში.

წითურა: საქართველოში ბოლო ორი წლის - 2020 და 2021 - განმავლობაში არ დარეგისტრირებულა წითურას არც ერთი ადგილობრივი შემთხვევა, რაც ნიშნავს, რომ წითურას ენდემური გადაცემა შეწყვეტილია. აქედან გამომდინარე, 2021 წელს ჯანმო-სგან საქართველოს ევროპის რეგიონში წითურასაგან თავისუფალი ქვეყნის სერთიფიკატი გადაეცა. 2021 წელს ქვეყანაში არ არის აღირიცხული **თანდაყოლილი წითურას** სინდრომის შემთხვევა.

მალარია: ქვეყანაში 2021 წელს არ დარეგისტრირებულა მალარიის ადგილობრივი გადაცემისა და შესაბამისად, ადგილობრივი დაავადების შემთხვევა (ბოლო ადგილობრივი გადაცემით განვითარებული შემთხვევა იყო 2013 წ.). თუმცა ყოველწლიურად აღირიცხება და ლაბორატორიულად დასტურდება აფრიკიდან და აზიიდან შემოტანილი ტროპიკული

მალარიის შემთხვევები: 2013 წელს იყო 6 შემთხვევა, 2014 წელს - 6, 2015 წელს - 5, 2016 წელს - 7, 2017 წელს - 8, 2018 წელს - 9, 2019 წელს - 8, 2020 წელს - 4, 2021 წელს - 2. საანგარიშო პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა და ოვალე მალარიის 1 და ოთხდღიური მალარიის 1 შემთხვევა. ორივე იყო შემოტანილი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკიდან. გასული, არაპანდემიური წლებისგან განსხვავებით, შემთხვევათა ასეთი სიმცირე გამოწვეულია ახალი კორონავირუსული ინფექციის პანდემიის გამო საერთაშორისო მგზავრობის შემცირებით.

მალარიასთან და სხვა ტრანსმისიულ დაავადებათა გადამტანებთან ბრძოლის ღონისძიებების ფარგლებში 2020 წლის ანალოგიურად შავიზღვისპირა საკურორტო ზონებსა და საქართველოს ზოგიერთ ჰიპერმალარიოგენულ მუნიციპალიტეტებში ჩატარდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შიდა პერიმეტრების დეზინსექცია ეკოლოგიურად უსაფრთხო და თბილისისხლიანთათვის უვნებელი პრეპარატით „სოლფაკ ვპ10“, თუმცა COVID-19-ის ეპიდემიის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, დეზინსექცია ჩატარდა მხოლოდ ერთ ეტაპად ივლისი-აგვისტოს თვეების პერიოდში. 2021 წელს ჩატარებული სადეზინსექციო სამუშაოები განხორციელდა 2020 წლიდან მორჩენილი ინსექტიციდის ნაშთით.

ჰეპატიტები:

- საანგარიშო წლის განმავლობაში მომზადდა C ჰეპატიტის ყოველწლიური და კვარტალური ანგარიშები და ეპიდანალიზი, ხორციელდებოდა ვირუსული ჰეპატიტების გლობალური ანგარიშგება (ჯანმო);
- მიმდინარეობდა მუნიციპალური სჯც ეპიდემიოლოგებისა და პირველადი ჯანდაცვის ექიმების ტრენინგები C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი პირების მოძიებასა და შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებში/მკურნალობაში ჩართვის საკითხებზე;
- მიმდინარეობდა მწვავე ვირუსული B და C ჰეპატიტების ეპიდემიამხედველობის გაძლიერების მიზნით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრების ეპიდემიოლოგებისა და სენტინელური ზედამხედველობის კოორდინატორებისთვის ტრენინგები;
- მიმდინარეობდა C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების რეგულარული მონიტორინგი და შეფასება;
- მიმდინარეობდა მწვავე და ქრონიკული B და C ჰეპატიტების სენტინელური ზედამხედველობის ბაზების დისტანციური მონიტორინგი;
- მომზადდა „საქართველოში ვირუსული ჰეპატიტების ელიმინაციის 2021-2025 წლების ეროვნული სტრატეგია“;
- აშშ-ის CDC-თან თანამშრომლობით გაძლიერდა ვირუსული ჰეპატიტების ეპიდემიამხედველობა.

განხორციელებული პროექტები:

- აშშ-ის CDC-ის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა (ნიმ) პოპულაციაში C ჰეპატიტის ვირუსით პირველადად ინფიცირებულთა და რე-ინფიცირებულთა კოჰორტის დახასიათება, საქართველოში ზიანის შემცირების ქსელის ორ შერჩეულ ცენტრში, გლობალური ჰეპატიტების ეპიდემიოლოგიისა და ზედამხედველობის ტექნოლოგიის (GHOST) გამოყენებით“;
- ცენტრისა და CDC-ის ერთობლივი პროექტი „C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი პირების დაკავშირება შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებსა და მკურნალობასთან“;

- აშშ-ის CDC-ის მხარდაჭერით, 2020 წლიდან ხორციელდება პროექტი - „ვირუსული B და C ჰეპატიტების ზედამხედველობის გაძლიერება“, რომლის ფარგლებშიც, გრძელდება ზემოაღნიშნული ინფექციების ეპიდზედამხედველობა, როგორც სენტინელურ ბაზებზე, ასევე ქვეყნის მასშტაბით; შეფასდა მწვავე ვირუსული B ჰეპატიტის ზედამხედველობის პროცესი დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის (დზეის) ფარგლებში;
- C ჰეპატიტზე ახლადიდენტიფიცირებულ (სეროკონვერტირებული) მოზრდილ პირებში ჩატარდა ინფექციის რისკის ფაქტორების შემსწავლელი კვლევა.
- C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა „საქართველოში C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული დედებისგან დაბადებული ბავშვების მიდევნების/მონიტორინგის კვლევა“;
- ვირუსული B და C ჰეპატიტების და COVID-19-ის სეროპრევალენტობის კვლევა ქვეყნის მასშტაბით;
- „ენდოსკოპიური პროცედურების დროს C ჰეპატიტის გადაცემის რისკის შეფასება“.

C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნული პროგრამის პროგრესი

C ჰეპატიტის ვირუსის ელიმინაციის 2016–2020 წლების სტრატეგიული გეგმისა და საქართველოში ჰეპატიტის ელიმინაციის 2021–2025 წლების სტრატეგიულ გეგმის მიმართულებები:

1. HCV ინფექციასთან ასოცირებული ვირუსული ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება და ადვოკატირების, განათლებისა და პარტნიორობისათვის საჭირო რესურსების მობილიზება;
2. HCV ინფექციის გადაცემის პრევენცია ზიანის შემცირების, სისხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ინფექციის პრევენციისა და კონტროლის მეშვეობით;
3. ვირუსული ჰეპატიტით ინფიცირებულ პირთა იდენტიფიცირება და ზრუნვის კასკადში ჩართვა;
4. HCV ინფექციის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის გაუმჯობესება;
5. C ჰეპატიტის მკურნალობისა და ზრუნვის უზრუნველყოფა;
6. HCV ინფექციაზე ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესება.

2021 წლის ეროვნული სეროპრევალენტობის კვლევის შედეგები: 2015 წელს საქართველომ დაიწყო მსოფლიოში პირველად C ჰეპატიტის ვირუსის (HCV) ელიმინაციის პროგრამა, რომლის მიზანი იყო პრევალენტობის 90%-ით შემცირება. ინფექციის გავრცელების საბაზისო მონაცემის დასადგენად, საქართველომ იმავე წელს ჩაატარა პირველი ეროვნული წარმომადგენლობითი სეროპრევალენტობის კვლევა. 2015 წლის სეროპრევალენტობის კვლევამ გამოიყენა კომლის კვლევის დიზაინი (a household design), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18 წელზე უფროსმა 6 296 ზრდასრულმა. კვლევის შედეგად დადგინა, რომ ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 7.7%-ს ჰქონდა C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტისხეულები, საიდანაც 5.4% იყო ქრონიკული ინფექციის. გარდა ამისა, ქრონიკული B ჰეპატიტის ვირუსის პრევალენტობამ მოზრდილ მოსახლეობაში შეადგინა 2.9%. HCV-ის ექსპოზიციის რისკ-ფაქტორებიდან გამოიკვეთა ნარკოტიკების ინექციური მოხმარება და სისხლის ტრანსფუზია, ხოლო ქრონიკული HBV ინფექციის რისკ-ფაქტორებიდან აღსანიშნავი იყო სისხლის ტრანსფუზიისა და პათიმრობის ისტორია. მიღებული შედეგების მიხედვით, საქართველოში იმ დროისთვის ქრონიკული HCV ინფექციის მატარებელი 150 000 ადამიანი ცხოვრობდა. 2015 წლიდან მოყოლებული, საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამამ მიაღწია დიდ პროგრესს და მოახერხა მკურნალობაში ჩაერთო ინფიცირებულთა

სავარაუდო რიცხვის ნახევარზე მეტი - 76 000-ზე მეტი ადამიანი - და მიაღწია განკურნების 98,9%-იან მაჩვენებელს.

B ჰეპატიტის ვაქცინაცია პირველად ეროვნულ კალენდარში 2001 წელს შევიდა და ორი წლის შემდეგ, 2003 წელს მას **B** ჰეპატიტის სამშობიარო დოზა (HepB-BD) დაემატა. მას შემდეგ, ბავშვებში ვაქცინაციის მაჩვენებლები სტაბილურად მაღალია, განსაკუთრებით 2010 წლიდან (>90%). **B** ჰეპატიტის ვაქცინაცია აგრეთვე პრიორიტეტულია გარკვეული ზრდასრული პოპულაციისთვის (მაგ. სამედიცინო პერსონალი, **C** ჰეპატიტის პროგრამის ბენეფიციარები), მაგრამ პოპულაციური დაფარვის მაჩვენებლები დაბალია. ქრონიკული **B** ჰეპატიტით დაავადებული მოზრდილების ტესტირება და მკურნალობა, რომელთა რაოდენობაც 2015 წლის კვლევის საფუძველზე დაახლოებით 80 000 ადამიანს შეადგენს, რჩება შეზღუდული. ამის გათვალისწინებით, აღნიშნულის საპასუხოდ **B** ჰეპატიტი შევიდა საქართველოს ვირუსული ჰეპატიტის ელიმინაციის განახლებულ 2021-2025 წლების სტრატეგიაში.

საქართველოში **C** ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისა და **B** ჰეპატიტის ვაქცინაციის კუთხით გაწეულმა სამუშაოებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ამჟამინდელი საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაძლებლობების განვითარებაში, მათ შორის COVID-19-ის ეფექტური მართვისათვის საჭირო რესურსების მობილიზებისათვის. მიუხედავად ამისა, რჩება გამოწვევები HCV-ით ინფიცირებული პირების იდენტიფიცირებასა და მათი სამედიცინო სერვისებთან დაკავშირების კუთხით, განსაკუთრებით ზოგიერთ საკვანძო პოპულაციაში (მაგ., ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებში). HCV და HBV ელიმინაციის მიმართულებით პროგრესის მონიტორინგის მიზნით, მთავრობამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ცენტრის ხელმძღვანელობით აშშ-ის CDC-ის ვირუსული ჰეპატიტის განყოფილებასა და გლობალური იმუნიზაციის განყოფილებასთან პარტნიორობით 2021 წლის ივნისი-ოქტომბრის თვეში ჩაატარა **B** და **C** ჰეპატიტის მეორე ეროვნული სეროპრევალენტობის კვლევა. სეროპრევალენტობის კვლევა აგრეთვე მოიცავდა SARS-CoV-2-ს შესწავლას მოსახლეობაში.

2021 წლის სეროპრევალენტობის კვლევა მოიცავდა 5 წლის ასაკის ზემოთ ბავშვებსა და მოზრდილებს. კვლევის ძირითად მიზნებს წარმოადგენდა ბავშვებსა და მოზრდილებში **B** ჰეპატიტის ინფექციის ტვირთისა და გავრცელების, ინფექციასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორებისა და გეოგრაფიული განაწილების შეფასება და ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების დონისა და აღქმის შესახებ ინფორმაციის განახლება. კვლევის შედეგები ასევე მიმართული იყო ჯანმო-ს ვირუსული ჰეპატიტის ელიმინაციის მიზნებისკენ გაწეული პროგრესის გასაზომად.

კვლევის შედეგების ანალიზით, HCV რნმ-ის პრევალენტობა მოზრდილებში ამჟამად 1.8%-ია, რაც შეესაბამება ქრონიკული HCV ინფექციით დაავადებულ დაახლოებით 48 600 ადამიანს საქართველოში. 2015 წლიდან დღემდე **C** ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ინიცირების შედეგად დაფიქსირდა ქრონიკული HCV ინფექციის 67%-იანი შემცირება, ხოლო ანტი-HCV, ანტი-HBc და HBsAg-ის მაჩვენებლები მოზრდილ მოსახლეობაში შედარებით სტაბილური დარჩა. 2015 წლისგან განსხვავებით, ზემოაღნიშნულ კვლევაში ჩართული იყვნენ ბავშვებიც; კვლევის შედეგად **C** ჰეპატიტის ინფექციის გამოვლენა ბავშვთა პოპულაციაში არ მომხდარა, ხოლო ქრონიკული HBV ინფექცია მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოვლინდა, რაც ადასტურებს **B** ჰეპატიტის ვაქცინაციით კარგ მოცვასა და მოსახლეობაში **B** ჰეპატიტის კონტროლის რეგიონული მიზნების მიღწევას. პოპულაციის იმ ნაწილს შორის, ვინც იცის თავისი HCV დადებითი სტატუსის შესახებ, მკურნალობაში ჩართვის წილი გაიზარდა 28%-დან 80%-მდე. საგრძნობლად შემცირებულია HCV ინფექციის წილი ნარკოტიკის ინექციური

მოხმარების ისტორიის მქონე პოპულაციაში (51.1%-დან 17.8%-მდე). მიღებული შედეგები აჩვენებს მნიშვნელოვან პროგრესს საქართველოში HCV ელიმინაციის მიმართულებით და აგრეთვე B ჰეპატიტის რეგიონული მართვის მიზნების მიღწევასა და ვაქცინაციის პროგრამის წარმატებას.

სტრატეგიული მიმართულება 1. HCV-ის ინფექციასთან ასოცირებული ვირუსული ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება და ადვოკატირების, განათლებისა და პარტნიორობისათვის საჭირო რესურსების მობილიზება: საქართველოს მთავრობამ ხელი შეუწყო HCV ადრეული დიაგნოსტიკის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების საკომუნიკაციო კამპანიებს და ტესტირებისა და ეფექტიანი მკურნალობის უფასოდ ხელმისაწვდომობას საქართველოს ყველა მოქალაქისთვის. მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობით განხორციელდა აქტივობები სხვადასხვა მიმართულებით C ჰეპატიტის პროფესიული და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდისა და არადიაგნოსტირებული და არანამკურნალები პაციენტების აღმოჩენის მიზნით.

სტრატეგიული მიმართულება 2. HCV ინფექციის გადაცემის პრევენცია ზიანის შემცირების, სისხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ინფექციის პრევენციისა და კონტროლის მეშვეობით: ახალი HCV ინფექციების პრევენცია გადამწყვეტია ელიმინაციის მიზნების მისაღწევად. C ჰეპატიტის გადაცემის რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პრევენციას. ინფექციის ელიმინაციისათვის საჭიროა ერთიანი ძალისხმევა ასევე სხვა მიმართულებებითაც. მათ შორის არის HCV სერვისების ინტეგრაცია ზიანის შემცირების ცენტრებში, სერვისების მიწოდებისა და დაფარვის მონიტორინგი ნემსისა და შპრიცის გაცვლის პროგრამებსა (NSP) და ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობის (OST) პროგრამებში, ასევე ძლიერი სისხლის ბანკებისა და ინფექციის პრევენციისა და კონტროლის (IPC) პრაქტიკის შექმნა.

სტრატეგიული მიმართულება 3. ვირუსული ჰეპატიტით დაინფიცირებულ პირთა იდენტიფიცირება და ზრუნვის კასკადში ჩართვა: HCV ელიმინაციის მისაღწევად საჭიროა HCV-ის მაღალი ხარისხის სკრინინგის წარმადობის გაზრდა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში 75 000-ზე მეტი ადამიანი ჩაერთო მკურნალობის პროგრამაში და შედეგად მიღწეული იქნა განკურნების მაღალი მაჩვენებელი; მიუხედავად ამისა, პაციენტების ჩართვა მკურნალობის პროგრამაში დროთა განმავლობაში, მათ შორის COVID-19-ის პანდემიის გამო, შემცირდა. საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად დაისახა სამედიცინო სერვისებთან დაკავშირების ყველაზე ოპტიმალური მოდელის შემუშავება. პროგრამა მიზნად ისახავს, გააუმჯობესოს HCV შემთხვევების აღმოჩენა ზოგადი პოპულაციის სკრინინგით გზით, მაღალი რისკის მქონე პოპულაციების მიზნობრივი სკრინინგითა და აგრეთვე გაძლიერებული სკრინინგის წარმოებით რეგიონებში, სადაც HCV მაღალი გავრცელება არის დაფიქსირებული.

სტრატეგიული მიმართულება 4. HCV ინფექციის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის გაუმჯობესება: ხარისხიანი დიაგნოსტიკური სერვისების ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია C ჰეპატიტის ინფექციის მეთვალყურეობისათვის, ინფექციის ზუსტი და დროული გამოვლენისთვის, HCV-ით ინფიცირებულთათვის შესაბამისი სამედიცინო სერვისის უზრუნველსაყოფად და ინფექციისგან განკურნების დადასტურების მიზნით. დკსჯეც იყენებს თავის ლაბორატორიულ ქსელს მოსახლეობისათვის HCV სკრინინგზე ხელმისაწვდომობის გააუმჯობესების მიზნით და უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიის მქონე HCV სადიაგნოსტიკო და მონიტორინგის ტესტირების შემსრულებელი ლაბორატორიების ხარისხის გარე კონტროლს (როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში).

სტრატეგიული მიმართულება 5. C ჰეპატიტის მკურნალობისა და ზრუნვის უზრუნველყოფა: 2016 წლის ივნისიდან HCV-ით ინფიცირებულ ყველა პირს უფლება აქვს ჩაერთოს მკურნალობის პროგრამაში ღვიძლის დაზიანების სიმძიმის მიუხედავად. ანტივირუსული თერაპია უფასოა Gilead Sciences-თან პარტნიორობის მეშვეობით. თავდაპირველად, ყველა მონაწილე იღებდა სოფოსბუვირზე (SOF) დაფუძნებულ ანტივირუსული მკურნალობის რეჟიმს, ცალკე რიბავირინთან ან პეგილირებულ ინტერფერონთან და რიბავირინთან კომბინაციაში. 2016 წლის მარტის შემდეგ, პაციენტების უმრავლესობას უტარდება სოფოსბუვირის/ ლედიპასვირის (SOF/LED) რეჟიმით მკურნალობა. 2018 წლის დეკემბრიდან პაციენტებისთვის ხელმისაწვდომია პანგენოტიპური მკურნალობის რეჟიმი ველპატასვირ/სოფოსბუვირის (VEL/SOF) გამოყენებით.

სტრატეგიული მიმართულება 6. HCV ინფექციაზე ზედამხედველობის გაუმჯობესება: საქართველოში ვირუსული ჰეპატიტის ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სისტემა მოითხოვს ჯანდაცვის დაწესებულებების/ლაბორატორიების და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ ყოველი მწვავე ვირუსული ჰეპატიტის (HAV, HBV, HEV) შემთხვევის შესახებ სასწრაფო შეტყობინებას. ქრონიკული B ჰეპატიტი და მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტის შემთხვევების შეტყობინება ხდება სპეციალური აგრეგირებული ფორმის მეშვეობით ყოველთვიურად. EIDSS-ში რეგისტრირებული ინფექციური დაავადებების მწვავე და ქრონიკული შემთხვევები ავტომატურად გროვდება და საბოლოოდ ხვდება ყოველთვიურ ანგარიშში. გარდა ამისა, შემუშავდა მკურნალობის რეგისტრი და სკრინინგის მონაცემთა ბაზა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სკრინინგის რეალურ დროში მონიტორინგი. აღნიშნული ბაზები დაკავშირებულია საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში მონაწილე სხვა მონაცემთა ბაზებთან.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა: 2016 წლის აგვისტოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა სამეცნიერო საბჭო, რომელიც წარმოადგენს საქართველოს პარტნიორთა მრავალფეროვან ჯგუფს, მათ შორის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე პირებს, კლინიცისტებსა და მკვლევარებს. 2020–2021 წლებში საბჭომ განაგრძო პროგრამის მხარდაჭერა C და B ჰეპატიტთან დაკავშირებულ კვლევითი წინადადებების განხილვით და დამტკიცებით და მხარს უჭერდა მკვლევარებს დაფინანსების უზრუნველსაყოფად, IRB დამტკიცების მოპოვებაში, კვლევის განხორციელებაში, მონაცემთა ანალიზისა და ხელნაწერის წერის პროცესებში. სამეცნიერო კომიტეტი თანამშრომლობდა ჯანდაცვის სამინისტროს, დეკჯეც-ს, პროგრამის კლინიკურ საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კვლევითი პროგრამების საერთო ეფექტურობის გაზრდის მიზნით. გარდა ამისა, საბჭო მოწვეული მომხსენებლებისთვის წარმოადგენს მნიშველოვან პლატფორმას კვლევის შედეგების გასავრცელებლად. 2016 წლის აგვისტოდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში სამეცნიერო კომიტეტმა ჯამში განიხილა 80 კვლევა, რომელთაგან 72 დაამტკიცა. მათგან 12 დამტკიცდა 2020 წლის იანვრიდან 2021 წლის დეკემბრის პერიოდში.

ჰეპატიტის ტექნიკურ მრჩეველთა ჯგუფის (TAG) რიგით მე-5 რეკომენდაცია საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისათვის: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ აშშ-ის CDC-ის ვირუსული ჰეპატიტის განყოფილების ექსპერტებთან, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად გამართეს საქართველოს C ჰეპატიტის გარე ტექნიკურ მრჩეველთა ჯგუფის (TAG) რიგით მე-5 შეხვედრა. შეხვედრისას საერთო ჯამში TAG-ის წევრის პოზიციაზე ვირუსული ჰეპატიტის პრევენციისა და კონტროლის სფეროში მომუშავე თორმეტი ექსპერტი იყო ჩართული. განხილულ იქნა HCV ელიმინაციის პროგრამის პროგრესის მიმოხილვა 2015 წელს მისი დაწყების დღიდან, მათ

შორის ჩატარებული აქტივობების შესახებ პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში, საავადმყოფოებში HCV სერვისების დეცენტრალიზაციისა და ინტეგრაციისა და ზიანის შემცირების მიმართულებებით. აგრეთვე განხილვის საგანი იყო HCV-ის ელიმინაციის პროგრამის პროგრესი თემებზე, როგორცაა: ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლება, განათლებისა და HCV-თან ასოცირებული რესურსების მობილიზაციისთვის პარტნიორობის ხელშეწყობა; HCV გადაცემის პრევენცია: ზიანის შემცირება, სისხლის უსაფრთხოება და ინფექციის კონტროლი; HCV-ით ინფიცირებული მოვლის პირების იდენტიფიცირება და დაკავშირება; HCV-ის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის, ზრუნვისა და მკურნალობის, ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესების საკითხები. საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ყველა მიმართულებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი მიღწევის გამო ტექნიკურ მრჩეველთა ჯგუფი წარმატებულად აფასებს პროგრამას და მისი გასაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებებს.

C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა:

- 2021 წელს საქართველოს ყველა რეგიონში, ადგილობრივი თვითმმართველობების (მუნიციპალიტეტების) დაფინანსებით მიმდინარეობდა სამ დაავადებაზე - HIV, HCV, TB - ინტეგრირებული სკრინინგის პროექტი, ხოლო ქალაქ თბილისში აღნიშნული პროექტი მიმდინარეობდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში;
- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პირველად იქნა შესყიდული და ცენტრის ყველა ლაბორატორიაში და ააიპ “ზიანის შემცირების ქსელის“ ქვეკონტრაქტორ 4 დაწესებულებაში მიმდინარეობდა C ჰეპატიტზე კონფირმაციული კვლევა GenXpert პლატფორმის გამოყენებით, ასევე, აღნიშნული მეთოდით ააიპ “ზიანის შემცირების ქსელის“ ქვეკონტრაქტორ დაწესებულებებში მიმდინარეობდა C ჰეპატიტზე მდგრადი ვირუსული რეაქციის SVR 12/SVR 24 და მაღალი რისკის ბენეფიციართა შორის რეინფექციის კვლევები;
- ჰეპატიტების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით 24-28 ივლისის ჰეპატიტების კვირეულის ფარგლებში, შეიქმნა მობილური ჯგუფები, დაიგეგმა და აქტიურად განხორციელდა სკრინინგული კვლევები რეგიონების/მუნიციპალიტეტების დონეზე, სადაც გამოკვლეულ იქნა ასობით მოქალაქე;
- 2021 წელს C ჰეპატიტზე ჩატარებული ტესტირებების რაოდენობა სულ შეადგენს 764 477 (გამოკვლეულია 195,971 უნიკალური პირი), მათგან საექვო დადებითი აღმოჩნდა 8,354 (1.09%), უნიკალური გამოკვლეული პირების 4.2%, მათ შორის:

ა) ცენტრის ლაბორატორიებისა და გამსვლელი ბრიგადებით - 3 622 ბენეფიციარი, მათგან საექვო დადებითი აღმოჩნდა 50 (1.38%);

ბ) ამბულატორიული დაწესებულებების მიერ - 307 278 ბენეფიციარი, მათგან საექვო დადებითი აღმოჩნდა 3 487 (1.13%);

გ) „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - 39 931 ორსული, მათ შორის საექვო დადებითი აღმოჩნდა 245 (0.61%) მათგან კონფირმაცია ჩატარდა 55 შემთხვევაში, დადასტურდა 45;

დ) „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - 90 814 დონორი, მათ შორის საექვო დადებითი აღმოჩნდა 360 (0.40%), მათგან კონფირმაცია ჩატარდა 327 შემთხვევაში, აქედან დადასტურდა 184;

ე) არსებული ვალდებულების ფარგლებში სტაციონარული სამედიცინო

დაწესებულებების მიერ გამოკვლეული იქნა 322 278 ჰოსპიტალიზებული პაციენტი, მათ შორის საექვო დადებითი შედეგი გამოვლინდა 3 387 შემთხვევაში (1.13%);

ვ) 2021 წელს სულ ჩატარდა 7 782 კოფირმაციული კვლევა, საიდანაც ქრონიკული ინფექცია დაუდასტურდა 5 133 პირს. მკურნალობაში ჩაერთო 3 833 პირი.

ადამიანთა ცოფით დაავადების (ჰიდროფობიის) შემთხვევათა ეპიდზედამხედველობა: ცოფი რჩება ენდემურ დაავადებად საქართველოსთვის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დასახულია სტრატეგია - 2030 წლისთვის ნულამდე იქნეს დაყვანილი ძალიდან ადამიანზე ცოფის ვირუსის გადაცემის შემთხვევები. 2021 წელს დაფიქსირდა ადამიანის ცოფით დაავადების ერთი შემთხვევა, 2020 წელს ადამიანში ცოფის შემთხვევა არ აღრიცხულა. მიუხედავად ამისა, დაზარალებულთა რაოდენობის მაჩვენებელი ამ წლებში კვლავ მაღალი იყო. სამედიცინო დაწესებულებებში დაკბენილ, დადორბილ, დაკაწრულ (დაზარალებულ) მოქალაქეთა მიმართვების რაოდენობამ 2021 წელს შეადგინა 50304 (2020 წ. – 55891).

თანდაყოლილი სიფილისისა და აივ ინფექციის/შიდსის დედიდან შვილზე გადაცემის ელიმინაციისათვის მიმდინარეობდა ორსულთა და თანდაყოლილი სიფილისის შემთხვევების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ განხორციელებული ეპიდკვლევის მონიტორინგი. მომზადდა გაერთიანებული წლიური ანგარიში – WHO Joint Reporting Form 2021.

1.6. ანტიმიკრობული რეზისტენტობა და ნოზოკომიური ინფექციის პრევენცია და კონტროლი

2021 წელს ქვეყანაში დაავადებათა ზედამხედველობის ერთიან ელექტრონულ სისტემაში აღრიცხა ნოზოკომიური ინფექციის შესაძლო/სავარაუდო/დადასტურებული 720 შემთხვევა (2020 წ. - 402), რომელთაგან ლაბორატორიულად დადასტურდა 632 (87,7%). 2020 წ. დადასტურებული იყო 84,0%, უკუგდებულია 63 (8,9%). სავარაუდო სტატუსით რეგისტრირებულია 24 (3,4%). დადასტურებულ ნოზოკომიურ ინფექციათა შორის 395 (62,5%) არის ნოზოკომიური პნევმონია, 134 (21,2%) ნოზოკომიური ბაქტერიემია (სეფსისი), 42 (6,6%) ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია და 61 (9,7%) საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია. ნოზოკომიური ინფექციების შესაძლო არსებობის შესახებ შეტყობინება მიღებულია ქვეყანაში მოქმედი 110 მრავალპროფილური კლინიკიდან. გასული წლების ანალოგიურად, 2021 წელსაც ნოზოკომიური ინფექციების 60%-ზე მეტი აღრიცხულია 60 წელზე უფროსი ასაკის პაციენტთა შორის. თბილისის მოქმედი სტაციონარების მიერ დზეი-ს სისტემაში აღრიცხულ-რეგისტრირებულია 618 (85,8%) ნოზოკომიური ინფექციის შემთხვევა, ხოლო რეგიონებიდან 102 (14,2%), რომელთაგან ყველაზე მეტი (33) შეტყობინება მიღებულია აჭარის ა.რ. (29 შემთხვევა იმერეთიდან, მცხეთა-მთიანეთიდან 14, სამეგრელო-ზემო სვანეთიდან 13, გურიიდან 5, სხვა დანარჩენიდან 8). ამასთან 2021 წელს „ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის“ ნოზოკომიური დაავადებების კომპონენტის ფარგლებში, გრძელდებოდა ეპიდზედამხედველობა და ბაქტერიოლოგიური კვლევებით კლინიკებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები. პროგრამაში მონაწილე კლინიკებიდან სულ შემოვიდა 305 შეტყობინება, საიდანაც 188 შემთხვევა (61,7%) დადასტურდა. წარმოდგენილი კლინიკური ნიმუშებიდან იდენტიფიცირებულ იქნა 244 პათოგენური ბაქტერია. სასუნთქი სისტემიდან (ნახველი, ტრაქეის ასპირატი) – 168 (69%)

პათოგენი, საშარდე სისტემიდან - 17 (7%) პათოგენი, სისხლიდან - 44 (18%) პათოგენი, ჭრილობის ნაცხიდან - 14 (6%) . ნოზოკომიური ინფექციის ძირითადი გამომწვევი მიკრობის რაოდენობის პროცენტული რაოდენობისა განაწილება ასეთია: *Acinetobacter baumannii* – 43%, *Pseudomonas aeruginosa* და *Klebsiella pneumoniae* 15-15%, *Staphylococcus aureus* და *Candida spp.* 9-9% და *Escherichia coli* 8%. საანგარიშო წელს სტაციონარების/კლინიკების მიერ ნოზოკომიური ინფექციების აღრიცხვიანობის გაუმჯობესება უნდა უკავშირდებოდეს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ინფექციური კონტროლის მონიტორინგის გააქტიურებას, COVID-კლინიკებად მომუშავე მრავალპროფილური კლინიკების ფუნქციის აღდგენასა და კლინიკების მოწადინებას, რომ უზრუნველყონ პაციენტთა ანტიბიოტიკებით მიზანმიმართული მკურნალობა.

2021 წელს სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ ნოზოკომიურ ინფექციებში ცალკეული ნოზოლოგიების მიხედვით რეგისტრირებულ შემთხვევათა ხვედრითი წილი პრაქტიკულად გასული წლების შედეგების ანალოგიურია.

სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებული ნოზოკომიური ინფექციების რაოდენობა (საშარდე გზების, ნოზოკომიური პნევმონია, სეფსისი და ქიჩ -მი), 2019-2021

წელი	თვეები												სულ
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
2021	46	61	44	47	54	55	52	58	69	63	77	61	687
2020	45	29	24	35	24	40	35	28	17	20	11	34	342
2019	43	44	55	57	53	47	53	56	37	38	61	42	586

1.7. უსაფრთხო სისხლის სისტემის განვითარება და გაძლიერება

უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამის მიზანს წარმოადგენს ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია და საქართველოს მასშტაბით სისხლის კომპონენტების თანაბარი სტანდარტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ფასიანი დონორობის ინსტიტუტის ეტაპობრივი ჩანაცვლება უანგარო, რეგულარული დონორობის სისტემით.

- დონორული სისხლის კვლევას B და C ჰეპატიტებზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და სიფილისზე ახორციელებდა საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის საქმიანობის ლიცენზიის მქონე 23 სისხლის ბანკი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში განხორციელდა 90 509 დონაცია, მათგან 38 630 (43%) იყო ფასიანი დონორი, 14 559 (16%) - ნათესავი და 37 320 (41%) - უანგარო დონორი. დონორული სისხლის ნიმუშების კვლევისას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა აივ-ინფექცია/შიდსზე სავარაუდო დადებითი 59 შემთხვევა, C ჰეპატიტზე სავარაუდო - 357, B ჰეპატიტზე - 534, ხოლო სიფილისზე კვლევისას 498 სავარაუდო შემთხვევა;
- პროგრამის ფარგლებში ტარდება სისხლის დონორებში C ჰეპატიტზე სკრინინგით საექვო-დადებითი შემთხვევების კონფირმაციული კვლევა HCV Cor-Ag მეთოდით, ხოლო უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, ნიმუშების კვლევას - HCV რნმ პჯრ მეთოდით (მათ შორის იმ სისხლის ბანკებში, რომლებიც ფლობენ საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის საქმიანობის ლიცენზიას, არ წარმოადგენენ პროგრამით განსაზღვრული სერვისების მიმწოდებლებს, მაგრამ წერილობით დაუდასტურებენ განმახორციელებელს ამ კომპონენტში მონაწილეობის სურვილს). აღნიშნული კვლევების ფარგლებში, იანვარი-დეკემბრის თვეებში დონორთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულია 90 814 დონაცია, მათგან საექვო დადებითი აღმოჩნდა 360 (0,4%),

აქედან კონფირმაცია ჩატარდა 239 შემთხვევაში, რომელთაგან დადასტურდა 141 შემთხვევა.

- NAT (ნუკლეინის მჟავას ტესტირების) მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ცენტრის მიერ დონორთა სისხლის ცენტრალიზებულად კვლევის ფარგლებში 2021 წელს ტესტირებულია 90 000-ზე მეტი დონორული სისხლის ნიმუში, სხვადასხვა მიზეზით შეუსაბამო ნიმუშების საერთო რაოდენობა შეადგენდა 150-ზე მეტ შემთხვევას, შეუსაბამობების დიდი წილი მოდის B ჰეპატიტზე. აივ ინფექციაზე დაფიქსირებულია სამი შემთხვევა;
- ხარისხის გარე კონტროლის ფარგლებში, პროგრამაში ჩართული სისხლის ბანკების მიერ პროფესიული პანელების ტესტირება ხდებოდა საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე რეფერენს ლაბორატორიებთან (ESfEQA/Riqas) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ყოველ 3 თვეში ერთხელ. პროგრამის მიმწოდებელმა ყველა სისხლის ბანკმა ცენტრში წარმოადგინა საერთაშორისო სტანდარტებით აკრედიტებული რეფერენს ლაბორატორიიდან (ESfEQA/RIQAS) მიღებული რეფერენს მასალაზე ჩატარებული კვლევები, კვლევის შედეგები და მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები. წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზის შედეგად გამოვლინდა განსხვავებული შედეგები 5 სისხლის ბანკში, რომელთაც მიეცათ სათანადო რეკომენდაციები ამ შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად;
- ცენტრის მიერ განხორციელდა ხარისხის გარე კონტროლის მიზნებისთვის რეფერენს მასალის ე.წ. პანელების დასამზადებლად საჭირო ნიმუშების, დამუშავება, რომელთაგან დამზადდა და საწარმოო ტრანსფუზიოლოგიურ დაწესებულებების 17 ლაბორატორიას დაურიგდა ცენტრის მიერ დამზადებული პროფესიული ტესტირების 4 ნიმუშისგან შემდგარი თვისობრივი პანელი თანდართული დოკუმენტაციით, მეორე ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 18 სისხლის ბანკმა, დარიგდა 5 პროფესიული პანელი სხვადასხვა ინფექციურ მარკერზე. იქ, სადაც დაფიქსირდა შეუსაბამო პასუხები, ჩატარდა ტესტირების პროცედურების მთელი ციკლის შემოწმება და სათანადო რეკომენდაციების მიწოდება პრობლემის აღმოსაფხვრელად;
- ხარისხის გარე კონტროლის ჩატარების მიზნით განხორციელდა სისხლის ბანკებიდან ნიმუშების შერჩევითად ამოღება და ბარკოდირება. ამოღებული ნიმუშების რაოდენობა შეადგენდა 1500. ალიქვოტები ტრანსპორტირებულ იქნა ცენტრის ლაბორატორიაში, საკონტროლო ლაბორატორიული კვლევის ჩასატარებლად B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და სიფილისზე. ტრანსპორტირება განხორციელდა სსკ-ში აღწერილი პროცედურის სრული შესაბამისობით (კრიოყუთები/„ცივი ჯაჭვი“).
- 2021 წელს დასრულდა “ადამიანის სისხლის და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ” კანონპროექტზე მუშაობა და წარედგინა საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტში მისი დამტკიცების ინიცირებისთვის.
- ევროკავშირთან დატყუპების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სისხლის სისტემის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მომზადება, ასევე რეფორმირების გეგმის დამუშავება, პარალელურად მიმდინარეობს სპეციალისტების გადამზადება სისხლის უსაფრთხოების სხვადასხვა მიმართულებით. სისხლის ბანკებმა ცენტრში წარმოადგინეს საერთაშორისო სტანდარტებით აკრედიტებული რეფერენს ლაბორატორიიდან (ESfEQA/RIQAS) მიღებული რეფერენს მასალაზე ჩატარებული კვლევები, კვლევის შედეგები და მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

1.8. იმუნიზაცია

გეგმიური იმუნიზაცია: ქვეყნის მასშტაბით 2021 წლის განმავლობაში ასაცრელ ბავშვთა სამიზნე ასაკობრივმა ჯგუფებმა შეადგინა:

	2021
სავარაუდო შობადობა	45531
0-12 თვის ბავშვთა კონტინგენტი	42479
12-24 თვის ბავშვთა კონტინგენტი	41965
18-24 თვის ბავშვთა კონტინგენტი	39841
5 წ.-5 წ. 11 თვ. 28 დღის ასაკის ბავშვთა კონტინგენტი	50005
10-11-12 წლის გოგონები	36685
14 წლის ბავშვთა კონტინგენტი	40891

საანგარიშო პერიოდში (01.01.2021 - 01.01.2022) აცრებით მოცვის ძირითადმა მაჩვენებლებმა შეადგინა:

- ბცჟ (ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინა) – 96%;
- ჰეპატიტი B ვაქცინა – 95%;
- დყატ+ჰეპB+ჰიბ+იპვ 3 (ჰექსაქსიმი 1 წლამდე ბავშვებში) – 85%;
- დყატიპვ რ1- (ტეტრაქსიმი 18 თვის ასაკის ბავშვები) – 92%;
- დყატიპვ რ2-(ტეტრაქსიმი 5 წლის ასაკის ბავშვები) – 80%;
- წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინაცია (12 თვე) 1 – 90%;
- წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინაცია (5 წელი) 2 – 81%;
- ტდ (14 წელი) – 65%;
- როტა 2 (1 წლამდე ბავშვებში) – 76%;
- პკვ 3 (1 წლამდე ბავშვებში) - 82%;
- აპვ1 – 24%;
- აპვ2 - 24%.


2021 წლის განმავლობაში:

- ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ ჩატარებულია (სამშობიარო + 1 წლამდე ასაკი) 43 779 აცრა, დაიხარჯა 115 975 დოზა ბცჟ ვაქცინა, ვაქცინის დანაკარგის კოეფიციენტი 2,65;
- ჰეპატიტი B საწინააღმდეგოდ (სამშობიარო) ჩატარებულია 44 030 აცრა, დაიხარჯა 45 790 დოზა ჰეპატიტი B მონოვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.04;
- დყატ+ჰეპB+ჰიბ +იპვ (ჰექსა) ვაქცინით ჩატარებულია (2 თვე – 2 წლამდე ბავშვები) 118 580 აცრა, დაიხარჯა 119 238 დოზა ჰექსა ვაქცინა. ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.01;
- დიფთერია-ყივანახველა-ტეტანუსი-პოლიომიელიტის (დყატიპვ) საწინააღმდეგო ვაქცინით (1–14 წლამდე) ჩატარებულია 82 510 აცრა – დაიხარჯა 84 754 დოზა ტეტრა ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.03;
- ტეტანუსი–დიფთერიის (ტდ) საწინააღმდეგოდ (>14 წელი) 37 372 აცრა, დაიხარჯა 55 088 დოზა ტდ ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.47;
- წითელა-წითურა-ყბაყურას (წწყ) საწინააღმდეგოდ (1–14 წელი და უფროსი) ჩატარებულია 83 840 აცრა, დაიხარჯა 103 080 დოზა წწყ ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.23;
- როტა ინფექციის საწინააღმდეგოდ (12–24 კვირა) ჩატარებულია 67 916 აცრა, დაიხარჯა 70 168 დოზა როტა ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.03;
- პნევმოკოკის საწინააღმდეგოდ (2 თვე – 5 წლამდე ბავშვები) ჩატარებულია 113 188 აცრა, დაიხარჯა 125 154 დოზა პნევმოკოკური ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.11;
- ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგოდ (აპვ) ჩატარებულია 16 957 აცრა, დაიხარჯა 17 579 დოზა ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელი - 1.04.


გასულ საანგარიშო წელთან შედარებით აცრებით მოცვის მაჩვენებლების სხვაობა ანტიგენტა უმრავლესობისათვის.

	2021	2020	სხვაობა
ბცჟ	96	96	0
ჰეპ0	95	96.5	-1.5
დცტ+ჰეპბ+ჰიბ+იპვ 3 (ჰეჟსა)	85	88.4	-3.4
წწყ 1	90	91	-1
წწყ 2	81	78	3
ტეტრა 1	92	71	21
ტეტრა 2	80	65	15
ტდ	65	65	0
როტა2	76	75	1
ჰკვ3	82	82	0
აპვ1 (10-11-12 წლის გოგონები)	24	18	6
აპვ2 (10-11-12 წლის გოგონები)*	24	24	0

დასახული წლიური 95%-იანი მიზანი, გარდა ბცჟ და ჰეპბ0-ისა, ვერ იქნა მიღწეული დანარჩენი ანტიგენტებით მოცვაში, თუმცა მაჩვენებლები გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესებულია ზოგიერთი ანტიგენტის მიმართ (წწყ2, ტეტრა 1, ტეტრა 2, როტა 2, აპვ 1).




რეგიონების მიხედვით ჰეჟსავალენტური ვაქცინის მესამე დოზით მოცვის საშუალო მაჩვენებელი თითქმის ყველა რეგიონში 90%-ზე დაბალია.




მუნიციპალიტეტების მიხედვით ჰექსავალენტური ვაქცინის მესამე დოზით მოცვის მაჩვენებლები ვარირებს 55.5%-100%-ის დიაპაზონში. ქვედა ზღვარი 2.5%-ით მეტია, ხოლო ზედა ზღვარი 32%-ით ნაკლებია 2020 წელთან შედარებით (2020-ში, შესაბამისად, იყო 53% და 132.2%). 80%-ზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა ანგარიშმგებელ ერთეულთა 32% (21 რაიონი) (2020 წელს, შესაბამისად, 21,5% და 14 რაიონი). გასულ წელთან შედარებით არც ერთ რაიონში არის მონაცემი 100%-ზე მაღალი მოცვის შესახებ (2020 წ ასეთი იყო 9 რაიონი, რომელთა მოცვა აღემატება 100%-ს), რაც მეტყველებს უფრო დაზუსტებული კონტიგენტის არსებობაზე, ვიდრე ეს 2020 წ. იყო.

2021 წელს პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო აცრების მესამე დოზით მოცვა ეროვნულ დონეზე წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა. ეს მაჩვენებელი მომატებულია 4 რეგიონში (აჭარა, კახეთი, ქვ.ქართლი და სამცხე-ჯავახეთი), დანარჩენ 7 რეგიონში დაფიქსირდა მაჩვენებლის კლება.




მუნიციპალიტეტების მიხედვით 2021 წლის განმავლობაში ჰკვ3-ით მოცვის მაჩვენებლების დიაპაზონი ვარირებს 55,2-100%-ის ფარგლებში (2020 წელს - 55.6%-147.7%). 100%-ზე მაღალი მოცვა არ აღირიცხება (2020 წ. - შესაბამისად 6 (9.2%)). ჰკვ3-ით 80%-ზე მაღალი მოცვა ვერ განხორციელდა 19 მუნიციპალიტეტში, რაც ანგარიშმგებელ ერთეულთა 29%-ს შეადგენს (2020 წელს იყო 19 - 29%).

2020 წელთან შედარებით, ქვეყანაში, კლებაა დაფიქსირებული წწყ1 და წწყ2 აცრებით მოცვაში (შესაბამისად 1%-ით და 3%-ით). 24 თვემდე ასაკში წწყ1-ით მოცვის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირებულია თბილისის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში.




მუნიციპალიტეტების მიხედვით წწყ1 აცრებით მოცვა ვარირებს 60.7%-100% ფარგლებში (მინიმალური - ყაზბეგში, მაქსიმალური - 5 მუნიციპალიტეტში). წწყ1 აცრებით მოცვის 80%-ზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 7 (10.7%) (2020 წ. იყო 5 (7,7%)) ანგარიშმგებელ ერთეულში. გასულ წელთან შედარებით წწყ2-ით მოცვის მაჩვენებელი გაუმჯობესდა.




წწყ2 აცრებით მოცვის მაჩვენებლები მუნიციპალიტეტების მიხედვით 60.1%-100%-ის (2020 წ - 54,8-117,1%) ფარგლებშია. მოცვის 80%-ზე დაბალი მაჩვენებელი აღირიცხა 15 (23%) (2020 წ. - 25 (38,5%)) მუნიციპალიტეტში.

2021 წელს უმნიშვნელოდ მოიმატა (1%) პირველადი კურსის დასრულების დროულობამ, რომლის გაანალიზების საშუალებას იძლევა როტავირუსის საწინააღმდეგო აცრებით მოცვის მაჩვენებლები. თუ 2020 წელს როტა2-ით მოცვამ 75% შეადგინა, 2021 წელს იყო 76%.




რაიონების მიხედვით აცრების კურსის დროული დაწყება კი, ანუ როტა1 აცრებით მოცვა, 53.6%-100%-ში (2020 წ. - 52,0%-131,7%) ვარიირებს.

10-11-12 წლის გოგონებში ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრებით მოცვამ შეადგინა: აპვ1-ისთვის - 24% და აპვ2-ით - 24%. რეგიონების მიხედვით აპვ 2 საუკეთესო მოცვაა მიღწეული აჭარის (66%), კახეთის (64%) და რაჭა-ლეჩხუმის (53%) რეგიონებში.



ვაქცინაციის პირველადი კურსიდან (ჰექსა1/ჰექსა3) ბავშვთა დანაკარგის ეროვნული მაჩვენებელი 2020 წელთან შედარებით გაიზარდა და შეადგინა 12%, რაც 2%-ით აჭარბებს რეკომენდებულ ფარგლებს (10%) (2019 – 6,6%, 2020 – 7,6%). მუნიციპალიტეტების დონეზე 27 მათგანში (41%) აღინიშნება 10%-დან -25%-მდე ბავშვთა დანაკარგის მაჩვენებელი.



2021 წლის განმავლობაში დაბადებულ და 1 წლამდე ასაკში სამედიცინო აღრიცხვაზე აყვანილ ბავშვთა შორის დანაკარგები რეკომენდებულის ფარგლებშია და 5.8%-ს შეადგენს. (დაიბადა 43 779 ბავშვი, ჰექსა 1 ჩაუტარდა 41 208).

2021 წლის განმავლობაში რუტინული ვაქცინაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენის შესახებ ინფორმაცია დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებულ სისტემაში არ არის დაფიქსირებული.

სტრატეგიული ვაქცინები და შრატები: 2021 წლის განმავლობაში საჭიროების მიხედვით გამოყენებული სტრატეგიული ვაქცინებისა და შრატები:

- დიფთერიის საწინააღმდეგო შრატის 0 კომპლექტი. დიფთერიის შემთხვევა არ დაფიქსირებულა;
- ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი (ადამიანის) დაიხარჯა 36 ფლაკონი, დაფიქსირდა 2 ტეტანუსის ერთი შემთხვევა;
- გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი მოხმარდა 21 დაზარალებულს, დაიხარჯა 22 ფლაკონი;
- ანტიბოტულინური შრატი: A ტიპი – 7, B ტიპი – 7, E ტიპი - 7 კომპლექტი, დაფიქსირებულია 7 შემთხვევა.
- ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინა - 680 დოზა, აცრა ჩაუტარდა 680 ბენეფიციარს;
- ანტირაბიული იმუნოგლობულინი მოხმარდა 9080 ბენეფიციარს, რაზეც დაიხარჯა 22343 ფლაკონი;
- ანტირაბიული ვაქცინით აცრა ჩაუტარდა 50304 ბენეფიციარს, გაიხარჯა 188789 დოზა ვაქცინა.

2021 წელს ქვეყანაში ბავშვთა კონტინგენტის აცრებით მოცვა რეგიონების მიხედვით

	ბცმ 1 წელი	ჰეპB 0 2 თვემდე	ჰეპსა3	როტა 2	პკვ3	ტეტრა1	ტეტრა2	წწყ1	წწყ2	აპვ1	აპვ2	ტდ
აჭარა	94.6%	97.3%	89.2%	78.8%	93.4%	92.9%	93.6%	91.7%	93.7%	71.7%	66.0%	69.7%
კახეთი	96.2%	98.6%	83.3%	79.2%	89.0%	91.3%	88.6%	93.2%	89.5%	43.7%	63.7%	81.0%
იმერეთი	94.8%	95.9%	85.9%	74.0%	77.5%	96.0%	81.2%	92.2%	82.4%	22.9%	23.2%	67.0%
სამეგრელო	94.9%	96.8%	81.1%	70.5%	78.4%	88.0%	80.2%	85.2%	84.0%	33.7%	36.3%	69.3%
შიდა ქართლი	98.7%	97.7%	80.1%	74.8%	81.1%	89.9%	76.7%	92.2%	76.3%	28.8%	34.1%	48.3%
ქვემო ქართლი	97.8%	98.2%	81.7%	69.1%	75.6%	86.4%	82.1%	87.5%	81.1%	18.7%	18.9%	43.6%
გურია	100.0%	97.8%	81.7%	68.3%	76.5%	86.5%	83.5%	85.7%	79.9%	27.8%	31.6%	67.5%
ქ.თბილისი	96.4%	92.0%	86.4%	77.7%	80.0%	94.6%	74.3%	89.3%	75.5%	16.1%	11.8%	65.8%
სამცხე- ჯავახეთი	95.0%	98.6%	89.9%	80.0%	85.5%	90.5%	89.0%	95.8%	90.8%	22.1%	20.9%	79.3%
მცხეთა- მთიანეთი	30.8%	26.9%	86.9%	78.6%	83.0%	89.9%	80.6%	92.2%	88.9%	18.2%	19.4%	65.3%
რაჭა-ლეჩხუმი	93.0%	100.0%	88.2%	66.4%	90.1%	87.9%	90.9%	97.2%	92.5%	66.2%	52.7%	87.6%
სულ	96%	95%	85%	76%	82%	92%	80%	90%	81%	24%	24%	65%

COVID-19-ის ვაქცინაციის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენები (იშგამი): 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში ჯამურად ჩატარდა 2 514 871 აცრა. აქედან ფორმა 58-ით აღრიცხულია იშგამ-ის 1929 შემთხვევა.

15.03.2021-დან - 01.01.2022-მდე აღრიცხული იშგამების გადანაწილება ვაქცინების მიხედვით

ვაქცინა	I დოზა	II დოზა	III დოზა	ჯამი	სულ ადმინისტრირებული დოზები
PFIZER	614	431	32	1077	I დოზა 713 497, II დოზა 633 425, III დოზა 66 151, IV დოზა 1 336
ASTRAZENECA	310	54	0	364	I დოზა 61 532, II დოზა 59 914
SINOPHARM	256	91	0	347	I დოზა 400 461, II დოზა 353 805 , III დოზა 5 682
SINOVAC	107	34	0	141	I დოზა 114 439, II დოზა 102 804, III დოზა 1 632

აღრიცხული იშგამ-ების გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკი	რაოდენობა	%
16-19	54	2.8%
20-29	376	19.5%
30-39	338	17.5%
40-49	289	15%
50-59	310	16.1%
≥60	562	29.1%

01.01.2022-ის მდგომარეობით 1929 შემთხვევიდან სერიოზულად მიჩნეულია 206 შემთხვევა, საიდანაც 177 პაციენტი იყო ჰოსპიტალიზებული (48 - სტაციონარი, 129 – დღის სტაციონარი). ჰოსპიტალიზირებულთაგან 6 შემთხვევაში დაფიქსირდა ლეტალური გამოსავალი, 1 პაციენტი გარდაიცვალა ბინაზე.

სერიოზული იშგამ-ების გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკი	რაოდენობა	%
16-19	4	1.9%
20-29	39	18.9%
30-39	48	23.4%
40-49	39	18.9%
50-59	31	15%
≥ 60	45	21.9%

სერიოზული იშგამ-ების გადანაწილება ვაქცინების მიხედვით

ვაქცინა	რაოდენობა	%
PFIZER	57	27.7%
ASTRAZENECA	38	18.4%
SINOPHARM	77	37.4%
SINOVAC	34	16.5%

15.03.2021-დან - 01.01.2022-მდე აღრიცხული იზგამები ლეტალური გამოსავლით

ასაკი	სქესი	ვაქცინა	დოზა	აგრის თარიღი	გარდაცვალების თარიღი
28წ.	მდ.	AstraZeneca	I	18.03.2021	19.03.2021
54წ.	მდ.	AstraZeneca	I	16.03.2021	30.03.2021
62წ.	მდ.	Pfizer	I	16.04.2021	19.04.2021
51წ.	მამრ.	AstraZeneca	I	02.06.2021	19.06.2021
63წ.	მამრ.	Sinovac	II	14.06.2021	16.06.2021
65წ.	მამრ.	Sinopharm	I	22.07.2021	08.08.2021
75წ.	მამრ.	Sinopharm	II	14.09.2021	26.09.2021

**ბოლო ლეტალურ ქეისთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია ცნობილი გახდება კლინიკიდან სამედიცინო დოკუმენტაციის მიღების შემდეგ*

01.01.2022-ის მდგომარეობით, იმუნიზაციის უსაფრთხოების ექსპერტთა ეროვნულმა კომიტეტმა, სულ განიხილა 152 შემთხვევა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად, რომელთაგანაც 96 - იმუნიზაციასთან მიზეზობრივ კავშირთან თავსებადია (აქედან 51 იყო დაკავშირებული იმუნიზაციისადმი შიშთან, 45 კი - ვაქცინურ პროდუქტთან დაკავშირებული რეაქცია), ხოლო 34 - არათავსებადი. 20 შემთხვევა კლასიფიცირდა როგორც გაურკვეველი. 1 შემთხვევის კლასიფიკაცია შეუძლებელია, ადეკვატური ინფორმაციის არარსებობის გამო. 7 გარდაცვალებიდან 5 - იმუნიზაციასთან მიზეზობრივ კავშირთან არათავსებადია. 1 შემთხვევა ჯერ არ განხილულა კომიტეტის მიერ. 1 შემთხვევის განხილვა კი შეჩერებულია, კომიტეტში დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენამდე.

15.03.2021-დან - 01.01.2022-მდე ყველაზე ხშირად აღრიცხული იზგამ-ები ვაქცინების მიხედვით

იზგამი	Pfizer BioNTech	Astrazeneca	Sinopharm	Sinovac	ჯამური რაოდენობა
ცხელება ≥ 38	311	151	46	18	526
ტემპერატურის მატება < 38	274	66	58	20	418
ლიმფადენოპათია	42	2	2	0	46
ალერგიული რეაქციები (ანგიონევროზული შეშუპება, გამონაყარი და ა.შ)	106	34	72	25	237
სავარაუდო ანაფილაქსია	1	3	6	1	11
ართრალგია	191	60	37	11	299
მიალგია	106	52	28	10	196
არტერიული ჰიპერტენზია	50	30	41	13	134
შემცივნება-მსგავსი მოვლენა	53	63	18	9	143
საერთო სისუსტე	241	64	74	35	414
ტკივილი და შეშუპება ინექციის მიდამოში	235	80	20	12	347
თავის ტკივილი	201	69	59	30	359
სინკოპე და კოლაფსი	19	7	10	9	45
სხვა (დაავადების გამწვავება, თავბრუსხვევა, გულისრევა, ღებინება, დიარეა, არტერიული ჰიპოტენზია,	812				

ტაქიკარდია, დაბუჟება,
დადასტურებული COVIDი და ა.შ)

**ანაფილაქსიის შემთხვევების რაოდენობა არის სავარაუდო, ვინაიდან ტრიპტაზის ანალიზი რიგ შემთხვევებში არ ჩატარებულა*

ცალკეული იზგამების მაჩვენებლები 100 000 დოზაზე ვაქცინების მიხედვით

იზგამი	Pfizer BioNTech	Astrazeneca	Sinopharm	Sinovac	ჯამური რაოდენობა
ცხელება ≥ 38	22.0	124.3	6.1	8.2	20.9
ტემპერატურის მატება < 38.3	19.4	54.3	7.6	9.1	16.6
ლიმფადენოპათია	3.0	1.6	0.3	0	1.8
ალერგიული რეაქციები (ანგიონევროზული შეშუპება, გამონაყარი, ა.შ)	7.5	28.0	9.5	11.4	9.4
სავარაუდო ანაფილაქსია	0.1	2.5	0.8	0.5	0.4
ართრალგია	13.5	49.4	4.9	5.0	11.9
მიალგია	7.5	42.8	3.7	4.6	7.8
არტერიული ჰიპერტენზია	3.5	24.7	5.4	5.9	5.3
შემცივება-მსგავსი მოვლენა	3.7	51.9	2.4	4.1	5.7
საერთო სისუსტე	17.0	52.7	9.7	16.0	16.5
ტკივილი და შეშუპება ინექციის მიდამოში	16.6	65.9	2.6	5.5	13.8
თავის ტკივილი	14.2	56.8	7.8	13.7	14.3
სინკოპე და კოლაფსი	1.3	5.8	1.3	4.1	1.8
სხვა (დაავადების გამწვავება, თავბრუსხვევა, გულისრევა, ღებინება, დიარეა, არტერიული ჰიპოტენზია, ტაქიკარდია, დაბუჟება, დადასტურებული COVIDი და ა.შ.)	32.3				

მსუბუქი და სერიოზული იზგამების რაოდენობები ვაქცინების მიხედვით

ვაქცინა	მსუბუქი იზგამების რაოდენობა	სერიოზული იზგამების რაოდენობა	ჯამური რაოდენობა
PFIZER	2089	57	2146
ASTRAZENECA	776	38	814
SINOPHARM	603	77	680
SINOVAC	263	34	297

**ცხრილში ასახულია არა ცალკეული შემთხვევების, არამედ იზგამების რაოდენობა (ერთ ბენეფიციარს შესაძლოა განუვითარდეს ერთდროულად რამდენიმე იზგამი)*

მსუბუქი და სერიოზული იშვამების მაჩვენებლები ვაქცინების მიხედვით 100 000 დოზაზე

ვაქცინა	მსუბუქი იშვამების მაჩვენებელი 100 000 დოზაზე	სერიოზული იშვამების მაჩვენებელი 100,000 დოზაზე	ჯამურად მსუბუქი და სერიოზული იშვამების მაჩვენებელი 100 000 დოზაზე
PFIZER	147.7	4.0	151.7
ASTRAZENECA	639.0	31.3	670.3
SINOPHARM	79.3	10.1	89.5
SINOVAC	120.2	15.5	135.7

იშვამების პროცენტი 2 514 871 დოზაზე - 0,1%. სერიოზული იშვამების პროცენტი 2 514 871 დოზაზე - 0,01%.

2021-2022 წლის სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია: სახელმწიფოს მიერ შესყიდული იქნა 200 000 დოზა ოთხკომპონენტური SANOFI PASTEUR-ის წარმოების სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა (VaxigripTetra™) მძიმე გართულებების განვითარების რისკის ქვეშ მყოფი პირების, სავალდებულო იმუნიზაციას დაქვემდებარებული პროფესიული რისკის ჯგუფებისა და სხვა პრიორიტეტული ჯგუფებისთვის. 2021-2022 წლის სეზონზე აცრილთა რაოდენობამ შეადგინა 197 600 ბენეფიციარი, სტრატეგიული მარაგის სახით დატოვებული იქნა 2 400 დოზა გრიპის ვაქცინა.

197 600 აკრილი ბენეფიციარის განაწილება რისკჯგუფების მიხედვით და მოცვის მაჩვენებლები


	რისკჯგუფების ჩამონათვალი	ასაცრელი კონტინგენტი	აკრილთა რაოდენობა	მოცვა %
1	დიაბეტის მქონე პირები	51400	19991	38.9
2	დიალიზზე მყოფი პირები	3025	2519	83.3
3	მოხუცებულთა და ბავშვთა სახლები	1824	1025	56.2
4	მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლები	1116	620	55.6
5	C ჰეპატიტის მქონე პირები	2232	394	17.7
6	ორსულები	12322	1690	13.7
7	აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები	3752	2308	61.5
8	> 60 წ. ხანდაზმული პირები	555900	57138	10.3
9	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები	54100	13002	24.0
10	ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები	400	315	78.8
11	ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი	64000	34890	54.5
12	ვეტერინარიასა და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი	1543	784	50.8
13	ბაგა-ბაღებსა და საბავშვო ბაღების პედაგოგები, აღმზრდელები, სხვა პერსონალი	28700	7921	27.6
14	რისკჯგუფების ოჯახის წევრები და სხვა	46203	46203	100.0
15	თავდაცვის სამინისტროს კონტინგენტი	8500	8500	100.0
16	პენიტენციური სამსახური	300	300	100.0
	ჯამი	835317	197600	23.7

პოლიომიელიტი და მწვავე დუნე დამბლებზე (მდდ) ეპიდზედამხედველობა: საქართველოს ტერიტორიაზე 2021 წლის განმავლობაში ველური ვირუსით გამოწვეული პოლიომიელიტის არცერთი შემთხვევა დაფიქსირებულა. აღმოჩენილი და შესწავლილია მწვავე დუნე დამბლის 7 შემთხვევა 0-15 წლამდე ასაკის კონტინგენტში.

2002 წ. ივნისში ჯანმო-ს ევროპის რეგიონის სასერთიფიკაციო კომისიამ ევროპის რეგიონს (მათ შორის საქართველოს) მიანიჭა პოლიომიელიტისაგან თავისუფალი ზონის სტატუსი, რომელიც საქართველომ, ისევე როგორც ევროპის რეგიონის ყველა ქვეყანამ, შეინარჩუნა მიმდინარე წლის განმავლობაშიც. მდდ/პოლიომიელიტის ეპიდზედამხედველობის სისტემა ეფექტურად მუშაობს, ისევე როგორც გასულ წელს.

ჯანმო-ს ევროპის რეგიონის სასერთიფიკაციო კომისიამ, 32-ე სამუშაო შეხვედრაზე (დანია, კოპენჰაგენი, 30-31.05.2018 წ.), სადაც მიმდინარეობს ევროპის ქვეყნების მიერ განხორციელებული პოლიომიელიტის ერადიკაციის ღონისძიებების ყოველწლიური ანგარიშების განხილვა/შეფასება, 2017 წლის მონაცემებით საქართველო მიაკუთვნა ველური და ვაქცინადერივაციული პოლიოვირუსის იმპორტის შემთხვევაში გადაცემის დაბალი რისკის ქვეყნების ჯგუფს, რომელიც ქვეყანამ შეინარჩუნა 2021 წელის მონაცემების მიხედვითაც.

**პოლიომიელიტის ინციდენტობა (100000 მოსახლეზე) დამწვავე დუნე დამბლის გამოვლენის
მაჩვენებელი (100000 0-14 წლის ასაკის მოსახლეობაში) 1988-2021 წწ.**



მდდ-ს შემთხვევათა ასაკობრივი განაწილება, 2020-2021

ასაკები (წლის) / წელი	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
2021	-	-	-	-	-	2	-	1	1	-	-	1	-	2	-
2020	-	-	-	-	-	-	1	-	-	1	-	1	-	2	-

2021 წლის მდდ-ს შემთხვევების განაწილება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

- თბილისი – 2 შემთხვევა (1. ასაკი - 7 წელი, სქესი – მამრობითი; 2. ასაკი - 8 წელი, სქესი - მდედრობითი);
- აჭარის ა/რ - 1 შემთხვევა (ხულოს რ-ონი, ასაკი - 13 წ., სქესი - მდედრობითი);
- ქვემო ქართლი - 1 შემთხვევა (ბოლნისის რ-ნი, ასაკი - 13 წ., სქესი - მამრ.);
- სამეგრელო - 1 შემთხვევა (სენაკის რ-ნი, ასაკი - 11 წ., სქესი - მამრ.);
- სამცხე-ჯავახეთი - 1 შემთხვევა (ნინოწმინდის რ-ნი, ასაკი - 5 წ., სქესი - მდ.);
- მცხეთა-მთიანეთი - 1 შემთხვევა (მცხეთის რ-ნი, ასაკი - 5 წ., სქესი - მდ.).

მდდ ეპიდემიოლოგიისა და ლაბორატორიული მუშაობის ეფექტურობის შეფასების ინდიკატორული მაჩვენებლები:

- არაპოლიომიელიტური მდდ-ს გამოვლენის მაჩვენებელია – 1,1 (7 მდდ-ს შემთხვევა) 0-14 წლის 100 000 ბავშვზე);
- ადეკვატური ლაბორატორიული სინჯების მქონე მდდ-ის შემთხვევების წილი – 100% (7 შემთხვევა);
- მდდ ეპიდემიოლოგიის ინდექსი – 1 (მიზანი – არანაკლებ 0.8);
- მდდ-ს შეტყობინებიდან 48 სთ. განმავლობაში შემთხვევების ეპიდკვლევის დაწყების % - 100; (მიზანი – არანაკლებ 80%);
- მდდ-ს დაწყებიდან 1-7 დღის განმავლობაში შეტყობინებულ შემთხვევათა წილი - 70% (5 მდდ) (მიზანი – არანაკლებ 80%);
- 3 დღის განმავლობაში ლაბორატორიაში შესული 8-10 გრ-ის ოდენობის ფეკალური სინჯების წილი - 100% (7 შემთხვევა) (მიზანი – არანაკლებ 80%);
- მდდ-ს დაწყებიდან 1-7 დღის განმავლობაში გამოკვლეულ შემთხვევათა წილი - 70% (5 მდდ) (მიზანი – არანაკლებ 80%);
- მდდ-ს რაოდენობა, რომელთა ფეკალური სინჯების კვლევა ჩატარდა ნაციონალურ ლაბორატორიაში - 7;
- მდდ-ს რაოდენობა, რომელთა ფეკალური სინჯების კვლევა ჩატარდა რეგიონულ რეფერენს ლაბორატორიაში – 0;
- არცერთ შემთხვევაში ველური პოლიოვირუსი იზოლირებული არაა;
- 60-120 დღის განმავლობაში შესწავლილ მდდ შემთხვევათა წილი - 100% (7 მდდ);

- დიაგნოსტიკების ჯგუფის მიერ კლასიფიცირებული მდდ-ს რაოდენობა - 7;
- დასკვნითი კლინიკური დიაგნოზები:
 - ✓ პოლირადიკულონეიროპათია - 6;
 - ✓ მიელიტი - 1.

ცენტრმა, როგორც ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების ეროვნულმა კოორდინატორმა და შემოსავლების სამსახურმა პოლიომიელიტის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შექმნა სათანადო პირობები პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციისათვის შემოსასვლელ, სასაზღვრო პუნქტებზე მაღალი რისკის ქვეყნებიდან - ნიგერია, პაკისტანი, ავღანეთი - შემოსული უცნობი აგრის სტატუსის მქონე/აუცრელი მგზავრების ასაცრელად. 2021 წლის განმავლობაში, COVID-19-ის ეპიდემიის პირობებში, აცრილთა რაოდენობამ შეადგინა 0 მოქალაქე.

2021 წელს სახელმწიფომ მობილიზება გაუკეთა და ცენტრში შემოვიდა 5 034 540 დოზა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომლის მიღებაც განხორციელა ვაქცინების ექსპედიციის და ცივი ჯაჭვის სამმართველომ:

1. სინოფარმი - 1700000 დოზა
2. სინოვაკი - 1100000 დოზა
3. ფაიზერი - 2084940 დოზა
4. ასტრაზენეკა - 149600 დოზა.

ვაქცინების შემოსვლა ცენტრში განხორციელდა 29 ეტაპად.

დასახელება	რაოდენობა (დოზა)	მიღების თარიღი
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	29250	25.03.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	1170	20.05.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	28080	14.07.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	28080	17.07.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	503100	23.07.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	162630	30.07.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	112320	07.08.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	84240	18.08.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	79560	06.09.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	81900	07.09.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	423540	14.09.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	83070	15.10.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	105300	04.11.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	105300	05.11.2021

საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)		
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	105300	06.11.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	105300	9.11.2021
Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, კოვ-0,3/COV-0.3)(კოვ/COV)	46800	11.11.2021
SINOVAC SARS-CoV-2 ვაქცინა (VeroCell Inactivated) (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა) (კოვ/COV)	100000	14.05.2021
SINOVAC SARS-CoV-2 ვაქცინა (VeroCell Inactivated) (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა) (კოვ/COV)	500000	02.07.2021
SINOVAC SARS-CoV-2 ვაქცინა (VeroCell Inactivated) (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა) (კოვ/COV)	500000	16.07.2021
SARS-CoV-2 ვაქცინა (Vero Cell) Sinopharm (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა) (კოვ/COV)	100000	26.04.2021
SARS-CoV-2 ვაქცინა (Vero Cell) Sinopharm (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა) (კოვ/COV)	500000	02.07.2021
SARS-CoV-2 ვაქცინა (Vero Cell) Sinopharm (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა) (კოვ/COV)	100000	21.09.2021
SARS-CoV-2 ვაქცინა (Vero Cell) Sinopharm (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა) (კოვ/COV)	1000000	12.10.2021
(AstraZeneka) Vaxzervia (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა კოვ-0.3/COV-0.3)(კოვ/COV) (AstraZeneka)	43200	13.03.2021
(AstraZeneka) Vaxzervia (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა კოვ-0.3/COV-0.3)(კოვ/COV) (AstraZeneka)	43200	6.05.2021
(AstraZeneka) Vaxzervia (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა კოვ-0.3/COV-0.3)(კოვ/COV) (AstraZeneka)	5000	5.07.2021
(AstraZeneka) Vaxzervia (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა კოვ-0.3/COV-0.3)(კოვ/COV) (AstraZeneka)	43200	10.07.2021
(AstraZeneka) Vaxzervia (COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა კოვ-0.3/COV-0.3)(კოვ/COV) (AstraZeneka)	15000	22.07.2021

2021 წლის განმავლობაში ცენტრიდან ვაქცინების ექსპედიციის და ცივი ჯაჭვის სამმართველომ სჯდ ცენტრებსა და დაწესებულებებზე უზრუნველყო 3 164 746 დოზა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის განაწილება. მხოლოდ ფაიზერის ვაქცინის -80 ტემპერატურაზე ტრანსპორტირებისათვის სჯდ ცენტრებამდე გამოყენებულ იქნა 4 500 კგ მეტი მშრალი ყინული.

2021 წლის განმავლობაში სამმართველომ უზრუნველყო გეგმიური ვაქცინების, შრატებისა და იმუნოგლობულინების 1 500 000 დოზის და შპრიცების/უსაფრთხო ყუთების 4 397 300 ცალის მიღება. აქედან 2021 წლის განმავლობაში განაწილდა 1 139 789 დოზა გეგმიური ვაქცინა, შრატი და იმუნოგლობულინი და 53 222 075 ცალი შპრიცი/უსაფრთხო ყუთი. ამ რაოდენობის განაწილებისთვის სამმართველომ განახორციელა 65-ზე მეტი გასვლა მაცივარი-ავტომობილებით რაიონულ სჯდ ცენტრებში.

2021 წელს სჯდ ცენტრებზე, დაწესებულებებსა და ფიზიკურ პირებზე განხორციელდა 255 ახალი სავაქცინო მაცივრის განაწილება და ასევე აღიწერა ქვეყნის მასშტაბით არსებული ცივი ჯაჭვის მოწყობილობა-ინვენტარი. შედეგები შეყვანილ იქნა სპეციალურ პროგრამაში.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: არაგადამდებ დაავადებებით განპირობებული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სიკვდილიანობის შემცირება

ძირითადი მიღწევები

- 2021 წლის 16 ივნისს დამტკიცდა თამბაქოს კონტროლის 2021-2025 წლების სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობის დადგენილება N285)
- “თამბაქოს კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის დახვეწის მიზნით მომზადდა და 2021 წლის 30 დეკემბრის „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონით დამტკიცდა პოლიტიკის შეთავაზებები, რომელიც მოიცავს ტაქსებში თამბაქოს მოხმარების სრულ აკრძალვას და კერძო ავტომობილებში არასრულწლოვანის თანდასწრებით თამბაქოს მოხმარების აკრძალვას
- მომზადდა „საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა (აგდ) პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა“
- საქართველოში ჯანსაღი ქალაქების ეროვნული ქსელის ჩამოყალიბების მიზნით საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 ოქტომბრის №510 დადგენილებით შეიქმნა სამთავრობო კომისია და საქართველოს მთავრობაში დასამტკიცებლად წარდგენილია საქართველოში ჯანსაღი ქალაქების ეროვნული ქსელის დებულება
- 2021 წლის მაისიდან „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს კრიზისული ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი 911 000
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა ფიზიკური აქტივობის პოლიტიკის და არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მიმდინარეობს ფიზიკური აქტივობის სტრატეგიის შემუშავება
- მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის სტანდარტიზების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ და წარედგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემდგომი რეაგირებისთვის
- მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან (გარდა გასახურებელი თამბაქოსი) გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინის, კუპრის, მხუთავი გაზის) ზღვრულად დასაშვები ნორმების, მათი გაზომვისა და რეგულირების წესებისა და საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალის/კარტრიჯის/კაფსულის/კონტეინერის მოცულობის, მასში ნიკოტინის შემცველობის ზღვრულად დასაშვები ნორმებისა და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, ასევე კოლოფსა/ბლოკსა და შეფუთვაზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებებისა და მათი დატანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 მარტის №150 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წარედგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემდგომი რეაგირებისთვის
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს გლობალურ ანგარიშში (WHO Report on the Global Tobacco Epidemic 2021: Addressing new and emerging products) საქართველო ზედიზედ მეორედ
- დასახელდა თამბაქოს კონტროლის გაძლიერების მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნად, ამჯერად საგადასახადო პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების გამო

2.1. ზედამხედველობა არაგადამდებ დაავადებებზე

2021 წლის განმავლობაში განხორციელებული იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- მომზადდა ანგარიში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგიის და 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ: ქვეყანაში ოთხი ძირითადი არაგადამდებ დაავადების - გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ქრონიკული რესპირაციული და დიაბეტის კოორდინირებული და თანმიმდევრული

პრევენციისა და მართვის გზამკვლევეს წარმოადგენდა აგდ პრევენციისა და კონტროლის სტრატეგია და 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც 7 სტრატეგიულ ამოცანას აერთიანებს: (1) საერთაშორისო თანამშრომლობის და ეროვნულ დონეზე პროპაგანდის გაძლიერება არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და კონტროლის ღონისძიებების ქვეყნის ჯანდაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად აღიარების მისაღწევად; (2) ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერება არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და კონტროლის ღონისძიებათა შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში; (3) არაგადამდებ დაავადებათა და მათთან ასოცირებული დეტერმინანტების მონიტორინგისა და ეპიდზედამხედველობის გაძლიერება; (4) არაგადამდებ დაავადებათა რისკის ფაქტორების მოდიფიცირების გაუმჯობესება ჯანმრთელობის ხელშეწყობის და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების გზით; (5) არაგადამდები დაავადებების და ბიოლოგიური რისკის ფაქტორების სკრინინგი და მართვა; (6) არაგადამდებ დაავადებათა მართვის სამედიცინო მომსახურებასა და მის მედიკამენტურ მკურნალობაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; (7) არაგადამდებ დაავადებათა და რისკის ფაქტორების სკრინინგის და მართვის ხარისხის გაუმჯობესება. არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის განვითარების, პირველადი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეფორმების მიმართულებით საქართველოსთან აქტიურად თანამშრომლობენ და ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას უწევენ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სათავე ოფისი ევროპის რეგიონულ ოფისთან ერთად, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო, კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო, ატლანტის დაავადებათა კონტროლის ცენტრები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. ჯანდაცვის ორგანიზატორთა ინიციატივით და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით 2017-2020 წლებში აგდ პრევენციისა და კონტროლის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები სტრატეგიული ამოცანების მიხედვით დეტალურადაა აღწერილი მომზადებულ ანგარიში, რომელიც გაზიარებული იყო საქართველოს მთავრობასთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან; შესრულებული სამუშაოს მოსმენა შედგა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე.

- **მომზადდა „საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა (აგდ) პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა“:** ქვეყანაში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული აგდ პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგიის და 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმის ვადის ამოწურვამ, ეროვნული სტრატეგიის განახლების საჭიროება გააჩინა, რადგან აგდ-ს წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია მდგრადობის შენარჩუნება და თანმიმდევრულობა. ცენტრში, რომელიც აგდ-ის პრევენციისა და მართვის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს წარმოადგენს, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სტრატეგიის განახლებაზე მუშაობის მიზნით. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიერ, ახალი გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, პროფესიული ასოციაციებისა და ეროვნული ექსპერტების ურთიერთთანამშრომლობით, შემუშავდა საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა (აგდ) პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2022-2026 და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. განახლებულ სტრატეგიაში გაფართოებულია მოქმედების არეალი და ნაცვლად ოთხი არაგადამდები დაავადებისა (გსდ, კიბო, შაქრიანი დიაბეტი და ქრდ) და ოთხი რისკის ფაქტორისა (თამბაქო, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, არაჯანსაღი კვება, აგდ-ის ე.წ. „4x4-ზე კონცეპცია“) დამატებით

მოიცავს ვალდებულებებს ჰაერის დაბინძურების შემცირების და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის (აგდ-ს ე.წ. „5X5-ზე კონცეპცია“) მიმართულებით. სტრატეგია აერთიანებს 8 სტრატეგიულ ამოცანას: (1) ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერება აგდ პრევენციის და კონტროლის ღონისძიებათა შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში; (2) საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება აგდ-ს პრევენციისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით; (3) აგდ და მათთან ასოცირებული დეტერმინანტების მონიტორინგის, ეპიდზედამხედველობისა და შეფასების სისტემის განვითარება პრევენციისა და კონტროლის საჭიროებათა შეფასების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშესაწყობად; (4) ჯანმრთელი არჩევანის ხელშეწყობა, აგდ მოდიფიცირებადი რისკის ფაქტორების, მათი განმსაზღვრელი სოციალური დეტერმინანტების და ინფექციური აგენტების ზემოქმედების შემცირება; (5) აგდ-ის და ბიოლოგიური რისკის ფაქტორების სკრინინგის და დაავადებათა ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა; (6) აგდ-ის ეფექტური მართვის ხელშეწყობა; (7) ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა; (8) აგდ სამედიცინო მომსახურებასა და მის მედიკამენტურ მკურნალობაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. 2021 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე შედგა ახლადმომზადებული „საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ მოსმენა. დოკუმენტები გაგზავნილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემდგომი პროცედურებისთვის.

- **არაგადამდებ დაავადებათა საინვესტიციო შემთხვევის** კვლევა, მონაცემთა მოპოვება, ანალიზი და ანგარიშის მომზადება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად.
- **„მაისის გაზომვის თვე“ 2021:** საქართველოში პირველი საიტი გაიხსნა 2021 წლის 17 მაისს, ჰიპერტენზიის მსოფლიო დღეს ცენტრში. კამპანია იყო დაგეგმილი პირველი მაისიდან 30 ნოემბრამდე. საქართველოში ჩატარდა კამპანია ქვეყნის მასშტაბით, გახსნილი იყო 300-მდე საიტი. სულ გამოკვლეულია 4940 მოზრდილი პირი, ინფორმაცია შეყვანილია ელექტრონულად და გაგზავნილია საკოორდინაციო ჯგუფში. რაც შეეხება რეგიონების აქტივობებს, კვლავ ლიდერობს სამეგრელოს რეგიონი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის კოორდინირებით, შემდეგ - კახეთის რეგიონი, საზოგადოებრივი ცენტრებისა და ცენტრის კახეთის სამმართველოს კოორდინირებით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ადიგენის საზ.ჯანდაცვის ცენტრის აქტივობა და მადლობა ქალბატონ რუიზან ქიმაძეს. ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, იმერეთსა და აჭარაში, ასევე სამეგრელოში საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოების ექიმთა ჯგუფისა და ცენტრის თანამშრომელთა მიერ ჩატარდა აქციები ორგანიზებულ პოპულაციებში - პოლიცია, სამკერვალო გაერთიანება „იმერი“ და ა.შ. ასევე წნევის გასინჯვის აქცია განხორციელდა ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში, ვაქცინაციის მართონის პარალელურად. მცხეთა-მთიანეთის გარდა, ყველა რეგიონი მოიცვა კამპანიამ. რაც შეეხება თბილისს, აქციები ჩატარდა ცენტრში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრის ტერიტორიაზე, უნივერსიტეტი „ნიუვიჟენ“-ში. კამპანიის ფარგლებში ჰიპერტენზიის სკრინინგის აქციების პარალელურად აჭარასა და სამეგრელოში გაკეთდა სისხლში შარდმჟავას განსაზღვრა, უნგრული ფარმაცევტული კომპანია „ეგისი“-ს მხარდაჭერით.
- მიმდინარეობდა მუშაობა დაწყვილების პროექტზე (twinning project) **„Support in Establishment of Comprehensive Road safety Database and Further Improvement of Road safety Management in Georgia“**. პროექტი გამარჯვებულია და 2022 წლის

თებერვლიდან დაიწყო მასზე მუშაობა. პროექტის მთავარი შემსრულებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ცენტრთან ერთად ბენეფიციარი არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. პროექტში ჩართული არიან პოლონელი და ლიეტუველი ექსპერტები.

- მონაწილეობა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კიბოს სკრინინგის სახელმძღვანელოს მომზადებაში: **A short guide to cancer screening: increase effectiveness, maximize benefits and minimize harm.** სახელმძღვანელოს პრეზენტაცია ჯანმოს მიერ მოხდა 4 თებერვალს - კიბოს მსოფლიო დღეს.
- მონაწილეობა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონფერენციაზე „არაგადამდები დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით“, რომლის ამოცანებს შეადგენდა: (1) COVID-19 პანდემიის პირობებში არაგადამდებ დაავადებებზე რეაგირებასთან დაკავშირებული გამოწვევების ციფრული ტექნოლოგიებით გადაწყვეტა; (2) არაგადამდები დაავადებების მეთვალყურეობის, პრევენციისა და კონტროლის მიზნით ციფრული ჯანმრთელობის კარგი პრაქტიკის და ინოვაციების გამოყენების ხელშეწყობა; (3) ჯანმო-ს დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა აგდ-ის ციფრული ჯანდაცვის ტექნოლოგიების წარმატებით დანერგვის მიზნით. კონფერენციის ორგანიზატორების მიერ საქართველოს მაგალითი „მონაცემთა შეგროვების ელექტრონული სისტემა აადვილებს კიბოს მართვას პაციენტებისა და ექიმებისთვის“ - ერთ-ერთ წარმატებულ შემთხვევად იქნა მიჩნეული და განთავსდა ჯანმოს ევროპის ოფისის ვებ. გვერდზე: [WHO/Europe | Events - WHO European conference on tackling NCDs through digital solutions.](https://www.euro.who.int/en/activities-and-events/2020/11/who-european-conference-on-tackling-ncds-through-digital-solutions)


სახელმწიფო პროგრამა „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“

კიბოს სკრინინგი

კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით, ქვეყნის მოსახლეობაში (გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მოსარგებლებისა) ტარდება შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები:

- ძუძუს კიბოს სკრინინგი - 40-70 წლის ასაკის ქალებში;
- საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 25-60 წლის ასაკის ქალებში;
- პროსტატის კიბოს მართვა - 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში;
- კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ორივე სქესისათვის.

სკრინინგში მონაწილე ბენეფიციართა საერთო რაოდენობა




2021 წელს არსებული ეპიდსიტუაციის გამო ძალიან დაბალი იყო მამომობილების აქტივობები. ჩატარებული მამოგრაფიებიდან მხოლოდ 3,6% (689) არის შესრულებული მამომობილის მიერ.

მოსახლეობის ჩართულობა (მოცვა) კიბოს სკრინინგის კომპონენტში კიბოს ლოკალიზაციის მიხედვით

კიბოს ლოკალიზაცია	მიზნობრივი პოპულაცია	1 წლის მიზნობრივი პოპულაცია	ბენეფიციართა წარმოდგენილი რაოდენობა	მოცვის მაჩვენებელი (%)
ძუძუ	521 673	260 837	19 116	7,3
საშვილოსნოს ყელი	616 520	205 507	15 712	7,6
პროსტატა	290 687	290 687	7 866	2,7
კოლორექტალური	648 363	324 182	3 522	1,1


გასულ წლებთან შედარებით შემცირებულია ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის სკრინინგით მოცვის მაჩვენებლები.

სკრინინგით მოცვის მაჩვენებლები



ამის მიზეზია ქვეყანაში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) COVID19-ით გამოწვეული ეპიდსიტუაცია. 2020 წლის მარტის თვიდან სერვისების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებათა ნაწილი პერიოდულად არ ფუნქციონირებდა ან ატარებდა სკრინინგულ კვლევებს შეზღუდული რაოდენობით.

ოთხივე ლოკალიზაციის კიბო სკრინინგის მიხედვით წარმოდგენილ ბენეფიციართა საერთო რაოდენობაში სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის ჩართულობის პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადაანაწილდა:




გამოკვლეული ბენეფიციარებიდან ყველაზე მეტი იყო იმერეთის რეგიონიდან, ხოლო ყველაზე მცირე - რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთიდან.

ვიზიტის ტიპის მიხედვით პირველადი სკრინინგი ჭარბობს კოლორექტულ სკრინინგში; მეორადი სკრინინგი ჭარბობს ძუძუს კიბოს და კოლონოსკოპიურ სკრინინგში; განმეორებითი სკრინინგი წარმოდგენილია ყველა ლოკალიზაციის კიბოს სკრინინგის დროს.

1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია

- 2021 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 1-6 წლის ასაკის 1019 ბავშვს. გამოკვლეულ პირთა უმრავლესობა (55,4%) თბილისის მაცხოვრებელია; სხვადასხვა რეგიონებიდან იყო 454 (44,6%) ბენეფიციარი.
- ნეირო-ფსიქოლოგიური დიაგნოზების მიხედვით მენტალური დარღვევები გამოუვლინდა 910 ბავშვს (89,3%-ს; 2020 წელს - მხოლოდ 22,6%); აქედან: ფსიქიკური განვითარების მსუბუქი ხარისხის შეფერხება - 150-ს (14,8%-ს); საშუალო ხარისხის შეფერხება - 471-ს(46,5%); მძიმე ხარისხის შეფერხება - 190-ს (18,8), ძალიან მძიმე ხარისხის შეფერხება - 99-ს (9,8%-ს).

ფსიქიკური დარღვევების გამოვლენის მაჩვენებლები, 2020-2021



2020 წელთან შედარებით მკვეთრად მოიმატა საშუალო და მძიმე ხარისხის ფსიქიკური დარღვევების რაოდენობამ და მნიშვნელოვნად შემცირდა ძალიან მსუბუქი და მსუბუქი ხარისხის ფსიქიკური დარღვევების გამოვლენა. აღსანიშნავია ისიც, რომ საანგარიშო პერიოდში ნეიროფსიქოლოგიური ტესტირებით გამოვლინდა საკმაო რაოდენობის ბავშვები აუტისტური სპექტრის დარღვევით - დაუდასტურებელი ან უკვე დადასტურებული ადოსის ტესტით.


ეგ კვლევა დასჭირდა 111 (ბენეფიციართა 10,9%-ს;) ბენეფიციარს, აქედან პათოლოგიური ცვლილებებით იყო 38 (ჩატარებული ეგ-დან 34,2%); ძილის დარღვევები დაუდგინდა გამოკვლეული ბავშვების 24,8%-ს (253).

ეპილექსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა: საანგარიშო პერიოდში კონსულტირებულ იქნა 2263 პაციენტი.


მომსახურების დასახელება	საპროგნოზო რაოდენობა	წარმოდგენილი რაოდენობა	დაფინანსებული რაოდენობა
მონაცემთა რეგისტრაცია, დამუშავება და "ეპილექსიის რეგისტრში" განთავსება, პირველადი სკრინინგი - ნევროლოგის კონსულტაცია	2461	2263	2263
მეორადი (ეპილექტოლოგიური) სკრინინგი	2276	2151	2151
ეგ-კვლევა	1921	1867	1867
ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება	1924	1882	1882
ეპილექტ. დასკვნითი დიაგნოსტიკა	1926	1875	1875

რეგიონში მაცხოვრებლების ჩართულობა იყო საკმაოდ მაღალი: საანგარიშო პერიოდში კონტრაქტორი დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გამოკვლეულ პირთა 37,2% (842) - თბილისის მაცხოვრებელია; სხვადასხვა რეგიონებიდან იყო 1421 (62,8%) ბენეფიციარი.

საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ჩართულობა



ქვეკონტრაქტორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოკვლეული იქნა 389 ბენეფიციარი (საერთო რაოდენობის 17,2%), რაც გაცილებით ნაკლებია 2020 წელთან შედარებით.



პირველადი ნევროლოგიური სკრინინგი ჩაუტარდა 2263 ბენეფიციარს, აქედან:

- ეპილეფსიაზე საექვო დიაგნოზით იყო 1891 პაციენტი (საერთო რაოდენობის 83,6%; 2020 წელს - 58,6%); მათგან შემდგომი კვლევებით ეპილეფსია დაუდასტურდა 382-ს (20,2%; 2020 წელს - 3,8%); ეპილეფსიის დიაგნოზით შევიდა 372 პაციენტი (საერთო რაოდენობის 16,4%; 2020 წელს - 41,4%), მათგან 319-ს (85,8%; 2020 წელს - 48,2%) დაუდასტურდა დიაგნოზი. ამრიგად, ეპილეფსიის დიაგნოზი სულ დაესვა 708 პაციენტს (საერთო რაოდენობის 31,3%; 2020 წელს - 22,2%), აქედან: 118-ს (16,7%) - იდიოპათიური, 62-ს (8,0%) - კრიპტოგენული, 236-ს (33,3%) - სიმპტომური; 4-ს (0,6%) - გენეტიკური; 15-ს - პროვოცირებული ალკოჰოლით/ნარკოტიკით (2,1%); 273-ს - ვერ დაუდგინდა რომელი სახის ეპილეფსია აქვს (38,6%).
- იმ პაციენტებიდან, რომლებიც შემოსული იყვნენ ეპილეფსიის დიაგნოზით, ეპილეფსიაზე მკურნალობდა 343 პაციენტი, მათგან მკურნალობა არ შეეცვალა 70-ს (20,4%; 2020 წელს - 53,5%), მკურნალობა შეეცვალა - 235-ს (68,5%-ს; 2020 წელს - 41,1%) და მკურნალობა მოეხსნა არასწორად დასმული ეპილეფსიის დიაგნოზის გამო 28-ს (11,1%; 2020% - 10,0%).

დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგი

- კომპონენტის ფარგლებში გამოკვლევა უტარდებათ გესტაციური ასაკით 34 კვირამდე ან გესტაციური წონით 2001 გრამზე ნაკლებ ახალშობილებს, რომელთაც აღენიშნებოდათ დამძიმებული ანამნეზი ან დასჭირდათ დამატებითი ოქსიგენოთერაპია 48 საათზე დიდხანს.
- საანგარიშო პერიოდში პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა 3225 დღენაკლულ ახალშობილს.

მომსახურების დასახელება	საპროგნოზო რაოდენობა	წარმოდგენილ ბენეფიციართა რაოდენობა	დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა
დღენაკლულთა პირველადი კვლევა	3212	985	984
დღენაკლულთა განმეორებითი კვლევა		2240	2198

- გამოკვლეულთა 26,5% (260) იყო თბილისში რეგისტრირებული ახალშობილი; დანარჩენი 724 ახალშობილი (73,5%) იყო რეგიონში რეგისტრირებული ახალშობილი.

პირველადი სკრინინგით გამოვლენილი რეტინოპათიის სტადიები:

- 0 სტადია - 476 შემთხვევაში (48,3%);
- I სტადია - 180 შემთხვევაში (18,3%);
- II სტადია - 185 შემთხვევაში (18,8%);
- III სტადია - 4 შემთხვევაში (0,4%);

პირველადი სკრინინგით დასრულდა მეტავალყურეობა - 140 შემთხვევაში (14,2%).

პირველადი სკრინინგის დროს 3 შემთხვევაში დაინიშნა ავასტანით მკურნალობა: 1 შემთხვევაში - ერთ თვალზე; 2 შემთხვევაში - ორივე თვალზე.

განმეორებითი სკრინინგის დროს გამოვლინდა:

- 0 სტადია - 240 შემთხვევაში (10,7%);
- I სტადია - 318 შემთხვევაში (14,2%);
- II სტადია - 1115 შემთხვევაში (49,8%);
- III სტადია - 75 შემთხვევაში (3,3%);

დასრულდა მეთვალყურეობა - 492 შემთხვევაში (22,0%).

ახალშობილების მეთვალყურეობის დროს დაინიშნა ავასტანით მკურნალობა 25 შემთხვევაში: 13 შემთხვევაში - ერთ თვალზე და 12 შემთხვევაში - ორივე თვალზე.

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ქვეკონტრაქტორების მიერ ჩატარებული პირველადი სკრინინგული კვლევების რაოდენობაც: გამოკვლეული იყო 216 ახალშობილი (პირველადი სკრინინგის საერთო რაოდენობის 21,9%), ხოლო განმეორებითი - 235 (განმეორებითი სკრინინგის - 10,5%).

2.2. დედათა და ბავშვთა, მოზარდთა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

2021 წლის განმავლობაში განხორციელებული იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო კამპანია სომეხ და აზერბაიჯანელ პოპულაციასთან; კერძოდ, ჩატარდა 5 ლექცია-სემინარი აზერბაიჯანულენოვან და 3 - სომეხენოვან რეპროდუქციული ასაკის ქალებთან;
- დედათა სიკვდილის შემთხვევების 2020 წლის ეპიდკვლევა. შემთხვევების განხილვა ექსპერტთა პანელთან და სიკვდილის უშუალო მიზეზების დადგენა;
- ვებინარი „COVID-ის მართვა ორსულებში, ტუბუთი კვება და COVID ინფექცია, ორსულთა ვაქცინაცია“;
- საინფორმაციო მასალები: ბუკლეტი „ორსულობა, COVID ინფექცია და ვაქცინაცია“, ვიდეო კოლაჟები;
- ორსულთა და 0-18 წლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ინფიცირების შესახებ ყოველკვირეული ინფორმაცია;
- HBSC კვლევის ახალი რაუნდის ახალი კითხვარის მომზადება, კვლევის დაგეგმვა 2022 წლის შემოდგომისათვის;
- მეან-გინეკოლოგებისა და ოჯახის ექიმების გადამზადება და ტრენინგები თემაზე „COVID ინფექციის მართვა ორსულობის პერიოდში, ორსულთა ვაქცინაცია“ მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- საერთაშორისო ანგარიშგებაში მონაწილეობა კომპეტენციის ფარგლებში;
- შეხვედრები რაიონული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრებთან დზეის-ის სისტემაში რეპროდუქციული ასაკის ქალთა და 5 წლამდე ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევათა ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა:

ა) „ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/ შიდსისა და სიფილისის განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალებით (B ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით) უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში:

- „B“ ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევით გამოკვლეულ იქნა 41 822 ორსული, აქედან გამოვლინდა 428 სკრინინგით დადებითი შემთხვევა, კონფირმაციული კვლევა ჩაუტარდა 322 ორსულს; კონფირმაციით დადასტურდა 311 შემთხვევა;
- სიფილისზე გამოკვლეული ორსულებიდან შპს "კანისა და ვენსნეულეზათა ს/კ ცენტრსა" და მათ ქვეკონტრაქტორ დაწესებულებებში აღრიცხვაზე აყვანილ იქნა სიფილისზე საექვო დადებითი სტატუსის მქონე 145 ორსული, მათგან კონფირმაციული კვლევა ჩაუტარდა 90 ბენეფიციარს,

საიდანაც ინფექცია დაუდასტურდა 47 ორსულს, ხოლო მკურნალობაში ჩაერთო 40 ორსული;

- აივ-ინფექცია/შიდსზე გამოკვლეული ორსულებიდან სკრინინგული კვლევით საექვო-დადებითი აღმოჩნდა 98, რომელთაგან კონფირმაციული კვლევით ინფექცია დაუდასტურდა 20 ორსულს, რომლებიც იმყოფებოდნენ მკურნალობაზე;
- C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევით საექვო-დადებითი 245 ორსულიდან კონფირმაცია ჩატარდა 55 პირს, აქედან დადასტურდა 45, მათგან მკურნალობაში ჩასართავად დიაგნოსტიკური კვლევა ჩატარდა 37 ორსულს.
- B ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინი გაუკეთდა B ჰეპატიტით ინფიცირებული დედის 379 ახალშობილს.

ბ) „ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის“ კომპონენტის ფარგლებში 2021 წელს სამშობიარო სახლებში გამოკვლეულ იქნა 43 620 ახალშობილი. გამოვლენილ იქნა: დაუნის სინდრომი - 10; მგლის სასა - 5; ატრეზია - 7 ; კურდღლის ტუჩი - 4; ევსტაქიტი - 1; IV ხარისხის სმენაჩლუნგობის 2 შემთხვევა; III ხარისხის სმენაჩლუნგობის 2 შემთხვევა; II ხარისხის სმენაჩლუნგობის 1 შემთხვევა; I ხარისხის სმენაჩლუნგობის 1 შემთხვევა.

2.3. ჯანმრთელობის ხელშეწყობა

2021 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

წლის განმავლობაში რუტინულად მიმდინარეობდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალების მომზადება; CDC-ს, ჯანმო-სა და სხვა საერთაშორისო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მასალის თარგმნა-ადაპტირება, მ.შ. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის, COVID-19-ის პრევენციის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითებზე. მომზადდა, ითარგმნა და ადაპტირდა ვიზუალური მულტიმედიაური მასალა და განხორციელდა მათი გავრცელება ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მეშვეობით. პანდემიის დასაწყისში მომზადდა და განთავსდა საინფორმაციო სახის გარე სარეკლამო რგოლები.

- მომზადდა მასალები თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების მავნეობის, ფიზიკური აქტივობის, ჯანსაღი კვების ხელშეწყობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითებებზე, C ჰეპატიტის თემატიკაზე, სწორი სოციალური ქცევების პოპულარიზაციაზე COVID-19-ის კონტექსტში.
- სამმართველოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვის კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის ფარგლებში. ასევე, მონაწილეობას იღებენ ვაქცინაციასთან დაკავშირებულ საკომუნიკაციო ღონისძიებებში, შეხვედრებში სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან საკომუნიკაციო ღონისძიებების დაგეგმვის და კოორდინაციის მიზნით.
- 2021 წლის მაისიდან „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს კრიზისული ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი - 911 000, რომელსაც ახორციელებს ფსიქოსოციალური ასოციაცია „ნდობა“. ცხელი ხაზი ითვალისწინებს კრიზისულ და პოსტ-კრიზისულ კვალიფიციურ ფსიქოლოგიურ დახმარებას, მ.შ. COVID-19-თან დაკავშირებულ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იზოლაცია/თვითიზოლაციაში მყოფი პირებისათვის. 2021 წლის მაისიდან წლის ბოლომდე ცხელ ხაზს მიმართა 1586-მა პირმა (მ.შ. 820 - ქალი; ასაკი 15 დან 75 წლის ჩათვლით). საინფორმაციო სახის კონსულტაცია ჩატარდა 173 ადამიანს; 800 პირს გაეწია სატელეფონო კრიზისული ფსიქოლოგიური კონსულტაცია; 30 პირი

გადამისამართდა კრიზისული ინტერვენციის სამსახურში. ბოლო პერიოდში მოიმატა COVID-19-ით ინფიცირებული პირების მიმართვიანობამ, ან იმ პირთა რაოდენობამ, რომლებიც პოსტ-COVID-ურ პერიოდს გადაიან.

- მიმდინარეობდა „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის კომპონენტების, „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის „სისხლის უანგარო დონორობის“ მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კომპანიის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, მათ შორის, „უანგარო დონორთა მსოფლიო დღესთან“ დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერის“ ფარგლებში საგანმანათლებლო კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება.
- 2021 წელს განხორციელდა „COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია ჯანმრთელობის ხელშეწყობის კონტექსტში“; „თამბაქოს საკითხებზე მოსახლეობის საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიის“; „C ჰეპატიტის საკითხებზე მოსახლეობის საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიის“; COVID-19-ის პირობებში კრიზისული ფსიქოლოგიური დახმარება პროფესიული სერვისის - სატელეფონო ფსიქოლოგიური მომსახურების მეშვეობით“. მოსახლეობის საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია უანგარო დონორთა მოზიდვისა და რეკრუტინგის გაძლიერების მიმართულებით.
- მომზადდა საინფორმაციო მასალები და რეკომენდაციები სისხლის უანგარო დონაციის საკითხებზე COVID-19-ის კონტექსტში. რეკომენდაციებში აღნიშნულია, თუ როდის არის შესაძლებელი სისხლის დონაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციიდან, ასევე, COVID-19-ით გამოჯანმრთელებიდან.
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ცენტრსა და ააიპ „უანგარო დონორებს“ შორის სისხლის უანგარო დონორობის განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით. ღონისძიებას ესწრებოდნენ დამმობილების პროექტის, „სისხლის უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება საქართველოში“ პროექტის წარმომადგენლები. 2021 წელს „სისხლის უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება საქართველოში“ ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით მომზადდა სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის განვითარების სტრატეგიული კომუნიკაციის დოკუმენტი, მზადდება სამოქმედო გეგმა.
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით შემუშავდა ფიზიკური აქტივობის პოლიტიკის და არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის მიერ შემუშავებული ფიზიკური აქტივობის მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტის/კითხვარის მეშვეობით. ჯანმოს მხარდაჭერით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. განხორციელდა შეხვედრათა სერია დისტანციურ რეჟიმში, ხოლო შემაჯამებელი შეხვედრა პირისპირ ფორმატში. სიტუაციურ ანალიზზე დაყრდნობით მიმდინარეობს შესაბამისი რეკომენდაციების და ფიზიკური აქტივობის სტრატეგიის შემუშავება ფიზიკური აქტივობის პოლიტიკის ხელშეწყობისა და გაძლიერებისათვის ქვეყანაში ჯანმოს 2016-2025 წწ. ფიზიკური აქტივობის სტრატეგიის შესაბამისად.
- მიმდინარეობს ჯანმრთელობის ხელშეწყობის სხვადასხვა პრიორიტეტულ საკითხებზე მუშაობა, მ.შ. ჯანმრთელობის მსოფლიო დღეებთან დაკავშირებით, მომზადდა მასალები იშვიათი დაავადებების მსოფლიო დღის, კიბოს მსოფლიო დღის, ჰიპერტენზიის, პირის ღრუს ჯანმრთელობის, თირკმლის ჯანმრთელობის, სისხლის უანგარო დონორის, აუტიზმის, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეებთან, „საქართველო თამბაქოს გარეშე“ ეროვნულ დღესთან; მსოფლიო თამბაქოს გარეშე, საგზაო უსაფრთხოების, ფქოდის, ჰეპატიტების და სხვა მსოფლიო დღეებთან დაკავშირებით.
- 2021 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა ევროპის იმუნიზაციის კვირეული (26 აპრილი - 2 მაისი), რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობაში იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. კამპანიის

ფარგლებში ჩატარდა პრესკონფერენცია, სადაც განხილულ იქნა იმუნიზაციის ეროვნული პროგრამის ძირითადი მიღწევები და გამოწვევები; რუტინული ვაქცინაციის სარგებლობა და რუტინული ვაქცინაციის დაფარვის საფრთხეები; COVID-19 ვაქცინაციის როლი COVID-19 პანდემიის დამარცხებაში. მედია ადვოკატირების ფარგლებში ჩატარდა სატელევიზიო გადაცემები. ბეჭდურ მედიასა და საინფორმაციო სააგენტოებში გაშუქდა კვირეულის ღონისძიებები. განთავსდა მასალები ცენტრის ვებ-გვერდსა და ფეისბუქის გვერდზე.

2021 წელს „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამა მოიცავდა ორ კომპონენტს: „თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერების“ და „ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაციის“ კომპონენტს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

„თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერების“ კომპონენტი

- თამბაქოსათვის თავის დანებების ხელშეწყობის მიზნით უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს თამბაქოსათვის თავი დანებების ცხელი ხაზის (116001) ფუნქციონირება. სულ საანგარიშო პერიოდში ცხელი ხაზის მეშვეობით განხორციელდა 2209 კონსულტაცია, მ.შ. თამბაქოსათვის თავის დანებების ფსიქოლოგიური კონსულტაცია, კონსულტაციები მედიკამენტოზური მკურნალობის სერვისებისა და საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ.
- თამბაქოს კონტროლის აღსრულების ხელშეწყობის მიზნით მიმდინარეობს მონიტორინგი სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებსა და სავაჭრო ობიექტებში; საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სარეკლამო ლოკაციებზე. ასევე რეკლამის მონიტორინგი. დარღვევების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა შესაბამის აღმასრულებელ სტრუქტურებს.
- წლის განმავლობაში განხორციელდა მოწვევის აკრძალვის მონიტორინგი საზოგადოებრივ ტრანსპორტში. დარღვევის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სატრანსპორტო კომპანიებს შემდგომი რეაგირებისათვის.
- საანგარიშო პერიოდში ასევე განხორციელდა სარეკლამო ლოკაციების: ქუჩის ბილბორდების, ავტობუსის გაჩერებების და ქუჩის რეკლამების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე ინფორმაცია მიეწოდა შესაბამისი ქალაქის ზედამხედველობის სამსახურებს.
- ჩატარდა სამუშაო შეხვედრები თამბაქოს კონტროლის აღმასრულებელი სტრუქტურის წარმომადგენლებთან თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის აღსრულების ხელშეწყობის მიზნით.
- განხორციელდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით თამბაქოს საკითხებზე. კამპანიის ფარგლებში ძირითადი აქცენტი გაკეთდა თამბაქოს ახალ პროდუქტებზე (ელ. სიგარეტი, გახურებადი თამბაქო (ე.წ. აიქოსი) და ა.შ.) და მათი მავნეობის წარმოჩენაზე, ასევე მოხდა ხაზგასმა, რომ მათზეც ისევე ვრცელდება თამბაქოს კონტროლის მოქმედი კანონმდებლობა, როგორც ჩვეულებრივ (ტრადიციულ) თამბაქოს პროდუქტებზე.

ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება (მათ შორის მასმედიასთან ურთიერთობა, სატელეკომუნიკაციო და საეთერო დროის შესყიდვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებზე)

- „ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაციისა და გაძლიერების“ კომპონენტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა „COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია ჯანმრთელობის ხელშეწყობის კონტექსტში“;
- დაიგეგმა და განხორციელდა „C ჰეპატიტის საკითხებზე მოსახლეობის საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანია“;

- 2021 წლის 4 მაისიდან პროგრამის ფარგლებში ამოქმედდა კრიზისული ფსიქოლოგიური დახმარების პროფესიული სერვისი - სატელეფონო ფსიქოლოგიური მომსახურება ცხელი ხაზის (911000) მეშვეობით.
- სამედიცინო ტელევიზია „კულსთან“ ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა და წლის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სატელეკომუნიკაციო პროდუქციის საეთერო ბადეში განთავსება.
- პროგრამის ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა საპოპულარიზაციო მასალები COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მხარდამჭერი მარათონის ფარგლებში გასავრცელებლად.
- დაიბეჭდა COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის საინფორმაციო ბარათები და კითხვარები.
- დაიბეჭდა და დამონტაჟდა COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის მხარდამჭერი ბანერები ქუჩის ბილბორდებზე თბილისსა და რეგიონებში.
- რუტინულ რეჟიმში მიმდინარეობდა საინფორმაციო მასალებისა და ინფოგრაფიკების მომზადება ფიზიკური აქტივობის, ჯანსაღი კვების ხელშეწყობის, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების მავნეობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე, C ჰეპატიტის თემატიკაზე, სწორი სოციალური ქცევების პოპულარიზაციაზე COVID-19-ის კონტექსტში, რომელიც გავრცელდა ცენტრის ვებზე და ფეისბუქის პლატფორმებზე.
- მომზადდა და განთავსდა მასალები ჯანმრთელობის მსოფლიო დღეებთან დაკავშირებით ცენტრის ვებზე და ფეისბუქზე.
- შემუშავდა ბეჭდური და ვიდეო საკომუნიკაციო მასალები და საპრომოციო ნივთები საინფორმაციო შეხვედრებისა და C ჰეპატიტის სკრინინგის კამპანიების დროს გავრცელების, სოციალურ გვერდსა და რეგიონულ მედიაში რეკლამირების მიზნით. ასევე, ჰეპატიტის თემაზე შემუშავდა „ხშირად დასმული შეკითხვების“ დოკუმენტი.

„უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის „სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელებას, მ.შ. "უანგარო დონორთა მსოფლიო დღესთან" დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერა“

- განხორციელდა მოსახლეობის საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია უანგარო დონორთა მოზიდვისა და რეკრუტირების გაძლიერების მიმართულებით. მომზადდა ტექნიკური დავალების პროექტი განსახორციელებელი შესყიდვების შესახებ. მომზადდა კამპანიის კონცეფცია;
- მომზადდა საინფორმაციო მასალები და რეკომენდაციები სისხლის უანგარო დონაციის საკითხებზე COVID-19-ის კონტექსტში. რეკომენდაციებში აღნიშნულია, თუ როდის არის შესაძლებელი სისხლის დონაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციიდან, ასევე, COVID-19-ით გამოჯანმრთელებიდან.
- 14 ივნისს, სისხლის უანგარო დონორის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით განხორციელდა პირდაპირი ჩართვა კამპანიის Facebook გვერდზე „მე ვარ დონორი“, ცენტრის ეზოში მოიხატა სივრცე, რომელიც მიეძღვნა სისხლის უანგარო დონორობის პიპულარიზაციას. 14 ივნისის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა ღია ცის ქვეშ, კედლის მხატვრობის ფონზე.
- ასევე მიმდინარეობდა მედია ადვოკატირება სისხლის უანგარო დონაციის საჭიროებაზე COVID-19-ის კონტექსტში; სიუჟეტებში ხაზგასმული იყო ცენტრის რეკომენდაციები სისხლის დონაციასთან დაკავშირებით ვაქცინაციის და COVID-19-ისგან გამოჯანმრთელების შემდეგ; ჩატარდა დონაციის მხარდამჭერი აქციები.
- დამზობილების პროექტის „სისხლის უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში ლიეტუველი ექსპერტების მონაწილეობით განხორციელდა სამუშაო შეხვედრა სისხლის უანგარო დონორობის პოპულარიზაციის საკითხებზე, სადაც წარმოდგენილი იყო სისხლის უანგარო დონორობის განვითარების ისტორია,

პრობლემები და მიღწევები საქართველოში, ასევე პროექტის ლიეტუველი მხარის გამოცდილება.

- საქართველოში ჯანსაღი ქალაქების ეროვნული ქსელის ჩამოყალიბების მიზნით საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 ოქტომბრის №510 დადგენილებით შეიქმნა სამთავრობო კომისია და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს დაეკისრა სამდივნოს ფუნქცია.
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით ჩატარდა პროექტი „FEEDCities კვლევა თბილისი, 2021“. კვლევის მიზანია ურბანულ გარემოში ქუჩის საკვების ნიმუშების კვლევა და ინფორმაციის მოპოვება ბრომატოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით.

2.4. თამბაქოს კონტროლის გაძლიერება

- 2021 წლის 16 ივნისს დამტკიცდა თამბაქოს კონტროლის 2021-2025 წლების სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა.
- თამბაქოს მოხმარება ზრდასრულ მოსახლეობაში 31%-დან (STEPS 2016) 28.2%-მდე (ტაქსებში თამბაქოს მოხმარების აკრძალვის კვლევა, TTS 2020), 16 წლის სკოლის მოსწავლეებში კი 18%-დან (European School Survey on Tobacco, Alcohol and Other Drugs (ESPAD 2015) 12%-მდე (ESPAD 2019) შემცირდა. ასევე შემცირებულია დღიურად მოხმარებული ქარხნული სიგარეტის რაოდენობა (2016 - 21.4 ღერი, 2019 - 18.6 ღერი დღეში). ასევე შემცირდა მეორადი კვამლის ზეგავლენა (2016 - 43%; 2019 - 38.6%) სახლში და სამსახურში (2016 - 15.8%; 2019 - 11.1%). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირებულია მიოკარდიუმის ინფარქტითა და თავის ტვინის ინსულტით ჰოსპიტალიზაციის, ბავშვთა ასაკში ასთმის შემთხვევების გამწვავების ეპიზოდები.
- თამბაქოს კონტროლის კანონის დახვეწის მიზნით მომზადდა პოლიტიკის შეთავაზებები, რომელიც მოიცავს ტაქსებში თამბაქოს მოხმარების სრულ აკრძალვას და კერძო ავტომობილებში არასრულწლოვანის თანდასწრებით თამბაქოს მოხმარების აკრძალვას.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და საციალური დაცვის სამინისტროს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ჩარჩო-კონვენციის სამდივნოს, The Union-ის ექსპერტებთან თანამშრომლობით მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის სტანდარტიზების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ და გაიგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და საციალური დაცვის სამინისტროში შემდგომი რეაგირებისთვის.
- ცენტრმა ფოკუს ჯგუფების გამოკითხვის მეთოდოლოგიით შეარჩია 2 პიქტოგრამის ნიმუში თამბაქოს ახალი ნაწარმისა და გასახურებელი თამბაქოსთვის, შესაბამისობაში მოიყვანა აღნიშნული ნაწარმებისთვის განკუთვნილი სამედიცინო გაფრთხილების ტექსტი და პიქტოგრამა და მოამზადა დადგენილების პროექტი საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 მარტის №150 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; დოკუმენტი გაიგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და საციალური დაცვის სამინისტროში შემდგომი რეაგირებისთვის.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და საციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან (გარდა გასახურებელი თამბაქოსი) გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინის, კუპრის, მხუთავი გაზის)

ზღვრულად დასაშვები ნორმების, მათი გაზომვისა და რეგულირების წესებისა და საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალის/კარტრიჯის/კაფსულის/კონტეინერის მოცულობის, მასში ნიკოტინის შემცველობის ზღვრულად დასაშვები ნორმებისა და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, ასევე კოლოფსა/ბლოკსა და შეფუთვაზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებებისა და მათი დატანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 მარტის №150 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- მიმდინარეობდა თამბაქოს კონტროლის გაძლიერების ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც შესაბამისობაშია, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმასთან
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს გლობალურ ანგარიშში (WHO Report on the Global Tobacco Epidemic 2021: Addressing new and emerging products) საქართველო ზედიზედ მეორედ დასახელდა თამბაქოს კონტროლის გაძლიერების მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნად, ამჯერად საგადასახადო პოლიტიკაში განხორციელებულ ცვლილებების გამო (Georgia's comprehensive tax policy reduces tobacco consumption; <file:///C:/Users/LELA~1/STU/AppData/Local/Temp/9789240032095-eng.pdf>).
- ყოველდღე, დღეში 8 საათი (10:00-დან 18:00-მდე) ფუნქციონირებს თამბაქოს ცხელი ხაზი 116 001; ასევე ფუნქციონირებს თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის მობილური აპლიკაცია „თავს ვანებ“.
- მიმდინარეობდა თამბაქოზე თავის დანებების მოკლე კონსულტირებისა და თამბაქოზე დამოკიდებულების მკურნალობის, მათ შორის მედიკამენტოზურის, გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის ადვოკატირება.
- მიმდინარეობდა მუნიციპალური საზ. ჯანდაცვის ცენტრების გაძლიერება თამბაქოს კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით, მ.შ. კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგის მიმართულებით.
- ხორციელდება თამბაქოს საკითხებზე სხვადასხვა საგრანტო პროექტი და მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით მეტი აქტივობისთვის.
- თამბაქოს მავნეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შესრულდა კედლის მხატვრობის ორი ნამუშევარი ცენტრის კედელზე.
- აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების ხელშეწყობისთვის და თამბაქოს კონტროლის შესახებ ჩარჩო კონვენციის მე-8, მე-11, მე-13 და 5.3 მუხლებზე.
- მიმდინარეობდა მუშაობა თამბაქოზე გადასახადების ზრდის და საგადასახადო ზომების, ისევე, როგორც უკანონო ვაჭრობის შესახებ ანალიზის დოკუმენტზე
- ჩატარდა ქუჩის გამოკითხვა თამბაქოს ნაწარმზე ფასის ზრდისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიმართ საზოგადოების განწყობის გამოსავლენად და ფოკუს ჯგუფები გადასახადების ზრდასთან დაკავშირებული გამოწვევების და დამოკიდებულებების დასადგენად.

FCTC-ის მუხლების აღსრულების მდგომარეობა საქართველოში

თემა	ღონისძიება	მუხლი
ლობირება	სახელმწიფოს (კანონშემოქმედებით, პოლიტიკის მიმღებ) და ინდუსტრიას შორის კომუნიკაციის, ინტერაქციის შეზღუდვა	5.3
მოთხოვნის შემცირება	საგადასახადო და სხვა ფისკალური ზომები თამბაქოზე მოთხოვნის შესამცირებლად	6 და 7
პასიური მწვეველობა	თითოეული მოქალაქის დაცვა თამბაქოს მეორადი კვამლის ზემოქმედებისგან სამუშაო ადგილებზე, დახურულ საზ. შენობებსა და საზ. ტრანსპორტში	8
პროდუქტების რეგულირება	თამბაქოს პროდუქტების შემცველობების ანგარიშგება	9 და 10
თამბაქოს პროდუქტის შეფუთვა და მარკირება	უფრო დიდი ზომის სამედიცინო გაფრთხილებები, შეცდომაში შემყვანი წარწერების აკრძალვა	9 და 11
ცნობიერების ამაღლება	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თამბაქოს მავნეობის შესახებ და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის შედეგების შესახებ	12
თამბაქოს რეკლამირება, პოპულარიზაცია და სპონსორობა	რეკლამის სრულყოფილი აკრძალვა, გარდა კონსტიტუციით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევებისა	13
ნიკოტინ-დამოკიდებულება	ნიკოტინ-დამოკიდებულების შემცირებისა და თამბაქოზე თავის დანებების სერვისების განვითარება	14
უკანონო ვაჭრობა	თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება	15
არასრულწლოვანთა დაცვა	არასრულწლოვნებზე მიყიდვის აკრძალვისთვის საჭირო ქმედებები	16
კვლევა	კონვენციის მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერება კვლევების განხორციელებისა და ინფორმაციის გაცვლის გზით	20, 21, 22

საერთაშორისო პროექტები:

1. საქართველოში თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნის შემცირების მიზნით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცების და აღსრულების მხარდაჭერა WHO FCTC მოთხოვნების შესაბამისად (The Union/Vital strategies)
2. პროექტი „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენცია 2030“ - ჯანმოს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (WHO FCTC) მხარეთა კონფერენციის (COP) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად კონვენციის სამდივნომ ინიცირება გაუკეთა ახალ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს იმ ქვეყნებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მიიღონ განვითარების ოფიციალური დახმარება (official development assistance - ODA), რათა თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის დანერგვის გაძლიერების გზით მიაღწიონ მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs). აღნიშნული პროექტი კონვენციის სამდივნოს საშუალებას აძლევს აქტიურად დაეხმაროს WHO FCTC-ს ხელისმომწერ 15 ქვეყანას ჩარჩო კონვენციის ქვეყნის დონეზე დანერგვის გაძლიერებაში. ეს შერჩეული ქვეყნები ხდებიან „FCTC 2030 პარტნიორი ქვეყნები“. FCTC 2030 პროექტს კონვენციის სამდივნო დიდი ბრიტანეთის ფინანსური დახმარებითა და გაეროს განვითარების პროგრამასა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ახორციელებს; პროექტის ფარგლებში ჩატარდა თამბაქოს პრევალენტობის კვლევა.

3. პროექტი „მოწვევისგან თავისუფალი კოალიციები საქართველოსა და სომხეთში: რანდომიზირებული კვლევა“ ხორციელდება NIH დაფინანსებით ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. კვლევის მიზნებია: მოსახლეობის რანდომიზირებული კონტროლირებული კვლევის ჩატარება საქართველოსა და სომხეთის 28 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი კოალიციების გავლენის შესასწავლად; საზოგადოების კონტექსტისა და კოალიციის ფაქტორების თამბაქოს კვამლის გარეშე პოლიტიკის ათვისებასა და დანერგვაზე გავლენის შეფასება; კვლევის შედეგების გავრცობა.
4. „ემორი-საქართველოს სუფთა ჰაერის კვლევითი-საგანმანათლებლო პროექტი“ - ხორციელდება NIH დაფინანსებით ემორის და ჯორჯ ვოშინგტონის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. პროექტის გრძელვადიანი მიზანია საქართველოში არაგადამდებ დაავადებებთან და გარემოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარების შესაძლებლობების განვითარება ტრენინგების, სწავლებისა და პრაქტიკის გზით. პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის ბაზაზე შერჩეულია: პირველ კოჰორტაში 3 მაგისტრანტი: რევაზ რევაზიშვილი, ანანო ყურაშვილი და თეონა ხარაზიშვილი და 3 დოქტორანტი: ანა დეკანოსიძე, თამარ ქაშიბაძე და თინათინ მამაცაშვილი; მეორე კოჰორტაში 2 მაგისტრანტი: მარიამ შოთაძე და ლაშა დვალი და 5 დოქტორანტი: სოფო ალავიძე, ნათია ქაქუთია, თამარ კიკვიძე, მარიამ იზორია და ლევან გაბელაია.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების სრულყოფილად შეადსარულებლად მნიშვნელოვანია:

- ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის მდგრადი და მზარდი დაფინანსების უზრუნველყოფა;
- თამბაქოს ინდუსტრიის ჩაურევლობის შესახებ ნორმატიული აქტის დამტკიცება და მისი სტანდარტად დანერგვის ხელშეწყობა;
- უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
- სტრატეგიული დოკუმენტების დამტკიცება-აღსრულება;
- გამონაკლისების ნუსხაზე რეაგირება და თანდათანობითი შემცირება;
- ელექტრო სიგარეტების და IQOS-ის მიმართ ინტერესზე სათანადო რეაგირება;
- თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის რეგულაციების კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა;
- თამბაქოსთან დაკავშირებული საკითხების ტელევიზიების მიერ გაშუქების, შექმნილი ვიდეო-რგოლების გაშვების უზრუნველყოფა;
- თამბაქოს ნაწარმის ინტერნეტით რეალიზაციის, ინტერნეტკომპლარიაციის, სოციალურ მედიაში ინფორმაციის გავრცელების საკითხებზე სათანადო რეაგირება;
- კანონის აღსრულების მონიტორინგის, მათ შორის სამოქალაქო მონიტორინგის, გაძლიერება.

2021 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალების მომზადება მსოფლიო დღეებთან დაკავშირებით. დეპარტამენტის თანამშრომლები მორიგეობდნენ 116001-ის ცხელ ხაზზე, სადაც კოონსულტაციებს უწევდნენ ცხელ ხაზზე მომმართველ პირებს. თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები COVID-19-ის ვაქცინაციის მხარდამჭერ მარათონში გზავნილით: “საქართველოს სამსახურში - ვიცრებით ერთმანეთისთვის!” თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ სატელევიზიო გადაცემებში, ვებინერებსა და ონ-ლაინ კონფერენციებში.

გამოწვევები

- არაგადამდებ დაავადებათა და მათი გართულებების/გამოსავლების არასრულყოფილი მონიტორინგი
- დედათა და პერინატალური სიკვდილის შემთხვევებზე არასრულყოფილი ზედამხედველობა და რეაგირება
- რეპროდუქციული ასაკის ქალთა და 0-5 წლის ასაკის ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევების არასრული აღრიცხვიანობა დეიზ-ის სისტემაში
- რეგიონული და მუნიციპალური ცენტრების ნაკლები ჩართულობა აგდ პრევენციის, ეპიდზედამხედველობისა და მართვის მიმართულებით
- არასაკმარისი კვალიფიციური ადამიანური რესურსი და კოორდინირებული მუშაობის ნაკლებობა
- შეფერხდა არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება
- შეფერხდა საქართველოს მთავრობის დადგენილების „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის სტანდარტიზების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მიღება
- შეფერხდა თამბაქოს ინდუსტრიის ჩაურევლობის შესახებ ნორმატიული აქტის დამტკიცება და მისი სტანდარტად დანერგვა
- შეფერხდა საქართველოს მთავრობის დადგენილების „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან (გარდა გასახურებელი თამბაქოსი) გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინის, კუპრის, მხუთავი გაზის) ზღვრულად დასაშვები ნორმების, მათი გაზომვისა და რეგულირების წესებისა და საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალის/კარტრიჯის/კაფსულის/კონტეინერის მოცულობის, მასში ნიკოტინის შემცველობის ზღვრულად დასაშვები ნორმებისა და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, ასევე კოლოფსა/ბლოკსა და შეფუთვაზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებებისა და მათი დატანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 მარტის №150 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიღება
- COVID-19 პანდემიის გამო შეფერხდა ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამის სხვა კომპონენტების განხორციელება

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: კლიმატის ცვლილებისა და გარემო ფაქტორების ზემოქმედებით განპირობებულ ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სიკვდილიანობის პრევენცია

ძირითადი მიღწევები

- ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება
- საქართველოს გარემოს და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2018-2022 წ.წ. (NEHAP-2) 2019-2020-2021 წლების ვალდებულებების შემუშავება/დანერგვა
- ქიმიური ნივთიერებების ბიოციდების რეგისტრაციის ონ-ლაინ რეჟიმის ამოქმედება
- ბიოციდური პროდუქტების საინფორმაციო ე.წ. დახმარების მაგიდა “Help desk”-ის ჩამოყალიბება/ამოქმედება;
- „ტექნიკური რეგლამენტის ლაქ-სადებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტების შესახებ“ დამტკიცება (საქართველოს მთავრობის დადგენილება 2021 წლის 2 აპრილი N148)
- 2021 წელს 24-30 ოქტომბერს ტყვიით მოწხამვის პრევენციის საერთაშორისო კვირეულის ჩატარება
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განხორციელება წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად
- გარემოს და ჯანმრთელობის ინდიკატორების შემუშავება ევროპის გარემოს და ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემის მოთხოვნების შესაბამისად;
- ქიმიურ რისკ-ფაქტორთა შეფასების ლაბორატორიის ამოქმედება
- „პესტიციდების კლასიფიკაცია საფრთხის მიხედვით ჯანმოს რეკომენდაციის შესაბამისად და კლასიფიკაციის გაიდლაინები“ - ქართული ვერსიის მომზადება


3.1. საქართველოს გარემოს და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2018-2022 წ.წ. (NEHAP-2) და სტრატეგიის განხორციელება. გარემოსა და ჯანმრთელობის მე-6 მინისტერიალის ე.წ. „ისტრავას“ დეკლარაციის ვალდებულებების შესრულება

საქართველოში წყლის სფეროს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის და წყლის რესურსების მდგრადი მართვის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დასრულდა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება, რომელიც დაფუძნებულია წყლის რესურსების სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებსა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე მოთხოვნებზე.


მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასა და ცენტრს შორის პროექტის "საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის მარეგულირებელი ჩარჩოს მიმოხილვა და კვლევის ინსტრუმენტების ადაპტირება ადგილობრივ კონტექსტან" განხორციელების შესახებ ეროვნულ დონეზე. სამუშაოს მიზანია გადაიხედოს მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც დაკავშირებულია WASH–თან HCF–ში და ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის HCF–ში WASH–ის პირობების ეროვნული შეფასების მომზადებას. ეს სამუშაო ხელს შეუწყობს გარემოს და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმისა და საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებას.

ჯანმო-ს საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარდა WASH (წყალი, სანიტარია, ჰიგიენა და ნარჩენების მართვა) კვლევა სამედიცინო დაწესებულებებში, კვლევამ მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი. გაკეთდა შედეგების (მონაცემთა) ანალიზი, და პრეზენტაციები და დისკუსიები კვლევით გამოვლენილი ხარვეზების გარშემო. გაკეთდა სამედიცინო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის ზოგადი შეფასება. მიმდინარეობს საბოლოო ანგარიშის მომზადება, რომელიც გამოქვეყნდება 2022 წელს.

2021 წლის ოქტომბერში (24-30) ჩატარდა ტყვიით მოწამვლის საერთაშორისო კვირეული. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: კახეთში (თელავი), შიდა ქართლში (გორი), მცხეთა-მთიანეთში (დუშეთი). გაკეთდა პრეზენტაციები, ტყვიის ტოქსიკურობის, კვირეულის მნიშვნელობის, ტყვიით მოწამვლის რისკების შემცირების და ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების პრევენციის, ასევე იმ კონტინგენტის მკურნალობის საკითხებზე, რომელთაც სისხლში გამოუვლინდათ ტყვიის მომატებული კონცენტრაციები, გადაცემული იქნა შემდეგი სახის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა: ინფოგრაფიკა - „ფაქტი: ტყვია შხამია“; პოსტერები: „შეამცირე ტყვიის ზემოქმედების რისკი“; „ტყვიის შემცველი საღებავი ჯერ კიდევ ნებადართულია ბევრ ქვეყანაში“; „აკრძალე ტყვია საღებავში“; „24-30 ოქტომბერი - ტყვიით მოშხამვის პრევენციის საერთაშორისო კვირეული“; „ტყვია ორგანიზმში ხვდება შემდეგი გზებით“; „ტყვია ტოქსიკურია - ტყვიით მოშხამვა განსაკუთრებით საშიშია ბავშვების გონებრივი განვითარებისათვის“; პლაკატი: „ტყვიით ინტოქსიკაციის შედეგები“ და საინფორმაციო მასალა: „ტყვიით ინტოქსიკაცია და ჯანმრთელობა“.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მხარდაჭერით მიმდინარეობს პროექტი „ქიმიური ნივთიერებების მდგრადი მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“, რომელიც ითვალისწინებს ქიმიური ნივთიერებების მართვის სისტემის ევროპულ მოდელთან შესაბამისობაში მოყვანას, კანონმდებლობის შემუშავებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას ეროვნულ დონეზე. მომზადებულია „ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის სამუშაო ვერსია. ამ ეტაპზე გრძელდება მუშაობა და განხილვები დოკუმენტის პროექტზე. მიმდინარეობს მუშაობა „ნივთიერებების და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირების და შეფუთვის შესახებ“ ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაზე. მუშაობა გრძელდება 2022 წელს და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებს გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის წარმომადგენლები.



საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის N148 დადგენილებით დამტკიცდა „ტექნიკური რეგლამენტი – ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტირების წესის“ შესახებ, რომლის დანერგვაზე მიმდინარეობს მუშაობა. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5141998?publication=0>.

2021 წელს გადაითარგმნა ქართულ ენაზე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინი „ტყვიის შემცველ

საღებავთან დაკავშირებით ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზების სახელმძღვანელო“, რომელიც ხელმისაწვდომია ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე: <https://www.ncdc.ge/#/pages/file/3d38e1e5-a952-4f9d-9a6b-3192fe06c588>

2021 წელს გადაითარგმნა ქართულ ენაზე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი „ტყვიის შემცველი საღებავების გლობალური ელიმინაცია: რატომ და როგორ უნდა მიიღონ ზომები ქვეყნებმა“, რომელიც ხელმისაწვდომია ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე: <https://www.ncdc.ge/#/pages/file/73a8fa75-6548-4e6c-9e0a-2ec0a4afe23d>



მომზადდა „სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამომხმარებლო ბაზარზე პიროტექნიკის განთავსების შესახებ“ ევროკავშირის დირექტივის (Directive 2007/23/EC) შესაბამისად ეროვნული კანონპროექტი - ტექნიკური რეგლამენტი „პიროტექნიკური პროდუქციის/ნაწარმის სამომხმარებლო ბაზარზე განთავსების შესახებ“, რომლის პირველადი სამუშაო ვერსია დაეგზავნა სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებებს განსახილველად. ჩატარდა სამუშაო შეხვედრა აღნიშნულ უწყებებთან შენიშვნების, კომენტარების განხილვის მიზნით. მზადდება კანონპროექტის მეორე განახლებული ვერსია შემდგომი განხილვისთვის და საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებისთვის.

ფერმერებისათვის პესტიციდების და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატების სათანადო მართვის, საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებების გატარების კუთხით მომზადდა „ჯანმო-ს მიერ რეკომენდებული პესტიციდების საშიშროების კლასიფიკაცია და კლასიფიკაციის სახელმძღვანელო მასალები“ და ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით ცნობიერების ამაღლების კამპანია, რისთვისაც დამატებით შემუშავდა საინფორმაციო მასალები, ასევე შედგა გრაფიკი და ფერმერულ მეურნეობაში ჩატარდა საგანმანათლებლო კამპანია პრევენციული ღონისძიებების შესახებ და კლასიფიკაციის სახელმძღვანელოს პრეზენტაცია.

ცნობიერების ამაღლების კამპანია აჭარის ციტრუსთა ფერმერულ მეურნეობაში



ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან კოლაბორაცია გაგრძელდება 2022 წელსაც.

მომზადდა „ჯანმოს გლობალური სტრატეგიის ჯანმრთელობასთან, გარემოსთან და კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში: ცვლილება, რომელიც საჭიროა ცხოვრების და კეთილდღეობის მდგრადობის გასაუმჯობესებლად ჯანმრთელი გარემოს საშუალებით“ ქართულენოვანი კორექტირებული ვერსია.


„ბავშვებში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების და ადრეული გამოვლენის, მართვის ღონისძიებების და ლაბორატორიული სიმძლავრეების ჩამოყალიბების, წყაროების გამოვლენისა და საღებავებში ტყვიის ელიმინაციის მიზნით“ ეროვნული ცენტრის კოორდინაციით სახელმწიფო პროგრამის „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“-ს ფარგლებში მიმდინარეობდა სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგი, რაც მოიცავდა სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე, ოჯახის ექიმისა და/ან პედიატრის რეფერალის საფუძველზე, 7 წლამდე ასაკის ბავშვების გამოკვლევას სისხლში ტყვიის შემცველობაზე. აღნიშნული კვლევის შედეგად ბავშვის სისხლში ტყვიის 5 მკგ/დლ-ის ან მეტი შემცველობის შემთხვევაში მათ უზრუნველყოფას შესაბამისი სამედიცინო სერვისებითა და მედიკამენტებით, ასევე მათი ოჯახის წევრების (18 წლამდე ასაკის ბავშვები და ორსულები) გამოკვლევას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამედიცინო სერვისებით მოცვას. ხოლო იმ მოსარგებლებებისთვის, რომელთა სისხლში ტყვიის კონცენტრაცია შეადგენს ან მეტია 5 მკგ/დლ-ზე, მედიკამენტებით (რკინის პრეპარატებით, კალციუმითა და მულტივიტამინებით) უზრუნველყოფას, ექიმის დანიშნულების შესაბამისად.

**სახელმწიფო პროგრამა „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“
სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგი**


საანგარიშებო პერიოდში ჩატარდა 4693 პირველადი და 2395 - განმეორებითი დიაგნოსტიკური კვლევა, 18 წლამდე ასაკის ოჯახის წევრებში ჩატარდა 1115 პირველადი და 1418 განმეორებითი დიაგნოსტიკური კვლევა, ხოლო ოჯახის წევრ ორსულებში - 4 პირველადი 8 განმეორებითი დიაგნოსტიკური კვლევა ტყვიის შემცველობაზე.

გრაფიკული აბსორბციის ატომური სპექტრომეტრული მეთოდით იდენტიფიცირებული 7 წლამდე ასაკის 6958 ბენეფიციარიდან ტყვიის მომატებული შემცველობა, რომელიც შეადგენს ან მეტია 5 მკგ/დლ-ზე, გამოუვლინდა 2713 ბავშვს (39%). ამასთანავე, გამოკვლეული 3107 ოჯახის წევრიდან, 5 მკგ/დლ ან მეტი სისხლში ტყვიის შემცველობა გამოუვლინდა 1642 ბენეფიციარს (53%).


ტყვიის მომატებული შემცველობის მქონე 0-7 წლამდე ასაკის ბენეფიციართა და ოჯახის წევრთა რაოდენობა



ტყვიის მომატებული შემცველობის მქონე ბენეფიციართა პროცენტული მაჩვენებელი



0-7 წლამდე ბავშბის სისხლში ტყვიის მომატებული შემცველობის მქონე ბენეფიციართა წილი დიაგნოსტირებულთა შორის, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



სისხლში ტყვიის მომატებული შემცველობის მქონე ბენეფიციარებს ექიმის დანიშნულების შესაბამისად დაენიშნათ პროტოკოლით გათვალისწინებული მკურნალობა და საჭიროებენ შემდგომ მეთვალყურეობას.

3.2. კოორდინირებული, თანმიმდევრული, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის ჩამოყალიბება და ინტერსექტორული თანამშრომლობის გაძლიერება გარემოს ჯანმრთელობის სფეროში

ჩატარდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #473 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების შესახებ“ შესრულებაზე დამყარებული კონტროლით მიღებული შედეგების ანალიზი. ანალიზის შედეგების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც დაეგზავნა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ობიექტების შემოწმებაზე პასუხისმგებელ, მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეულ სამსახურებს, სახელმძღვანელოდ და გასათვალისწინებლად. 2021 წელს განხორციელდა სულ 10 მუნიციპალური საზოგადოებრივი ცენტრის მიერ შესრულებული შემოწმებების შედეგების ანალიზი, მათ შორის, ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, ზესტაფონის, თელავის და სხვა მუნიციპალური სჯ ცენტრების მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგების; დანარჩენი მუნიციპალური სჯ ცენტრების მიერ ეს სამუშაო პანდემიის გამო არ შესრულებულა; ჩატარებული ანალიზის მიხედვით, სულ ჩატარებული იყო 243 შემოწმება, პირველადი შერჩევითი შემოწმება ჩატარდა სულ 176 ობიექტში, დარღვევა გამოვლინდა 117 ობიექტში, ადმინისტრაციული ოქმი შედგენილი და სასამართლოზე წარდგენილი იყო 3-ჯერ, სასჯელი დაედო წლის განმავლობაში 4 ობიექტს (ერთი - წინა წელს წარდგენილ ოქმზე).

საბავშვო ბაღებში, სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით, მიმდინარეობს ხარისხის სტანდარტის დანერგვა და მხარდაჭერა. სკოლებში მიმდინარეობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის დანერგვა.

კომპონენტის ფარგლებში ცანტრში შემუშავდა და დაიბეჭდა საგანმანათლებლო/საკოპულარო მასალები: ბუკლეტები, პოსტერები (მ.შ. ეთნიკური უმცირესობებისთვის); საგანმანათლებლო სახის ბანერები.

2021 წლის განმავლობაში რეაბილიტაციულ და ახლად აშენებულ საჯარო სკოლებში სრულად არის გათვალისწინებული სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია.

მომზადდა ENHIS და WHO ინდიკატორებთან ჰარმონიზებული გარემოს ჯანმრთელობის ეროვნული ინდიკატორები, რომელთა შეთანხმება მოხდება 2022 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, კერძოდ:

- Population weighted annual mean PM2.5 in cities
- Population weighted annual mean PM10 in cities
- Percentage of urban population exposed to noise level Lday > 55 dB
- Percentage of urban population exposed to noise level Lnight > 50 dB
- Bathing water quality for coastal zones in EU countries, levels of compliance
- Percentage of population reporting that noise is a problem in the living environment
- Numbers of people aged 0–24 years injured in road traffic accidents per 100 000 motor vehicles
- PREVALENCE OF CHRONIC RESPIRATORY ILLNESSES
- Bathing water quality for freshwater zones in EU countries
- Percentage of people living in cities with various SOMO35 levels
- Prevalence of overweight 11 year
- Prevalence of overweight 13 year
- Standardized road traffic injury rates in people aged 0–24 years
- Population weighted annual mean SOMO35 in cities
- Standardized incidence of work injuries among employees aged under 18 years
- Standardized incidence of work injuries among employees aged 18-24 years

3.3. გარემოს ეპიდემიოლოგიის კვლევების დაგეგმვა და განხორციელება გარემოს რისკ-ფაქტორების ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების მიზნით

2021 წლის განმავლობაში განხორციელდა:

1. ქ.წყალტუბოს გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) სკოპინგის ანგარიში;
2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში;
3. ქ.ზუგდიდის გენერალური გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში;
4. „დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში“ და შესაფასებელი სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია;
5. გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება.
6. გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში.
7. მომზადდა “ქ.სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის” შესახებ სკრინინგის გადაწყვეტილება.

ქიმიურ რისკის ფაქტორთა შეფასების ლაბორატორიის ამოქმედება

განისაზღვრა გარემოს რისკ-ფაქტორების კვლევის ლაბორატორიისათვის საჭირო დამხმარე მოწყობილობებისა და მასალების ნუსხა და დაიწყო სწრაფი წესით შესყიდვები. სირთულეები წარმოიშვა ლაბორატორიული გაზების ინსტალაციის საკითხებთან დაკავშირებით. დღის წესრიგში დადგა ლაბორატორიის ადგილსამყოფელის შეცვლა. ლაბორატორია ასათიანის ქუჩიდან გადმოვიდა NCDC-ს ტერიტორიაზე. დაიწყო ლაბორატორიული კვლევის მეთოდების მოძიება და სოპ-ების შემუშავება.

აქტიური კომუნიკაცია არსებობდა Agilent-ის წარმომადგენლობასთან, ICP-MS ხელსაწყოს ადგილის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებში. დაიგეგმა UPS მოწყობილობის შეძენა, Agilent-ის წარმომადგენლობის რეკომენდაციების გათვალისწინებით. თუმცა, Agilent-ის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული სისხლში ტყვიის განსაზღვრის მეთოდის დანერგვა ვერ მოხდა, რადგანაც მეთოდი არ იყო ვალიდირებული და აღიარებული კომპეტენტური ლაბორატორიების მიერ.

ლაბორატორიის თანამშრომლები დაესწრნენ OPCW - Organisation for the Prohibition of Chemical Weapons-ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ ტრენინგს, UNIDO და GOSP-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, სტაჟირება გაიარეს ექსპერტიზის ბიუროში და „დელტა“-ს ლაბორატორიებში. გაიარეს რადიაციული უსაფრთხოების ტრენინგი და მოიპოვეს სამუშაო ლიცენზია.

შეიქმნა ნიმუშების სარეგისტრაციო ფორმები: ნიმუშების აღებისა და მიღების ოქმები, გამოცდის ოქმები. სამუშაო ფორმების შეთანხმება მოხდა შესაბამის სამსახურებთან. შემუშავებული იქნა ტექნიკური ჩანაწერების ჟურნალები.

გურიის რეგიონში გამოკვლეულ იქნა ტყვიით დაბინძურების წყაროები XRF ანალიზატორით. სულ გამოკვლეული იქნა 19 შინამეურნეობა გურიის სამივე მუნიციპალიტეტში (ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური). ეს შინამეურნეობები შერჩეულ იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სადაც ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე

მაღალი აღმოჩნდა ტყვია ნიადაგის სინჯებში. აღნიშნული ხელსაწყო გამოყენება მოხდა ტყვიის კონცენტრაციების დასადგენად საღებავში, ბავშვის სათამაშოებში, ჭურჭელში (რომელსაც ბავშვები იყენებენ) და სხვ.

დაიწყო აქტიური თანამშრომლობა UNICEF-ის წარმომადგენლობასთან, ხელსაწყოების ინსტალაციისა და ტრენინგების დაგეგმვის საკითხებში. 2021 წლის ივლისის დასაწყისში მოხდა ქიმიურ რისკ-ფაქტორთა კვლევის ლაბორატორიის გახსნა.

ჩატარდა ICP-MS ხელსაწყოს ოპერატორთა ტრენინგი მწარმოებელი კომპანიის სერვის-ინჟინერის მიერ. ტრენინგს დაესწრო ლაბორატორიის ყველა თანამშრომელი, გაიცა სერთიფიკატები.

დაიწყო სისხლში ტყვიის განსაზღვრის მეთოდის მოძიება და მიმდინარეობდა ლაბორატორიული დოკუმენტაციის შემუშავება. ასევე მიმდინარეობდა სამუშაოები ICP-MS ხელსაწყოზე სამუშაო პრაქტიკის გასაღრმავებლად. დაიგეგმა Analytic Jena-ს სერვის-ინჟინერის ვიზიტი ხელსაწყოს ინსტალაციისა და ოპერატორთა ტრენინგისათვის. მიმდინარეობდა Analytic Jena-ს მიერ მოთხოვნილი რეკომენდაციებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სამუშაო სივრცის და დოკუმენტაციის მოზადება; ჩატარდა თანამშრომელთა ტრენინგი ბიოსაფრთხილების საკითხებში.

მოხდა AAS ხელსაწყოს ინსტალაცია და ჩატარდა ოპერატორთა ტრენინგი. მიმდინარეობდა სამუშაოები AAS ხელსაწყოზე სამუშაო პრაქტიკის გასაღრმავებლად, ასევე, ორენოვანი სოპ-ების შემუშავება და შეთანხმება ლუგარის ხარისხის სამსახურთან.

დაიწყო წყალსა და ნიადაგში ტყვიის განსაზღვრის მეთოდების დანერგვის პროცესები; ლაბორატორიისათვის მოხდა სამეცნიერო კონსულტანტის აყვანა. საწყობის ელექტრონულ სისტემაში მოხდა ქიმიური ლაბორატორიის მოდულის დამატება, დავიწყო აღჭურვილობისა და დამხმარე მასალების გადატანა ელ. სისტემაში. მიმდინარეობდა წყალში და ნიადაგში ტყვიის განსაზღვრის მეთოდების შერჩევა და დანერგვა, მიმდინარეობდა ლაბორატორიული დოკუმენტაციის შემუშავების პროცესები.

ლაბორატორიის თანამშრომლები დაესწრნენ OPCW- Organisation for the Prohibition of Chemical Weapons-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგსა და Bonn School on Environment and Health, „Health and environment research“ ონლაინ ტრენინგს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფ ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიასთან დადასტურდა ანალიზების ვალიდურობა. შემუშავებულ იქნა ნარჩენების მართვის გეგმა და შესაბამისი დოკუმენტაცია გადაეგზავნა გარემოსდაცვით მმართველს.

დაიწყო საღებავებსა და სათამაშოებში ტყვიის კვლევის მეთოდების დანერგვის პროცესები, მოხდა სხვადასხვა კვლევის მეთოდების შესყიდვა. დაიგეგმა XRF-ის მოხმარების ტრენინგის თარიღი, რომელსაც ლაბორატორიის თანამშრომლების გარდა დაესწრებიან რეგიონების წარმომადგენლები (აჭარა, იმერეთი).

მიღებულ იქნა დეიონიზატორი და მოხდა მისი ინსტალაცია ლაბორატორიაში.

ფუნქციონირებს ქიმიური ნივთიერებების რეგისტრი ონლაინ რეგისტრაციისათვის, რომელიც საქართველოში პირველ ეტაპზე გამოიყენება ბიოციდების რეგისტრაციისათვის.

2021 წლის განმავლობაში მოხდა შემდეგი მოცულობის სამუშაოების წარმოება:

სადეზინფექციო საშუალებების რეგისტრაცია

- პორტალზე რეგისტრირებული და უარყოფილი საშუალებების რაოდენობები: 1. რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები სულ (სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაცია) - 128; 2. სადეზინფექციო საშუალებები - 105; 3. სადერატიზაციო საშუალებები - 4; 4. სადეზინფექციო საშუალებები - 19; 5. უარყოფილი საშუალებები - 26; ძველად რეგისტრირებული საშუალებები - 351; 6. რეგისტრაციას არ საჭიროებს - 48.
- რეგისტრირებული საშუალებები ქვეყნების მიხედვით (რაოდენობები): საქართველო - 25; თურქეთი - 44; რუსეთი - 19; გერმანია - 10; იტალია - 9; აშშ -1; ტაილანდი - 2; უკრაინა - 4; ბულგარეთი - 2; ჩინეთი - 5; დიდი ბრიტანეთი - 1; აზერბაიჯანი - 1; ავსტრია - 1; საბერძნეთი - 1; ესპანეთი - 1; ბელგია - 1.

COVID-19-ის ეპიდემიის პერიოდში აქტივობები:

გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კლიმატის ცვლილების საკითხებზე ორგანიზებულ ღონისძიებებში: „რისკების თაობაზე ცნობიერების ამაღლება და კომუნიკაცია თბური ტალღების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემცირებისათვის - SCORCH“ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ვირტუალური სამუშაო შეხვედრებსა და ადგილობრივ ღონისძიებებში. "COVID-19"-ს კონტროლისა და პრევენციის მიზნით ორგანიზებულ ღონისძიებებში: - 2 დღიანი ტრენინგი "COVID-19 ვაქცინაცია და იმუნიზაციის წესები", "ინტერპერსონალური კომუნიკაცია"; - სტუდენტების მომზადების პროგრამა "COVID-19-ის ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციის საკითხებში.

2021 წლის თებერვალი-მაისის ჩათვლით ორგანიზება გაუკეთდა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში COVID-მასალის აღებაზე მომუშავე სამედიცინო პერსონალის გადამზადებას საქართველოს მასშტაბით ბიოუსაფრთხოების და მასალის უსაფრთხოდ აღების წესების მიმართულებით. სულ გადამზადდა 550 ჯანდაცვის მუშაკი.

წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

მონაწილეობა ჯანმო-ს გარემოს და ჯანმრთელობის ბონის სკოლის მიერ გამართულ ტრენინგში (9 ნოემბერი - 2 დეკემბერი). ტრენინგში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 90-ზე მეტმა ქვეყანამ. მონაწილეობა მიიღო გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის 4-მა წარმომადგენელმა. შედგა საუბრები დეკარბონიზაციის პროგრამის (ZERO-NET) საერთაშორისო პროგრამის მენეჯმენტთან და განხილულ იყო საკითხი საქართველოს ჩართვასთან დაკავშირებით.

მონაწილეობა კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ მრავალ შეხვედრასა და კონფერენციაში (ონ-ლაინ ფორმატში).

მონაწილეობა ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის, შეფუთვის და ეტიკეტირების ტრენინგებში, რომელიც გაიმართა ჩეხეთის მთავრობის ინიციატივით.

მომზადდა ჯანმო-ს ადამიანის ჯანმრთელობისადმი რისკების შეფასების მეთოდური მითითებები: ქიმიური საფრთხეები - ქართული ვერსია, რომელიც განხორციელდა IPCS პროექტის - „ქიმიური ნივთიერებებისადმი ექსპოზირებიდან გამომდინარე რისკების შეფასების მიდგომების ჰარმონიზაცია“ ფარგლებში.

მომზადდა და გაიგზავნა აპლიკაცია UNEP-ს საგრანტო პროექტზე APPLICATION Special Programme FIFTH Round of Applications – 2021-ზე, - „Establish of a Poison Control Center (PCC) as an essential infrastructural element of sound chemicals management system and prevention of chemicals exposure and management of poisonings in Georgia“.

მომზადდა და გაიგზავნა აპლიკაცია რუსთაველის ფონდში ფუნდამენტურ კვლევებზე - „Survey of Associations between Air Pollution Quality and Public Perception (SEQAP) In Rustavi City“.

მომზადდა ჯანმო-ს მეთოდური დოკუმენტის - „პესტიციდების კლასიფიკაცია საფრთხის მიხედვით ჯანმოს რეკომენდაციის შესაბამისად და კლასიფიკაციის გაიდლაინები“ - ქართული ვერსია (სახელმძღვანელო), ჩაუტარდა ტრენინგები სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ფერმერებს და სხვ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (აჭარა, სამეგრელო, შიდა ქართლი, კახეთი).

რუსთაველის ფონდის საგრანტო პროექტის („გარემოს ჯანმრთელობის რისკების შეფასება ბოლნისი-დმანისის რეგიონში“) ფარგლებში ტარდება კვლევა ქვემო ქართლის რეგიონში, რომელიც გაგრძელდება შემდგომი 15 თვის განმავლობაშიც.

მოხდა “ტექნიკური რეგლამენტი - სინთეზური სარეცხი საშუალებების და საყოფაცხოვრებო ქიმიკატების შესახებ” თარგმანი და ადაპტაცია.

მომზადდა ქართული ვერსიები ინდიკატორების “სახელმძღვანელო გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის მონაცემთა ბაზის მაჩვენებლებისთვის” და “გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის მონაცემთა ბაზის ანგარიში”.

მომზადდა ჯანმო-ს KeepCool - კამპანიის საინფორმაციო მასალის ქართულენოვანი ვერსია.

2021 წლის ოქტომბერში დეპარტამენტის წარმომადგენელმა ცენტრის 3 თანამშრომელთან ერთად რეგიონებიდან გაიარა გარემოსდაცვითი მმართველის კურსები და შეუდგა ცენტრის გარემოსდაცვითი მმართველის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას. შემუშავდა 2021 წლის ნარჩენების გეგმის სამუშაო ვერსია, რომელიც განახლდება 2022 წელს არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

მონაწილეობა ცენტრის ლუგარის ლაბორატორიაში, აჭარისა და იმერეთის განყოფილებებში ახლადდამონტაჟებული ინსინერატორებისათვის სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენები) ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცესში.

მონაწილეობა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების მიმართულებით საკონტაქტო პირის უფლება-მოვალეობების ფარგლებში 2020-2030 წლების ქბრბ ეროვნული სტრატეგიისა და 2022-2025 წლების ქბრბ სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. დეპარტამენტის მიერ წლის განმავლობაში მომზადდა ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად ქბრბ მიმართულებით ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების კვარტალური, 6 თვის და წლიური ანგარიშები. დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო ქბრბ უსაფრთხოების მიმართულებით მოწყობილ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში.

ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციით (BWC) აღებული ვალდებულებების შესრულების ფარგლებში გაიგზავნა ნდობის განმტკიცების ზომების (confidence building measures) ფორმა, რომელშიც შეგროვდა ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბის ბიოლოგიურად სახიფათო მასალებზე მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

გამოწვევები

- გარემოს რისკ-ფაქტორების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასებისათვის მონაცემთა შეგროვების პროცედურებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება;
- გარემოს ზემოქმედებასთან ასოცირებული დაავადებების ზედამხედველობა, კონტროლი და ანალიზი საერთაშორისოდ აღიარებული ინდიკატორების შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდება საერთო საინფორმაციო სისტემისათვის;
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების და ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს ზემოქმედების შეფასება;
- ლაბორატორიული სიმძლავრეების გაძლიერება და შესაძლებლობების გაზრდა -
- გარემოს რისკ ფაქტორთა შეფასების ლაბორატორიის მოწყობა და გამართული
- ფუნქციონირება;
- ასოცირების დღის წესრიგით აღებული ვალდებულებების შესრულება;
- კვალიფიციური, მომზადებული კადრების დეფიციტი და სპეციალისტების მუდმივმოქმედი სწავლების სისტემის არარსებობა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნის შესაძლებლობების გაძლიერება სწრაფი და ეფექტური რეაგირებისათვის

ძირითადი მიღწევები

- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გაძლიერდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე რეაგირების ოპერაციული ცენტრი (PHEOC)
- ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების (IHR 2005) ჩარჩოს ფარგლებში ჩატარდა საზღვაო გამშვებ პუნქტებში ინფიცირებულ მგზავრთა ნაკადის მართვის და საიზოლაციო სივრცეების შესაძლებლობების შეფასება და საკოორდინაციო შეხვედრა
- იმერეთში ჩამოყალიბდა რეგიონული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე რეაგირების ოპერაციული ცენტრი (PHEOC)
- COVID-19 ზე მზადყოფნისა და რეაგირების რეგიონული გაძლიერების კუთხით, შემუშავდა სწრაფი რეგირების ჯგუფის (RRT) სატრენინგო კურსი და დაიწყო სწრაფი რეგირების ჯგუფების გადამზადება მთელი საქართველოს მასშტაბით. 2021 წლის ფარგლებში COVID-19-ზე სწრაფი რეაგირების ჯგუფები გადამზადდა აჭარაში, გურიაში, სამეგრელო ზემო-სვანეთში, კახეთსა და იმერეთში
- შეიქმნა სწრაფი რეგირების ჯგუფისთვის (RRT) სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (SOP)
- შემუშავდა და დამტკიცდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე რეაგირების ოპერაციული ცენტრის (PHEOC) მანდატი, მისი ფუნქციონირების შესახებ

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნა და რეაგირება საქართველოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს პრიორიტეტს. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნისა და რეაგირების კუთხით ცენტრის მიზანს წარმოადგენს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ფაქტების მონიტორინგი, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფა, საერთაშორისო რეგულაციებისა და ინიციატივების განხორციელება, რათა საგანგებო სიტუაციებისას ეფექტურად და დროულად მოხდეს რეაგირება, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება ზიანის თავიდან აცილება ან მაქსიმალურად შემცირება. ამ მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობს თანამშრომლობა როგორც ქვეყნის შიგნით, ინტერსექტორული კოლაბორაციის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ ორგანიზაციებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან.

4.1 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე რეაგირების ოპერაციული ცენტრის გაძლიერება (PHEOC)

დკსჯეც-ში 2020 წლის იანვარში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირება დაიწყო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე რეაგირების ოპერაციულმა ცენტრმა (PHEOC), აღნიშნული აქტივობა დაჩქარებულად განხორციელდა COVID-19-ის პანდემიაზე სწრაფი და მიზანმიმართული რეაგირებისთვის, ოპერაციული ცენტრის ქვეშ შეიქმნა შემთხვევის მართვის სისტემა, რომელშიც COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების კუთხით გაერთიანდა ცენტრის ყველა ერთეული. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე რეაგირების ოპერაციული ცენტრის (PHEOC) შექმნა წარმოადგენდა 2019 წელს ჩატარებული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთობლივი გარე შეფასების (JEE) და ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების გადამდები დაავადებების მართვისა და ზედამხედველობის სისტემის შესაძლებლობების შეფასების (ANECC) ერთ-ერთ ძირითად რეკომენდაციას. 2021 წლის მანძილზე ცენტრალურ დონეზე გაძლიერდა PHEOC-ის შესაძლებლობები და შეიქმნა რეგიონული PHEOC ქ. ქუთაისში. ასევე, ჩამოყალიბდა და დამტკიცდა PHEOC მანდატი, მისი ფუნქციონირების შესახებ.

4.2 ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების (ჯსწ) ჩარჩოს ფარგლებში შემოსასვლელი პუნქტების შეფასება

ჯსწ ჩარჩოს ფარგლებში განხორციელდა საკოორდინაციო და გაცნობითი შეხვედრა, ფოთის და ბათუმის საზღვაო გამშვებ პუნქტებში ინფიცირებულ მგზავრთა ნაკადის მართვის და საიზოლაციო სივრცეების შესაძლებლობებისა და არსებული გამოწვევების შესაფასებლად. შედეგად, შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

4.3. ტრენინგების ჩატარება

2021 წელს COVID-19 ზე მზადყოფნისა და რეგიონული რეაგირების გაძლიერების კუთხით, შემუშავდა სწრაფი რეაგირების ჯგუფის (RRT) სატრენინგო კურსი და დაიწყო სწრაფი რეაგირების ჯგუფების გადამზადება მთელი საქართველოს მასშტაბით. COVID-19-ზე სწრაფი რეაგირების ჯგუფები გადამზადებულია აჭარაში, გურიაში, სამეგრელო ზემო-სვანეთში, კახეთსა და იმერეთში. ტრენინგს ესწრებოდნენ დესჯეც-ს რეგიონული სამმართველოს და მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები, რომლებიც მომავალში განიხილებიან, როგორც სწრაფი რეაგირების ჯგუფის წარმომადგენლები. ტრენინგის განმავლობაში წარდგენილ იქნა მოდულები:

1. COVID-19 ეპიდსიტუაცია
2. ინციდენტის მართვის სისტემა და საზ. ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ოპერაციული ცენტრი (PHEOC)
3. სწრაფი რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება და მენეჯმენტი
4. ეპიდემიოლოგიის საფუძვლები
5. მონაცემთა მართვა
6. კონტაქტების მიდევნება
7. ერთიანი ჯანმრთელობა
8. ინფექციის პრევენცია და კონტროლი
9. ნიმუშის აღება და მართვა
10. გარემოს უსაფრთხოება და ნარჩენების მართვა
11. რისკის კომუნიკაცია
12. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

4.4. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა

საქართველო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებაში. 2021 წლის მანძილზე საქართველო, როგორც გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების ინიციატივის, რეალურ დროში ბიოზედამხედველობის სამოქმედო პაკეტის ლიდერი, პარტნიორ და მხარდამჭერ ქვეყნებს შორის პარტნიორობის გაძლიერების და გამოცდილების გაზიარების მიზნით ატარებდა ონლაინ შეხვედრებს.

2021 წლის 23 მარტს ცენტრში, ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრთან ერთად ჩატარდა ტრენინგი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციების მართვასთან დაკავშირებით. აღნიშნული ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა საჭირო უნარებისა და კონცეფციების დემონსტრირება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციის მართვის პროგრამის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერაციების ცენტრის შესამუშავებლად მზადყოფნის ციკლში, რეაგირების და შედეგების ლიკვიდაციის საშუალებით.

2021 წლის მაისში საქართველოში ჩატარდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მისიის ვიზიტი, რომელიც შეეხებოდა საგანგებო სიტუაციების დროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის შემუშავებას. შედეგად გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე მისიის ფარგლებში განახლდა სტრატეგიული რისკის შეფასების დოკუმენტი (STAR), ბიოლოგიური საფრთხეების ნაწილში.

საერთაშორისო შეტყობინების კუთხით, ცენტრი წარმოადგენს ოფიციალურ უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო პლატფორმაზე (Tessy) COVID-19-ის დადასტურებულ და სიკვდილის შემთხვევათა, ასევე ვაქცინირებულ პირთა რაოდენობის ანგარიშგებაზე.

გამოწვევები

- დასავლეთ საქართველოში რეგიონული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე რეაგირების საოპერაციო ცენტრის გაძლიერება, რეგიონული შესაძლებლობების გაძლიერებისთვის
- ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაძლიერება სწრაფი რეაგირების ჯგუფების (RRT) შექმნითა და გადამზადებით
- PHEOC გაძლიერება ეროვნულ დონეზე და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის პროგრამის ჩარჩოს შექმნა
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე რეაგირების მიმართულებით შემოსასვლელი პუნქტების შესაძლებლობების გაძლიერება, მ.შ. ადამიანური რესურსების გადამზადება და სიმულაციური სავარჯიშოს ჩატარება
- შემოსასვლელ პუნქტებში გადამდებ დაავადებებზე სამოქმედო გეგმის ჩარჩოს შექმნა

სტრატეგიული პრიორიტეტი 5: გამოყენებითი და ფუნდამენტური ბიოსამედიცინო და ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო კვლევების პოტენციალის განვითარება

ძირითადი მიღწევები

- GHOST ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებულია შედეგები, რომლებიც გამოიყენება C ჰეპატიტის ზედამხედველობაში. GHOST გადაცემის ქსელის ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია HCV ორი კლასტერი 1b, 2c და 2k/1b გენოტიპებით. ასევე აღმოჩენილია კონფექცია. პირველი კლასტერი წარმოდგენილია HCV 1b გენოტიპით. მეორე კლასტერი წარმოდგენილია HCV 2k/1b რეკომბინანტული ფორმის და HCV 2c გენოტიპის შერეული ფორმით. ანალიზის შედეგად აღმოჩენილი იქნა ორი კონფექცია (Z21 და TB44), შვიდი 1b გენოტიპი, 10 2k/1b რეკომბინანტული ფორმა, ერთი 3a და ერთი 1a გენოტიპი.
- შეიქმნა მონაცემთა შეგროვების ელექტრონული ხელსაწყო „REDCap cloud server“ (<https://www.afii.ge/>), რომელიც მოიცავს შემდეგ ელექტრონულ ინსტრუმენტებს: სკრინინგის ფორმა, ეპიდ - კითხვარი, ლაბორატორიული მონაცემები. აღნიშნული ხელსაწყო ხელმისაწვდომი იქნება ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად.
- სანგერ სექვენირების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს დამურებიდან გამოყოფილი კორონავირუსები წარმოადგენენ ხელფრთიანებისთვის სპეციფიურ ალფა და ბეტა კორონავირუსებს. საანგარიშო პერიოდში შესწავლილი ნიმუშებიდან დაახლოებით 21-23 % PCR რეაქციით დადებითი აღმოჩნდა კორონავირუსზე.
- დაინერგა SARS-CoV-2 მაღალი წარმადობის სექვენირების მეთოდები, რამაც ხელი შეუწყო GISAIID მონაცემთა ბაზაში ატვირთული ნიმუშების რაოდენობის გაზრდას, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ატვირთული იყო 1005 შტამის სექვენსი.
- განხორციელდა Clostridium botulinum-ის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით დეტექციის ვალიდაცია. - დაინერგა და გამოცდის ეტაპზეა ბოტულიზმის ტოქსინების დეტექციის პჯრ მეთოდი;
- მომზადდა და გამოქვეყნდა 17 სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო მაღალ იმფაქტვაქტორიან სამეცნიერო ჟურნალებში.
- შეგროვდა და დამუშავდა ჯილეხის, ბრუცელოზის, ტულარემის, შავი ჭირის, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების, ტკიპისმიერი ენცეფალიტის, ლეპტოსპიროზის შესახებ 1950-2021 წლების პერიოდის მონაცემები საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. შედეგები გამოქვეყნდა.
- განხორციელდა ლუგარის ცენტრში მიღებული 130 ამრ შტამის ფენოტიპური შესწავლა და დადასტურება, დამატებით გამოკვლეული იქნა პჯრ მეთოდით - NDM, OXA, KPC, mcr1, mcr2 გენების არსებობაზე; ყველაზე მაღალი პრევალენტობა აღენიშნა გენების - NDM და OXA.
- შავი ჭირის ბუნებრივი კერების ტერიტორიაზე შესწავლილ იქნა სეროპრევალენტობა მღრღნელების პოპულაციაში 2018-2021 წლებში აღებულ ნიმუშებში. სეროლიგია დადებითი იყო 2018 წლის ნიმუშებში, ესე იგი 1 წლით ადრე ვიდრე დაფიქსირდა ეპიზოოტია. ასევე სეროლიგია დადებითი იყო 2019-2021 წლის ნიმუშებში.

მეცნიერება და კვლევები ცენტრისთვის სტრატეგიული ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ცენტრის მიერ მომზადებული რეკომენდაციები თანამედროვე მეცნიერულ მეთოდოლოგიებს და ამ კვლევებით მიღებულ მტკიცებულებებს ეფუძნება. 2021 წლის განმავლობაში გაძლიერდა ლუგარის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესყიდულ იქნა ლაბორატორიული აპარატურა და ტექნიკა, დაინერგა ახალი კვლევის მეთოდები.

5.1 სამეცნიერო პოტენციალის განვითარება, მათ შორის, პრეციზიოზულ მედიცინაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

2021 წელს ცენტრში მუშაობდა 44 დოქტორი და 91 მაგისტრი. მაგისტრატურაში სწავლობდა 22 თანამშრომელი, აქედან მაგისტრატურა დაამთავრა 8 (დანართი 1).

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მუშავდებოდა 20 დისერტაცია (დანართი 2), ცენტრის ბაზაზე საკვალიფიკაციო თემებს (სადოქტორო და სამაგისტრო) ასრულებდა სხვა დაწესებულებაში მომუშავე 3 სპეციალისტი (დანართი 3). დაცულია 1 დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (დანართი 4).

ცენტრის სპეციალისტების მიერ 2021 წლის შემუშავდა და დაიბეჭდა 56 სხვადასხვა პუბლიკაცია და გამოცემა (დანართი 5), 7 აბსტრაქტი/პოსტერი (დანართი 6); 17 სამეცნიერო სტატია რეიტინგულ გამოცემებში (დანართი 7).

2021 წელს ცენტრში სტაჟირება გაიარა 73 სტაჟიორმა (დანართი 8).

პროექტების ფარგლებში შესრულებული სამუშაო:

“ექსტენსიურ მულტი-რეზისტენტული და პან-რეზისტენტული ვირულენტური ენტერობაქტერიების რისკ-ფაქტორების და მოლეკური მახასიათებლების კვლევა საქართველოში“, ISTC. პროექტის მიზანია - ექსტენსიურ მულტი-რეზისტენტული და პან-რეზისტენტული ვირულენტური ენტერობაქტერიების რისკ-ფაქტორების და მოლეკური მახასიათებლების შესწავლა საქართველოში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემუშავდა XDR და PDR ინფექციებზე კლინიკური ზედამხედველობის ფორმები. SPSS-ის პროგრამაში შეიქმნა ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული მონაცემების ბაზები. შეგროვდა მონაცემები XDR და PDR ინფიცირებული პაციენტების შესახებ. შესწავლილ იქნა 601 პაციენტის სამედიცინო ისტორია. ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული მონაცემები შეტანილ იქნა მონაცემთა ბაზაში.

“დასავლეთ აზიაში ღამურის მიერ გამოიწვევი ზოონოზური დაავადებების რისკების ანალიზი,, DTRA BAA. პროექტის მიზანია - კორონავირუსების (CoVs) მახასიათებლების მრავალფეროვნების კლასიფიკაცია და ძირითადი ჰიპოთეზების ტესტირება დასავლეთ აზიაში, ღამურის მიერ გამოიწვეული ზოონოზური დაავადებების რისკების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა საფრთხეების შემცირება.


საანგარიშო პერიოდის შესწავლილი ნიმუშებიდან დაახლოებით 21-23% PCR რეაქციით დადებითი აღმოჩნდა კორონავირუსზე. სანგერ სექვენირების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ღამურებიდან გამოყოფილი კორონავირუსები წარმოადგენს ხელფრთიანებისთვის სპეციფიურ ალფა და ბეტა კორონავირუსებს.

“დასავლეთ აზიური ქსელის შექმნა კავკასიის რეგიონში ბიოუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად”. გერმანიის ბუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტთან ერთობლივი პროექტი წარმოადგენს „ბიოლოგიური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გერმანიის პარტნიორული პროგრამის“ ნაწილს. 2021 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა Clostridium botulinum-ის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით დეტექციის ვალიდაცია. პროცესის დასრულების შემდეგ დაინერგება Clostridium botulinum-ის პჯრ დეტექცია ბუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის მიერ მოწოდებული პროტოკოლის მიხედვით. იმერეთის რეგიონში შეგროვდა 50 მღრღნელი, შეგროვებული ნიმუშები გაიტესტება ლეპტოსპიროზის გამომწვევზე MAT და პჯრ მეთოდებით.

„SARS-CoV-2 გენომის სექვენირების შესაძლებლობების გაფართოება/ Establishment of SARS-CoV-2 genomic sequencing capacity“, CDC. პროექტის მიზანია SARS-CoV-2 ვირუსის ცნობილი და ახალი ვარიანტების გამოჩენისა და ცირკულაციის მონიტორინგი საქართველოში. ჩატარდა ონლაინ ტრენინგი CDC და ელტა-90 კოლეგების მიერ და წარმატებით დაინერგა SARS-CoV-2 მაღალი წარმადობის სექვენირების მეთოდები, რამაც ხელი შეუწყო GISAIID მონაცემთა ბაზაში ატვირთული ნიმუშების რაოდენობის გაზრდას და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ატვირთული იყო 1005 შტამის სექვენსი. ცენტრი აქტიურად აგრძელებს ქვეყანაში გავრცელებული შტამების მონიტორინგს შესაძლო ახალი მუტაციებისა და ვარიანტების დროული გამოვლენის მიზნით.

„გლობალურად და ლოკალურად საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის ჩატარება სამეცნიერო ბაზის შექმნის მიზნით, საჯარო ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისა და გაფართოებისთვის საქართველოში“, CDC. ქვეკომპონენტი: საქართველოში ზოონოზური და გადამტანებით გადაცემადი მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადებების ეტიოლოგიისა და რისკ ფაქტორების შესწავლა და მოლეკულური ეპიდემიოლოგია. პროექტის მიზანია ზოონოზური და გადამტანებით გადაცემადი მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადებების გამომწვევი აგენტების, ეპიდემიოლოგიისა და მათი მოლეკულური მახასიათებლების შესწავლა ერთიანი ჯანმრთელობის პრინციპით საქართველოში.

2021 წელს პროექტის ფარგლებში მოხდა სამუშაო პროტოკოლის, კვლევაში ჩართვის ყველა საჭირო კითხვარის (პაციენტის შერჩევის სკრინინგის ფორმა, ძირითადი კითხვარი) და კლინიკური და ლაბორატორიული კვლევის ალგორითმების შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტები დამტკიცდა ლოკალური IRB-ის მიერ. განისაზღვრა და შეირჩა კლინიკები, სადაც პირველი წლის პილოტური კვლევის ფარგლებში მოეწყობა მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადებებზე მონიტორინგის საყრდენი ბაზები. აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის სახ. კლინიკა განისაზღვრა ქვეყანაში მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადებებზე მონიტორინგის პირველი საყრდენი ბაზის მოსაწყობად. შემუშავდა სატრენინგო მასალები. CDC და NCDC-ის მიერ დამტკიცდა პროექტის მართვის მთავარი პროტოკოლი. შემუშავდა ლაბორატორიული ტესტირების ალგორითმი:



შეიქმნა მონაცემთა შეგროვების ელექტრონული ხელსაწყო „REDCap cloud server“ (<https://www.afi.ge/>), რომელიც მოიცავს შემდეგ ელექტრონულ ინსტრუმენტებს: სკრინინგის ფორმა, ეპიდ - კითხვარი, ლაბორატორიული მონაცემები. აღნიშნული ხელსაწყო ხელმისაწვდომი იქნება ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად.

პაციენტები მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადების ნიშნებითა და სიმპტომებით იდენტიფიცირებულები და კვლევაში ჩართულები არიან; ხდება სისხლის ნიმუშების აღება და გამოგზავნა ლუგარის ლაბორატორიაში შემდგომი ტესტირებისათვის კვლევით შერჩეულ პათოგენებზე, სადაც ტარდება როგორც სეროლოგიური, ასევე PCR ტესტირება.

საანგარიშო პერიოდში ლაბორატორიში გამოსაკვლევად შემოვიდა 79 სისხლის ნიმუში. PCR-ით დადასტურებული იყო მალარიის ერთი, აფრიკიდან შემოტანილი შემთხვევა.

“რიკეტსიებისა და კოქსიელას ინფექციების ზედამხედველობა საქართველოსა და აზერბაიჯანში”: ჩატარდა ტრენინგები ქუ ცხელებისა და რიკეტსიოზების შესახებ სამედიცინო პერსონალისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებისთვის სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებში; გაგრძელდა სეროპრევალენტობის კვლევის აქტივობები - შესწავლილ იქნა 35 კლასტერი; შესწავლილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფერმები ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომით.

“რესპირატორული დაავადებების ზედამხედველობა და ინფექციების პრევენციისა და კონტროლის მართვა”: მომზადდა სატრენინგო მასალა უჩვეულო მძიმე მწვავე რესპირატორულ ინფექციებზე ზედამხედველობის შესახებ; ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სამედიცინო პერსონალთან აჭარისა და იმერეთის რეგიონებში (NCDC-ის და CDC-ის საქართველოს ოფისის წარმომადგენელთა მონაწილეობით); შესწავლილ იქნა უჩვეულო რესპირატორული მოვლენის სავარაუდო შემთხვევა კახეთის რეგიონში; შემუშავებულია რეკომენდაციები „ვენტილაცია და კონდიციონერება სამედიცინო დაწესებულებებში“.

მოლეკულურ ვირუსოლოგიური კვლევები საქართველოში: ზოო-ენტომოლოგიური ჯგუფის მიერ მოპოვებულ იქნა მღრღნელები და ტკიპები სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში; ჩატარდა მოპოვებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა; მიმდინარეობს მონაცემთა ანალიზი.

„ამრ-ის გავრცელებასთან ბრძოლა საქართველოში“: პროექტის მიზანია - ანტიმიკრობული რეზისტენტობის პრევენციისადმი მიმართული ქმედებების ხელშეწყობა და დანერგვა, საავადმყოფოსშიდა ინფექციების და ანტიმიკრობული რეზისტენტობის კუთხით, ლაბორატორიული შესაძლებლობების გაუმჯობესება; მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიებში სადიაგნოსტიკო საშუალებების სტანდარტიზაცია გაიდლაინების და სტანდარტული სამოქმედო პროცედურული დოკუმენტების დანერგვით; ეროვნულ ამრ რეფერენს ლაბორატორიის გაძლიერება საავადმყოფოსშიდა ინფექციებზე ზედამხედველობის კუთხით.

პროექტების ფარგლებში შესრულებული სამუშაო: ხარისხის გარე კონტროლის პანელების მომზადება და ქვეყნის მასშტაბით 25 ლაბორატორიაში დისტრიბუცია; შედეგების შეფასება და უკუკავშირი თითოეულ ლაბორატორიასთან, საჭიროებიდან გამომდინარე სპეციალისტების სწავლება. 2021 წელს განხორციელდა 4-ჯერადად პანელების მომზადება. გრძელდება ლაბორატორიების სტანდარტიზაციაზე მუშაობა; მომზადდა და გადაეცა ვერიფიკაციის გეგმა და სამუშაო განრიგი ამრ ქსელის ლაბორატორიებს (25 ლაბორატორია). ქვეყნის 25 ლაბორატორიიდან შემოვიდა საგანგაშო-რეზისტენტული შტამები შემდგომი დადასტურებისა და ღრმა კვლევებისთვის; 2021 წელს ლუგარის ცენტრში მიღებულია 130 ამრ შტამი; მოხდა მათი ფენოტიპური შესწავლა და დადასტურება, დამატებით გამოკვლეული იქნა პჯრ მეთოდით - NDM, OXA, KPC, mcr1, mcr2 გენების არსებობა; ყველაზე პრევალენტური გენია NDM და OXA. ეროვნული ხარისხის გარე ხარისხის პროგრამის სტანდარტიზაციისთვის დაიწყო ISO 17043 პროცესზე მუშაობა. მოხდა სტანდარტის კითხვარის ადაპტაცია და დაწყებულია დანერგვა. შექმნილია სტანდარტულ სამოქმედო პროცედურების დოკუმენტები (ინგლისურ და ქართულ ენაზე). 2022 წლის ბოლოს იგეგმება პროცესის დასრულება და ISO 17043 აკრედიტაციის მიღება.

"მოლეკულური ეპიდემიოლოგია და ეკოლოგია Yersinia სახეობების ტრანსსასაზღვრო შავი ჭირი ენდემურ ტერიტორიაზე საქართველოსა და აზერბაიჯანში". პროექტის მიზანია - შავი ჭირის კერების მოსაზღვრე ტერიტორიებზე მდრნელების პოპულაციების ეკოლოგიური კვლევა, ძუძუმწოვრებისა და მათი ექტოპარაზიტების ნიმუშების შეგროვება, Yersinia-ს შტამების გენოტიპური და ფენოტიპური თავისებურებების დახასიათება და ბუნებაში გავრცელებული მდრნელების პოპულაციებში Yersinia-ს გავრცელების სივრცული ანალიზი.

ჩატარდა კერის მონიტორინგი შავი ჭირის აფეთქების არეალის შესასწავლად და სავლე ნიმუშების შესაგროვებლად დედოფლისყაროს რაიონში; შეგროვდა 290 მდრნელის 2300 ნიმუში და 128 გადამტანი (რწყილი).

Y. pestis გამოსავლენად qPCR მეთოდით შესწავლილია 290 მდრნელი და 128 რწყილი, ყველა უარყოფითი შედეგით. პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა სეროპრევალენტობა მდრნელების პოპულაციაში შავი ჭირის კერების ტერიტორიაზე 2018-2021 წლებში აღებულ ნიმუშებში. სეროპრევალენტობა აღინიშნებოდა 2018 წლის ნიმუშებში, ესე იგი 1 წლით ადრე ვიდრე დაფიქსირდა ეპიზოტია. ასევე სეროპრევალენტობა შეინიშნებოდა 2019-2021 წლის ნიმუშებში. მიმდინარეობს ერთ სამეცნიერო პუბლიკაციაზე მუშაობა .

„ზოონოზური ინფექციების ატლასის მომზადება სამხრეთ კავკასიაში“: პროექტის მიზანია შვიდი (ჯილეხი, ბრუცელოზი, ტულარემია, შავი ჭირი, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ტკიპისმიერი ენცეფალიტი, ლეპტოსპიროზი) ზოონოზური დაავადების რეგიონალური გადაცემის რისკის განსაზღვრა და რისკების პოტენციური მატარებლების დადგენა გეოგრაფიული, კლიმატური, ეკოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ანთროპოლოგიური და ეპიდემიოლოგიური ფაქტორებთან მიმართებაში.

პროექტის ფარგლებში მოხდა დაავადებების (ჯილეხი, ბრუცელოზი, ტულარემია, შავი ჭირი, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ტკიპისმიერი ენცეფალიტი, ლეპტოსპიროზი) შესახებ 1950-2021 წლების პერიოდის მონაცემთა შეგროვება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში; მონაცემები ეხება როგორც გამომწვევის გავრცელებას ადამიანებში, ასევე რეზურვუარებსა და გადამტანებში; ყველა დაავადებაზე შეგროვდა გეოგრაფიული მონაცემები წინასწარ განსაზღვრული ცვლადების მიხედვით; ასევე დამუშავდა სამივე ქვეყნის ზოოლოგიური მონაცემები 1950-2021 წლების მონაცემების მიხედვით, როგორც აქტიური დაკვირვებით, ასევე ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით. დაწყებულია მონაცემთა ბაზის გაწმენდა R პროგრამის გამოყენებით, EDA პროგრამაში სტატისტიკური დამუშავება და ბაზების მომზადება მათემატიკური მოდელირებისთვის.

5.2 ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება

საანგარიშო წელს შეძენილი/მიღებულია აპარატურა/აღჭურვილობა/ტექნიკა, მათ შორის: თერმოციკლერი, რეალურ დროში პჯრ სისტემა; Cobas 6800 PCR Analyzer (პოლიმერული ჯაჭვური რეაქციის აპარატი); კონდიციონერი SAMSUNG; Samsung / Galaxy Tab S6 Lite Blue / Exynos 9611 Octa-core / TFT, 10.4", 1200 x 2000, 5:3 ratio / 4GB / 64GB / Li-P No / Android 10 (SM-P615NZBACU); TV/ LED/ Samsung/ TV 85" (216cm)/ UE85TU8000UXRU LED Black UHD 3840x2160; Behringer X1222USB-EU Analog Mixer; Behringer FBQ1502HD-EU Equalizer; Behringer DR112DSP-EU Portable Loudspeaker Systems, AdamHall Stands SPS023; მაცივარი BIOBASE CR-18; მაცივარი DW-86L579BPT; მაცივარი DW-86L729BPT; მეხსიერების მოდული SK HYNIX HMA84GR7JJR4N-VKTF; დისკების თარო Q1J07B HPE MSA 2050 SFF Disk Enclosure; დისკი HPE MSA 600GB 12G SAS 10K 2.5in ENT HDD; დისკი HPE MSA 800GB 12G SAS MU 2.5in SSD; მონიტორი DELL Vostro 3888 MT- i5-10400, 8GB 2666 DDR4, 256GB, 1 TB" HDD, USB Keyboard & Mouse, FreeDOS, 3 W/MS Windows 10 Pro / Office Home&Bus 2019; Dell |

S2419H | 23.8 | IPS | 1920x1080 @ 60 Hz | 250cd/m2 | 1000/1 | 8ms | H/V: 178/178 | HDMI (210-APCT); მონიტორი Dell | P2719HC | 27" | IPS | 1920 x 1080 at 60 Hz | 300 cd / m2 | 1000/1 | 8 ms | 178/178 | HDMI, DisplayPort, USB-C | 4.67 kg | (210-AQGC); პროექტორი Acer X1123HP Projector - DLP, 4000lm, 800 x 600, 20'000:1, 0.58m~7.62m Diagonal, 1~12m Distance, 5,000-15,000 Hours, 2Y (MR.JSA11.001); HP EliteBook 840 G7 Notebook/ Windows 10 Pro; Microsoft Office Home&Bus 2019; DELL Vostro 3681 SFF Desktop/MS Windows 10 Pro/Microsoft Office Home&Bus 2019; HP 255 G7-R3-2200U, 8GB (2x4GB), 256GB SSD, 15.6" HD, DVD, W10P, Office, 3Y (9VY50ES/TED44G2666C19-S01/U9BA7E/T5D-03189) 9VY50ES/8GB/3Y/Office; Adesso | Cybertrack H4 | 2.1 Megapixels CMOS Color Sensor | 1920 x 1080 | 30FPS | Manual Focue | Built-In Microphone | (783750010726); ტემპერატურის მონიტორირების მოწყობილობა; ავტომატური ცენტრიფუგა LW Scientific E8C-U8AF-150P; ცენტრალური მართვის მოწყობილობა, Shure DISCCU-E; სტაციონარული მიკროფონი CONF.UNIT.PORTABEL, GOOSENECK MIC, 20", LIGHT RING; ხმის გადაცემის უკაბელო სისტემა, BLX1288 COMBO W/MX153 AND SM58; ვიდეო სიგნალის უკაბელო გადაცემის მოწყობილობა, VIA CONNECT PRO; ნოუთბუქი DELL VOSTRO; პროექტორი Proector VIVITEC QUMI WAIT; თერმოციკლერი BIORAD; როტორი Rotor Hermle Z287A 6*50 ml; როტორი Rotor Hermle Z287A 12*15 ml; როტორი Rotor Hermle Z287A 18*1.5 ml ცენტრიფუგა კომპლექტი Z287A; ფირფიტა BOCCO; Elisa Washer IW 96; მობილური ტელეფონი Xiaomi Poco X3 NFC Dual Sim 6GB RAM 128GB LTE Global Versio; ულტრა საყინულე მაცივარი TSX60086D; ელექტრონულად მართვადი ციფრული USB კამერა - Logitech თანმდევი მონტაჟით; მაცივარ -80 * Frezer; ტემპერატურის მონიტორინგის ხელსაწყო; ვარიანტული 8-არხიანი პიპეტი, Acura® manual 855 multichannel pipette, 5 - 50 µL; ვარიანტული პიპეტი Acura® manual 825 pipette, 2 - 20 µL; ანალიზური სასწორის მაგიდა და მისი მონტაჟი; მაგიდა ICP_MS ხელსაწყოსათვის; მაგიდა GC ხელსაწყოსათვის; მაგიდა LC ხელსაწყოსათვის; ქრომატოგრაფი GC გაზური ქრომატოგრაფი; ქრომატოგრაფი LC სითხის ქრომატოგრაფი; სპექტომეტრი ICP-MS მასპექტომეტრი; ნოუთბუქი ASUS; გაზის აპარატურის მონტაჟი; პროექტორი Vivitek DX273 DLP Projector XGA (1024 x 768) 4000 ANSI Lumens, 20,000:1 contrast White; ნოუთბუქი-Asustek/ ZenBook Flip UX363JA 13.3" i5 1135G7 8GB 512 GB SSD Integrated Graphics W10 Pine Grey; ნოუთბუქი Notebook/ HP Compaq/ Envy x360 13.3 Ryzen 5 4500U 8GB 256GB SSD Integrated Graphics W10H Nightfall Black; ნოუთბუქი LENOVO THINBOOK; ნოუთბუქი LENOVO IDEAPAD; ნოუთბუქი ASUS VIVOBOK; მიკროფონების მასივი Sennheiser TEAMCONNECT CEILING 2 - CEILING MICROPHONE ARRAY; BOSE ControlSpace EX-440C Conferencing Processor; VHD V611U; BOSE Videobar VB1; TV/ LED/ Blaupunkt/ TV 50"(127cm)/ 50UN265 Black Smart Android 9.0; ULTRA HD 4K; HDR; 1100:1; BT; WiFi(2.4/5 (GHz)); DVB-T/T2/C; CI+; HDMIx4&USBx2; კვარცის ტიგელი თავსახურით 50მლ; გელის ჩამოსასხმელი ლანგარი (gel tray),15x20სმ, Biorad-ის ჰორიზონტალური ელექტროფორეზის სისტემისთვის (Sub-cell GT System); ALL in one კომპიუტერი DELL OptiPlex 5480 AIO/Intel i5-10500/1x16GB/512GB PCIe SSD/23.8" IPS FHD / Articulating Stand/GTX 1050 3GB/Wi-Fi 6+BT/; A ტიპის ლეპტოპი Microsoft Surface – 13.5" 2256 x 1504 Touchscreen – 1.3 GHz Intel i7-1065G7 - 16GB LPDDR4x - 256GB Solid State Drive –Windows 10 Home; B ტიპის ლეპტოპი DELL Notebook Vostro 3500 15.6FHD AG/Intel i5-1135G7/8/256F/NVD330-2/Lin; ტაბლეტი Tablets/ Yoga Smart Tab 10.1" FHD 4GB 64GB LTE Iron Grey; GPS Garmin eTrex22x Handheld Navigator/GPS ,2.2" 65K Display,8GB Memory ,Paperless Geocaching Software,IPX7-Rated, Submersible to 3.3'+SanDisk 32GB; მაცივარი MEDICAL REFREGERATOR HBC-80; მყარი დისკი Toshiba X300 4TB Performance & Gaming 3.5-Inch Internal Hard Drive - CMR SATA 6.0 GB/s 7200 RPM 128 MB Cache - HDWE140XZSTA; 8-არხიანი პიპეტი 20-200 კლ.; პრინტერი Printer/ Laser/ Xerox MFP VersaLink C405DNI Color, A4 35/35ppm (Mono/Color), 600x600 dpi, DADF, 2GB, Gigabit Ethetnet, USB 3.0, NFC, 85K P/M; უწყვეტი კვების წყარო UPS; მაგნიტური შტატივი 96-Well Bar Magnet PCR Magnetic Separator Top Plate Kit; მაგნიტური შტატივი 0.2 mL PCR Strip/ 1.5 mL Microcentrifuge; Magnetic Stand; საღებავის ფენის დასატანი მოწყობილობა; აქატის როდინი Agate mortar and pestle; მოცულობის გასაზომი ხელსაწყო Pipetting controller; პეჰამეტრი pH/Ion/Conductivity Meter; პიპეტი Gilson PIPETMAN Classic Starter Kit; სასწორი

Balance (Radwag WTC 200); ულტრაბგერითი აბაზანა Ultrasonic bath; საველე და სხვა (დანართი 9). განხორციელდა შეძენილი აპარატურის და ტექნიკის მონტაჟი და ინსტალირება.

2021 წლის განმავლობაში ცენტრის თანამშრომლებმა ქ.თბილისში და საქართველოს მასშტაბით ჩატარეს 69 ტრენინგი, მათ შორის ბიოუსაფრთხოების საკითხებზეც (დანართი 10); 10 თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთ ჩატარებულ 5 ტრენინგში (დანართი 11); ასევე ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საქართველოს ფარგლებში ჩატარებულ 19 ტრენინგში (დანართი 12). დანერგილია კვლევის 14 ახალი მეთოდი (დანართი 13).

5.3 გენომის ცენტრის გაძლიერება და ვივარიუმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტებით

ცენტრის ბაზაზე გენომის ცენტრი ფუნქციონირებს 2012 წლიდან. გენომის ცენტრი უნიკალურია როგორც საქართველოსათვის, ასევე რეგიონის ქვეყნების ფარგლებში (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილი, უკრაინა). ცენტრის უნიკალურობას განსაზღვრავს, ერთი მხრივ, ახალი თაობის სექვენირების პლატფორმა MiSeq (რომელზეც ხორციელდება როგორც ბაქტერიული და ვირუსული მთლიანი გენომის ნუკლეოტიდური თანამიმდევრობის გაშიფვრა, ასევე ეუკარიოტული ორგანიზმების (ვაზის, ხორბლის, ქართული ხვლიკის და ა.შ.) გენომის ანალიზი), ხოლო მეორე მხრივ, მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერთა ჯგუფი, რომელთაც გავლილი აქვს ტრენინგები ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვან ლაბორატორიებში, ჩართულნი არიან მრავალ სამეცნიერო კვლევაში და შეუძლიათ კვლევების განხორციელება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ახალი თაობის სექვენირების პლატფორმა MiSeq (და მისი სრული დატვირთვით ფუნქციონირებისათვის საჭირო დამხმარე აპარატურა) ცენტრისათვის შეძენილი იქნა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვითი საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბაზაზე გენომის ცენტრი ჩამოყალიბდა სრულად ფუნქციონირებად რეგიონალური მნიშვნელობის ცენტრად, შემდეგი შესაძლებლობებით - მთლიანი გენომის სექვენირება კომპანია ილუმინას MiSeq პლატფორმის გამოყენებით: გენომის ცენტრი ახორციელებს ახალი თაობის სექვენირებას შემდეგი აპლიკაციებისათვის:

- დნმ ის ე.წ. „shotgun“ სექვენირება;
- ტოტალური რნმ-ის სექვენირება;
- სრული ტრანსკრიპტომული ანალიზი;
- მეტაგენომური ანალიზი;
- რნმ შემცველი ვირუსების მთლიანი გენომის სექვენირება, კლინიკური ნიმუშებისათვის მასპინძელის რნმ-ის მოცილება;
- ცალკეული უბნების ე.წ. სიღრმისეული (deep) სექვენირება GHOST (გლობალური ჰეპატიტების აფეთქებების ზედამხედველობა) ტექნოლოგიისათვის.

გენომის ცენტრის შესაძლებლობები საშუალებას იძლევა ცენტრში განხორციელდეს შემდეგი კვლევები: დნმ-ის მეთილაციის კვლევა (Meth-Seq), გენოტიპირება სექვენირების გამოყენებით (GBS), მიკრო რნმ-ის სექვენირება, ტარგეტული გენების ექსპრესიის ანალიზი და სხვა ახალი თაობის სექვენირებაზე დაფუძნებული აპლიკაციები.

MiSeq Dx და კლინიკური აპლიკაციები: ბოლო წლების განმავლობაში ბევრი ახალი თაობის სექვენირებაზე (NGS) დაფუძნებული კვლევა ჩატარდა მსოფლიოს მასშტაბით კიბოს, ალცჰეიმერისა და სხვა რთული დაავადებების ყოვლისმომცველი მოლეკულური დახასიათებისათვის. ახალი თაობის სექვენირება უკვე ფართოდ გამოყენება კლინიკებში

სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორისაა პრენატალური დიაგნოსტიკა, პათოგენების დეტექცია, მემკვიდრული და სომატური გენეტიკური მუტაციები და სხვა.

ახალი თაობის სექვენირება ზოგადად და NGS-ზე დაფუძნებული კლინიკური აპლიკაციები ახალია კავკასიის რეგიონის ქვეყნებისათვის. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ექიმებმა არ იციან რა არის ახალი თაობის სექვენირება და როგორ შეიძლება იგი ეფექტურად იქნას გამოყენებული ტარგეტულ თერაპიაში, როგორ შეიძლება ახალი თაობის სექვენირება დაინერგოს ყოველდღიურ კლინიკურ პრაქტიკაში, იმ პირობებში, როდესაც პერსონალიზირებული მედიცინა ჯანდაცვის მომავალს წარმოადგენს.

გენომის ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა კლინიკური სერვისების ლაბორატორიის ჩამოყალიბება, რათა ხელმისაწვდომი გახადოს ახალი თაობის სექვენირებაზე დაფუძნებული სერვისები ექიმებისა და გენეტიკოს კონსულტანტებისათვის. გაერთიანოს ექიმები, გენეტიკოს სპეციალისტები, ბიოინფორმატიკოსები და სხვა მკვლევარები კლინიკაში ახალი თაობის სექვენირების მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად.

MiSeqDx სისტემა, რომელიც FDA-ის მიერ სერტიფიცირებულია კლინიკური ლაბორატორიებისათვის, კლინიკური აპლიკაციების ფართო სპექტრს ახორციელებს სადიაგნოსტიკო და კვლევითი საჭიროებების მხარდასაჭერად. 2018 წელს ცენტრისათვის პლატფორმა შეძენილი იქნა საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. პირველი კლინიკური ანალიზი ცენტრში განხორციელდა TruSight 15 მყარი სიმსივნეების პანელის გამოყენებით (Illumina Inc.) რვა ნიმუშისათვის. შედეგები გაანალიზდა MiSeq reporter და SOPHiA DDM პროგრამების გამოყენებით. შესაბამისად, ცენტრი მზად არის დაინტერესებულ კლინიკებს მომსახურება გაუწიოს აღნიშნული და სხვა პანელების მიხედვით, მოთხოვნის შესაბამისად.

კომპანია ილუმინას პლატფორმა NextSeq 550: NextSeq 550 პლატფორმა, რომელიც ცენტრისათვის შეძენილი იქნა გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში - გამოიყენება მთლიანი გენომის, მთლიანი ეგზონების, ტრანსკრიპტომების სექვენირებისათვის, ასევე მიკროჩიპების სკანირების გზით გენების და სტრუქტურული ვარიაციების დეტექციისათვის. სექვენირებული ფრაგმენტის ზომა – 1 x 75 bp, 2 x 75bp, 2 x 150 bp; მონაცემების მაქსიმალური ოდენობა – 20-120 Gb.

სრულად ავტომატიზებული ინსტრუმენტი, რომელშიც ინტეგრირებულია პლატფორმის მაკონტროლებელი კომპიუტერი და პროგრამა რეალურ დროში ანალიზისათვის (RTA). პლატფორმაზე ერთდროულად შესაძლებელია დასექვენირდეს: ადამიანის მთლიანი გენომი, 1-16 მთლიანი ეგზონი, 1-20 ტრანსკრიპტომი, 6-96 ტარგეტული პანელი, განისაზღვროს 12-40 გენების ექსპრესიის პროფილი. საწყისი მასალის მინიმალური ოდენობა - 5 ნგ. ტექნოლოგია უზრუნველყოფს სექვენსის მონაცემების მაღალ სიზუსტეს გენომის ჰომოპოლიმერული უბნებისთვისაც კი.

აპლიკაციები: მთლიანი გენომის რესექვენირება; ტარგეტული სექვენირება, De novo სექვენირება, ტარგეტული სექვენირება, ქრომატინ იმუნოპრეციპიტაცია CHIP-Seq; DNA მეთილაციის ანალიზი; მესენჯერ რნმ-ის სექვენირება, მცირე რნმ-ის სექვენირება, რობოსომული პროფილების განსაზღვრა, HLA სექვენსზე დაფუძნებული ტიპირება.

სექვენირება სენგერის მეთოდით და ფრაგმენტული ანალიზი: ახალი თაობის სექვენირების გარდა, გენომის ცენტრი ახორციელებს დნმ-ის სექვენირებას კაპილარული ელექტროფორეზის ინსტრუმენტით, ე.წ. სენგერის სექვენატორის გამოყენებით (ABI 3130xl). ტექნოლოგია მოიცავს ციკლურ სექვენირებას, პლაზმიდების ან პჯრ (პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია)

პროდუქტების სექვენირებას სტანდარტული ან სპეციფიკური პრაიმერების გამოყენებით, ფრაგმენტულ ანალიზს მიკროსატელიტებით, ცალკეული ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმებისა (SNP) და მრავალლოკუსიანი ტანდემური განმეორებების (MLVA) ანალიზს (96 ფოსოიანი ფირფიტების გამოყენებით).

პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია რეალურ დროში: გენომის ცენტრს აქვს პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის სისტემა (Life Technologies/ABI), რომელიც საწყისი მასალის (გენომური დნმ, ნიმუშების ბიბლიოთეკა, რნმ) რაოდენობრივი შეფასების საშუალებას იძლევა. სისტემა ასევე გამოიყენება ცალკეული ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმების (SNP) და გენების ექსპრესიის ანალიზისათვის ფლოუორესცენტული პრობების ან SYBR-ის მწვანე საღებავის გამოყენებით.

ნიმუშების ხარისხის შეფასება/ხარისხის კონტროლი (QA/QC): ხარისხის შეფასება/კონტროლი ხელმისაწვდომია ყველა იმ ტექნოლოგიისათვის, რომელიც გენომის ცენტრში გამოიყენება. დნმ-ის და რნმ-ის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასებისათვის გენომის ცენტრს აქვს ბიონალიზატორი (Agilent Inc.), დამატებითი რაოდენობრივი ანალიზისათვის ასევე ხელმისაწვდომია სპექტროფოტომეტრი (NanoDrop) და ფლოურომეტრი (Qubit).

ბიოინფორმატიკა: ძირითად ბიოინფორმატიკულ ინსტრუმენტებს გენომის ცენტრში წარმოადგენს CLC Genomics Workbench (Qiagen Bioinformatics), EDGE (LANL) და Geneious (Biomatters Ltd). ამ და სხვა დამატებითი ინსტრუმენტების გამოყენებით გენომის ცენტრში ხორციელდება სექვენსის მონაცემების ხარისხის შეფასება (QC), ტრიმირება (ზედმეტი მასალის მოცილება), მონაცემების de novo აწყობა (de novo assembly), ანალიზი რეფერენსის გამოყენებით (read mapping), კონტიგების ანალიზი მონაცემთა ბაზების გამოყენებით (blast contigs), ფილოგენეტიკური ანალიზი, ვარიანტების დეტექცია, მეტაგენომური კვლევა, სტატისტიკური ანალიზი.

ტრენინგი: გენომის ცენტრი სთავაზობს სასწავლო სესიებს როგორც ქართველ, ასევე საერთაშორისო პარტნიორებს. სესიები მოიცავს ინსტრუმენტებზე მუშაობას (MiSeq, ABI 3130xl, real-time PCR, Bioanalyzer, Covaris, Qubit), ნიმუშების მომზადების პროცედურებს ახალი თაობის სექვენირებისათვის, ბიოინფორმატიკის საფუძვლებს. ბიოინფორმატიკის სესიები მოიცავს CLC Genomics Workbench (Qiagen Bioinformatics), EDGE (LANL) და Geneious (Biomatters Ltd) საფუძვლების შესწავლას.

გენომის ცენტრი ასევე სთავაზობს პარტნიორებს რეკომენდაციებს დნმ-ის ან/და რნმ-ის ხარისხის შეფასება/კონტროლის და ნიმუშების სექვენირებისათვის მომზადების შესახებ ახალი თაობის სექვენირების ყველა აპლიკაციისათვის. ასევე ხელმისაწვდომია კონსულტაციები პროექტის დიზაინის, ექსპერიმენტების განხორციელების და მონაცემების ანალიზის მიმართულებით.

გენომის ცენტრს ღოს ალამოსის ნაციონალურ ლაბორატორიასან კოორდინაციაში შეუძლია ორგანიზება გაუკეთოს ვორკშოფებსა და სემინარებს ახალი თაობის სექვენირების არსებულ და ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.

2020 წლიდან გენომის ცენტრში სრულდებოდა პროექტი: **“საქართველოში C და B ჰეპატიტების ზედამხედველობის ეფექტურობის გაძლიერება ზიანის შემცირების ცენტრებში GHOST ტექნოლოგიის გამოყენებით“**. პროექტი დასრულდა 2021 წელს. პროექტის მიზანს წარმოადგენს C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემის გზების ვიზუალიზაცია და ანალიზი მაღალი რისკის ჯგუფებში - ინდივიდებში, რომლებიც ნარკოტიკებს ინექციის გზით იღებენ (PWIDs). ასევე, GHOST ტექნოლოგიის გამოყენებით, იმ ბენეფიციარების იდენტიფიკაცია, რომლებიც

ნარკოტიკების მომხმარებელთა საზოგადოებებში საკვანძო ფიგურებს წარმოადგენენ ინფექციის გადაცემის კუთხით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ზიანის შემცირების ცენტრებიდან მთლიანობაში ლუგარის ცენტრში მივიღეთ 100 ნიმუში. „ახალი ვექტორიდან“ (თბილისი) მოწოდებული ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 50 (ცხრილი 1), ასევე „ქსენონიდან“ (ზუგდიდი) მიღებული იქნა 50 ნიმუში (ცხრილი 2).

ცხრილი 1. ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ზიანის შემცირების ცენტრ „ახალი ვექტორიდან“ (ზიანის შემცირების ცენტრი თბილისში) მიღებულ 50 ნიმუშის შესახებ. 20 ნიმუში მიღებული იქნა აპრილის თვეში, ხოლო 30 ნიმუში - ივლისის თვეში.


Date	ID	Lab ID	last name	First name	Gender	sample type
22062021	21	Z-21	N/A	N/A	M	Serum
22062021	22	Z-22	N/A	N/A	M	Serum
22062021	23	Z-23	N/A	N/A	M	Serum
22062021	24	Z-24	N/A	N/A	M	Serum
22062021	25	Z-25	N/A	N/A	M	Serum
22062021	26	Z-26	N/A	N/A	M	Serum
22062021	27	Z-27	N/A	N/A	M	Serum
22062021	28	Z-28	N/A	N/A	M	Serum
22062021	29	Z-29	N/A	N/A	M	Serum
22062021	30	Z-30	N/A	N/A	M	Serum
22062021	31	Z-31	N/A	N/A	M	Serum
22062021	32	Z-32	N/A	N/A	M	Serum
22062021	33	Z-33	N/A	N/A	M	Serum
22062021	34	Z-34	N/A	N/A	M	Serum
22062021	35	Z-35	N/A	N/A	M	Serum
22062021	36	Z-36	N/A	N/A	M	Serum
22062021	37	Z-37	N/A	N/A	M	Serum
22062021	38	Z-38	N/A	N/A	M	Serum
22062021	39	Z-39	N/A	N/A	M	Serum
22062021	40	Z-40	N/A	N/A	M	Serum
5082021	41	Z-41	N/A	N/A	M	Serum
5082021	42	Z-42	N/A	N/A	M	Serum
5082021	43	Z-43	N/A	N/A	M	Serum
5082021	44	Z-44	N/A	N/A	M	Serum
5082021	45	Z-45	N/A	N/A	M	Serum
5082021	46	Z-46	N/A	N/A	M	Serum
5082021	47	Z-47	N/A	N/A	M	Serum
5082021	48	Z-48	N/A	N/A	M	Serum
5082021	49	Z-49	N/A	N/A	M	Serum
5082021	50	Z-50	N/A	N/A	M	Serum

ცხრილი 2. ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ზიანის შემცირების ცენტრ „ქსენონიდან“ (ზიანის შემცირების ცენტრი ზუგდიდი) მიღებული 50 ნიმუშის შესახებ. 20 ნიმუში მიღებული იქნა მაისის თვეში, ხოლო 30 ნიმუში - აგვისტოს თვეში.

Date	ID	Lab ID	last name	First name	Gender	sample type
09.07.21	21	TB21A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	22	TB22A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	23	TB23A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	24	TB24A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	25	TB25A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	26	TB26A	N/A	N/A	F	Serum
09.07.21	27	TB27A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	28	TB28A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	29	TB29A	N/A	N/A	F	Serum
09.07.21	30	TB30A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	31	TB31A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	32	TB32A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	33	TB33A	N/A	N/A	F	Serum
09.07.21	34	TB34A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	35	TB35A	N/A	N/A	F	Serum
09.07.21	36	TB36A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	37	TB37A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	38	TB38A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	39	TB39A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	40	TB40A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	41	TB41A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	42	TB42A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	43	TB43A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	44	TB44A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	45	TB45A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	46	TB46A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	47	TB47A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	48	TB48A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	49	TB49A	N/A	N/A	M	Serum
09.07.21	50	TB50A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	1	TB1A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	2	TB2A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	3	TB3A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	4	TB4A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	5	TB5A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	6	TB6R	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	7	TB7R	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	8	TB8A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	9	TB9A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	10	TB10A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	11	TB11A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	12	TB12A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	13	TB13A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	14	TB14A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	15	TB15A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	16	TB16A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	17	TB17A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	18	TB18A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	19	TB19A	N/A	N/A	M	Serum
29.04.21	20	TB20A	N/A	N/A	M	Serum

ყველა ნიმუშიდან განხორციელდა რნმ-ის ექსტრაქცია. ნიმუშებიდან რნმ-ის ექსტრაქცია განხორციელდა QIAamp ვირუსული რნმ-ის ექსტრაქციის მინი ნაკრების გამოყენებით. განხორციელდა ნიმუშების ბიბლიოთეკების მომზადების პროცესი. ნიმუშების დამუშავება განხორციელდა NEBnext ულტრა რნმ-ის მომზადების ნაკრების გამოყენებით. ფრაგმენტის ზომის და კონცენტრაციის ანალიზი ხორციელდებოდა ბიონაალიზატორისა და ფლუორომეტრის გამოყენებით (სურ.1). მომზადებული ნიმუშების ბიბლიოთეკების სექვენირება განხორციელდა კომპანია ილუმინას პლატფორმა MiSeq-ზე.

სურათი 1. სურათზე ნაჩვენებია HCV რნმ ნიმუშებისათვის ელექტროფეროგრამა, რომელიც მიღებული იქნა ბიონაალიზატორზე ანალიზის შედეგად. სურათზე ჩანს, რომ სპეციფიკური ზომის ფრაგმენტები, რომლის ზომა დაახლოებით 450 ნუკლეოტიდური სიგრძის ფრაგმენტია, მიღებული იქნა მხოლოდ სამ ნიმუშში (3, 6 და 7 ნიმუში). 1, 2, 4, 5, 8, 9 ნიმუშებისათვის პჯრ პროდუქტების მიღება ვერ განხორციელდა. აღნიშნულ ნიმუშებში მიღებულია მხოლოდ არასპეციფიკური ზომის ფრაგმენტები, რომლის ზომა დაახლოებით 150 ნუკლეოტიდური სიგრძისაა. სურათზე ვარსკვლავით აღნიშნულია უარყოფითი კონტროლი.



მიღებული შედეგები: აღმოჩნდა, რომ გაანალიზებული ნიმუშებიდან გარკვეულ ნაწილში ვირუსული დატვირთვა არის დაბალი, შესაბამისად ასეთი ნიმუშებში ვერ განხორციელდა პჯრ პროდუქტის პროდუცირება და შესაბამისად - GHOST ტექნოლოგიით ანალიზი.

MiSeq ზე გენერირებული ნედლი მონაცემების (სურ. 2) პირველადი დამუშავება და fastq ფაილების გენერირება მოხდა სექვენირების პლატფორმაზე. მონაცემები ხარისხის კონტროლისა და შემდგომი ანალიზისათვის აიტვირთა GHOST პლატფორმაზე. ხარისხის კონტროლი განხორციელდა GHOST პროგრამის გამოყენებით. „ახალი ვექტორიდან“ (თბილისი) მიღებული ნიმუშების 24%-მა გაიარა GHOST-ის ხარისხის კონტროლი. „ქსენონიდან“ (ზუგდიდი) მიღებული ნიმუშების 42,5%-მა გაიარა ხარისხის კონტროლი (სურ. 3).

მონაცემებისათვის, რომლებმაც დააკმაყოფილა GHOST ხარისხის კონტროლის პარამეტრები, განხორციელდა გადაცემის ქსელის (transmission network) ანალიზი (სურ. 4). ინფექციის გავრცელების ქსელის ანალიზის შედეგად გამოვლენილი იქნა ორი კლასტერი. პირველი კლასტერი წარმოდგენილია ახალი ვექტორის (თბილისი) მონაცემებით. პირველი კლასტერი შედგება ექვსი ნიმუშისაგან და მოიცავს ნიმუშებს TB41-დან TB46-ის ჩათვლით. მეორე კლასტერი სამ ნიმუშს მოიცავს და წარმოდგენილია TB10-დან TB12-ის ჩათვლით.

სურათი 2. სურათზე ნაჩვენებია ე.წ. ნედლი მონაცემები (raw sequence data), რომლებიც გენერირებული იქნა კომპანია ილუმინას პლატფორმა MiSeq-ზე.


1_S1_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	1_S1_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	1_S1_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
1_S1_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	1_S1_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	1_S1_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
2_S2_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	2_S2_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	2_S2_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
2_S2_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	2_S2_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	2_S2_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
3_S3_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	3_S3_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	3_S3_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
3_S3_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	3_S3_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	3_S3_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
4_S4_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	4_S4_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	4_S4_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
4_S4_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	4_S4_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	4_S4_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
5_S5_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	5_S5_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	5_S5_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
5_S5_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	5_S5_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	5_S5_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
6_S6_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	6_S6_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	6_S6_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
6_S6_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	6_S6_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	6_S6_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
7_S7_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	7_S7_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	7_S7_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
7_S7_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	7_S7_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	7_S7_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
8_S8_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	8_S8_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	8_S8_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
8_S8_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	8_S8_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	8_S8_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
9_S9_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	9_S9_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	9_S9_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
9_S9_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	9_S9_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	9_S9_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
10_S10_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	10_S10_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	10_S10_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
10_S10_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	10_S10_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	10_S10_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
11_S11_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	11_S11_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	11_S11_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
11_S11_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	11_S11_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	11_S11_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
12_S12_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	12_S12_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	12_S12_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
12_S12_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	12_S12_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	12_S12_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
13_S13_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	13_S13_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	13_S13_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
13_S13_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	13_S13_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	13_S13_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
14_S14_L001_R1_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	14_S14_L001_R1_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	14_S14_L001_R1_001.fastq	8/10/2021 12:35 PM
14_S14_L001_R2_001.fastq	6/17/2021 1:50 PM	14_S14_L001_R2_001.fastq	8/12/2021 1:24 PM	14_S14_L001_R2_001.fastq	8/10/2021 12:35 PM

სურათი 3. სურათზე ნაჩვენებია GHOST პროგრამაში გაანალიზებული მონაცემები საქართველოდან (მარცხენა სურათი). მარჯვნივ მოცემულია ის ნიმუშები, რომლებმაც გაიარა GHOST-ის ხარისხის კონტროლი „ახალი ვექტორიდან“ და „ქსენონიდან“ მიღებული ნიმუშებიდან.

The screenshot shows the GHOST web interface. At the top, it says 'Centers for Disease Control and Prevention' and 'Your Online Source for Credible Health Information'. Below that, there's a navigation bar with 'Home', 'Information', 'Documentation', 'Visualizations', and 'Logout'. The main content area is titled 'My Analysis' and shows a table of tasks. The table has columns for 'Task ID', 'Name', 'Type', 'Pathogen', 'State', 'Status', 'Date', 'Data Sets', and 'Owner'. The tasks listed include 'intra analysis', 'QC 1', 'QC 2', 'data QC', 'Tbiki_Zugdidi comb.', 'Zugdidi', 'QC run 2', 'Tbiki_Zugdidi', 'QC', 'DSMS', 'DHR', 're run 1256', 're run task 901', 'combined tasks 901 - 1256', 'combined', 'HCV', 'HR', and 'HR'. The status for most tasks is 'Complete'.

The screenshot shows the 'Summary' page of the GHOST web interface. It is titled 'Accepted Samples' and lists 23 samples. Each sample is identified by a unique ID and a file name, such as '1_S1_L001_R1_001.fastq.gz (C21GEO66)'. The list includes samples from various sequencing runs, such as S1, S2, S3, S4, S5, S6, S7, S8, S9, S10, S11, S12, S13, S14, S20, S21, S22, and S23.

სურათი 4. სურათზე ნაჩვენებია GHOST გადაცემის ქსელის ანალიზის შედეგები. იდენტიფიცირებულია ორი კლასტერი 1b, 2c და 2k/1b გენოტიპებით. ასევე აღმოჩენილია კონფეცია.



პირველი კლასტერი წარმოდგენილია HCV 1b გენოტიპით. მეორე კლასტერი წარმოდგენილია HCV 2k/1b რეკომბინანტული ფორმის და HCV 2c გენოტიპის შერეული ფორმით.

ანალიზის შედეგად აღმოჩენილი იქნა ორი კოინფექცია (Z21 და TB44), შვიდი 1b გენოტიპი, 10 2k/1b რეკომბინანტული ფორმა, ერთი 3a და ერთი 1a გენოტიპი.

ვივარიუმის ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო სტანდარტებით მიხედვით ჩატარებული აქტივობები: COVID-19-ით გამოწვეული პანდემიიდან გამომდინარე, 2021 წელს ვივარიუმის ფუნქციონირების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები არ განხორციელებულა. რაც შეეხება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ცხოველთა მოვლისა და გამოყენების ინსტიტუციათაშორისი კომიტეტის საქმიანობას, 2021 წლის განმავლობაში კომიტეტში განსახილველად შემოვიდა სავსე პროტოკოლი: “ბრუცელოზის ბიოზედამხედველობა აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში”, რომელზეც კომიტეტმა გასცა თანხმობის წერილი. ასევე, 2021 წლის განმავლობაში ორჯერ განხორციელდა ცენტრის ვივარიუმის ინსპექტირება კომიტეტის წევრების მიერ.

5.4 სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაცია და ინტერნაციონალიზაცია

ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციის და ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია თანამშრომლების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში/კონგრესებში/ სიმპოზიუმებსა და სხვა ღონისძიებებში (დანართი 14), სამეცნიერო სტატიების (დანართი 7), და აბსტრაქტების (დანართი 6) გამოქვეყნება, ასევე, საზღვარგარეთ ტრენინგებში, სასწავლო კურსებში მონაწილეობა (დანართი 11).

ასევე ცენტრის პოპულარიზაციაზე მეტყველებს:

1. აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებმა (CDC) და ტოქსიკური ნივთიერებებისა და დაავადებების აღწერის სააგენტომ (ATSDR) საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიანიჭა „სანიმუშო პარტნიორობის“ ტიტული - 18.07.2021: 28 ივლისს, ჰეპატიტის მსოფლიო დღეს, აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებმა (CDC) და ტოქსიკური ნივთიერებებისა და დაავადებების აღწერის სააგენტომ (ATSDR) საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიანიჭა „სანიმუშო პარტნიორობის“ ტიტული.

CDC-ის დირექტორმა, რომელ ვალენსკიმ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის გუნდს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის და მიულოცა საპატიო ტიტულის მიღება. ქ-ნი ვალენსკის წერილი იხილეთ ქვემოთ.

Dear Hepatitis C Elimination in Georgia Team,

Congratulations on your selection as the winner of the Excellence in Partnering category! On behalf of the Centers for Disease Control and Prevention (CDC) and Agency for Toxic Substances and Disease Registry (ATSDR), I would like to thank you for your hard work and dedication and to celebrate your accomplishments.

You, and your work, represent the very best of what CDC strives to be and I am so grateful for all you do.

Thank you for your dedication to improving lives and advancing public health.

With gratitude,

*Rochelle P. Walensky, MD, MPH
Director, CDC, and
Administrator, ATSDR*

2. რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის ბაქტერიოლოგიისა და სეროლოგიის ლაბორატორიებს ISO 15189 მიენიჭა: 2021 წლის 25-29 ოქტომბერს ლუგარის ცენტრის ზოგადი ბაქტერიოლოგიისა და სეროლოგიის ლაბორატორიებში წარმატებით ჩატარდა სააკრედიტაციო შეფასება. აუდიტის მიზანი იყო ლუგარის ცენტრის უწყვეტი განვითარების და ხარისხის ელემენტებთან შესაბამისობის დადგენა. ლაბორატორიებმა სრულად დააკმაყოფილეს ISO 15189 სტანდარტის მოთხოვნები, რის შედეგად აღნიშნულ ლაბორატორიებს ამერიკული სააკრედიტაციო ორგანოს ANAB-ის მიერ მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია ISO15189.

3. ჯანმომ ლუგარის წითელა/წითურას ლაბორატორიას აკრედიტაცია მიანიჭა: 17.12.2021 რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის წითელა/წითურას ნაციონალური ლაბორატორია 2003 წლიდან ჩართულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ბიუროს ლაბორატორიულ ქსელში, რომლის მუშაობის მიზანია ამ დაავადებების ელიმინაციის გლობალური პროგრამის ფარგლებში წითელას, წითურას და წითურას თანდაყოლილი სინდრომის ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესება საექვო შემთხვევების ლაბორატორიული დადასტურების გზით.

2021 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ოფისის მიერ, ყოველწლიური სააკრედიტაციო პროცედურის ფარგლებში, მოხდა ლუგარის ცენტრის წითელა/წითურას ეროვნული ლაბორატორიის მუშაობის და შესაძლებლობების შეფასება. ხარისხის ელემენტებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე, ლაბორატორიას მიენიჭა სრული აკრედიტაცია 2022 წლისთვის.

4. IANPHI ყოველწლიური შეხვედრა 1-3.12.2021: 2021 წლის 1–3 დეკემბერს გაიმართა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტების საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიური შეხვედრა. შეხვედრა მიემდგნა ჯანდაცვის სფეროში სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხებს. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების როლზე ჯანდაცვის სფეროში სამართლიანი ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული უთანასწორობის დაძლევაში, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ძირითადი გამოწვევებით - COVID-19 - ის პანდემია და კლიმატის ცვლილება. შეხვედრის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ. ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველმა გლობალური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებში ნათია სხვიტარიძემ წარადგინა მოხსენება „COVID-19 და ჯანდაცვის სფეროში სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - საქართველოს გამოცდილება“. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა მონაწილეობა მიიღო IANPHI - ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „წარმატების აღიარება“. ევროპის რეგიონიდან წარდგენილ პროექტებს შორის ცენტრის პროექტი „საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრესი“ აღიარებულ იქნა 2021 წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად IANPHI- ის ევროპულ ქსელში.

5. შეხვედრა ცენტრში 11.03.2021: 2021 წლის 11 მარტს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ქვეკომიტეტის VI ქვეჯგუფის „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები, საზოგადოებრივი ჯანდაცვა“- მე-6 სხდომა. სხდომას ორგანიზებას უწევდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და ევროკომისია. სხდომაზე ერთი სესია დაეთმო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებს. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი იყო ექვსი პრეზენტაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრიორიტეტული მიმართულებების საკითხებზე, როგორცაა: ჯანდაცვის საერთაშორისო წესები (IHR), საქართველოს მონაწილეობა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ინტერვენციული ეპიდემიოლოგიის სწავლების პროგრამაში (MediPIET), ანტიმიკრობული რეზისტენტობა, იმუნიზაცია, უსაფრთხო სისხლის თვინინგის პროექტი, ქრონიკულ დაავადებებთან და მათ გამომწვევ რისკ-ფაქტორებთან ბრძოლა და თამბაქოს კონტროლი და სხვ. პრეზენტაციების შემდეგ გაიმართა დისკუსია. საქართველოს მიერ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კუთხით გატარებული ღონისძიებები ევროკომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული. განსაკუთრებით აღინიშნა ნაყოფიერი თანამშრომლობა ევროპის დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრთან და განხილულ იქნა ამ თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოში ჩატარებული შეფასების შემდგომი ნაბიჯები.

6. ევროკავშირმა და ჯანმომ საქართველოს ტექნიკური აღჭურვილობა გადასცა 29.09.2021: 2021 წლის 29 სექტემბერს მასობრივი ვაქცინაციის პროცესის მხარდასაჭერად ევროკავშირმა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ საქართველოს 300 სამედიცინო მაცივარი და სპეციალიზებული ვაქცინაციის ავტომობილი გადასცა. ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ დახმარებისა, რომელსაც ევროკავშირი უწევს საქართველოს COVID-19 პანდემიასთან გასამკლავებლად და მასობრივი ვაქცინაციის მხარდასაჭერად, მათ შორის ყველაზე დაუცველ ჯგუფებს შორის.

7. სამედიცინო (ცივი ჯაჭვის) ინვენტარის გადმოცემა 19.11.2021: 2021 წლის 19 ნოემბერს ა.შ.შ-ს საელჩოს თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (ODC) წარმომადგენლებმა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს ჰუმანიტარული დახმარების ფარგლებში გადასცა სხვადასხვა სამედიცინო (ცივი ჯაჭვის) ინვენტარი (ცივი ყუთები, ტემპერატურის მონიტორირების მოწყობილობები, ბასრი ნარჩენების უსაფრთხო ყუთები, მანქანა-მაცივარი და შპრიცები). აღნიშნული დონაცია განხორციელდა თბილისში ა.შ.შ-ს საელჩოს თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის - USEUCOM - ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფარგლებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო შეხვედრების, სხდომების, კომიტეტების მუშაობაში, ერთობლივი სამუშაოების ჩატარებაში და სხვ. მონაწილეობის მიღება. ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი შეხვედრის, სხდომის, კომიტეტის მუშაობაში, ერთობლივ სამუშაოებში (დანართი 15, 16). 2021 წლის განმავლობაში ცენტრის თანამშრომლებმა 6-ჯერ წარადგინეს მოხსენებები სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებზე (დანართი 17). ასევე, ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ჩატარებულ ტრენინგებში, შეხვედრებში და სხვა ღონისძიებაში (დანართები 10, 12, 21, 23). 2021 წელს კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით საერთაშორისო ღონისძიებები, ძირითადად, ვებინარების სახით ტარდებოდა. 2021 წელს ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 56-ზე მეტ სხვადასხვა სახის ვებინარში - შეხვედრები, ვიდეო-კონფერენციები, ტრენინგები და სხვა (დანართი 18).

ცენტრის თანამშრომლები გაერთიანებული არიან საერთაშორისო და საქართველოს სხვადასხვა ტიპის გაერთიანებებში (კავშირი, სამუშაო ჯგუფი, საზოგადოება, ასოციაცია, საბჭო), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ცენტრის საერთაშორისო და ქვეყნისშიდა აღიარებას (დანართები 19 და 20).

ცენტრის საერთაშორისო და ქვეყნისშიდა პოპულარიზაციაზე და ინტერნაციონალიზაციაზე მეტყველებს 2021 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ვიზიტები, ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები (დანართი 21) და საერთაშორისო კვირეულები და დღეები (დანართი 22). ცენტრის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა ცენტრის მიერ საქართველოს რეგიონებში ჩატარებულ 81 სამუშაო შეხვედრაში, სხდომაში, განხილვებში (დანართი 23). 2021 წელს გაფორმდა 22 თანამშრომლობის მემორანდუმი, როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან, ასევე საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებებთან (დანართი 24).

საანგარიშო პერიოდში ცენტრში განხორციელდა 94 სხვადასხვა სახის პროექტი, მათ შორის ერთი მოიცავს 8 ქვეპროექტს (დანართი 25).

პროექტების პარტნიორებიდან და დონორებიდან აღსანიშნავია: US CDC, DTRA, WHO, The University of Texas Medical Branch at Galveston, WRAIR, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს მოსახლეობის ფონდი და სხვა(დანართი 26).

სულ წლის მანძილზე ქვეყნის ფარგლებში მივლინებაში იმყოფებოდა 1 950 თანამშრომელი - (დანართი 27). შიდა მივლინებების დროს ცენტრის თანამშრომლებმა ჩაატარეს 68 სხვადასხვა სახის კვლევა (დანართი 28).

2021 წელს ცენტრის 29 თანამშრომელი საზღვარგარეთ დაესწრო 14 ღონისძიებას, მათ შორის: 3 კონფერენცია, 4 ტრენინგი, 4 შეხვედრა, 2 ერთობლივი სამუშაოების ჩატარება (დანართი 29).

გამოწვევები

- სამეცნიერო მიმართულებების გაფართოება, მათ შორის „პერსონალიზებული მედიცინის“ საკითხებზე
- ახალი პროექტებისათვის დაფინანსების მოძიება
- ISO აკრედიტაციის სტანდარტზე მუშაობა, სეროლოგიურ და ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში ISO 15189 აკრედიტაციის შენარჩუნება და მოლეკულური ლაბორატორიის აკრედიტაციის მომზადება
- ვივარიუმის შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით
- გენომის ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება
- სამეცნიერო სტატიების მომზადება და საერთაშორისო მაღალ იმპაქტფოქტორიან სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნება

სტრატეგიული პრიორიტეტი 6: ელექტრონული ინფორმაციული სისტემების განვითარება

ძირითადი მიღწევები

- ხორციელდებოდა დაბადება/გარდაცვალების აღრიცხვიანობის სისტემის ადმინისტრირება.
- სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილის შემცირების მიზნით საზ. ჯანდაცვის რაიონული ცენტრების მიერ მიმდინარეობდა საქმიანობა ვერბალური აუტოფსიის მეთოდის გამოყენებით.
- სიკვდილიანობის მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების შედეგად, 2018 წლიდან სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილი საგრძნობლად შემცირდა და 2019 წლიდან 12-13%-იან დიაპაზონში მერყეობს.
- ხორციელდებოდა დაბადების რეგისტრის ადმინისტრირება და მონაცემთა ხარისხის კონტროლი.
- 17 ინსტიტუციის კონსორციუმის საერთაშორისო კვლევაში „სიკვდილიანობის ტვირთში კოვიდ ინფექციის პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენის შესახებ“ მონაწილეობა.
- ცენტრის ადმინისტრირებაში არსებულ ჯანდაცვის ელექტრონულ მოდულებში რეგისტრირებული ორგანიზაციებისთვის, პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, დაინერგა ორდონიანი ავტენტიფიკაციის მექანიზმი, რისთვისაც მოხდა სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე მომხმარებლების პერსონიფიცირება.
- გრძელდება მუშაობა კიბოს უნიფიცირებული ინფორმაციული სისტემის განვითარებაზე
- კიბოს რეგისტრის მონაცემები გაგზავნილია IARC-ის მიერ მომზადებულ პუბლიკაციაში „კიბოს ინციდენტობა ხუთ კონტინენტზე“ (CI5)
- მონაწილეობა ბერლინის რობერტ კოხის სახ. ინსტიტუტის და გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო პროექტში „COVID-19-ით გამოწვეული დაავადებათა ტვირთი“.
- მონაწილეობა ბერლინის რობერტ კოხის სახ. ინსტიტუტის და გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო პროექტში „ინფორმაციული სისტემების განვითარება (CATINCA)“
- თანამშრომლობა ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვებისა და შეფასების ინსტიტუტთან (IHME).
- დაინერგა ელექტრონული რიგების, რეფერალის და ტელემედიცინის სისტემა
- იმუნიზაციის მოდულს დაემატა კოვიდ19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის შესაძლებლობა
- შეიქმნა ელექტრონული სწავლებისა და კომუნიკაციის პლატფორმა; Georgia e-Health აპლიკაცია; მარაგების მართვის სისტემა
- მომზადდა სტატისტიკური ცნობარი „ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო, 2020“ ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- მომზადდა მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- მომზადდა პუბლიკაცია „ავისებიანი სიმსივნეები საქართველოში, 2015-2020“ ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- მომზადდა პუბლიკაცია „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული რეგისტრის (დაბადების რეგისტრი) სამი წლის ანგარიში, 2018-2020“.

საქართველოში ელექტრონული ინფორმაციული სისტემების განვითარება და მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატისტიკის წარმოება დესჯეცის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. სისტემის ფუნქციონირების ფარგლებში მიმდინარეობს მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ბაზების ფორმირება, მონაცემთა ანალიზი, წარდგენა და გავრცელება. სამედიცინო სტატისტიკის მეშვეობით შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ხორციელდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ჯანდაცვის სერვისების უტილიზაციისა და ეფექტურობის ამსახველი ინდიკატორების გამოთვლა ასაკის, სქესის და გეოგრაფიული არეალის მიხედვით. რეგულარულ საფუძველზე წარმოებს საერთაშორისო მონაცემთა ბაზებისთვის, როგორცაა „ჯანმრთელობა ყველასათვის“, „ჯანდაცვის ადამიანური რესურსები“, ჯანმრთელობის გაზომვებისა და შეფასების ინსტიტუტის მონაცემთა ბაზა, საქართველოს მონაცემთა მიწოდება. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სხვადასხვა ავადმყოფობების გავრცელების, ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლების, დედათა და ბავშვთა ავადობის და სიკვდილიანობის ინდიკატორების გამოთვლა, მათი შედარება სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან, დინამიკის ტენდენციების გამოვლენა და სხვა.

6.1 თემატური რეგისტრების და სისტემების განვითარება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 აპრილის N01-26/ნ ბრძანების „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ თანახმად, მიმდინარეობდა ანგარიშგება ელექტრონული მოდულების და ქაღალდმატარებელი ფორმის მეშვეობით სხვადასხვა პერიოდულობით - რეალურ დროში, ყოველთვიური და ყოველწლიური ანგარიშების მიხედვით. ელექტრონულ მოდულებთან მიმართებაში მიმდინარეობდა მომხმარებელთა რეგისტრირება და მართვა, ინფორმაციის მოწოდების პროცესზე მონიტორინგი, მონაცემთა დამუშავება, პროგრამული კონტროლი და კორექტირება; ქაღალდმატარებელ ფორმასთან (IV-06) მიმართებაში - ანგარიშების მიღება, ვიზუალური კონტროლი, მონაცემთა შეყვანა, პროგრამული კონტროლი და კორექტირება.

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა სხვადასხვა ბაზების მონაცემების შედარება და მართვა. მომზადდა ნაერთი დარგობრივი ანგარიშები, რომლებიც ანგარიშგების ფორმატის შესაბამისად, დადგენილი წესით წარედგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს. მოხდა მონაცემების განახლება ჯანმოს მონაცემთა ბაზებში „ჯანმრთელობა ყველასათვის“ და „ჯანდაცვის ადამიანური რესურსები“. პერიოდულად მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, სტატისტიკაზე პასუხისმგებელ პირებთან, დაწესებულებათა კონსულტირება ანგარიშგების საკითხებზე.


დეველოპერულ ჯგუფთან თანამშრომლობით და სამედიცინო სერვისების პროვაიდერებთან კონსულტაციების გზით, გადახედილ იქნა მონაცემთა ბაზების დიზაინი, განხორციელდა სათანადო ცვლილებები. წლიური ანგარიშების, ყოველწლიურ ცვლილებასთან დაკავშირებით, დეველოპერულ ჯგუფთან აქტიური თანამშრომლობით, შესრულდა ყველა აუცილებელი სამუშაო.

ქვეყნის მასშტაბით დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ანტენატალური და სამეანო მომსახურების ზედამხედველობის აღრიცხვიანობის ელექტრონული სისტემის „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული“ („დაბადების რეგისტრი“) ფუნქციონირება: 2016 წელს ნორვეგიის სამეფოს ტრომსოს უნივერსიტეტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური და ფინანსური ხელშეწყობით, ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ანტენატალური და სამეანო მომსახურების

ზედამხედველობის ახალი ელექტრონული სისტემა - „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული“ (ე.წ. „დაბადების რეგისტრი“), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება თითოეული ორსულის უწყვეტი მონიტორინგი ორსულობის იდენტიფიცირებიდან ორსულობის გამოსავლის ჩათვლით. სისტემაში, ასევე, აღირიცხება მონაცემები სამშობიაროში ყოფნის პერიოდში ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს დაბადების რეგისტრი, ეს ინიციატივა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

თვით დაბადების რეგისტრი პერინატალური რეგიონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია (მოიცავს 11 ინდიკატორს). სისტემის დადებით მხარეებს მიეკუთვნება სერვისის გაუმჯობესება, ელექტრონული ვაუჩერის გაცემის, გადამისამართებისა (დაწესებულების ცვლილების დროს) და სტატისტიკური ცხრილების ფორმირების შესაძლებლობა და სხვა. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მონაცემთა შეყვანა, მონიტორინგი, კომუნიკაცია პროვადერებთან, მომხმარებელთა ტრენინგება.

დაბადების რეგისტრის მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა ცალკე ანალიტიკური გვერდი, სადაც ჩადებულია 200-ზე მეტი ინდიკატორი, რომელიც ავტომატურ რეჟიმში გენერირდება სასურველი დროის პერიოდისა და ინდიკატორის არჩევისას.



2021 წელს პროგრამული ჯგუფის მიერ დამატებით განხორციელდა დაბადების რეგისტრის სისტემის ახალ ძრავზე გადასვლა, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა სისტემის ოპტიმიზება და მონაცემთა სწრაფად ატვირთვის შესაძლებლობა.

დაბადება/გარდაცვალების აღრიცხვიანობის სისტემის წარმოება: უკანასკნელ წლებში, დაბადებისა და გარდაცვალების ელექტრონული აღრიცხვიანობის სისტემის შემოღების შემდეგ, საქართველოში დაბადებისა და გარდაცვალების შემთხვევების რეგისტრაციის სისრულემ 95%-ს გადააჭარბა, თუმცა სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილის მაღალი დონე კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. 2016 წლის 24 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და იუსტიციის მინისტრების ერთობლივი ბრძანების N01-37/ნ-137 „დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე მოხდა სახელმწიფო სერვისების სააგენტოს ძველი სისტემის ჩანაცვლება დაბადება/გარდაცვალების ახალი ელექტრონული რეგისტრაციის მოდულით. 2017 წლიდან დაბადება/გარდაცვალების აღრიცხვიანობის სისტემის ადმინისტრირება დვსჯეცის მიერ ხორციელდება.


საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული ქმედებების რიგი, ცვლილებებმა კიდევ უფრო გააუმჯობესა აღრიცხვიანობის სისტემა და მონაცემთა ხარისხი, გაგრძელდა ვერბალური აუტოფსიის გამოყენებით სიკვდილის მიზეზების კოდირების სისწორეზე მიმართული ადამიანური პოტენციალის შექმნის პროცესი. ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ყველა რაიონული ცენტრის მეშვეობით მიმდინარეობდა სიკვდილის უცნობი მიზეზების იდენტიფიცირება ვერბალური აუტოფსიის მეთოდის გამოყენებით (ვერბალური აუტოფსიის განხორციელებასა და სამედიცინო ჩანაწერების განხილვაში ჩართულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის 63 ცენტრი), რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში სიკვდილიანობის მართებული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილი ქვეყნის სიკვდილიანობის სტრუქტურაში 2018 წლიდან საგრძნობლად შემცირდა და 12-13%-იან დიაპაზონში მერყეობს (2010 წ. – 54,6%) და მიუახლოვდა მსოფლიოში მიღებულ

ზღვარს (10-15%). საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მონაცემთა კონტროლი, მონიტორინგი, კომუნიკაცია მომხმარებლებთან, მათი კონსულტირება.

2020 წლის მაისისთვის ბოლოს კვიპროსის ნიქოზიის სამედიცინო სკოლის ეპიდემიოლოგებმა წამოიწიეს ინიციატივა ჩატარებულიყო საერთაშორისო კვლევა სიკვდილიანობის ტვირთში COVID ინფექციის პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენის შესახებ. კონსორციუმში მოიცავს 17 ინსტიტუციას (Karolinska Institute, University of Texas Medical Branch, St. George's University of London, Deakin University, European Commission- Joint Research Center და სხვ.). საქართველოდან კონსორციუმის მონაწილე მხარეები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. კონსორციუმის ფარგლებში პირველი სტატია გამოქვეყნდა International Journal of Epidemiology სათაურით "Excess all-cause mortality and COVID-19-related mortality: a temporal analysis in 22 countries, from January until August 2020", ხოლო შემდგომი კი BMC Public Health ჟურნალში სათაურით „Premature mortality attributable to COVID-19: potential years of life lost in 17 countries around the world, January–August 2020“.

კიბოს პოპულაციური რეგისტრი: კიბოს პოპულაციური რეგისტრი ქვეყნის მასშტაბით დაინერგა 2015 წლიდან. ის წარმოადგენს ონკოლოგიური მონაცემების სისტემური შეგროვების, შენახვის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და წარდგენის ორგანიზებულ სისტემას და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კიბოს გავრცელების შესახებ ხარისხიანი მონაცემების შეკრების თვალსაზრისით. ასეთი ტიპის რეგისტრის გამოყენება მნიშვნელოვანია კიბოს კონტროლის პროგრამების შეფასების და, შესაბამისად, პრიორიტეტების განსაზღვრისა და პროგრამების დაგეგმარებისათვის, გაწეული სერვისების ეფექტურობის განსაზღვრად, ონკოლოგიური პაციენტის სამედიცინო მომსახურების დინამიკური დაკვირვებისთვის, კიბოს სკრინინგისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების მართებულად დაგეგმვისთვის.

ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო




წყარო: დკსჯკვ

2021 წელს კიბოს რეგისტრის ანგარიშგებაში ჩართული იყო 235 დაწესებულება, მათ შორის 47 პათოლოგიურ-ანატომიური ლაბორატორია. საანგარიშო პერიოდში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა რეგისტრის ფუნქციონირებაში მონაწილე პერსონალის კონსულტირება, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა. მიმდინარეობდა სამუშაოები კიბოს

პოპულაციური რეგისტრის ელექტრონიზაციასთან დაკავშირებით, ძირითადად, ანალიტიკურ ნაწილში, აგრეთვე მიმდინარეობდა ახალი ცვლადების დამატება.

დედათა და ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა: სშჯსდ მინისტრის 2016 წლის 7 მარტის №01-11/ნ ბრძანების „დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის/მკვდრადშობადობის შემთხვევების სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის შესახებ“ სშჯსდ მინისტრის 2013 წლის 23 ივლისის №01-30/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საფუძველზე მიმდინარეობდა სამინისტროსა და რუტინული სტატისტიკის მონაცემთა შედარება - დედათა და ნეონატალური სიკვდილიანობა და მკვდრადშობადობა. მიმდინარეობდა აქტივობები გაეროს დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შეფასების ინტერსექტორულ ჯგუფებთან (UN-IGME, UN-MMEIG) დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის საქართველოს შეფასებითი მაჩვენებლების დაზუსტების მიზნით.

დედათა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გართულებებით გამოწვეული გარდაცვალების პროგნოზი, ასაკ-სპეციფიური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 რეპროდუქციული ასაკის ქალზე, საქართველო



წყარო: <https://vizhub.healthdata.org/qbd-foresight/>

თანამშრომლობა ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვებისა და შეფასების ინსტიტუტთან (IHME): ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვებისა და შეფასების ინსტიტუტსა და დესჯეცს შორის ხელმოწერილი (2014 წლის 1 ოქტომბერი) ურთიერთშეთანხმების მემორანდუმით განსაზღვრული აქტივობების ფარგლებში, ცენტრის მიერ ხორციელდება სტაციონარული დაწესებულებების ანგარიშგების და კიბოს რეგისტრის არსებული ბაზების მიწოდება (კონფიდენციალური ინფორმაციის გარდა). მიმდინარეობდა აქტივობები დედათა სიკვდილიანობის საქართველოს შეფასებითი მაჩვენებლების დაზუსტების მიზნით.

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, საქართველო ჩაერთო "COVID-19 Projections Tool"-ში. ეს ინსტრუმენტი ქმნის პანდემიის განვითარების მათემატიკური მოდელის ვიზუალიზაციას, რაც ეფუძნება ცენტრის (SARS-CoV-2) მიერ შეგროვილ და გაგზავნილ მონაცემებს.


თანამშრომლობა გერმანიის ინსტიტუტებთან: COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა საქმიანობა ბერლინის რობერტ კოხის სახ. ინსტიტუტის და გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროს ეგიდით დაწყებულ საერთაშორისო პროექტში „COVID-19-ით გამოწვეული დაავადებათა ტვირთი“ და ბერლინის რობერტ კოხის სახ. ინსტიტუტის და

გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო პროექტში „ინფორმაციული სისტემების განვითარება (CATINCA)“.

სამედიცინო სტატისტიკური კლასიფიკატორების წარმოება: მიმდინარეობდა სამედიცინო სტატისტიკური კლასიფიკატორების განახლება/სხვადასხვა მომხმარებლების კონსულტირება.

ჯანდაცვის ინფორმაციის ევროპულ ინიციატივაში (EHII) მონაწილეობა: საქართველო ჯანდაცვის ინფორმაციის ევროპული ინიციატივის (EHII) წევრია. ეს არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ქსელი, რომლის მიზანია, ჯანდაცვის პოლიტიკის განსაზღვრისას გამოყენებული ინფორმაციის გაუმჯობესება, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას გამოცდილების გაზიარებაში, შესაძლებლობების გაზრდასა და მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშგების პროცესების ჰარმონიზაციაში. დვსჯეცის პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საორგანიზაციო კომიტეტის რეგულარულად მიმდინარე ონლაინ სხდომებსა და კონფერენციებში.

სხვადასხვა გამოცემების მომზადება: საანგარიშო პერიოდში მომზადდა და გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე სტატისტიკური ცნობარი „ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო, 2020“ და მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა; პუბლიკაცია ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული რეგისტრის (დაბადების რეგისტრი) სამი წლის ანგარიში, 2018-2020“; კიბოს პოპულაციური რეგისტრის ექვსი წლის შედეგების ანალიზი „ავთვისებიანი სიმსივნეები საქართველოში, 2015-2020“.



მომზადდა საქართველოში COVID-19-ის გავრცელების ანალიზის მე-6, მე-7 და მე-8 გადახედა ქართულ და ინგლისურ ენებზე.




მიმდინარეობდა მომხმარებლებისთვის (ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძო პირები, მედიასაშუალებები და სხვ.) მონაცემთა მიწოდება მოთხოვნების საფუძველზე.

6.2. ელექტრონული მობილური ჯანმრთელობის პლატფორმის განვითარება

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება ცენტრისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ელექტრონული მობილური ჯანმრთელობის პლატფორმის განვითარება. მსგავსად წინა წლებისა, 2021 წელშიც იყო მნიშვნელოვანი პროგრესი აღნიშნული მიმართულებით.


მომხმარებელთა მართვის ელექტრონული მოდული: 2020 წლის მიწურულს, ცენტრმა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის აღსრულების მიზნით შექმნა ელექტრონული სისტემა „სისტემის მომხმარებლები“, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრის ადმინისტრირებაში არსებულ ჯანმრთელობის დაცვის ელექტრონულ მოდულებში რეგისტრირებული ორგანიზაციებისთვის გარკვეული მექანიზმების დაწესებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას არაუფლებამოსილი პირების ელექტრონულ მოდულებთან წვდომის აკრძალვა, პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით ორდონიანი ავთენტიფიკაციის მექანიზმის გამოყენებით. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით მოხდა სამედიცინო დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის ელექტრონულ მოდულებში დასაქმებული პირების იდენტიფიცირება და მათზე ინდივიდუალური მომხმარებლების გახსნა. დიდი რაოდენობით მომხმარებელთა მართვის მიზნით სამედიცინო დაწესებულებას ეხსნება ერთი მთავარი მომხმარებელი, რომლის საშუალებითაც თავად სამედიცინო დაწესებულებების მიერ იმართება ელექტრონულ სისტემებთან მომუშავე პირები და მათი უფლებები, რომელთაც სისტემაში შესვლისას ყოველ ჯერზე SMS-ით ეგზავნებათ ავტორიზაციის კოდი.



იმუნიზაციის პროცესის მართვის ელექტრონული მოდული: იმუნიზაციის მართვის ელექტრონული მოდული, რომელიც 2019 წლიდან ფუნქციონირებდა ცენტრში, შეიქმნა გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მისი დანიშნულებაა ქვეყანაში წარმოებული აცრების ერთ სივრცეში რეგისტრაცია, დაწესებულებებში არსებული ვაქცინების ნაშთების აღრიცხვა, მარაგების მართვა, ანგარიშგების წარმოება. დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში მოძებნოს კონკრეტული ბენეფიციარი ან ბენეფიციართა ჯგუფი, იხილოს მათი მიმდინარე ისტორია და ჩაუტაროს ვაქცინაცია.

მოდული იძლევა საშუალებას დარეგისტრირდეს გეგმიური, ქვეყანაში ვაქცინაციის კალენდრით მიღებული აცრები და არაგეგმიური აცრები, რომელიც არ არის გათვალისწინებული აცრების პროფილაქტიკური კალენდრით და კეთდება სხვადასხვა ჩვენებით. აცრა შეიძლება იყოს სახელმწიფო და კომერციული. ასევე შესაძლებელია უცხო ქვეყნის მოქალაქის ჩატარებული აცრის რეგისტრაცია მოდულში.

იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში რეგისტრირებული აცრა ავტომატურად ხვდება აპლიკაციაში, რომლის ჩამოტვირთვის შედეგად ბენეფიციარს (არასრულწლოვნის მშობლებს) საშუალება აქვთ ნებისმიერ დროს მიიღონ ინფორმაცია ჩატარებული აცრების შესახებ. 2021 წლიდან მოდულს დაემატა COVID19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის შესაძლებლობა.



	0-12 სთ	0-5 დღე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	12 თვე	15 თვე	18 თვე	23 თვე	2 წელი	3 წელი	4 წელი	5 წელი	3 თვე
ჰეპ B/Hep B																
ბცვ/BCG		✓														
დცტ+ბჰეპ+ჰიბ+იპვ/...			✓	✓		✓										
პნევმო/PCV						✓	✓		✓							
როტა/Rota			✓	✓												
მწყ/MMR									✓							✓
დაცტ-იპვ/DaPT-IPV																✓
ტდ/Td																
აპვ/HPV																

■ ჩაუტარებელი აცრა
■ ეკუთვნის აცრა
■ ჩატარებული აცრა

ელექტრონული რიგების, რეფერალის და ტელემედიცინის სისტემა: ჩეხეთის განვითარების სააგენტოს და ჩეხეთის “კარიტასის” ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა ელექტრონული რიგების, რეფერალის და ტელემედიცინის სისტემა. 2021 წელს აღნიშნული სისტემა ცენტრის მიერ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით დაინერგა. რიგების მართვის კომპონენტი წარმოადგენს COVID ვაქცინაციის სერვისის მიღების გამარტივებულ და მოხერხებულ ინსტრუმენტს მთლიანი ვაქცინაციის პროცესის სამართავად ქვეყანაში. სისტემა, ერთი მხრივ, ეხმარება სამედიცინო დაწესებულებებს, მართოს მოქალაქეთა ნაკადები, ასევე, მოქალაქეებს აძლევს საშუალებას განახორციელონ ონლაინ ჯავშანი ვაქცინაციის სერვისის მისაღებად, მათთვის სასურველ სამედიცინო დაწესებულებაში წინასწარ განსაზღვრულ დროის შესაბამისად.

დაჯავშნე ონლაინ


[Login](#)

აირჩიეთ ვაქცინა:


	Pfizer (აღმღილი)	613 866
	Sinovac (აღმღილი)	97 046
	Sinopharm (აღმღილი)	212 834

კორტალო შოქაძის სახელობის რეაბილიტაციის ცენტრი, რეაბილიტაციის სამსახურის განყოფილება
 აკადემიკოსი, უფროსი მედიკოსი, სამედიცინო მართვის მრეწველობის დეპარტამენტი, ან ბიოინჟინერი
 შოქაძის სახელობის რეაბილიტაციის ცენტრი, რეაბილიტაციის სამსახურის განყოფილება


ელექტრონული სწავლებისა და კომუნიკაციის პლატფორმა: გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის დახმარებით, სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების ხელშეწყობისათვის შეიქმნა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ელექტრონული სწავლებისა და




კომუნიკაციის პლატფორმა. ამ მექანიზმის პერსონალს შესაძლებლობა საზოგადოებრივი როგორცაა ინფექციური სამედიცინო



დაწესებულებებში, გარემო და ჯანმრთელობა, არაინფექციური დაავადებების პრევენცია და კონტროლი. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების



შესაბამისად შემუშავებულ სასწავლო მასალებზე, ტესტირებასა და სერტიფიცირებაზე წვდომა შესაძლებელია 24/7 რეჟიმში, როგორც ვებ, ასევე მობილური აპლიკაციების მეშვეობით, ასევე კონსულტაცია დარგის ექსპერტებთან ცხელი ხაზის გამოყენებით, მოდულების თემატიკის მიხედვით. COVID-19-ის პანდემიის პერიოდში სისტემის ამოქმედებამ განსაკუთრებული როლი შეიძინა პერსონალის სწავლება-გადამზადების კუთხით.




Georgia e-Health აპლიკაცია: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შორის მჭიდრო თანამშრომლობით 2021 წლის პირველ ნახევარში შეიქმნა Georgia e-Health მობილური აპლიკაცია, რომელიც წარმოადგენს ინსტრუმენტს მოქალაქეებისათვის, მართონ საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია. სისტემა შედგება სხვადასხვა მოდულებისაგან, რომლიდანაც ჯერ-ჯერობით გამოიყენება მოქალაქის COVID-19 სტატუსის განმსაზღვრელი კომპონენტი, კერძოდ, მობილურ აპლიკაციაში აისახება პიროვნების საქართველოს ტერიტორიაზე ვაქცინაციის, გამოჯანმრთელებისა და COVID-ტესტირების შესახებ დადასტურებული ინფორმაცია.

2021 წლის მეორე ნახევარში, მობილური აპლიკაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მიუერთდა EU Gateway-ის. აპლიკაციით გენერირებულ QR კოდს გააჩნია იურიდიული ძალა და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც საქართველოში, ასევე - ყველა სხვა ქვეყანაში, ვისი სისტემაც ინტეგრირებულია ევროკავშირის ანალოგიურ სისტემასთან. აპლიკაცია თავსებადია გუგლის ანდროიდის და ეფლის iOS მობილურ ოპერაციულ სისტემებთან და განთავსებულია Google Play-სა და App Store-ზე.

აპლიკაციით უზრუნველყოფილია ევროკავშირის შესაბამისი “გეითვეის” არქიტექტურით ინფორმაციის უსაფრთხო გაცვლა, რაც შესაძლებელს ხდის პარტნიორი ქვეყნის მიერ

გამოყენებადი წამკითხველების საშუალებით აპლიკაციის მიერ გამოტანილი ინფორმაციის ავტორიზებული ორგანიზაციის მემბრობით გაცემის დადასტურებას.



სისტემა იძლევა საშუალებას ამოიბეჭდოს ბენეფიციარისთვის ჩატარებული აცრის საბეჭდო ფორმა.

საქართველოს რეაზორმაციის ბიურო/ინტერნალური მინისტროს, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA. TEL: 1505

ქვეყნის ექსპერტული ცენტრი
საქართველოს ექსპერტული ცენტრი
GEORGIA NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH TEL: 116001

COVID 19 ბარათი/ COVID 19 FORM

მონაცემები განახლებულია / Data Updated 15.07.2021 20:50

პირადი ნომერი Personal Number	გვარი, სახელი Name, Surname	დაბადების თარიღი Date of Birth
01010.

COVID 19 ვაქცინაცია COVID 19 Vaccination	ვაქცინის მწარმოებელი Vaccine Manufacturer	სერიული ნომერი Serial Number	თარიღი Date	სამედიცინო დაწესებულება Medical Institution
ყოფილი 19 დოზა 1/ Covid 19 Dose 1	„Pfizer Manufacturing Pfizer“	ER7449	06.04.2021	შპს კვკასის მედიცინის ცენტრი
ყოფილი 19 დოზა 2/ Covid 19 Dose 2	„Pfizer Manufacturing Pfizer“	ER7449	27.04.2021	შპს კვკასის მედიცინის ცენტრი

PCR ტესტის შედეგი PCR Test Result	თარიღი Date	ლაბორატორია Laboratory
neg	21.06.2021	შპს სამედიცინო ცენტრი ციბო

ბელმოწერილია ელექტრონულად
Signed Digitally


Active
Go to S

მარაგების მართვის სისტემა: ცენტრის ეგიდით შექმნილი „ლოჯისტიკური მოდულის“ დანიშნულებას უზრუნველყოს ცენტრის მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებისა და მის ფარგლებს გარეთ არსებული მარაგების ლოჯისტიკური პროცესების ელექტრონული აღრიცხვა, კერძოდ: იმუნიზაციის, სისხლის ბანკების, სკრინინგის, COVID-19-ის ლაბორატორიული დიაგნოსტიკისა და სხვა პროცესების.

სისტემის თანამედროვე პლატფორმა და პროგრამირების ენა და ადვილად გამოსაყენებელი ინტერფეისი, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლების სხვადასხვა ტიპზე, განაპირობებს ლოჯისტიკის ფარგლებში წარმოებულ ყველა ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის დეტალური რეგისტრაციის შესაძლებლობას და პროცესების ოპტიმიზაციას.

„ლოჯისტიკური მოდულის“ ფუნქციონალების საშუალებით წარმოებს:

- საქონლის კატალოგის შექმნა და პროდუქციის მახასიათებლების რეგისტრაცია;
- საწყობების რეგისტრაცია;
- საწყობების ფარგლებში საქონლის (მათ შორის „RS“-იდან) მიღების ტრანზაქციის რეგისტრაცია;
- საწყობების ფარგლებში საქონლის გადაცემის (გაცემის) ტრანზაქციის რეგისტრაცია;
- საწყობების ფარგლებში საქონლის ჩამოწერის ტრანზაქციის რეგისტრაცია;
- საქონლის გამცემზე და საწყობში დაბრუნების ტრანზაქციის რეგისტრაცია;
- ყველა და ცალკეული ტიპის ტრანზაქციის ფარგლებში ანგარიშგება;
- ანგარიში საქონლის ნაშთების შესახებ დროის სხვადასხვა ინტერვალის გათვალისწინებით.



მრავლობითი ელექტრონული სისტემის შექმნამ მნიშვნელოვნად გაზარდა და აამაღლა ინფორმაციის მოცულობა და ხარისხი, რაც ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია როგორც სახელმწიფოსთვის და სამედიცინო პერსონალისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის, თუმცა ამავდროულად მივიღეთ სურათი, როდესაც სამედიცინო პერსონალს უწევს ბევრ პარალელურ სისტემაში ინფორმაციის შეტანა, რას საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევა თითოეულ მათგანს და იწვევს გარკვეულ დისკომფორტს. ამავდროულად, შეუქცევადი პროცესი მივიღეთ, როდესაც მუდმივად იზრდება მოთხოვნები და მოთხოვნილებები სხვადასხვა ინფორმაციაზე, რაც დამატებით სისტემების შექმნის გარეშე მიუღწეველი ამოცანაა. მომდევნო წლების უმნიშვნელოვანეს გადასაჭრელ ამოცანას, ახალი სისტემების შექმნის პარალელურად, წარმოადგენს ინფორმაციის ორმხრივად მიმოცვლის შუალედური ძრავების შექმნა და პრაქტიკაში გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ ერთი და იმავე ინფორმაციის განსხვავებულ სისტემებში შეტანა და ამავდროულად მნიშვნელოვანწილად უნდა გაიზარდოს მოქალაქეების ჩართულობა სამედიცინო დანიშნულების მობილური აპლიკაციების გამოყენებაში, რათა მათ სამედიცინო პერსონალთან და სახელმწიფოსთან ერთობლივი ძალისხმევით შედეგად ადეკვატურად უპასუხოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვადასხვა გამოწვევებს.

გამოწვევები

- მონაცემთა ხარისხი (მოცვა, სიზუსტე, დროულობა).
- სანქციების მექანიზმის ამოქმედება მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით
- ადამიანური რესურსის განვითარება.
- დისტანციური საქმიანობის რეჟიმის გამო, პერსონალურ კონსულტაციებზე გადასვლა, რაც მოითხოვს მეტ დროსა და ადამიანურ რესურსს.
- პროგრამული უზრუნველყოფის გაახლების სირთულები პანდემიის პირობებში პროგრამისტების მკვეთრად მომატებული სამუშაოს მოცულობის გამო.

სტრატეგიული პრიორიტეტი 7: საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მართვის განვითარების ხელშეწყობა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 2021 წელს ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტი კოორდინაციას უწევდა რეგიონული წარმომადგენლობების (ლაბორატორიების), თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების საქმიანობას, ეცნობოდა მათი ფუნქციონირების პირობებს, წარმოქმნილ სირთულეებს, პროგრამული ღონისძიებების, მთავრობის დადგენილებების აღსრულების მდგომარეობას, გასცემდა რეკომენდაციებს, არეგულირებდა ურთიერთობებს თვითმმართველობის ორგანოებთან, სისტემის სხვა ინფრასტრუქტურულ ერთეულებთან, საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან.

ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა

იმერეთის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, შიდა ქართლის, ფოთის, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველოების და განყოფილებების მიერ ყოველთვიურად ხორციელდებოდა მუნიციპალურ სჯდ ცენტრებში სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი გეგმური ინსპექტირების გზით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ხორციელდებოდა ყოველკვირეული ზედამხედველობა გრიპისა და გრიპისმაგვარ დაავადებებზე, რეგიონული სამსახურები კოორდინაციას უწევდნენ სამედიცინო დაწესებულებებიდან და მუნიციპალური საზ. ჯანდაცვის ცენტრებიდან ინფორმაციის შეგროვებას, ახდენდნენ აგრეგირებული მონაცემების ცენტრში წარმოდგენას.

ხორციელდებოდა ეპიდზედამხედველობა მიმდინარე ეპიდაფეთქებაზე, ყოველდღიური მონიტორინგი დზეის-ის სისტემაში, საექვო შემთხვევების დროს საკვლევი ნიმუშების აღება და ტრანსპორტირება რ.ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში.

ხორციელდებოდა ეპიდზედამხედველობა განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე, კერძოზე გასვლა შესაბამისი საკვლევი ნიმუშების აღება და კვლევების ჩატარება იმერეთის და აჭარის სამმართველოების ლაბორატორიებში, ხოლო განყოფილებებიდან საკვლევი ნიმუშების ტრანსპორტირება რ.ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში;

ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამა

ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგიონულ ლაბორატორიებში ხორციელდებოდა ტუბზე საექვო ბენეფიციარების ბაქტერიოლოგიური კვლევები ბაქტერიოსკოპიასთან ერთად და ასევე GenXpert კვლევები, ხორციელდებოდა ნიმუშების და ბენეფიციარების რეგისტრაცია LIMS-ის და დზეის-ის სისტემებში.

აჭარის სამმართველოში ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ლაბორატორიაში ჩატარდა პაციენტების ტუბერკულოზზე საექვო საკვლევი ნიმუშების ანალიზები, კერძოდ: 1540 ბაქტერიოსკოპული ანალიზი, 4730 GXP კვლევა.

იმერეთის სამმართველოში ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ლაბორატორიაში ჩატარდა პაციენტების ტუბერკულოზზე საექვო საკვლევი ნიმუშების ანალიზები, კერძოდ: ნახველის ბაქტერიოსკოპია - 2023, ტუბ. ბაქტერიოლოგიური კვლევა - 2966, პჯრ რეზისტენტობა ჰაინის ტესტით - 722, მეორე ჯგუფის პრეპარატებზე - 293, ნახველის GXP 1901 ტესტი.

ფოთის განყოფილებაში ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა 362 ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევა (დიაგნოსტიკის 186 და ქიმიოკონტროლის 176). გამოკვლეულია 274 პაციენტი, მათ შორის დიაგნოსტიკის 186 და ქიმიოკონტროლის 88; გამოვლინდა 13 მგბ+ ადამიანი, 16 დადებითი ანალიზი. სწრაფი მოლეკულური მეთოდით (GenExpert) გამოკვლეულია 828 ადამიანი.

კახეთის განყოფილებაში ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 873 ნახველის ბაქტერიოსკოპია, 270 ნახველის GXP ტესტი.

სამცხე-ჯავახეთის განყოფილების ახალციხის ლაბორატორიაში საანალიზოდ შევიდა 84 პაციენტის ტუბერკულოზზე საკვლევი ნიმუშები, ბაქტერიოსკოპიული ანალიზების საერთო რაოდენობა - 150, მათ შორის პირველადი დიაგნოსტიკური მგბ+ ნაცხების საერთო რაოდენობა იყო 10, ხოლო ქიმიოთერაპიის კონტროლით 5 დადებითი ნაცხი. 110 ნიმუში გამოკვლეულ იქნა Gxp-მეთოდით, მათ შორის მტბ(+) 7 (მ/შ 6 მტბ სენსიტიური) და 1 მტბ (რეზისტენტული), ხოლო 30 მტბ (-).

შიდა ქართლის განყოფილების ლაბორატორიაში საანალიზოდ შევიდა 747 პაციენტის ტუბერკულოზზე საკვლევი ნიმუშები, ბაქტერიოსკოპიული ანალიზების საერთო რაოდენობა 743, მათ შორის პირველადი დიაგნოსტიკური მგბ+ ნაცხების საერთო რაოდენობა 27, ხოლო ქიმიოთერაპიის კონტროლით 11 დადებითი ნაცხი. 549 ნიმუში გამოკვლეულ იქნა Gxp-მეთოდით, მათ შორის მტბ (+) იყო 45 (მ/შ 40 მტბ სენსიტიური) და 5 მტბ (რეზისტენტული).

გურიის განყოფილების ლაბორატორიაში განხორციელდა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნახველის ბაქტერიოსკოპია 350 საკვლევ ნიმუშზე, ტუბ. ბაქტერიოლოგიური კვლევა ჩატარდა 200 საკვლევ ნიმუშზე, პჯრ რეზისტენტობა ჰაინის ტესტით პირველი ჯგუფის პრეპარატებზე ჩაუტარდა 89 ბენეფიციარს, მეორე ჯგუფის პრეპარატებზე შესწავლა განხორციელდა 48 ნიმუშზე, ხოლო ნახველის GXP ტესტი ჩაუტარდა 121 ბენეფიციარს.

სამეგრელოს განყოფილებაში „ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში რეგიონის ხუთი ტუბდაწესებულებიდან განხორციელდა მიღებული ნიმუშების გამოკვლევა ბაქტერიოსკოპიული და სწრაფი მოლეკულური მეთოდით, ლაბორატორიაში სულ ჩატარდა 923 ბაქტერიოსკოპიული კვლევა, Gxp-მეთოდით 1143 საკვლევის ნიმუშის კვლევა.

C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამა

2021 წელს საქართველოს უმეტეს რეგიონებში/მუნიციპალურ რაიონებში ხორციელდებოდა ინტეგრირებული სკრინინგი C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა მოსახლეობის სკრინინგულ და კონფირმაციულ კვლევებს.

იმერეთის სამმართველოში სწრაფი მარტივი მეთოდით და მობილური ლაბორატორიული ერთეულის გამოყენებით C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 2373 პირის კვლევა, განხორციელდა 703 საანალიზო ნიმუშის C ჰეპატიტის კონფირმაციული კვლევა.

აჭარის სამმართველოში C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა HCV GXP 148 კვლევა. HIV სკრინინგით დადებითი მასალის კონფირმაციული კვლევისათვის გადაიგზავნა 92 საექვო მასალა და განხორციელდა ბენეფიციართა მიდევნება.

ფოთის განყოფილებაში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა მოსახლეობის სკრინინგული კვლევები, გამოკვლეული იქნა 62 ადამიანი, გამოვლინდა 3 შემთხვევა, კონფირმაციული კვლევისათვის გადაგზავნილია სისხლის 9 ნიმუში, ამავე

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს აივ-შიდსის სკრინინგი გამოკვლეულია 46 ადამიანი, კონფირმაციული კვლევისათვის გადაგზავნილია სისხლის 3 ნიმუში.

კახეთის განყოფილებიდან C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში რ. ლუგარის ცენტრში საკონფირმაციოდ გაგზავნილ იქნა 75 ბენეფიციარის ნიმუში.

სამცხე-ჯავახეთის განყოფილების მიერ განხორციელდა სკრინინგული კვლევები რაიონულ მუნიციპალიტეტებში, ასევე მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებში, კერძოდ: სულ HCV-ზე 2021 წელს გამოკვლეულ იქნა 1719 პირი, მათ შორის დადებითი 32.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის განყოფილების მიერ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა C ჰეპატიტის სწრაფი მარტივი ტესტი - 147, C ჰეპატიტის კონფორმაციისთვის საანალიზოდ აღებულ და გადმოგზავნილ იქნა 977 ანალიზი.

შიდა ქართლის განყოფილებამ C ჰეპატიტის კონფირმაციული კვლევის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კომპონენტის ფარგლებში სწრაფი მარტივი ტესტი ჩატარა 36 ბენეფიციარის კვლევა, C ჰეპატიტის კონფორმაციისთვის საანალიზოდ აღებულ და გადაგზავნილ იქნა რ.ლუგარის კვლევით ცენტრში 34 ბენეფიციარის საანალიზო ნიმუში.

გურიის განყოფილებამ C ჰეპატიტის კონფირმაციული კვლევის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კომპონენტის ფარგლებში ჩატარა C ჰეპატიტის სწრაფი მარტივი ტესტი 53 ბენეფიციარზე, HIV სკრინინგი განხორციელა 23 ბენეფიციარზე.

სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილებაში „C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“ სკრინინგის შედეგად გამოვლენილი დადებითი ბენეფიციარებისგან კორ-ანტიგენზე საკონფირმაციოდ განხორციელდა აღებული ნიმუშების მიღება და კვლევა. აღნიშნული მეთოდით გამოკვლეულ იქნა 73 ბენეფიციარის ნიმუში.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა

იმერეთის სამმართველოში 2021 წლის იანვრის თვიდან დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ორსულთა სიფილისზე ეპიდემიოლოგიური კვლევები ჩატარდა RPR დადებით 22 ორსულზე, რომელთაგანაც სიფილისი ლაბორატორიულად დაუდასტურდა 8 ორსულს.

აჭარის სამმართველოში მიღებული იქნა HBsAg-ზე კონფირმაციული კვლევისათვის 77 ნიმუში, ჩატარდა 150 ბენეფიციარის კვლევა.

კახეთის განყოფილებაში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში რეგიონულ ლაბორატორიაში ჩატარებულია სულ 23 HBV კონფირმაცია. ხორციელდებოდა სამშობიარო სახლებში სწრაფი მარტივი ტესტით გამოვლენილი B ჰეპატიტზე დადებითი ორსულების სისხლის ნიმუშების აღება და კონფირმაციული კვლევის ჩატარება. კვლევის შედეგების შეტანა ლიმს-ში და დაბადების რეგისტრში.

შიდა ქართლის განყოფილების ლაბორატორიაში მიღებულ იქნა სამედიცინო დაწესებულებებში რეგისტრირებულ ორსულებში გამოვლენილი B ჰეპატიტზე საეჭვო 10 ნიმუში, აქედან 5 ნიმუშის ტრანსპორტირება განხორციელდა რ. ლუგარის სამეცნიერო კვლევით ცენტრში შემდგომი კონფირმაციული კვლევისათვის.

გურიის განყოფილებაში მიღებულ იქნა სამედიცინო დაწესებულებებში რეგისტრირებული ორსულების საკვლევი მასალები (სისხლი) საეჭვო B ჰეპატიტზე, სულ აღებულ იქნა 12 საკვლევი ნიმუში და საკონფირმაციოდ გაიგზავნა აჭარის სამმართველოს ლაბორატორიაში.

სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილებაში აივ ინფექცია/შიდსისა და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების" ფარგლებში მიღებულ იქნა სადიაგნოსტიკო ნიმუშები, რეფერალი განხორციელდა შემდგომი დიაგნოსტიკური კვლევებისათვის, კერძოდ, B ჰეპატიტზე იმერეთის სამმართველოს ბაზაზე გაიგზავნა 8 ორსულის, ხოლო ინფექციური პათოლოგიის ცენტრში აივ/ინფექცია შიდსის ლაბორატორიაში კონფირმაციული კვლევისთვის გადმოგზავნილ იქნა 4 ინფიცირებულის სისხლის შრატები.

COVID-19-ის საწინააღმდეგო აქტივობებში ჩართულობა

„ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის COVID-19 - სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის ფარგლებში მიმდინარეობდა დადასტურებულ შემთხვევებზე პირველადი ეპიდკვლევა, თვითიზოლაციაში მყოფ პირებზე ზედამხედველობა, ლაბორატორიული ტესტირებისთვის PCR ნიმუშების აღება და რეგიონებში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, ანგარიშგება. ხორციელდებოდა რეგიონებში მოქმედ უწყებათაშორის საკოორდინაციო შტაბებთან მუშაობა, არსებული ეპიდვიტარების განხილვა და გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა. ადგილობრივი მუნიციპალური საზ.ჯანდაცვის ცენტრების ყოველდღიური მეთოდური დახმარება ახალ კორონა ვირუსულ ინფექციასთან დაკავშირებით, ახალი ნორმატიული დოკუმენტების გაცნობა და მათი შესრულების მონიტორინგი.

იმერეთის სამმართველო ახორციელებდა ახალი კორონავირუსის ქვეყანაში შემოსვლის შეკავებისა და მისი გავრცელების წინააღმდეგ მიმართულებით შემდეგ აქტივობებს: COVID-19 დაავადებულ და მათთან კონტაქტში მყოფ პირებზე ეპიდზედამხედველობას, სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხის შესაბამისად, დადგენილებით განსაზღვრული ინტერვალებით ტესტირების გრაფიკების შემუშავებას, სამედიცინო დაწესებულებების/ ლაბორატორიების ტესტ-სისტემებითა და სხვა სახარჯი მასალებით უზრუნველყოფას, მათგან ჩატარებული კვლევების შესახებ ინფორმაციების მიღებას და ანგარიშგებას, სამედიცინო და არასამედიცინო პროფილის დაწესებულებებისთვის დაავადების გამოვლენის შემთხვევაში დაავადების პრევენციის მიზნით რეკომენდაციების მიწოდებას. სამმართველოს სპეციალისტების ძირითადი აქტივობა 2021 წელს მიმართული იყო COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვა. მართვის კუთხით ხორციელდებოდა COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვის ორგანიზაციული საკითხები - სამედიცინო დაწესებულებებთან, ვაქცინაციის პროცესში მონაწილე პერსონალის მობილიზაციის, გადამზადების, პრაქტიკული ხელშეწყობის მიზნით. გადამზადდა ვაქცინაციის მიმწოდებელი დაწესებულებების პერსონალი და უშუალოდ იმერეთის სამმართველოს პერსონალის ჩართულობით და მონაწილეობით COVID ვაქცინაციის პროცესი ეტაპობრივად გაფართოვდა მთელი რეგიონის მასშტაბით. იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში დამატებით მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის სისტემის დანერგვა. ლოგისტიკური მარაგების მართვა დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. სულ 2021 წლის განმავლობაში იმერეთის სამმართველოს სასაწყობე მეურნეობაში განხორციელდა ოთხი დასახელების COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მოწოდება/მიღება/გაცემა ცივი ჯაჭვის პრინციპების გათვალისწინებით. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოლეკულური დიაგნოსტიკით შესწავლილ იქნა COVID-19-ზე 59933 საექვო საკვლევი ნიმუში. GXP მეთოდით COVID-19-ზე გამოკვლეულ იქნა 3863 ბენეფიციარის საექვო საკვლევი ნიმუში. სულ 2021 წელს მიღებულ იქნა: ასტრაზენეკა - 30230, ფაიზერი - 383352, სინოფარმი - 188632, სინოვაკი - 308812, 2021 წლის განმავლობაში სულ იმერეთში განხორციელდა მინიმუმ ერთი დოზით 158 232 პირის ვაქცინაცია. სრულად ვაქცინირებულია 138 544 პირი.

აჭარის სამმართველოში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოლეკულური დიაგნოსტიკით შესწავლილ იქნა COVID-19-ზე 184524 საექვო საკვლევი ნიმუში. GXP მეთოდით COVID-19-ზე

გამოკვლევულ იქნა 5354 ბენეფიციარის საექვო საკვლევი ნიმუში. სამმართველოს სპეციალისტების ძირითადი აქტივობა მიმართული იყო COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვა-მართვის კუთხით. ხორციელდებოდა COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვის ორგანიზაციული საკითხები - სამედიცინო დაწესებულებებთან, ვაქცინაციის პროცესში მონაწილე პერსონალის მობილიზაციის, გადამზადების, პრაქტიკული ხელშეწყობის მიზნით. სამედიცინო დაწესებულებებს გაეწიათ მეთოდური დახმარება ამცრელი კაბინეტების/სივრცეების მოწყობა - საქმიანობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით. COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვასთან დაკავშირებით შეხვედრების ორგანიზება მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, პჯდ ექიმებთან და სამედიცინო პერსონალთან, გასვლითი შეხვედრები აჭარის ა/რ მაღალ მთიანეთში. სამმართველოს სპეციალისტების მიერ გადამზადებულ იქნენ ამცრელი კაბინეტის ბრიგადის, სტაციონარული და მობილური ბრიგადების სამედიცინო პერსონალი COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის საკითხებზე. COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესში ჩართული 25 დაწესებულების 60-მდე ამცრელი ბრიგადის, 100 სოფლის დონეზე ფიზიკური პირების - ექიმების, ექთნების და თემის სამედიცინო პუნქტის მედლების გადამზადება იმუნიზაციის, ლოგისტიკის და ვაქცინირებული პირების რეგისტრაციის საკითხებზე.

ფოთის განყოფილება აქტიურად იყო ჩართული ახალი კორონავირუსის პანდემიის მართვის პროცესებში რეგიონულ დონეზე, ხორციელდებოდა რეგიონში არსებულ ეპიდსიტუაციაზე ზედამხედველობა, რეგიონის დონეზე საკოორდინაციო შტაბის მუშაობაში მონაწილეობა და ცენტრის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინებით წინადადებების წარდგენა, სამოქმედო ოპერაციული, პროტოკოლების, გაიდლაინების, მეთოდური მითითებების დოკუმენტების დანერგვა/განახლებაში მონაწილეობა. განყოფილების სპეციალისტების მიერ გადამზადებულ იქნენ ნიმუშის ამლები დაწესებულებების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პერსონალი სინჯის/ნიმუშის აღების/ტრანსპორტირების კუთხით. სპეციალისტების მიერ გადამზადებულ იქნენ ამცრელი კაბინეტის ბრიგადის, სტაციონარული და მობილური ბრიგადების სამედიცინო პერსონალი COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის საკითხებთან დაკავშირებით. ახალი კორონავირუსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარებულია 333 ბენეფიციარის GXP კვლევა. სწრაფი მარტივი მეთოდით ანტიგენ ტესტირება განხორციელდა 91 ბენეფიციარზე, ხოლო სწრაფი მარტივი მეთოდით ანტისხეულებზე კვლევა ჩატარდა 22 პირს. სამცხე-ჯავახეთის განყოფილება კორონავირუსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ახორციელებდა სწრაფი მარტივი ტესტებით კორონავირუსზე საექვო ბენეფიციარების კვლევას რეგიონის მუნიციპალიტეტების დონეზე; სულ ჩატარებულია 636 სწრაფი მარტივი ანტიგენ ტესტირება, ასევე განყოფილებაში ჩატარდა COVID-19 GXP ტესტირება 762 პირზე. სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ტარდებოდა საინფორმაციო შეხვედრები, „ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის COVID-19 -თან დაკავშირებით. განყოფილების სპეციალისტების მიერ გადამზადდა რეგიონში მოქმედი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებები COVID-19 საექვო საკვლევი ნიმუშის სწორად აღება/ტრანსპორტირების, ბიოუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანიაში განყოფილების სპეციალისტები აქტიურად ჩაერთვნენ საინფორმაციო კამპანიის ჩატარების მიზნით.

კახეთის განყოფილება კორონავირუსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ახორციელებდა სამედიცინო დაწესებულებებთან და საზ. ჯანდაცვის ცენტრებთან ყოველთვიურ ეპიდზედამხედველობას. ახდენდა COVID დიაგნოსტიკის და COVID-19-ის შესრულებული სამუშაოს მიღება/დამუშავებას და დოკუმენტაციის ინსპექტირებას. მიმდინარეობდა COVID-19 საექვო საკვლევი ნიმუშების სწრაფი მარტივი ანტიგენ ტესტირება, PCR კვლევებისთვის ნიმუშების აღება, მიღება, რეგისტრაცია, რეფერალი, შედეგების მიწოდება ადრესატებამდე, COVID-19 ვაქცინაციასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება საზ. ჯანდაცვის ცენტრებისა და სამედიცინო დაწესებულებების მედპერსონალისათვის, COVID-19 ვაქცინაციის საინფორმაციო

კამპანიაში აქტიური მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების წამომადგენლებთან ერთად. COVID-ვაქცინაციის მხარდაჭერის მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ბიზნეს კომპანიებში დასაქმებულ პირებთან. შეხვედრები სოფლის ექიმებთან და ექთნებთან COVID ვაქცინაციაში ჩართვის მიზნით. განყოფილების სპეციალისტების მიერ გადამზადებულ იქნენ კახეთის შსს დროებითი მოთავსების იზოლატორის, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალი, პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენებასა და SARS-COV-2 გამოწვეულ ინფექციაზე საკვლევი ნიმუშების აღება/შენახვა/ტრანსპორტირების საკითხებთან დაკავშირებით. განყოფილების სპეციალისტებმა განახორციელეს COVID-19-ის არსებობაზე GenExpert მეთოდით 3782 პირის კვლევა, ხოლო სწრაფი მარტივი ანტიგენ ტესტირებით გამოკვლეულ იქნა 1085 ნიმუში. კახეთის განყოფილებაში აღებული და ტრანსპორტირებული იქნა რ. ლუგარის სამეცნიერო კვლევით ცენტრში 351 COVID-19 საექვო საკვლევი ნიმუში.

სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილებამ COVID-19-ზე ზედამხედველობის ფარგლებში ჩაატარა 317 GXP ნიმუშის კვლევა. ძირითადი აქტივობა იყო COVID-ინფექციის საწინააღმდეგო მასიური ვაქცინაციის კამპანიაში აქტიური ჩართულობა, ვაქცინაციის დანერგვასა და მართვის პროცესებში მონაწილეობა, პერიოდული შეხვედრების დაგეგმვა მუნიციპალურ და რეგიონულ დონეებზე, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზაცია, ამცრელი სივრცეების მოწყობაში ხელშეწყობა და მონიტორინგის განხორციელება, ვაქცინაციაში მონაწილე პერსონალისთვის ტრენინგების ორგანიზება. ოპერატიული სამოქმედო დოკუმენტების (ბრძანებები, სოპ-ები და სხვა), ვაქცინის ინსტრუქციების გაცნობა და მუნიციპალურ დონეებზე, COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინების ოპერატიულად მოწოდება რეგიონის მასშტაბით ყველა საზ. ჯანდაცვის ცენტრებისთვის, ვაქცინაციის დანერგვასთან დაკავშირებით რეგიონულ დონეზე დაინტერესებული მხარეების სწავლება და მათი მუშაობის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

შიდა ქართლის განყოფილება კორონავირუსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ახორციელებდა სამედიცინო დაწესებულებებთან და საზ. ჯანდაცვის ცენტრებთან ყოველთვიურ ეპიდზედამხედველობას, განყოფილების სპეციალისტების მიერ რეგიონში იყო COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანიაში აქტიური ჩართულობა მუნიციპალურ დონეებზე, საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება ვაქცინაციის პროცესების გასააქტიურებლად რეგიონში სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უწყებებში დასაქმებულ პირებთან და ასევე რეგიონის სამედიცინო პერსონალთან, მოსახლეობასთან რეგიონში არსებული ეპიდვიტარების შესახებ, ვაქცინაციის აუცილებლობის და COVID-რეგულაციების შესახებ. COVID-19-ზე ზედამხედველობის ფარგლებში ჩაატარდა 606 GXP ნიმუშის კვლევა.

გურიის განყოფილებამ COVID-19-ზე ზედამხედველობის ფარგლებში ჩაატარა 530 GXP ნიმუშის კვლევა და ასევე განყოფილებაში განხორციელდა საანალიზოდ მისული 272 ბენეფიციარის სწრაფი მარტივი ანტიგენ ტესტირება. აქტიური მონაწილეობა ხორციელდებოდა მოსახლეობაში COVID აცრების პოპულარიზაციის კუთხით. რეგიონის მასშტაბით განხორციელდა პჯდ ექიმების და სხვა სამედიცინო პერსონალის გადამზადება COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების დანერგვის კუთხით, საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება ვაქცინაციის პროცესების გასააქტიურებლად რეგიონში სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უწყებებში დასაქმებულ პირებთან და ასევე რეგიონის სამედიცინო პერსონალთან, მოსახლეობასთან.

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის განყოფილება საანგარიშო წლის განმავლობაში ახორციელებდა აქტიურ შეხვედრებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობასთან. მხარის სახელმწიფო რწმუნებულ გუბერნატორის ყოველთვიურ რეგიონალურ თათბირზე განყოფილების მიერ კეთდებოდა მოხსენება რეგიონში შემავალ რაიონებში არსებულ ზოგად ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების მიერ გაწეულ

საქმიანობასა და მათთან არსებულ პრობლემებზე. რეგიონის მასშტაბით განხორციელდა პჯდ ექიმების და სხვა სამედიცინო პერსონალის გადამზადება COVID-19-ზე საწინააღმდეგო ვაქცინების დანერგვის კუთხით. რეგიონში COVID-19-ზე ტესტირებულია 58017 პირი. აქედან ჩატარდა 4434 პჯრ ტესტი და 53583 ანტიგენი სწრაფი ტესტი.

კომუნიკაცია საზ.ჯანდაცვის ცენტრებთან

ტარდებოდა ონლაინ სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები საზ. ჯანდაცვის მუნიციპალურ სამსახურებთან, სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრების განვითარების სტრატეგიები, არსებული პრობლემები, სიახლეები და პრიორიტეტები მიმდინარე ეტაპზე. სტატისტიკური ფორმების ცვლილებების და მის შევსებასთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს მთავრობის დადგენილებების, განკარგულებების, შჯსდ მინისტრის ბრძანებების და ნორმატიული აქტების, სხვა დოკუმენტაციის, გაცნობა და რომელთა დაყვანა და შესრულების ზედამხედველობა მნიშვნელოვანია მუნიციპალურ დონეზე.

სვადასხვა აქტივობა რეგიონულ სამმართველოებში/განყოფილებებში

იმერეთის სამმართველო - 2021 წლის საანგარიშო პერიოდში იმერეთის სამმართველოში შესწავლილ იქნა ჯილხის 25 საექვო შემთხვევა, აქედან ჯილხი დადასტურდა 4 შემთხვევაში. სამ პაციენტს დიაგნოზი დაუდასტურდა ბაქტერიოლოგიური და PCR კვლევით, ხოლო ერთს - PCR-ით. განხორციელდა ბრუცელოზზე საექვო საკვლევი 229 ნიმუშის კვლევა, 23 შემთხვევაში დადასტურებულ იქნა ბრუცელოზი. დაფიქსირდა ბოტულიზმის ერთი საექვო შემთხვევა. პოქსვირუსებით გამოწვეულ დაავადებებზე სამმართველოს ლაბორატორიაში შევიდა სხვადასხვა რეგიონებიდან 26 შეტყობინება და საანალიზო ნიმუშები. აქედან პარაპოქსვირუსი დადასტურდა 18 შემთხვევაში. მართვადი დაავადებებიდან დარეგისტრირდა ყივანახველას 5 შემთხვევა, მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B-ს 12 შემთხვევა, სხვა ვირუსული ჰეპატიტების 5 შემთხვევა, 2021 წელს აღირიცხა სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 3168 შემთხვევა. აღირიცხა სალმონელოზის 61 შემთხვევა, შიგელოზის 10 შემთხვევა, ეშერიხიოზის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. მენინგიტებიდან დაფიქსირდა ბაქტერიული მენინგიტის 1 შემთხვევა. დარეგისტრირდა ქუნთრუმას 4, ჩუტყვავილას 78, ლეპტოსპიროზის 63, ბორელიოზის 80 შემთხვევა. იმერეთის სამმართველოს ლაბორატორიამ შეისწავლა მიკრობიოლოგიური მეთოდების გზით ნოზოკომიური ინფექციის 31 შემთხვევა, მათ შორის საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექციის 12 შემთხვევა, ნოზოკომიური პნევმონიის 10 შემთხვევა, ნოზოკომიური ბაქტერიემიის (სეფსისი) 8 შემთხვევა, ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექციის 1 შემთხვევა. შესწავლილ და გამოვლენილ იქნა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები: სიფილისის 149 შემთხვევა, სიფილისი ორსულებში 10 შემთხვევა, გონორეას 86 შემთხვევა, ქლამიდიოზის 87 შემთხვევა. აღრიცხულ და ტესტირებულ იქნა აივ-შიდსზე 30541 პირი, აივ-შიდსზე ტესტირება ჩატარდათ 4563 ორსულს. საანგარიშო წლის განმავლობაში იმერეთის რეგიონში აღირიცხა ცხოველთა მიერ დაკბენის, დადორბვისა და დაკაწვრის 10276 შემთხვევა, ჰიდროფობიის 1 შემთხვევა.

2021 წელს, დეც-ის იმერეთის სამმართველოში ჩატარდა გრიპის საყრდენი ბაზებიდან შემოსული 2349 ნიმუშის PCR კვლევა გრიპსა და სხვა რესპირატორულ ვირუსებზე. აქედან ვირუსი დადასტურდა 1553 შემთხვევაში. ერთდროულად რამდენიმე ვირუსით ავადობა დადასტურდა 182 შემთხვევაში, აქედან 13 შემთხვევაში სხვადასხვა რესპირატორული ვირუსი დაფიქსირდა COVID-19-თან კომბინაციაში. კომერციული საქმიანობის ფარგლებში სამმართველოს ლაბორატორიაში ადგილზე გამოკვლეულ იქნა 9268 საექვო საკვლევი ნიმუში, სანიტარული მიკრობიოლოგიის მიმართულებით ადგილზე განხორციელდა 544 ნიმუშის კვლევა.

ვირუსის სახელწოდება	დადასტურებული ვირუსების რაოდენობა
გრიპის A ტიპის ვირუსი	1
გრიპი B ტიპის ვირუსი	1
რინოვირუსი	468
ძველი კორონავირუსები (კორონა: 229, 63, 43, HKU)	219
ახალი კორონავირუსი - SARS CoV 2 (COVID-19)	176
პარაგრიპის ვირუსები (პარაგრიპი: 1,2,3,4)	169
მეტაპნევმო ვირუსი	161
ბოკავირუსი	31
რესპირატორულ სინციტიალური ვირუსი	183
პარეჩოვირუსი	3
ენტეროვირუსი	19
ადენოვირუსი	122

აჭარის სამმართველოში ცხელებით მიმდინარე დაავადებების, მართვადი ინფექციების, აივ-შიდსზე და სხვა განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე კონფირმაციული კვლევისათვის მომზადდა სხვადასხვა სახის ბიოლოგიური ნიმუშები და რ.ლუგარის სამეცნიერო კვლევით ცენტრში გაგზავნილ იქნა 805 საანალიზო ნიმუში. კომერციული საქმიანობის ფარგლებში ჩატარდა სულ 47580 საკვლევი ნიმუშის კვლევა - მ.შ. ბაქტერიოლოგიური კვლევა განხორციელდა 7460 ნიმუშზე, მოლეკულური ბიოლოგიური კვლევა განხორციელდა 40120 საკვლევი ნიმუშზე;

კახეთის განყოფილებამ ცენტრის არაგადამდები დაავადებების დეპარტამენტთან ერთად მიიღო მონაწილეობა 7 წლამდე ასაკის ბავშვებში ტყვიის ბიომონიტორინგის ღონისძიებებში, განყოფილების თანამშრომლების მიერ ჩატარდა შეხვედრები ოჯახის ექიმებთან, სკოლებში პედაგოგებთან და მოსწავლეებთან, რეგიონში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა სახის კვლევები ტყვიის შემცველობაზე, გაფორმდა მემორანდუმი დაავადებათა კონტროლის ცენტრსა და თელავის მე-4 საჯარო სკოლას შორის. კახეთის განყოფილებამ განხორციელა რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებიდან მასალის აღება/მიღება/ტრანსპორტირება რ. ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევებისთვის 7516 საკვლევი ნიმუშის. ხორციელდებოდა ყოველკვირეული ზედამხედველობა გრიპისა და გრიპისმაგვარ დაავადებებზე, რეგიონული სამსახურები კოორდინაციას უწევდნენ სამედიცინო დაწესებულებებიდან და მუნიციპალური საზ. ჯანდაცვის ცენტრებიდან ინფორმაციის შეგროვებას, ახდენდნენ აგრეგირებული მონაცემების ცენტრში წარმოდგენას. ხორციელდებოდა ეპიდზედამხედველობა განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე, ყოველდღიური მონიტორინგი დზეის-ის სისტემაში, საჭიროების შემთხვევაში კერებზე გასვლა და შესაბამისი საკვლევი ნიმუშების აღება და ტრანსპორტირება რ.ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში. 2021 წელს კახეთის განყოფილების სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს B და C ჰეპატიტების და COVID-19-ის სეროპრევალენტობის კვლევაში.

საანგარიშო პერიოდში ფოთის განყოფილებაში განხორციელებულია კომერციული მომსახურებით 409 ლაბორატორიული კვლევა. ინფექციურ დაავადებებზე ოპერატიული ყოველკვირეული ინფორმაციის მიღება, კერძოდ, გრიპზე ეპიდზედამხედველობა, გრიპის აქტიური გავრცელების პერიოდში, ჯამური ანგარიშის მომზადება და გადაგზავნა ცენტრში.

2021 წელს ქ. ფოთში განსაკუთრებით საშიში დაავადებები არ დაფიქსირებულა, აღებულ იქნა 2 ნიმუში ჯილეხზე, 1 ორთოპოქს ვირუსზე. შემთხვევები უკუგდებულ იქნა. შემდგომი კონფირმაციული კვლევებისთვის განყოფილებიდან იმერეთის სამმართველოს ლაბორატორიაში გადაგზავნილ იქნა სადიაგნოსტიკოდ საექვო საკვლევი ნიმუშები ბორელიოზის - 10, ლეპტოსპიროზის - 11, ლეიშმანიოზის - 1, მონონუკლეოზის - 7, ჰანტა ვირუსის - 1, წითელაზე - 1.

სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილებამ კომერციული საქმიანობის პროგრამის ფარგლებში, ბაქტერიოლოგიური კვლევების მიმართულებით, განახორციელა ცხრა კონტრაქტორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და ასევე ადგილზე მიღებული პაციენტებისგან აღებული ნიმუშების კვლევა. აღნიშნულის ფარგლებში სულ გამოკვლეულ იქნა 727 ნიმუში. სატრანზიტო მასალების აღება, მიღება და რეფერალი შემდგომი კონფირმაციული კვლევებისათვის იმერეთის და რ.ლუგარის კვლევით ცენტრში გადაიგზავნა 87 სატრანზიტო ნიმუში.

შიდა ქართლის განყოფილებამ კომერციული საქმიანობის პროგრამის ფარგლებში, კლინიკური მიკრობიოლოგიური კვლევების მიმართულებით განხორციელა 74 საექვო საკვლევის ნიმუშების კვლევა. განყოფილებამ აიღო და სატრანზიტოდ მოამზადა და რ.ლუგარის კვლევით ცენტრში გადააგზავნა 208 საკვლევი ნიმუში. მწვავე დიარეების - გამოკვლეული იქნა 50 საკვლევი ნიმუში. განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე, სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადების კუთხით გამოკვლეულ იქნა ყირიმ-კონგოს 12, ბრუცელოზის 9, ბორელიოზის 11, ლეპტოსპიროზის 2, ცოფის 1, ყივანახველას 3, ინფექციური მონონუკლეოზის 1 საკვლევი ნიმუში.

გურიის განყოფილებამ განახორციელა საექვო საკვლევი ნიმუშების აღება განსაკუთრებით საშიში ინფექციების მიმართულებით, ლაბორატორიული ტესტირებისთვის აღებულ და გამოკვლეულ იქნა 5 ჰანტას ვირუსის, 3 ბრუცელოზის და 2 ჯილეხის საექვო ნიმუშები. კომერციული საქმიანობის პროგრამის ფარგლებში, კლინიკური მიკრობიოლოგიური კვლევების მიმართულებით განხორციელა 725 საექვო საკვლევის ნიმუშის კვლევა.

რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის განყოფილებამ განახორციელა ნიმუშების რეფერალი კონფირმაციული კვლევებისთვის იმერეთის სამმართველოში რეგიონში დაფიქსირებული შემდეგი ინფექციური დაავადებების, კერძოდ: სავარაუდო საკვებისმიერი მომზამვა - 204 ნიმუშის აღება, 3 სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის ნიმუშის აღება, ასევე ცხელებით მიმდინარე დაავადებების საექვო საკვლევი ნიმუშების აღება: ლაიმის დაავადება 7 ნიმუში, პოქსვირუსებით გამოწვეული დაავადებები - 2 ნიმუში, წითელა - 1 ნიმუში, ლეპტოსპიროზი - 3 ნიმუში. განყოფილებას ადგილზე ჩატარებული აქვს 2 მუცლის ღრუს სითხის ბაქტერიული კვლევა, გარემოს ჩამონარეცხების სტერილობაზე 17 საანალიზო ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა.

სამცხე-ჯავახეთის განყოფილებაში "ეპიდზედამხედველობა და რეაგირება ფრინველისა და პანდემიურ გრიპზე" პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა საყრდენი ბაზის – სს ევექსის ჰოსპიტლები „ახალციხის რეფერალური ჰოსპიტალი“ ადმინისტრაციასთან ყოველკვირეული კომუნიკაცია, მძიმე მწვავე რესპირატორული დაავადების ჰოსპიტალიზებული შემთხვევების აღრიცხვა და შეტყობინებების გადაგზავნა ცენტრში. გ/ს ინფექციებზე ბრუცელოზზე 13 საექვო საკვლევი ნიმუში და ცხელებით მიმდინარე 30 საექვო საკვლევი ნიმუში აღებულ/ტრანსპორტირებულ იქნა რ. ლუგარის კვლევით ცენტრში კონფირმაციული კვლევების გაგრძელების მიზნით.

**2021 წელს დკსჯეც-ის რეგიონული სამსახურების მიერ ჩატარებული ლაბორატორიული
სამუშაოების ჩამონათვალი რეგიონების მიხედვით**

პროგრამა/კონტრაქტი/სხვა	კვლევის დასახელება	იმერეთის სამმართველო	აჭარის სამმართველო	სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილება	სამცხე-ჯავახეთის განყოფილება	ფოთის განყოფილება	რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის განყოფილება	გურიის განყოფილება	კახეთის განყოფილება	შიდა ქართლის განყოფილება
ტუბერკულოზის სახ.პროგრამა	ნახველის ბაქტერიოსკოპია	2023	1540	923	150	362	0	212	873	743
	ტუბ. ბაქტერიოლოგიური კვლევა	2966	0	0	110	0	0	0	0	0
	პჯრ რეზისტენტობა ჰაინის ტესტით პირველი ჯგუფის პრეპარატებზე	722	0	0	0	0	0	0	0	0
	მეორე ჯგუფის პრეპარატებზე	293	0	0	0	0	0	0	0	0
	ნახველის GXP ტესტი	1901	4730	1143	0	828	0	235	270	549
დედათა ბავშვთა ჯანმრთელობის სახ.პროგრამა	HB კონფირმაცია	83	150	0	11	1	1	12	17	10
განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე	ჯილეხი	20	7	0	0	2	0	1	2	0
	ბრუცელოზი	134	105	0	13	0	0	5	133	0
ცხელებით მიმდინარე დაავადებები	(ქუცხელება, ლეპტოსპიროზი, ლაიმი, ჰანტა, დასავლეთის ნილსის,	260	560	0	30	29	13	0	171	39

	ლეიშმან იოზი, კოკსაკის ვირუსი და სხვა) მასალის აღება/მი ღება/რეფ ერალი									
მენინგოკო კური ინფექცია	ადგილზე გამოკვე ვა	1	2	0	0	0	0	0	0	0
ჯგუფური შემთხვევე ბის კვლევა ნაწლავურ ინფექციებ ზე დიარეების პროგრამის ფარგლებში	ადგილზე გამოკვე ვა	260	98	0	0	0	204	0	0	50
გრიპზე ეპიდზედა მხედველო ბა	სადიაგნ ოსტიკო მასალის აღება რეფერალ ი	2349	727	0	0	56	0	0	0	0
	გრიპზე GXP კვლევა		421	20	0	18	0	20	2	30
სატრანზი ტო ნიმუშები	მასალის აღება/მი ღება/რეფ ერალი	2573	50	87	17384	14	0	21	684	208
კლინიკურ მიკრობიო ლოგიური კვლევები	ბაქტერი ოლოგია ნიმუშის ადგილზე კვლევა	9268	6278	697	0	225	17	725	351	21
სანიტარუ ლი მიკრობიო ლოგია	ბაქტერი ოლოგია ნიმუშის ადგილზე კვლევა	544	1182	30	0	184	0	0	19	0
SARS CoV -2 COVID-19 კომერციული პროგრამის ფარგლებში		595	40120	0	0	0	0	0	0	0
SARS CoV -2 COVID- 19 სახელმწიფ	PCR კვლევა	59933	184524	0	0	0	0	0	1171	0
	GXP კვლევა	3863	5354	317	762	333	766	530	3782	606

ო პროგრამის ფარგლებში	სწრაფი მარტივი Antigen	0	5526	73	636	91	53583	272	1085	15
	COVID- 19 სატრანზ იტო ნიმუშები ს რაოდენო ბა	0	0	13	1398	8	1	0	0	7250
C ჰეპატიტი სკრინინგი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში	სწრაფი მარტივი მეთოდი თ	2373	0	0	1719	0	0	53	0	0
	C ჰეპატიტ ის კონფირმ აციული კვლევები GXP ტესტი	703	529	73	0	9	0	0	67	34
	HIV სკრინინგ ი	30541	92	0	1719	3	307	23	0	36

გამოწვევები

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტების მაკოორდინირებელი როლის გაზრდა ადგილობრივი ჯანდაცვითი პრობლემების მოგვარებაში
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების არასაკმარისი პოლიტიკური მხარდაჭერა მუნიციპალიტეტებში და ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციის ამაღლება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემატიკის მიმართ
- საზღვანდაცვაში უწყვეტი განათლებისა და პროფესიონალური მზადების სისტემის ჩამოყალიბება და ადამიანური რესურსის განვითარება
- სათანადო კომპეტენციისა და უნარების მქონე პროფესიული კადრების ადგილებზე დეფიციტი და მისი ეტაპობრივი აღმოფხვრის ხელშეწყობა
- ცენტრის რეგიონული წარმომადგენლობებისათვის ფუნქციების, და უფლება-მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრა-დაკონკრეტება-დაზუსტება. ორგანიზაციულ-მმართველობითი ქმედებების ლეგიტიმაცია რეგიონში შემავალ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზ.ჯანდაცვის მუნიციპალურ სტრუქტურებთან მიმართებაში. მათი "წონადობის" ამაღლება რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე შესაბამისი რეგულაციების შექმნითა და ამოქმედებით

- სახელმწიფო პროგრამების ხელშეკრულებების მომზადებაში რეგიონული წარმომადგენლობების ჩართვა. რეგიონული სტრუქტურების და მუნიციპალური საზ. ჯანდაცვის ცენტრების ურთიერთდამოკიდებულებათა დარეგულირება, ანგარიშვალდებულებათა დონეზე ცენტრალური პროგრამების განსაკუთრებით „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ პროგრამის ახალი ქვეკომპონენტებით შევსება მუნიციპალიტეტების დონემდე
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ჰიგიენური ნორმების, სტანდარტების გაიდლაინების ერთიანი პოლიტიკის გატარების ევროკავშირის თუ სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზების ხელშეწყობა
- არასტანდარტული სიტუაციების მართვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის გადაუდებელ შემთხვევებზე დროული რეაგირების კუთხით ურთიერთთანამშრომლობის სრულყოფა - ინციდენტების შემცირების, რეაგირებისა და აღდგენის ეტაპებზე. საგანგებო სიტუაციების შესაძლო კატასტროფებისათვის მზადყოფნის ხელშეწყობა
- საზ. ჯანდაცვის დიგიტალური საინფორმაციო სისტემის განვითარება
- C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის აქტიური სკრინინგის გაგრძელება, აქტიური მოქმედებები სკრინინგ-დადებითი ბენეფიციარების მოძიებისა და მკურნალობაში ჩართვის მიზნით
- რეგიონული ლაბორატორიის სპეციალისტების გადამზადება ხარისხის კონტროლის კუთხით, ხარისხის კონტროლის დოკუმენტაციის განახლება/შემუშავება/დანერგვა დკსჯეც-ის რეგიონულ ლაბორატორიებში; ხარისხის შენარჩუნებისა და უწყვეტი გაუმჯობესების ხელშეწყობა
- პერსონალის კომპეტენციის შეფასების პრაქტიკის დანერგვა
- პარტნიორთა/კონტრაქტორთა რაოდენობის და ლაბორატორიული კვლევების გაფართოვება
- რეგიონული სამსახურების მატერიალურ/ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ლაბორატორიათა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება კლინიკური ბაქტერიოლოგიის, განსაკუთრებით საშიში პათოგენების, მ.შ. ბიოუსაფრთხოების/ბიოდაცვის სფეროში, მათი მოტივაციის გასაზრდელად სამეცნიერო კვლევებში, საერთაშორისო პროექტებში ჩართვის ხელშეწყობა და წახალისება
- კლინიკური ბაქტერიოლოგიის სფეროს მიკუთვნებული გამოძვევების სპექტრის გაფართოვება
- ვირუსულ, პარაზიტულ და სხვა პათოგენებზე კვლევების დანერგვის ორგანიზება
- ლაბორატორიული ქსელის საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და ოპერატიული რეაგირებისთვის მზაობის უზრუნველყოფა არასტანდარტული სიტუაციების მართვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირების გეგმების შემუშავება, სამსახურებს შორის ურთიერთთანამშრომლობის სრულყოფა
- არაგადამდებ დაავადებებზე ზედამხედველობის და პრევენციის ღონისძიებების გეგმის შემუშავება და მათი კოორდინაცია რეგიონულ და რაიონულ დონეებზე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და ცენტრის განვითარებაზე მიმართული სხვა საკითხები

უწყვეტი პროფესიული მზადება და განვითარება

უწყვეტი პროფესიული მზადებისა და განვითარების სამმართველო დკსჯეცში შეიქმნა 2021 წლის სექტემბერში, თუმცა მის დაარსებას წინ უძღვოდა გარკვეული წინაპირობები და ხანგრძლივი პროცესი, რომლებმაც აღნიშნული მიმართულება ერთ-ერთ პრიორიტეტად აქციეს.

COVID-19-ის პანდემიამ ნათლად გამოავლინა საზ. ჯანდაცვის მუშაკის მნიშვნელოვანი როლი დაავადების პრევენციასა და ბრძოლაში. აღნიშნული დარგის ადამიანური რესურსის შემდგომი განვითარების სტრატეგიები და გეგმები უკვე შემუშავებულია გლობალური ჯანმრთელობის ინსტიტუციების მიერ, მათ შორის გამოკვეთილია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემაში დასაქმებულ პირების მზადებისა და პროფესიული განვითარების კომპონენტი.

2021 წელს საერთაშორისო პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების (WHO, EU, CDC, Global Fund და სხვ.) მხარდაჭერით და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ტრენერების მიერ ჩატარდა ფართომასშტაბიანი ტრენინგები საქართველოს მასშტაბით საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრების თანამშრომლებისთვის „COVID-19“-ის მართვასა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის თემატიკაზე საერთაშორისო წყაროებზე დაფუძნებული ადაპტირებული მასალის გამოყენებით: საზ. ჯანდაცვის ქსელის COVID-პასუხში მონაწილე ყველა თანამშრომელი - 187; რეგიონული სამსახურებისთვის კონკურსის წესით შერჩეული ახალი თანამშრომლები, თბილისის მერიისა და კერძო ლაბორატორიების თანამშრომლები - 200-მდე პირი; ეპიდკვლევებისა და კონტაქტების მიდევნების მიზნით სხვადასხვა სექტორიდან მობილიზებული დამატებითი ადამიანური რესურსი.



საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის თანახმად და სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად პროცესის ერთ-ერთ კომპონენტს - სერვისის მიმწოდებლების სამედიცინო პერსონალის გადამზადებას - მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

2021 წლის იანვრის თვეში ცენტრის ბაზაზე შექმნილი ვაქცინაციის სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა ვაქცინაციის პროცესის დაწყებამდე იმ პერიოდისთვის უკვე შერჩეული სამედიცინო დაწესებულებების ე.წ. ბრიგადების გადამზადება სპეციალიზებული ტრენინგის სახით. თითო ბრიგადაში იგულისხმება: 1 ექიმი, 1 ექთანი-ვაქცინატორი და 1 რეგისტრატორი (რეგისტრატორი / ოპერატორის მოვალეობაში შედის ელექტრონულ პორტალზე დაწესებულების ჯავშნების მართვა და ვაქცინირებული პირების რეგისტრაცია).



სპეციალიზებული ტრენინგისთვის შემუშავდა სასწავლო სილაბუსი, ჯანმო-ს, აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების და ევროპის ECDC გაიდლაინებზე დაფუძნებული საპრევენტაციო მასალები და ტრენერების სამუშაო განრიგი. აღნიშნული სილაბუსი შედგება 3 ქვემოდულისგან: COVID-19-ის საწინააღმდეგო იმუნიზაცია და ვაქცინაციის პრაქტიკული უნარ-ჩვევები; ვაქცინაციის შემდგომი შესაძლო ალერგიული რეაქციების მართვა (მ.შ. ანაფილაქსიის მართვა); ცივი ჯაჭვი და ლოგისტიკა.

სილაბუსის თანახმად, ტრენინგის მიმდებმა აუდიტორიამ სავალდებულოდ უნდა გაიაროს შემდეგი საკითხები:

- COVID-19 ვაქცინების დამზადების ტექნოლოგიები და ვაქცინების მუშაობის ეფექტურობა;
- კანდიდატი ვაქცინების ზოგადი მიმოხილვა;
- საქართველოში ხელმისაწვდომი ვაქცინების სპეციფიკაციები, დოზირება, უკუჩვენებები და გაფრთხილებები;
- ალერგიული რეაქციების ამოცნობა და მართვა;
- იმუნიზაციის შემდგომ გამოვლენილი არასასურველი მოვლენების აღრიცხვა-ანგარიშგება;
- ვაქცინების ტრანსპორტირება, შენახვის პირობები, ნარჩენების მართვა და ანგარიშგება.

სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების რეგისტრატორებისთვის შექმნილია ასევე ვიდეო-სახელმძღვანელო ელექტრონულ პორტალში მუშაობის პრინციპებსა და უნარ-ჩვევების შესახებ. თითო ტრენინგი გულისხმობს ექიმ-ექთნების გადამზადებას სილაბუსით დამტკიცებულ საკითხებზე და რეგისტრატორების გადამზადებას ვიდეო-გაკვეთილის მიხედვით. გადამზადების პროცესში ჩართულ ტრენერებს წარმოადგენენ ცენტრის თანამშრომლები: იმუნიზაციისა და ვაქცინების ექსპედიციისა და ცივი ჯაჭვის სამმართველოებიდან; ასევე მოწვეული კონსულტანტები (ექიმი-ალერგოლოგები).

ტრენინგები მიმდინარეობს ონლაინ ფორმატით; 1 ტრენინგის ხანგრძლივობაა 3 საათი, ჯერადობით კვირაში 3-5 დღე. ტრენინგის დასასრულს ხორციელდება უკუკავშირი მსმენელ აუდიტორიასთან, რომელსაც ეგზავნება განვლილი საპრეზენტაციო სლაიდები.

პირველი ეტაპის ტრენინგები (Pfizer-BioNTech და AstraZeneca ვაქცინების საკითხებზე) ჩატარდა 17 თებერვალი - 13 მარტის პერიოდში და გადამზადება გაიარა 15 კლინიკის ბრიგადებმა. იგივე ტრენინგების ფარგლებში და იმავე პერიოდში ასევე გადამზადდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ცენტრის რეგიონული სამსახურების და ყველა მუნიციპალიტეტის ს/ჯ ცენტრების დირექტორები და იმუნიზაციაზე პასუხისმგებელი პირები (137 პირი).

15 მარტიდან ვაქცინაციის პროცესის დაწყებიდან და შემდგომ ახალი ვაქცინების (Vero Cell Sinopharm; Vero Cell Sinovac) დამატებასთან ერთად ტრენინგების პროცესში ჰოსპიტალურ სექტორთან ერთად მასობრივად ჩაერთო პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, სახელმწიფო იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელი პოლიკლინიკები და მოგვიანებით მასვაქცინაციის ცენტრები.

2021 წლის 17 თებერვლიდან დღემდე გადამზადებულია 2000-მდე უნიკალური პირი სამედიცინო პერსონალიდან (დღეის მდგომარეობით ჩართული 307 დაწესებულების 493 დამოუკიდებელი ბრიგადით), ამათში შედის მოქმედი და სარეზერვო რაოდენობა, 64 მუნიციპალიტეტის ვაქცინაციაზე პასუხისმგებელი ეპიდემიოლოგი, ასევე 1300 სოფლის ექიმი და მასობრივი ვაქცინაციის მოქმედი ცენტრების პერსონალი და დამატებით 300-მდე სკოლის ექიმი საქართველოს მასშტაბით.

COVID-19-ის საწინააღმდეგო იმუნიზაციის პროცესის (მ.შ. სამედიცინო ადამიანური რესურსების გადამზადების კომპონენტი) გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით ფინანსური მხარდაჭერა უზურნველყვეს: EU, WHO, US CDC.

2021 წლის 27 ივლისს ცენტრის ორგანიზებითა და აშშ-ის ემორის უნივერსიტეტსა და Integral Global-თან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა „ეპიდემიოლოგიის კვლევის“ სასწავლო კურსი, რომელიც განკუთვნილია ეპიდემიოლოგებისა და კლინიკისტებისთვის და აგებულია მათ შორის ურთიერთკომუნიკაციაზე. აღნიშნულ სემინარზე წარმოდგენილ იქნა კონკრეტული შემთხვევის კვლევის განხილვა და მისი ეპიდემიოლოგიური ანალიზი.

სემინარს გაუმღვა ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორი - ბ-ნი ზიად კაზი, Integral Global დირექტორი - ბ-ნი ნაბილ აჰმედი და Integral Global წარმომადგენელი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტი - ქ-ნი ჯენა ბუტოლფი. ამერიკელი პარტნიორები გეგმავენ აღნიშნული შინაარსის სასწავლო კურსი ციკლური ფორმატის გახადონ საქართველოს სპეციალისტებისთვის.



2021 წლის 21 ოქტომბერს ცენტრში გაიმართა შეხვედრა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფთან 2 ძირითად საკითხზე: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის რეგიონალიზაციის საკითხი და მნიშვნელობა, ს/ჯ ცენტრების როლი და ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის სისტემაში, ასევე ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება სახ. ჯანდაცვის სპეციალისტებზე აქცენტით.



შეხვედრაზე ცენტრის ხელმძღვანელობამ ექსპერტებს გაუზიარა აღნიშნული სისტემების ინტეგრაციაზე და შესაძლო რეფორმაციაზე საკუთარი ხედვები. აგრეთვე, ჯანმოს ექსპერტებს წარედგინათ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემაში მომუშავე ადამიანური რესურსის მომავალი უწყვეტი პროფესიული განვითარების შესახებ მოკლე ანგარიში, რომლის საფუძველზე შესაბამისი დარგის ექსპერტები იმუშავენ ოტდმჯსდ სამინისტროსთან და დკსეჯცთან ერთად უპგ სამოდელო სისტემის შექმნაზე.

2021 წლის 1 ნოემბერს ცენტრში გაიმართა აშშ CDC-თან თანამშრომლობისა და მხარდაჭერის



ფარგლებში საველე ეპიდემიოლოგიის ტრენინგ პროგრამის (FETP Intermediate) გახსნის ცერემონია. პროგრამა გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოფლის მეურნეობის, კერძოდ, ვეტერინარიის დარგის სპეციალისტებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე გამოყენებითი ეპიდემიოლოგიის პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და ანალიტიკური აზროვნების გაუმჯობესებას დარგის სპეციალისტებში. აღნიშნული პროგრამის ე.წ. უმაღლესი საფეხური (FELTP Advance Level) საქართველოში

ფუნქციონირებდა 2009 წლიდან, რის ფარგლებშიც გადამზადდა სპეციალისტთა 8 კოჰორტა. სწავლებაში ჩართული რეზიდენტები წარმოადგენდნენ საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს, უკრაინასა და მოლდოვას.

FETP Intermediate-ში (10 თვიანი) მონაწილეობას მიიღებენ ასევე ზემოჩამოთვლილი ქვეყნების რეზიდენტები და მათ სწავლებას უზრუნველყოფენ CDC ტრენერები და ადგილობრივი FELTP კურსდამთავრებულები მენტორები.

რეზიდენტებს გახსნის ცერემონიაზე სიტყვით მიესალმნენ ცენტრის გენერალური დირექტორი - ბ-ნი ამირან გამყრელიძე და გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში - ბ-ნი პაატა იმნაძე; აშშ CDC აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი - ბ-ნი ჩარლზ ვაიტევი, FETP პროგრამის მრჩეველი საქართველოში - ბ-ნი ტუმარ სინგჰი და სურსათის ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოადგილე - ბ-ნი ვასილ ბასილაძე. მისალმებაში თითოეულმა სპიკერმა ხაზი გაუსვა პროგრამის მნიშვნელობას უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეების დროული გამოვლენისა და რეაგირების მიმართულებით.

სამმართველო აგრძელებს ამერიკული პროგრამების ფარგლებში ღონისძიებებისა და აქტივობების კოორდინაციას: 2021 წლის 27 აგვისტოს, ცენტრში გაიმართა აშშ CDC რეგიონული ოფისისა და დკსეჯცის დირექტორატის შეხვედრა. ამერიკულმა მხარემ წარადგინა

რეგიონული ოფისის ახალი თანამშრომლები: ბატონი სტივენ ბექნელი, რომელიც შეითავსებს დირექტორის მოადგილის პოზიციას და ბატონი ტუშარ სინგხი - საველე ეპიდემიოლოგიის სასწავლო პროგრამის (FETP) რეგიონული მრჩეველი და საქართველოს ოფისის მოქმედი დირექტორი.

შეხვედრაზე ბატონმა ამირან გამყრელიძემ ახალ პარტნიორებს ცენტრსა და CDC-ის შორის მრავალწლიანი ურთიერთობების ისტორია გააცნო და წარუდგინა სამომავლო გეგმებისა და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია.

2021 წლის 24 ივნისს ცენტრში WRAIR ეგიდითა და ორგანიზებით გაიმართა სან-დიეგოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტების სტაჟირების გამოსაშვები ცერემონია. ღონისძიებას ესწრებოდნენ: აშშ-ის ელჩი საქართველოში - ქ-ნი კელი დეგნანი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტების თავმჯდომარეები და მოადგილეები, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, WRAIR და დესჯეცის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები. ღონისძიებაზე WRAIR-ის სტაჟირებმა დევი ონიანმა და ანი ჩიჩუამ პრეზენტაციების სახით წარმოადგინეს სტაჟირების პერიოდში სიტუაციური კვლევის შედეგები. ქ-მა კელი დეგნანმა, ბ-მა ამირან გამყრელიძემ და ბატონმა ირაკლი ბერაიამ სტუდენტებს წარმატებული სტაჟირების დასრულება მიულოცეს და უსურვეს ახალგაზარდებს პროფესიული ზრდა და წინსვლა საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



2021 წლის 14 დეკემბერს ცენტრის ხელმძღვანელობა შეხვდა უოლტერ რიდის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტის (WRAIR) დირექტორს - პოლკოვნიკ ჩად კენინგს (აშშ არმიის სამედიცინო კორპუსის სპეციალისტი), სათაო ოფისისა და საქართველოს ოფისის წარმომადგენლებს.

ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, ბ-მა ამირან გამყრელიძემ მადლობა გადაუხადა ამერიკელ პარტნიორებს მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის ლაბორატორიული სიმბლავრების უზრუნველყოფისა და ერთობლივი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისთვის. ასევე, მხარეებმა იმსჯელეს WRAIR-თან პარტნიორული თანამშრომლობის გაფართოებაზე.



პარტნიორობა

2021 წლის განმავლობაში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აქტიურად ახორციელებდა როგორც საზოგადოებასთან და სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან, ასევე - საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ კომუნიკაციას. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა COVID-19-ის ინფექციასთან ბრძოლის მიზნით ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებაში, როგორც ტექნიკურად, ასევე ფინანსურად. აღნიშნული თანამშრომლობა ემსახურება როგორც მაქსიმალურად გამჭვირვალე, დროული ინფორმაციის მიღებას ცენტრის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორებისგან, ასევე საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით მიღებული რეკომენდაციების გაზიარებას. ამ პერიოდში განხორციელდა ინტენსიური შეხვედრები ქვეყანაში მოღვაწე დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებთან.



COVID-19-ის უარყოფითი გავლენის შემსუბუქების მიზნით დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების (პანდემიაზე რეაგირებისთვის შესაძლებლობების გაძლიერება, იმუნიზაციის პროცესის მხარდაჭერა, ადამიანური რესურსების გადამზადება, საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელება და სხვ.) მხარდასაჭერად ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყვეს: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ, ევროკავშირმა, გლობალურმა ფონდმა, გაეროს განვითარების პროგრამამ, გაეროს ბავშთა ფონდმა, გაეროს მოსახლეობის ფონდმა, აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებმა, აშშ თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტომ, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ და სხვა პარტნიორებმა.

საქართველო იყო **გლობალური ფონდის** დახმარების მიმღებ 181 ქვეყნიდან პირველ 11 ქვეყანას შორის, რომელმაც დანაზოგების მობილიზების ხარჯზე გლობალური ფონდისგან მიიღო 484 500 აშშ დოლარის COVID-19 პასუხისთვის გამოყენების უფლება. აღნიშნული თანხის მეშვეობით შესაძლებელი გახდა პირველადი ჯანდაცვის მხარდაჭერა, კლინიკური მართვის პროტოკოლების შემუშავება და თანამედროვე დონის აპარატურის შეძენა. 2020 წ. ქვეყანამ მოიპოვა C19RM ფარგლებში დამატებით 1.27 მილიონ აშშ დოლარი დაფინანსება, რომლის ფარგლებში გაუმჯობესდა ჯანდაცვის სისტემის ინფრასტრუქტურა და გატარდა დამატებითი ღონისძიებები პანდემიის პირობებში ტუბერკულოზის და აივ/შიდსის პროგრამების ფარგლებში ძირითადი სერვისების შენარჩუნებისთვის, ხოლო 2021 წელს დამატებითი დაფინანსების სახით საქართველომ GF C19RM ფარგლებში მიიღო 5.2 მლნ დოლარის დაფინანსება, რომლის ფარგლებში შეძენილ იქნა სამედიცინო აღჭურვილობა ლუგარის ცენტრის სექვენირების შესაძლებლობების გასაფართოებლად, PCR ტესტირების შესაძლებლობების შესაქმნელად თელავის ლაბორატორიაში, შეძენილ იქნა COVID-19 ანტიგენზე დაფუძნებული და PCR სადიაგნოსტიკო ტესტები, პერსონალური დაცვის საშუალებები. ქვეყნის მსაშტაბით, დამატებით ტრენინგები ჩაუტარდა პირველადი ჯანდაცვის პერსონალს კოვიდის მართვაში, ასევე, ჰოსპიტალურ სექტორში დასაქმებულ ექიმებს - განახლებული COVID-19-ის კლინიკური მართვის პროტოკოლების შესაბამისად.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს COVID-19-ის უარყოფითი გავლენის შემსუბუქებისათვის აქტივობების განხორციელების მხარდაჭერას და ამით, გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკურ მდგრადობის ხელშეწყობას, განხორციელდა მიზნობრივი პროექტები, რომლებიც დაფინანსდა ევროკომისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის - „სოლიდარობა ჯანმრთელობისთვის ინიციატივის“ მიერ.



ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აქტივობები ხორციელდებოდა პანდემიებზე მზადყოფნის ეროვნული გეგმის განახლების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის გადაუდებელი რეაგირების ოპერაციული ცენტრის (PHEOC) შესაძლებლობების გაძლიერების, ეპიდემიოლოგების, ვაქცინაციის ბრიგადებისა და სხვა პერსონალის ტრენინგების, არაგადამდებ დაავადებებთან და მათ რისკ ფაქტორებთან გამკლავების მიზნით პოლიტიკისა და სერვისების განვითარების, საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორის გაძლიერებისთვის, დარგთაშორისი პლატფორმის მხარდაჭერისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.



ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ფართომასშტაბიანი ინიციატივა, რომლის მიზანია საქართველოში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის ხელშეწყობა, რაც მნიშვნელოვანი ინვესტიციაა რუტინული იმუნიზაციის სისტემის გასაძლიერებლად. ტექნიკური მხარდაჭერა მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას, მ.შ. არის COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის ქვეყნის მზაობის გაუმჯობესება როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ, რაიონულ და მუნიციპალურ დონეზე, ვაქცინის დანერგვის საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭერა, ვაქცინაციის დანერგვის მოკლევადიანი გადამზადების კურსის განხორციელება, რაც მოიცავს 3 მოდულს: პრაქტიკული იმუნიზაცია, ცივი ჯაჭვი და ლოგისტიკა.



პროექტის „COVID-19 Vaccine Communication Capacity-building and Vaccine Demand Generation Among Lower-level Medical Personnel and Civil Society Organizations“ ფარგლებში ჩატარდა 50 ტრენინგი პირველადი ჯანდაცვის პერსონალისთვის (ექიმები, ექთნები, უმცროსი სამედიცინო პერსონალი) 10 რეგიონის 35 ქალაქში რისკის კომუნიკაციისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის შესახებ; 10 ვორქშოფი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან (ინფორმაციის გამრავლების სახით) საქართველოს 10 ქალაქში რისკების კომუნიკაციისა და საზოგადოების მობილიზაციის საკითხებზე. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები 2021 წლის სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით განხორციელდა.



საქართველოში ცივი ჯაჭვის სისტემის მზადყოფნისა და COVID-19 ვაქცინის დანერგვის ეროვნულ გეგმასთან მისი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ცივი ჯაჭვის აღჭურვილობის შეფასება ყველა დონეზე და ყველა დაწესებულებაში. პროექტის „Assessment of the cold chain gaps and planning the needs to support expansion of deployment of COVID-19 and

routine immunization in Georgia“ ფარგლებში შეირჩა ინვენტარის და ხარვეზების ანალიზის ონლაინ პროგრამული ინსტრუმენტი ჯანმოს ევროპის რეგიონულ ოფისთან თანამშრომლობით, ამ ინსტრუმენტის უნიკალური დიზაინის გამო, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ჰქონდეს „რეალურ დროში“ ინფორმაცია ცივი ჯაჭვის შესახებ.

პროექტის „Establishment and management of electronic systems for COVID-19 vaccine administration- COVID-19 Application“ ფარგლებში 2021 წ. მარტი-ივნისის პერიოდში გაიმართა COVID-19-ის ვაქცინაციისათვის სხვადასხვა ელექტრონული სისტემა, მათ შორის - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბაზაზე - "საქართველოს ელ. ჯანდაცვის მობილური აპლიკაცია". საქართველოს მთავრობამ ოფიციალური განაცხადი გააკეთა სისტემის ევროკავშირის გეითვეისთან მიერთების შესახებ. ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტომ უზრუნველყო სისტემის ინტეგრაცია ევროკავშირთან და ასევე მოახდინა აპლიკაციის განახლება ევროკავშირის განახლებული მოთხოვნების შესახებამისად.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში, COVID-19-ს საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციისთვის მოსამზადებლად საქართველოს გადასცა ვაქცინების სატარებელი კონტეინერები (ცივი ყუთი), ვაქცინების შესანახი ყინულის სამედიცინო მაცივრები და მათი აქსესუარები (ელექტრო სტაბილიზატორით), ტემპერატურის მონიტორირების მოწყობილობები (დატა ლოგერი, თერმომეტრი), სპეციალიზებული ვაქცინ-მზიდი ავტომობილი (მაცივარი მანქანა), ლეპტოპები. ეს დახმარება ევროკავშირისა და ევროპის გუნდის მიერ გაწეული უფრო ფართო მხარდაჭერის პაკეტის ნაწილია, რომლის მიზანია დაეხმაროს საქართველოს პანდემიასთან გამკლავებაში.



ევროკავშირისა და ჯანმოს მხარდაჭერით შემუშავდა ვაქცინაციისადმი მიძღვნილი ვებ-გვერდი (<https://vaccines.ncdc.ge>), სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ვაქცინაციის შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას. ამას გარდა, ჯანმოს ორგანიზებით განხორციელდა არაერთი ვებინარი და ონლაინ შეხვედრა COVID-19-თან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელშიც ქართველმა სპეციალისტებმა მიიღეს მონაწილეობა.



გეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) საქართველოს ლოჯისტიკურ დახმარებას უწევს COVAX-ის პლატფორმიდან ვაქცინების ჩამოტანასა და მობილიზაცებაში. გარდა ამისა, UNICEF-ის დახმარებით განხორციელდა საქართველოს მასშტაბით ექიმებსა და პედაგოგებთან საინფორმაციო შეხვედრები რაიონების წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტების ჩართულობით, რომლის მიზანს ვაქცინაციის თაობაზე



პედაგოგთა ინფორმირება და ვაქცინაციის ხელშეწყობა წარმოადგენდა. საინფორმაციო შეხვედრებს თან ერთვოდა კითხვა-პასუხი, რომლის ფარგლებში ხდებოდა დეტალური ინფორმაციის მიწოდება. შეხვედრების შემდეგ ბევრმა მსმენელმა ჩაიტარა ვაქცინაცია შესაბამისი მუნიციპალიტეტის ამცრელ დაწესებულებაში.

გაეროს ბავშვთა ფონდმა ესტონეთის მთავრობის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ფონდ „კლარიოსის“ მხარდაჭერით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს გადასცა ტოქსიკური ლითონების წყაროების დასადგენი უახლესი ლაბორატორიული აღჭურვილობა. 2021 წლის 13 ივლისს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ქიმიურ რისკ-ფაქტორთა კვლევის ლაბორატორიის გახსნის ცერემონიალი გაიმართა, რომელშიც განთავსებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გადმოცემული აპარატურა.



გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) ვაქცინაციის პროცესის დაჩქარებისა და ვაქცინებთან დაკავშირებული ცრუ ინფორმაციის გაქარწყლების მიზნით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან ერთად, 6 სექტემბერს დაიწყო ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია „ავიცრათ სიცოცხლის გადასარჩენად“. კამპანიის ფარგლებში დაგეგმილმა ღონისძიებებმა თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო პარტნიორების მიმდინარე ძალისხმევაში, რომელიც პანდემიასთან ბრძოლას და კრიზისიდან გამოსვლას ემსახურება.

საინფორმაციო კამპანიას „ავიცრათ სიცოცხლის გადასარჩენად“ მხარი დაუჭირეს UNDP-ის დონორებმა და პარტნიორებმა საქართველოში, მათ შორის არიან გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფონდი, ევროკავშირი, დანიის, დიდი ბრიტანეთის, შვედეთისა და შვეიცარიის სახელმწიფოები. კამპანია განხორციელდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რეგიონულ ხელისუფლებებთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით.



საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში შეიქმნა მოსახლეობის აკრიზისის მარტივად ხელმისაწვდომი შესაძლებლობები, აქტივობები განხორციელდა საქართველოს 10 რეგიონში. ინფორმაცია ვრცელდებოდა მოსახლეობის ისეთ ჯგუფებში, როგორცაა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოფლად მცხოვრები ქალები და



ახალგაზრდები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები. საინფორმაციო კამპანიაში ჩაერთვნენ საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის



წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს რკინიგზა, წამყვანი სადაზღვევო კომპანიები, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები, ფერმერთა ასოციაციები და მედია.

აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან, მომზადდა საინფორმაციო მასალა (ფლაერი, პოსტერი, ვიდეო-რგოლი ცნობილი



ექიმებისა და დიპლომატიური კორპუსის მონაწილეობით); ვაქცინაციის მნიშვნელობისა და მითების შესახებ მათ შორის - ეროვნული უმცირესობების ენებზე და შშმ პირთათვის (სურდო-თარგმანით); საქართველოს რკინიგზისა და გაეროს განვითარების პროგრამის საერთო კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო პოსტერები გაეკრა და საინფორმაციო ბროშურები განთავსდა სამგზავრო მატარებლებში, რომლებიც მოძრაობენ 5 მიმართულებით: დღიურად 1500-

მდე მგზავრს ჰქონდა შესაძლებლობა, გაცნობოდა ინფორმაციას ვაქცინაციის შესახებ; გაეროს განვითარების პროგრამის, წითელი ჯვრის და ლიბერთი ბანკის საერთო კამპანიის ფარგლებში, რეგიონების სოფლებში, მობილური ჯგუფების დახმარებით სოციალურად დაუცველ პირებს და პენსიონერებს მიეწოდა ინფორმაცია ვაქცინაციის შესახებ; საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ქვემო ქართლის, მცხეთა-თიანეთის, შიდა ქართლის და სამეგრელო ზემო-სვანეთის კომპაქტურად დასახლებულ დევენილებისთვის, რასაც თან ახლდა ვაქცინაციის პროცესიც; რეგიონულ ტელევიზიებსა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადიოდა ექიმების მიმართვები და სხვადასხვა საინფორმაციო რგოლები ვაქცინებზე და ვაქცინაციის მნიშვნელობაზე ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე; პარალელურად, ცენტრისა და UNDP-ის ვაქცინაციის პროცესი ჩატარდა თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრისა და ყრუთა კავშირის ბენეფიციარებისათვის, სადაც 70-მდე პირის ვაქცინაცია მოხდა.



საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება პანდემიის დაწყების პირველივე დღიდან აქტიურად არის ჩართული COVID-19-ზე და მის მიერ გამოწვეული შედეგებზე რეაგირებაში, როგორც მოსამზადებელ და საპასუხო აქტივობების განცხორილებაში, ასევე ვაქცინაციის მხარდაჭერაში, რაც თავის მხრივ მოიცავს მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით: იმუნიზაციის პუნქტების ჩამოყალიბება-ფუნქციონირება, ცნობიერების ამაღლება,

საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება-განხორციელება, რისკ კომუნიკაცია და თემთა ჩართულობის გაძლიერება.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით მცხეთაში, სოფელ მუხრანში და ქალაქ რუსთავეში გაიხსნა მასობრივი იმუნიზაციის ცენტრები. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლები აცრის მსურველ ადამიანებს სთავაზობდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დახმარებით, ვაქცინაციის ცენტრებში ტრანსპორტირებასაც. დესჯეტთან თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მოხალისეები აქტიურად იყვნენ ჩართული თბილისში სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში ვაქცინაციის რიგების მართვაში.

ვაქცინაციაზე ინფორმაციის გავრცელებისა და ვაქცინაციის ცენტრებთან დაკავშირებით და ცნობიერების ამაღლების კუთხით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის რეგიონალური სამსახურების წარმომადგენლებმა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან ერთად ჩაატარეს არაერთი შეხვედრა, მცხეთის მუნიციპალიტეტსა და ქ. რუსთავში არსებული კომპანიების, ასევე - საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრებს ჰქონდა დისკუსიის ფორმატი, რომლის დროსაც დამსწრე საზოგადოების მხრიდან დასმულ შეკითხვებზე დკსჯეცისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ჯანდაცვის თანამშრომლები პასუხობდნენ.

ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ, ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში შემუშავებული იქნა ორი სახის უკუკავშირის მექანიზმი. პირველი ემსახურებოდა ზემოაღნიშნული მასობრივი იმუნიზაციის ცენტრებში არსებული სერვისისა და ოპერირების შეფასებას, რომელსაც ვაქცინის გაკეთების შემდეგ განკუთვნილ მოსაცდელ სივრცეში, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ავსებინებდნენ ბენეფიციარებს. შემოსული და გაანალიზებული შედეგები, ეფექტურად იქნა გამოყენებული ცენტრის უკეთესი ოპერირებისათვის. მეორე ტიპის კითხვარი კი საზოგადოებაში ვაქცინისადმი განწყობისა და დამოკიდებულების მიზნით იყო შემუშავებული. გამოკითხვაში ჩაერთო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების 39-ვე ფილიალი მათი მოხალისეებით, რომლებიც გადამზადებულნი იყვნენ რისკ კომუნიკაციის, ინფორმაციის სწორად გავრცელებისა და კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით. კვლევა იყო რაოდენობრივი ხასიათის და მასში მონაწილეობდნენ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული თემის წარმომადგენლები შემდეგი მუნიციპალიტეტებიდან და ქალაქებიდან: ბათუმი, ახალქალაქი, საგარეჯო, ამბროლაური, ხელვაჩაური, ბოლნისი, სიღნაღი, ზესტაფონი, ახალციხე, ლენტეხი, თელავი, მარნეული, ყვარელი, ცაგერი, ტყიბული, ონი, თიანეთი, ლაგოდეხი, ჭიათურა, გორი, დმანისი, მესტია, ჩოხატაური, რუსთავი, ქედა, ხულო, ფოთი, დედოფლისწყარო, ბორჯომი, დუშეთი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, ოზურგეთი, საჩხერე, შუახევი, თეთრიწყარო, სამტრედია, ლანჩხუთი, ნინოწმინდა, გარდაბანი, ქუთაისი, ქობულეთი, სენაკი, წალკა, სამგორი, წყალტუბო, გურჯაანი, მცხეთა, ქარელი. გამოკითხვა ტარდებოდა, როგორც ქუჩებში, ასევე მცირე ბიზნესის ლოკაციებზე, როგორცაა: მაღაზია, ჯიხური, სალონი, სუპერმარკეტი, ბენზინგასამართი სადგურები და ა.შ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 7302 ადამიანმა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში მოხალისეები ასევე ავრცელებდნენ მასობრივი იმუნიზაციის ცენტრის საინფორმაციო ტრიპლეტებს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ცენტრი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასა და ლიბერთი ბანკთან ერთად, ჩაერთო გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო კამპანიაში. პროექტი გულისხმობდა COVID-19-ის ვაქცინის შესახებ სოციალურად დაუცველ და მაღალმთიან/მიუწვდომელ ადგილებში მცხოვრებ მოსახლეობაში ინფორმირებულობასა და ცნობიერების ამაღლებას. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება თავისი მოხალისეების გუნდით, ავრცელებს საინფორმაციო ბროშურებს, უზრუნველყოფს თემში ვაქცინაციის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელებასა და ზემოაღნიშნული ვაქცინის დამოკიდებულებისა და განწყობის კითხვარის ეროვნული ცენტრის მიერ საჭიროებების განსაზღვრის შესაბამისად, წითელი ჯვრის საზოგადოების მოხალისეები 2021 წლის 4 მაისიდან ეხმარებოდნენ რეგიონებში მცხოვრებ ვაქცინაციის მსურველ ბენეფიციარებს ვაქცინაციაზე დარეგისტრირების პროცესში.



გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ხელშეწყობით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა საკომუნიკაციო

სესიების ციკლი ახალგაზრდებთან, მათ შორის ცენტრიდან დაშორებულ რეგიონებში. თანამშრომლობა მიმდინარეობდა ორი კუთხით:

- აცრების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა და პრომოცია;
- თანასწორი-თანასწორის განათლებისათვის ვაქცინაციის კუთხით ახალგაზრდების მომზადება.



COVID-19-ის პანდემიასთან ბრძოლაში საქართველოს დასახმარებლად აშშ-ს ევროპული სარდლობის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის (EUCOM Humanitarian Assistance program) ფარგლებში შესყიდულ იქნა და ქართულ მხარეს გადაეცა ვაქცინაციის პროცესისთვის საჭირო არჭურვილობა, რომელთა შორისაა 0,5 მლ-იანი საინექციო

შპრიცები, ვაქცინმზიდი (მაცივარი მანქანა), მინივენი, ვაქცინის სატრანსპორტო ცივი ყუთები (სხვადასხვა ზომის), ტემპერატურის მონიტორირების მოწყობილობები (დატა ლოგერი), ბასრი ნარჩენების უსაფრთხო კონტეინერი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დახმარების ფარგლებში საქართველომ 2021 წლის აპრილში მიიღო 3 ცალი „-80“ გრადუსიანი საყინულე მაცივარი - Thermo Fisher Scientific TSX60086D ვაქცინის შენახვა-დასაწყობებისთვის.



ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებმა (CDC) საქართველოში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის ხელშეწყობისა და გაძლიერების მიზნით ფინანსური მხარდაჭერა გააწიეს სამედიცინო პერსონალის გადამზადების, დამხმარე ზედამხედველობის პროცესის, იშგამების კვლევების, კომუნიკაციისა და ადვოკატირების კამპანიების, ელექტრონული სისტემების გამართვისა და სრულყოფის პროცესის მხარდაჭერის მიზნით.

The Task Force for Global Health-თან საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობდა აქტივობები ქვეყანაში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის ხელშეწყობისა და გაძლიერების მიზნით.

ჯანმრთელობის გაზომვებისა და შეფასების ინსტიტუტი (IHME) 2020 წლის მარტიდან უზრუნველყოფს COVID-19-ის პანდემიის მოდელირებას. ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში IHME აწარმოებს მოდელირებას საქართველოსთვის. 2021 წლის განმავლობაში, ქვეყანაში ეპიდემიის განვითარების სხვადასხვა სცენარებისთვის IHME დესჯეცისგან ყოველკვირეულად იღებდა მნიშვნელოვან ინფორმაციას. დამუშავების შედეგად მიღებული მაჩვენებლები აისახებოდა მოდელირების სცენარებში. აღნიშნულის განხილვის შემდეგ ხდებოდა რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა განხილვა საბოლოოდ იმართებოდა უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოზე.

2021 წელს COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის ფარგლებში, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გასაძლიერებლად და დაავადებათა კონტროლისა და

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა COVID-19-ის ანტიგენზე დაფუძნებული სწრაფი ტესტებისა და პჯრ-დიაგნოსტიკის სისტემების (ტესტებისა და აღჭურვილობის) შესყიდვა, COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის ფარგლებში. ასევე შესყიდულ იქნა ვაქცინებისთვის ცივი ჯაჭვის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი აპარატურა, ფაიზერის ვაქცინის ადმინისტრირებისთვის საჭირო შპრიცები, პერსონალური დაცვის აღჭურვილობა. მსოფლიო ბანკის მიერ მნიშვნელოვანი კონტრიბუცია განხორციელდა ასევე ფაიზერის ვაქცინების შესყიდვის მიმართულებით.

მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადდა ჯანდაცვის სექტორის სამოქმედო ანტიკრიზისული გეგმა 2022 წლისთვის. ასევე, მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის ერთობლივი მხარდაჭერის ფარგლებში შემუშავდა ვაქცინაციის ეროვნული გეგმა 2022 წლისთვის (საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმა).

2021 წლის განმავლობაში ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა დიპლომატიურ კორპუსთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო თანამშრომლობა ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგელობასთან საქართველოში და ევროკავშირის ქვეყნების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის რესპუბლიკის და სხვა საელჩოებთან.



2021 წელს გრძელდებოდა თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსთან საქართველოში, რომელიც გარდა იმ დახმარებისა, რაც ჩინეთის მთავრობამ გაწია საქართველოს მხარდასაჭერად პანდემიის დაწყების დღიდან, მოიცავდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს დახმარებას კომპიუტერული ტექნიკით. ამასთან, აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, დაავადებათა საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ერთობლივი ორგანიზების შედეგად აიცრა საქართველოში სამუშაო, დიპლომატიური და ტურისტული ვიზიტით მყოფი 300-ზე მეტი ჩინეთის მოქალაქე.



ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის მიერ, ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოს, ევროკავშირისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით მომზადდა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის სარეგისტრაციო პორტალი www.booking.moh.gov.ge.

გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და ააიპ „World Vision International“-ს (ფილიალი საქართველოში) შორის. მემორანდუმის მიზანია საქართველოში იმუნიზაციისა და COVID19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების მხარდაჭერა.



2021 წლის განმავლობაში საქართველომ დონაციის სახით მიიღო ვაქცინების გარკვეული მარაგი პარტნიორი ქვეყნებისგან:

- 100 000 დოზა Sinovac-CoronaVac (ჩინეთის მთავრობის დონაცია)
- 5 000 დოზა AstraZeneca/ Oxford (ავსტრიის დონაცია)
- 15 000 დოზა AstraZeneca/ Oxford (ლიეტუვას დონაცია)
- 500 000 დოზა Pfizer/BioNTech (ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დონაცია)
- 100 000 დოზა Sinopharm BBIP (წითელი ჯვრის საზოგადოების დონაცია)
- 83 070 დოზა Pfizer/BioNTech (ლატვიის მთავრობის დონაცია)
- 468 000 დოზა Pfizer/BioNTech (პოლონეთის მთავრობის დონაცია).



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს COVID-19-ით ინფიცირებული, ჰოსპიტალიზებული პაციენტების სამკურნალოდ 3000 დოზაზე მეტი მონოკლონური ანტისხეულები (კასირივიმბისა და იმდევიმბისგან) გადასცა.

განხორციელდა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებთან საქართველოში, რომელთა უმეტესობა COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარებასა და მომავალი გეგმების განხილვას მიეძღვნა.

2021 წლის 29 იანვარს ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ ორგანიზებით გაიმართა ონლაინ დისკუსია „ელექტრონული ჯანდაცვა და ტელემედიცინა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში - გამოწვევები და შესაძლებლობები“. დისკუსიის დროს აღინიშნა ქვეყნის მზაობა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის დაწყებისადმი.



2021 წლის 26 თებერვალს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გაიმართა შეხვედრა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ბატონ იმამურა აკირასთან. მხარეებმა ისაუბრეს ქვეყნებში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების, COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში გატარებული ღონისძიებების, რეგულაციების, შეზღუდვების შემსუბუქების, ვაქცინაციის და COVID-19-თან დაკავშირებულ სხვა



საკითხებზე. დაისახა ურთიერთანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ,

აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებთან თანამშრომლობით, 2021 წლის 15-16 მარტს ჩატარდა **C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ტექნიკურ მრჩეველთა ჯგუფის (TAG) მე-6 შეხვედრა ვირტუალურ ფორმატში.**



შეხვედრა გახსნა CDC-ის ვირუსული ჰეპატიტების განყოფილების ხელმძღვანელმა - კაროლინ ვესტერმა, საქართველოს ოტმჯსდ მინისტრმა - ეკატერინე ტიკარაძემ, აშშ ელჩმა საქართველოში - კელი დეგანმა, კომპანიის „Gilead Sciences“ ვიცე პრეზიდენტმა - ბეტი ჩანგმა, ჯანმოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა - სილვიუ დომენტემ და საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა - ამირან გამყრელიძემ. შეხვედრაში ვირტუალურად მიიღეს მონაწილეობა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართულმა ორგანიზაციებმა, კლინიცისტებმა, ეპიდემიოლოგებმა, ინფიცირების მაღალი რისკის მქონე ჯგუფების წარმომადგენლებმა და სხვ. 2021 წლის TAG შეხვედრა დაეთმო პროგრამის მიმდინარე მიღწევებისა და არსებული გამოწვევების ანალიზს, რომლის საფუძველზეც შემუშავდა სამომავლო სამოქმედო რეკომენდაციები. ამასთანავე მოხდა ახალი, 2021-2025 წლების ელიმინაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსიის განხილვა მისი შემდგომი დახვეწის მიზნით. სტრატეგიის სამუშაო ვერსიის შემუშავებაზე ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად იმუშავეს WHO-ის, CDC-ისა, the EASL International Liver Foundation-ისა და ბრისტოლის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა.



2021 წლის 19 აპრილს გაიმართა შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდის რეგიონალურ დირექტორთან აფშან ხანთან. გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით საქართველომ COVAX-პლატფორმის საშუალებით მიიღო AstraZeneca/Oxford და Pfizer/BioNTech ვაქცინები. UNICEF ასევე ახორციელებს საკომუნიკაციო აქტივობებსა და ექიმების ტრენინგს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და ატარებს შეხვედრებს რელიგიურ ლიდერებთან.



2021 წ. 21 აპრილს გაიმართა პირველი ოფიციალური შეხვედრა CDC ახლადდაფუძნებული რეგიონული ოფისის დირექტორთან - ბატონ ჩარლზ ვიტკუთან.



შეხვედრაზე მხარეებმა გაუზიარეს ერთმანეთს მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში არსებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია და დასახეს სამომავლო გეგმები.



2021 წლის 27 მაისს გაიმართა შეხვედრა ჩეხეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან ბატონ რადეკ პოლიცართან, შეხვედრა მიემდგვნა პანდემიის მართვისა და



შესაძლო ტექნიკური დახმარების საკითხებს. ბატონმა პოლიცარმა აღნიშნა, რომ საქართველო COVID-19-ის პანდემიას წარმატებით ებრძვის და ამ კუთხით გამოცდილების გაზიარება ითხოვა. ჩეხეთის დელეგაციას მიეწოდა ინფორმაცია პანდემიის დაწყებიდან დღემდე გატარებული ღონისძიებების თაობაზე, ასევე - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საქმიანობისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ. საუბარი გაგრძელდა ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის მიმართულებების პროგრესის განხილვით. განსაკუთრებული ხაზი გაესვა წარმატებულ თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორცაა კიბოს სკრინინგი და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

2021 წლის 14 ივნისს გაიმართა შეხვედრა აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ვირუსული ჰეპატიტების დეპარტამენტის ასოცირებულ დირექტორთან გლობალური ჯანმრთელობის დარგში - პეიჯ არმსტრონგთან. მხარეებმა განიხილეს ჰეპატიტების სკრინინგსა და მიდევნებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ისაუბრეს C ჰეპატიტის პროგრამის ტექნიკურ მრჩეველთა ჯგუფის (TAG) რეკომენდაციების შედეგად განხორციელებულ აქტივობებზე, B და C ჰეპატიტების ელიმინაციის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ძირითად მიმართულებებზე, ასევე - COVID-19-თან დაკავშირებულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებასა და ვაქცინაციის საკითხებზე. ქალბატონმა არმსტრონგმა აღნიშნა საქართველოს მიერ მიღწეული შედეგები და ისაუბრა უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქტივობების შესახებ, მათ შორის - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ვალიდაციის ინსტრუმენტის თაობაზე, ასევე, ხაზი გაუსვა ფართომასშტაბიანი რანდომიზებული პოპულაციური კვლევის მნიშვნელობას B და C ჰეპატიტებისა და COVID-19 პრევალენტობის გამოსავლენად საქართველოს მოსახლეობაში, რომელიც 2021 წლის ჩატარდა საქართველოში აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების მონაწილეობით.



2021 წლის 14 ივნისს ეროვნულ ცენტრს ესტუმრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოწინავე ექიმთა გუნდი მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორის და საუნივერსიტეტო კლინიკის წამყვანი ქირურგის ბატონი გიორგი გრიგოლიას მეთაურობით. ბატონმა ამირან გამყრელიძემ გერმანიის დელეგაციას გააცნო დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები და მომოიხილა ცენტრის მიერ განხორციელებული სამუშაო.

შეხვედრაზე მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოსა და გერმანიას შორის წლების განმავლობაში მიმდინარე ნაყოფიერი თანამშრომლობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, კლინიკური მედიცინის, ლაბორატორიული დისციპლინების, ბიოუსაფრთხოების,

სპეციალისტებისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისა და სხვა მიმართულებებით. აღნიშნა გერმანიის მთავრობისა და შესაბამისი უწყებების განსაკუთრებული როლი და მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის მიმართ, მათ შორის, COVID-19-ის პანდემიის საწყის ეტაპზე, რაც პირველ რიგში, საქართველოსთვის ახალი კორონავირუსის სადიაგნოსტიკო პჯრ ტესტ-სისტემების ნაკრების გადაცემით გამოიხატა. შეხვედრის დასასრულს დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ეროვნული ცენტრის კამპუსი, გაეცნენ სამუშაო პროცესს და საქართველოსთან მომავალი თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს.



2021 წლის 21 ივნისს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (NCDC) გაიმართა „საქართველოში SARS-CoV-2-ისა და ვირუსული B და C ჰეპატიტების სეროპრევალენტობისა და რისკის ფაქტორების პოპულაციური კვლევის“ სავლე სამუშაოების დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება. კვლევა დაფინანსდა აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და

პრევენციის ცენტრების (CDC) მიერ. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ქვეყანაში შემთხვევითობის მეთოდით შერჩეულ მისამართებზე მცხოვრებმა 5-17 წლის ბავშვებმა და 18 წლის ან მეტი ასაკის მოზრდილმა მოსახლეობამ. ეპიდემიოლოგები კვლევაში შერჩეულ პირებთან ჩატარდა ინტერვიუ სპეციალური კითხვარის მეშვეობით. იმავე პირებს ჩაუტარდათ სისხლის ლაბორატორიული ტესტირება სამ ვირუსულ ინფექციაზე (SARS-CoV-2, ვირუსული B და C ჰეპატიტები). აღნიშნული ლაბორატორიული კვლევები გადატანილი და/ან მიმდინარე ინფექციების არსებობის დადგენას ემსახურებოდა. კვლევის მიზანი იყო გამოვლინა, მიაღწია თუ არა ქვეყანამ B ჰეპატიტის იმუნიზაციის ჯანმოს მიერ დადგენილ სამიზნეებს და შეეფასებინა B ჰეპატიტის ვაქცინაციის პროგრამა საქართველოში. ასევე, მოეხდინა მოსახლეობაში ინფექციის გავრცელების სრულყოფილი შეფასება მთელი ქვეყნის მასშტაბით.



2021 წლის 24 ივნისს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში WRAIR ეგიდით გაიმართა სან-დიეგოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტების სტაჟირების გამოსაშვები ცერემონია. ქნ-მა კელი დევანამა, ბ-მა ამირან გამყრელიძემ და ბატონმა ირაკლი ბერაიამ სტუდენტებს წარმატებული სტაჟირების დასრულება მიულოცეს



და უსურვეს ახალგაზარდებს პროფესიული ზრდა და წინსვლა საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



2021 წლის 24 ივნისს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გაიმართა ვირუსული ჰეპატიტების, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობალური საფრთხის,

ელიმინაციის ვალიდაციისადმი მიძღვნილი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ვირუსული ჰეპატიტების ელიმინაციის ვალიდაციის სახელმძღვანელო, კრიტერიუმები და მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები. საქართველო შერჩეული იქნა, როგორც სანიმუშო ქვეყანა, სადაც მოხდება აღნიშნული კრიტერიუმებისა და ინსტრუმენტების გამოცდა და წინასწარი შეფასება.

2021 წლის 22 ივლისს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საერთო საჯარო ცენტრის კაპიტნის საკურიერო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუმრად იმყოფებოდნენ სწავლებაზე მიზიდული სამხედრო-სამედიცინო კაპიტნის საკურიერო კურსის მსმენელები. დკსჯეცის წარმომადგენელმა მსმენელებს გააცნეს ცენტრის საქმიანობა.



2021 წლის 28 ივლისს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გაიმართა ჰეპატიტის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია სლოგანით: „იცი, ჰეპატიტი არ იცდის“: როდესაც ჰეპატიტის გამო ყოველ 30 წამში ერთი ადამიანი კვდება, მოცდის დრო არ არის! პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი იყო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიღწევები და COVID-19-ის

პანდემიის გავლენა საქართველოში ელიმინაციის პროგრამის მიმდინარეობაზე. ღონისძიების ბოლოს განკურნებულ პაციენტთა ასოციაციამ დააანონსა ჰეპატიტის საკომუნიკაციო კამპანიის ინიცირება და კიდევ ერთხელ მოუწოდა საზოგადოებას ჩაიტაროს გამოკვლევა და ჩაერთოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში. ჰეპატიტის მსოფლიო დღის აღსანიშნავად მთელი მსოფლიო ერთიანდება საერთო მიზნით - ამაღლდეს ცნობიერება ვირუსული ჰეპატიტების რეალური ტვირთის შესახებ.



2021 წლის 15-16 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის



ეროვნული ცენტრის ორგანიზებით და აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრებისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა „C ჰეპატიტის ელიმინაციის მე-8 ეროვნულ სამუშაო შეხვედრა“. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი დარგის ექსპერტები.



შეხვედრაზე განხილულ იქნა 2021-2025 წლების C ჰეპატიტის ელიმინაციის ახალი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დაეფუძნა ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფის 2019 წლის



რეკომენდაციებს, მათ შორის, B ჰეპატიტის ელიმინაციის და საყოველთაო ჯანდაცვაში შესაძლო ინტეგრაციის შესახებ. წარმოდგენილი იქნა საქართველოში მიმდინარე C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში არსებული გამოწვევები და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები. შეხვედრა წარიმართა მოკლე პრეზენტაციების ფორმატში, თითოეულ სტრატეგიულ მიმართულებაზე გაიმართა სადისკუსიო სესიები.



საერთაშორისო პროექტის “შესაძლებლობები და ინფრასტრუქტურა ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისთვის - საინფორმაციო სისტემების გაძლიერება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისთვის (CATINCA)” ფარგლებში, 20-21 სექტემბერს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ბერლინის (გერმანია) რობერტ კოხის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან დოქტორ ალექსანდრ რომელის ხელმძღვანელობით.

პროექტის ძირითადი მიზანია საინფორმაციო სისტემების განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, იმისთვის, რომ მოხდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის



მდგომარეობის მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასება. მოსახლეობის ჯანმრთელობის



კომპოზიციური მაჩვენებლები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მონიტორინგისათვის მათი მზარდი მნიშვნელობის გამო, სულ უფრო მეტად ინტეგრირდება ჯანმრთელობის ეროვნულ და საერთაშორისო საინფორმაციო

სისტემებში. პროექტი მიზნად ისახავს გააუმჯობესოს არსებული მონაცემთა ინფრასტრუქტურა ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის ჯანმრთელობის კომპლექსური შეფასებით და წვლილი შეიტანოს ჯანმრთელობის პოლიტიკის თანამედროვე საინფორმაციო სისტემების შემუშავებაში. გერმანიასთან და ევროპულ პარტნიორებთან სამხრეთი გაცვლის გზით, სამიზნე რეგიონები ჩაერთვებიან მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიებსა და ცოდნის გადაცემაში. შემუშავდება



სცენარები ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით და ჩამოყალიბდება



საგზაო რუკები, რაც გამოავლენს მნიშვნელოვან საჭიროებებს ჯანმრთელობის თანამედროვე საინფორმაციო

სისტემების დანერგვის მიზნით.

2021 წლის 2 ოქტომბერს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს გაცნობითი ვიზიტით ესტუმრნენ მიუნხენის (გერმანია) ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ინფექციური და ტროპიკული დაავადებების ინსტიტუტის ემერიტუს დირექტორი, გერმანიის იმუნოზაციის კომისიის (STIKO) წევრი,



ინფექციური დაავადებების რეგულაციების საკითხებში ჯანმოში გერმანიის წარმომადგენელი, პროფესორი თომას ლიოშერი (Prof. Dr. med. Tomas Löscher), ზალცბურგის (ავსტრია) საუნივერსიტეტო კლინიკის ნეიროქირურგიის კათედრის ემერიტუს გამგე, ზალცბურგის გაერთიანებული საუნივერსიტეტო კლინიკების ბორდის წევრი, პროფესორი პიტერ ვინკლა (Prof. Dr. med. Peter Winkler) და მიუნხენის (გერმანია) ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფესორი, დოიჩეს დიაგნოსტიკუმის დირექტორიატის ბორდის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი გიორგი გრიგოლია. შეხვედრისას ცენტრის გენერალურმა დირექტორმა სტუმრებს გააცნო ცენტრის როლი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში, მისი ფუნქციონირების სტრატეგიული მიმართულებები, COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირებაში პასუხისმგებლობების კომპონენტები და განხილული იყო COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიმდინარეობა. საუბარი ასევე გაიმართა სამომავლოდ სამეცნიერო თანამშრომლობის შესაძლებლობებსა და კვლევითი მიმართულებების განვითარებაზე.

შეხვედრა OSCE/ODIHR წარმომადგენლებთან 5.10.2020: 2020 წლის 5 ოქტომბერს შედგა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის ჯილიან სტირკისა და მისიის უსაფრთხოების ოფიცრის ლასლო ბელაგვის შეხვედრა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობასთან, რომლის დროსაც მისიის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია COVID-19-თან დაკავშირებით საქართველოში

არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ. ვინაიდან მისიის საერთაშორისო დამკვირვებლებს უწევთ რეგიონებში ვიზიტები, მისიის ხელმძღვანელობამ წარმოადგინა თხოვნა, მისიის წევრებისა და ადგილობრივი პერსონალის უსაფრთხოების მიზნებისთვის არჩევნების პერიოდში, კვირაში ორჯერ, რეგულარულად მიეწოდოთ განახლებული ინფორმაცია ქვეყანაში COVID-19-თან დაკავშირებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის თაობაზე,



ძირითადი ეპიდემიოლოგიური პარამეტრების მითითებით, რომელშიც ჩაშლილი იქნებოდა რეგიონულ ჭრილში და ითხოვეს, ცენტრიდან საკონტაქტო პირის დასახელება სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით

საერთაშორისო ასოციაციის (IANPHI) გენერალური ასამბლეა/ყოველწლიური ონლაინ შეხვედრა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის გენერალურმა დირექტორმა. სპეციალურ სესიაზე „ნაციონალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტების გამოცდილება COVID-19-ის რეაგირებაში: ჯანმრთელობაზე თანასწორობის პერსპექტივები“, რამდენიმე მონაწილესთან ერთად დკსჯეც შერჩეული იყო არსებული გამოცდილებისა და სამომავლო ხედვების გაზიარების მიზნით. წარდგენილ იქნა მოხსენება „COVID-19 და სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა - საქართველოს გამოცდილება“.



გარდა ამისა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტების საერთაშორისო ასოციაციის (IANPHI) მიერ გამოცხადებულ კონკურსში „წარმატების აღიარება“. ევროპის რეგიონიდან წარდგენილ პროექტებს შორის ცენტრის პროექტი „საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრესი“ აღიარებულ იქნა 2021 წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად IANPHI-ის ევროპულ ქსელში და პროექტ ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე (1-3 დეკემბერი, 2021) გადაეცა სერტიფიკატი.

2021 წლის 8 დეკემბერს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გაიმართა საკოორდინაციო შეხვედრა აშშ-ის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (CDC, DTRA, WRAIR), სადაც ამერიკულმა მხარემ ცენტრის ხელმძღვანელობასთან და წარმომადგენლებთან ერთად განსაზღვრა სამომავლო პრიორიტეტული საკითხები, რომელთა განხორციელებაშიც ამერიკულმა მხარემ დკსჯეცს მხარდაჭერა აღუთქვა. სათანამშრომლო სფეროს განეკუთვნა ზედამხედველობის სისტემების, მათ შორის - საზოგადოებრივი ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების განვითარება, უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა, აბრეშუმის გზის ქვეყნების ბიოუსაფრთხოების ქსელის (BNSR) ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავება, დეზინფორმაციასთან ბრძოლა. შეხვედრაზე დაიგეგმა ერთობლივი მსჯელობების გაგრძელება რეგულარულ ფორმატში.



2021 წლის 14 დეკემბერს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობა შეხვდა უოლტერ რიდის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტის (WRAIR) დირექტორს - პოლკოვნიკ ჩად კენინგს (აშშ არმიის სამედიცინო კორპუსის სპეციალისტი), სათაო ოფისისა და საქართველოს ოფისის წარმომადგენლებს. მხარეებმა უსაუბრეს WRAIR-თან მიმდინარე თანამშრომლობასა და მომავალ გეგმებზე.



2021 წლის 15 დეკემბერს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გაიმართა SARS-CoV-2-ის, ვირუსული B და C ჰეპატიტების სეროპრევალენტობისა და რისკ ფაქტორების პოპულაციური კვლევის შედეგების მიმოხილვა, რომელსაც ოტდუჟსდ სამინისტროს, დკსჯეცის, CDC აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისისა და ჯანმოს ევროპის რეგიონული ოფისის მაღალი თამადაბობის პირები და დარგის ექსპერტები ესწრებოდნენ. კვლევის შედეგებმა აჩვენა არსებითი პროგრესი საქართველოში



HCV ელიმინაციის მიმართულებით, ასევე B ჰეპატიტის კონტროლის რეგიონული მიზნების მიღწევასა და ვაქცინაციის პროგრამის წარმატებაში. შეხვედრის დასასრულს გაიმართა კვლევაში მონაწილეთა სერტიფიკატებით დაჯილდოების ცერემონია.



2021 წლის 17 დეკემბერს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრმა მსოფლიო ბანკის დელეგაციას უმასპინძლა. შეხვედრაზე ცენტრის გენერალურმა დირექტორმა სტუმრებს გააცნო ქვეყანაში COVID-19-თან დაკავშირებული სიტუაცია, ისაუბრა იმუნიზაციის პროგრამის მიმდინარეობასა და პანდემიის წინააღმდეგ გატარებულ ზომებზე. მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში ბ-ნმა

სებასტიან მოლინეუსმა, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში განვითარების რეგიონულმა დირექტორმა ქ-ნმა ფადია საადაჰმა და მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონის განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სექტორის ხელმძღვანელმა ბ-ნმა აჰმეთ ლევენტ იენერმა ისაუბრეს მიმდინარე აქტივობებისა და მომავალი თანამშრომლობის თაობაზე.



2021 წლის განმავლობაში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ევროკავშირის ქვეყნების პარტნიორ ინსტიტუციებთან ერთად 2021 წლის მანძილზე მუშაობდა ევროკავშირთან დამშობილების (Twinning) სამ პროექტზე:

- 2021 წელს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის მიერ წარდგენილმა ევროკავშირის დამშობილების (Twinning) პროექტმა: „ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში“ (Support to Improving Health Impact Assessment Practice in Georgia), გაიმარჯვა და მოიპოვა ევროკავშირის დაფინანსებას. ევროკავშირის მხრიდან პროექტის განმახორციელებელია საფრანგეთისა და ფინეთის პარტნიორი ორგანიზაციების კონსორციუმი. პროექტის მიზანია დაეხმაროს საქართველოს შესაბამის უწყებებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული გარემოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ვალდებულებების განხორციელებაში, „ჯანმრთელობა - ყველა სექტორში“ მიდგომის რეალიზების ხელშეწყობად.
- 2021 წელს ასევე გამარჯვებულად გამოცხადდა ევროკავშირის დამშობილების პროექტი "Support in Establishment of Comprehensive Road Safety Database and Further Improvement of Road Safety management in Georgia", რომელსაც პოლონელი და ლიეტუველი ორგანიზაციებისგან შემდგარი კონსორციუმი განახორციელებს. საქართველოს მხრიდან პროექტის შესრულებაზე პასუხისმგებლობას სამი უწყება იღებს: საქართველოს ეკონომიკისა და



მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. ჩვენი უწყების კომპეტენციის ფარგლებშია ტრავმა რეგისტრის შემუშავება. შეხვედრა შედგება მე-7 სართულზე, მცირე საკონფერენციო დარბაზში.

- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრში წარმატებულად გრძელდებოდა ეროკავშირის დაძმობილების (Twinning) პროექტის „სისხლის უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება საქართველოში“



განხორციელება ლიეტუველ და ნიდერლანდელ კოლეგებთან ერთად. წლის განმავლობაში გაიმართა ოთხი სამეთვალყურეო საბჭო, მთავრობაში დასაკმტკიცებლად წარდგენილ იქნა სისხლის უსაფრთხოების ახალი საკანონმდებლო პაკეტი, განხორციელდა პროექტით გათვალისწინებული სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის თხოვნის საფუძველზე. პროექტის ლიდერმა - ლიეტუვას ეროვნული სისხლის ბანკის დირექტორმა დომანტას გუტაუსკასმა და პროექტის მუდმივმა ადგილობრივმა წარმომადგენლებმა - პაულიუს გრადეცკასმა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს ლიეტუვას გამოცდილება COVID-19-ის



პანდემიასთან ბრძოლის, მათ შორის, ვაქცინაციის მიმართულებით, რის შემდეგ გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში.

2021 წლის განმავლობაში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას ევროპის დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრთან. 2020 წელს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი გახდა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ევროკავშირის ინიციატივის (EU Initiative on Health Security) წევრი და ეროვნული კოორდინატორი. აღნიშნულ ინიციატივა 2020-2024 წწ მოიცავს და წარმოადგენს საფრთხეების აღმოჩენის, მზადყოფნისა და რეაგირების საკითხებზე რეგიონალურ თანამშრომლობას, რაც მოიცავს ტრანსსასაზღვრო კოლაბორაციას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე საუკეთესო პრაქტიკისა და მიღებული გამოცდილების გაცვლის გზით.

ამას გარდა, ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა მნიშვნელოვანი ონ-ლაინ შეხვედრები, ვებინარები, მასტერკლასები და ვიდეო-კონფერენციები პანდემიასთან ბრძოლის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, რომლებიც ორგანიზებულ იქნა აშშ-ის, ევროკავშირის, გერმანიის, კორეის რესპუბლიკის, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, თურქმენეთისა და სხვა ქვეყნების შესაბამისი სტრუქტურებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების (KOICA, DTRA, CEPA, ASPHER, IANPHI, BMJ და ა.შ.) მიერ; გამოქვეყნდა სტატიები, ინტერვიუები და სამედიცინო აბსტრაქტები სხვადასხვა საერთაშორისო გამომცემლობებში (BMJ Leader, Annals of Global Health, European Journal of Public Health, The Lancet, National Geographic და სხვა).

ადმინისტრაციული საქმიანობა


ცენტრის ცხელი ხაზი - 116001: ცენტრის ცხელ ხაზზე COVID-19-ის საკითხებთან დაკავშირებით ზარების შემოსვლამ, რომელიც დაიწყო 2020 წლის 23 იანვრიდან, მკვეთრად გაზარდა ცხელი ხაზის დატვირთვა. სათანადო რეაგირების მიზნით, ეტაპობრივად გადამზადდა და ცხელ ხაზზე ოპერატორის ფუნქციის განხორციელებას პირველ ეტაპზე შეუდგა 43 პირი, ხოლო წლის განმავლობაში 80-მდე პირი მორიგეობის სამჯგუფიანი გრაფიკით.

- ცხელ ხაზზე შემოსული ზარების მართვამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამედიცინო დაწესებულებებში არამიზნობრივი მიმართვიანობის შეჩერებას. პანდემიის საწყის ეტაპზე, ინფორმაციის ნაკლებობისა და პანიკის პირობებში, მოსახლეობის ზარების ძირითადი ნაწილი მომართული იყო სწორედ 116001-ზე. აღსანიშნავია, რომ ცენტრის ცხელი ხაზის მიმართ დაფიქსირდა საკმაოდ მაღალი ნდობა, რასაც ხელი შეუწყო ე.წ. „უკუკავშირის“ პრინციპის ამოქმედებამ - საკითხის დაზუსტების შემდეგ ზარების ავტორებთან დამატებით უკუკომუნიკაციამ და მათთვის მაქსიმალურად დაზუსტებული ინფორმაციის მიწოდებამ;

- 2021 წლის განმავლობაში ცხელ ხაზზე შემოსული ზარების (სამუშაო საათები ყოველდღიურად 09:00 – 23:00) ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 349796 ზარი. მათ შორის:

- ✓ ნაპასუხებია: 229894 ზარი (66%);

- ✓ გაცდენილია: 119902 ზარი (34%).



ტექნიკური უზრუნველყოფის აქტივობები

- შედგა ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში და საზ. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებისა და რეგიონული მართვის დეპარტამენტის სამმართველოების და განყოფილებების შენობებში არსებული სამაცივრე დანადგარების, ლიფტების, გათბობა-გაგრილების სისტემების, კომუნალური სისტემების, ინსინერატორების, სახანძრო და დაცვის სიგნალიზაციების, დაცვის, ცენტრის თანამშრომლების ავტობუსებით მომსახურების, დასუფთავების, ინტერნეტის, სატელეფონო და სატელევიზიო მომსახურებების ტექნიკური პირობები. ყოველდღიური ინსპექტირება და ზედამხედველობა უტარდებოდა ზემოაღნიშნულ მომსახურებებზე გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ყოველთვიურად ხდებოდა მიღება-ჩაბარების და ინსპექტირების აქტების გაფორმება;

- ცენტრის ავტოპარკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის შედგა 52 ავტომანქანის მომსახურების, სათადარიგო ნაწილების, დაზღვევის, ინსპექტირების, პარკირების შესყიდვისთვის საჭირო ტექნიკური პირობები. ყოველდღიური ინსპექტირება და ზედამხედველობა უტარდებოდა ზემოაღნიშნულ მომსახურებებზე და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ყოველკვირეულად ხდებოდა მიღება-ჩაბარების და ინსპექტირების აქტების გაფორმება;
- ქვეყანაში განსაზღვრული შეზღუდვებიდან გამომდინარე და ცენტრის სამუშაო გრაფიკის შესაბამისად, ხორციელდებოდა თანამშრომლების ტრანსპორტირება სამსახურში და სახლებში, როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო საათებში და დასვენების დღეებში, 24 საათის განმავლობაში;
- ცენტრის ტერიტორიაზე მოეწყო COVID-19 ნიმუშების ასაღები 2 ლაბორატორია;
- ცენტრის ტერიტორიაზე მოეწყო ქიმიური რისკ-ფაქტორთა ლაბორატორია. ზედამხედველობა ეწეოდა მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს. სამუშაოების დასრულებისას გაფორმდა შესაბამისი დოკუმენტაცია და შედგა ფორმა - 2;
- გატარდა ცენტრის ბიოუსაფრთხოების, ტექნიკური უსაფრთხოების, ელექტროუსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები;
- საზ. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებისა და რეგიონული მართვის დეპარტამენტის კახეთის განყოფილებაში დასრულდა შენობის მიშენების სამშენებლო სამუშაოები. ზედამხედველობა ეწეოდა მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს. სამუშაოების დასრულებისას გაფორმდა შესაბამისი დოკუმენტაცია და შედგა ფორმა - 2;
- ცენტრის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მოეწყო ფლაგშტოკი, ტერიტორია დაიხაზა და მოეწყო საგზაო ნიშნები. ადმინისტრაციული შენობის შემოსასვლელში მოეწყო სლაიდ-კარი.

ადამიანური რესურსების განვითარება: ცენტრის ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს ადამიანური რესურსების განვითარებას, ინსტიტუციური ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებასა და მუდმივ განახლებას.

- ცენტრის საკადრო პოლიტიკა ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად პრინციპებს. მისი მიზანია უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და პროფესიულ განვითარებაზე დაფუძნებული პერსონალის მართვის სისტემა. შესაბამისად, როგორც თანამშრომლების აყვანა, ასევე მუშაობის პირობები ითვალისწინებს სამართლიანობის, საჯაროობა/გამჭვირვალობის, ობიექტურობის, კოლეგიალობისა და მიუკერძოებლობის დაცვას და არადისკრიმინაციულობის პრინციპებს;
- ცენტრი აქტიურად და წარმატებით ახორციელებს საქართველოს მთავრობის #410 დადგენილებით (18.06.2014) დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამას - „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“. დამატებით, ახალი თანამშრომლისა და სტაჟირებისათვის ინტეგრაციის და სამუშაო პროცესის სწორად წარმართვისათვის, ცენტრში მოქმედებს „მენტორშიფი“ სხვადასხვა ვადით, მოთხოვნისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. 2021 წელს ცენტრში ირიცხებოდა 72 სტაჟირი, პროფესიული პრაქტიკა გაიარა 2. სტაჟირების პროცესში მიღებული პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე ცენტრში დასაქმდა 15 პირი;
- ცენტრი ავითარებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც ქმნის ქალებისა და მამაკაცებისათვის თანასწორ სამუშაო გარემოს. ცენტრის თანამშრომლების დასაქმების პროცესში მხედველობაში მიიღება მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება და არა გენდერული კუთვნილება. 2021 წლის განმავლობაში ცენტრში შტაბით

გათვალისწინებულ 297 თანამშრომელთა (მათ შორის 10 ვაკანსია) შორის დასაქმებულთა განაწილება გენდერულ ჭრილში შემდეგნაირი იყო ქალი - 226 და მამაკაცი - 61;

- ცენტრი ახორციელებს საქართველოს მთავრობის #204 დადგენილებით (21.04.2017) დამტკიცებულ „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ ახალი თანამშრომლების მიღების პროცესს, ცენტრის სამტატო განრიგში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე დაინიშნა 13 თანამშრომელი;
- კარიერული განვითარების წესისა და პირობების თანახმად დაწინაურდა 11 თანამშრომელი;
- პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა 45 თანამშრომელი და შრომითი ურთიერთობები შეუწყდა 6 თანამშრომელს;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2021 წლის სამტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის, სტრუქტურული ცვლილება მოხდა 2-ჯერ;
- საქართველოს მთავრობის განკარგულების „ცენტრში შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის დადგენილების „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, 2021 წელს ცენტრში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმდა 307 თანამშრომელი.

სამართლებრივი საკმეიანობა: ცენტრის იურიდიული სამმართველო 2021 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ნორმატიული აქტისა და დოკუმენტის მომზადებაზე:

- „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის #126 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სხდომაზე წარსადგენად, მომზადდა და გაიგზავნა 13 საგრანტო პროექტი;
- საქართველოს მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად მომზადდა და გაიგზავნა საქართველოს მთავრობის განკარგულების სხვადასხვა შინაარსის 23 პროექტი;
- ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მომზადდა და საქართველოს მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად გაიგზავნა საქართველოს მთავრობის დადგენილების 21 პროექტი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დასამტკიცებლად გაიგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების 15 პროექტი;
- გაფორმდა ლაბორატორიული კვლევის 232 ხელშეკრულება და განხორციელდა მათი აღრიცხვა;
- გაფორმდა სადეზინფექციო და სადეზინსექციო საშუალებების რეგისტრაციისთვის საჭირო კვლევების 70 ხელშეკრულება და განხორციელდა მათი აღრიცხვა და კონტროლი;
- გაფორმდა ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვადასხვა ტიპის 180 ხელშეკრულება და განხორციელდა მათი აღრიცხვა;
- გაფორმდა სახელშეკრულებო 43 შეთანხმება;
- 2021 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოვიდა 305 განცხადება, დაკმაყოფილდა 298 განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნებს ადგილი არ ჰქონია;
- გამოიცა ცენტრის ფუნქციების განხორციელებისთვის აუცილებელი 150 ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი;
- მომზადდა და ხელი მოეწერა 22 მემორანდუმს.


- ჩატარდა ზემდგომი და სხვა დაწესებულებიდან მიღებული საკანონმდებლო აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- 2021 წლის განმავლობაში წარიმართა 4 სასამართლო პროცესი; გაიცა 30 მინდობილობა;
- განხორციელდა სააღსრულებლო ბიუროს მეშვეობით იძულებითი აღსრულების პროცესები, რომლის შედეგად ამოღებულია 3842 ლარი;
- განხორციელდა დებულებით გათვალისწინებული სხვა სამუშაოები (კორესპონდენციის განხილვა, ვიზირებები, კონსულტირება, კომისიებში მუშაობა, სხვადასხვა მოხსენებების/ანგარიშების შექმნაში მონაწილეობა, კორექტირება და სხვა).

ფინანსური უზრუნველყოფა

2021 წელს, მსგავსად წინა წლებისა, სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება, ასევე აღსანიშნავია ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებიდან გამომდინარე ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც შესაბამისად აისახა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გაწერილ ღონისძიებებსა და მათ დაფინანსებაზე.


2021 წელს გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამული დაფინანსება, მ.შ დაავადებათა პრევენციისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მიმართულებით, რომელთა დიდ ნაწილს მართავს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

გრაფიკზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მ.შ. ცენტრის მართვაში არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების ასიგნება (მლნ ლარებში) და მათი სახელმწიფო ბიუჯეტის ჯამურ გადასახდელებიდან პროცენტული მაჩვენებლების 10 წლის დინამიკა.




2021 წლის ცენტრის ნაერთი ბიუჯეტი

ცენტრის დაფინანსება წლების მანძილზე მზარდია, პანდემიიდან გამომდინარე განსაკუთრებით გაიზარდა 2020-2021 წლის ბიუჯეტი. გრაფიკზე წარმოდგენილია ცენტრის ნაერთი ბიუჯეტის ჯამური გადასახდელების 10 წლის დინამიკა.



2021 წლის ცენტრის ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების ჯამმა შეადგინა 220.7 მლნ. ლარი, რომელიც მსხვილი დაფინანსების კრილში გადანაწილებულია შემდეგი პროპორციით:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - 172.5 მლნ. ლარი;
- დონორი ორგანიზაციების დაფინანსებული პროექტები - 44 მლნ. ლარი;
- კომერციული საქმიანობა - 4.2 მლნ. ლარი.



სახელმწიფო ბიუჯეტი


2021 წელს ცენტრი მართავდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 12 პროგრამას (მ.შ. განმახორციელებელია 6 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის და 5 პროგრამის თანაგანმახორციელებელი). ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების გეგმები და შესრულება (ლარებში).

კოდი	დასახელება	2021 დაზუსტებული გეგმა	2021 ფაქტი	%
	სახელმწიფო პროგრამები	172,940.29	172,533.22	100%
27 01 03	დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა	11,329.79	11,219.77	99%
	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	161,610.50	161,313.45	100%
27 03 02 01	დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი	2,500.80	2,493.57	100%
27 03 02 02	იმუნიზაცია მათ შორის:	41,195.01	41,194.26	100%
27 03 02 02 01	იმუნიზაცია	34,097.31	34,096.82	100%
27 03 02 02 02	იმუნიზაცია (ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრების ადმინისტრირება)	7,097.70	7,097.44	100%
27 03 02 03	ეპიდზედაშედეგობა	1,548.20	1,492.12	96%
27 03 02 04	უსაფრთხო სისხლი	5,688.70	5,686.59	100%
27 03 02 05	საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში არსებული ვალდებულებების ხელშეწყობა	257.90	257.53	100%
27 03 02 06	ტუბერკულოზის მართვა მათ შორის:	2,703.08	2,674.11	99%
27 03 02 06 02	ტუბერკულოზის მართვა	1,883.08	1,865.68	99%
27 03 02 06 03	ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის პროგრამა	820.00	808.42	99%
27 03 02 07	აივ ინფექცია/შიდსი მათ შორის:	4,586.50	4,482.33	98%
27 03 02 07 02	აივ ინფექცია/შიდსი	1,761.50	1,706.02	97%
27 03 02 07 03	საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით	2,825.00	2,776.31	98%
27 03 02 08 02	დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა	120.50	115.78	96%
27 03 02 10	ჯანმრთელობის ხელშეწყობა	1,298.71	1,206.91	93%
27 03 02 11 02	C ჰეპატიტის მართვა	834.30	834.28	100%

27 03 03 10	ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID-19-ის მართვა მათ შორის:	100,876.80	100,875.97	100%
27 03 03 10 01 03	ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის ხელშეწყობისთვის ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები	97,179.86	97,179.06	100%
27 03 03 10 01 05 02	COVID-19-ის ვაქცინაზე ხელმისაწვდომობა - ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები	3,696.94	3,696.91	100%

ღონორების დაფინანსება

2021 წელს ცენტრი მართავდა 18 პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ 82 საგრანტო პროექტს, რომლის ფარგლებში ცენტრის ანგარიშზე ჩაირიცხა 11 008 524 აშშ დოლარი, 115 032 ევრო და 325 109 ლარი. ცხრილში წარმოდგენილია დონორი ორგანიზაციების დაფინანსების ფარგლებში გაწეული ხარჯების მოცულობა.




კომერციული ბიუჯეტი

ცენტრის 2021 წლის კომერციული ბიუჯეტი პროფიციტულია და წლის მანძილზე ჯამურად ნაშთის ცვლილების დადებითმა მაჩვენებელმა შეადგინა 1 303 219 ლარი. (31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშზე არსებული ნაშთი 3 071 252 ლარი.)

დასახელება	2021წ.
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	1,768,033
შემოსულობები	5,344,708
შემოსავლები	5,344,708
ლაბორატორიული კვლევები	5,104,010
დარიცხული პროცენტი	218,985
სხვა შემოსავლები	21,714
გადასახდელები	4,041,488
ხარჯები	4,022,978
შრომის ანაზღაურება	1,234,593
საქონელი და მომსახურება	2,245,407
გრანტები	541,603
სოციალური უზრუნველყოფა	696
სხვა ხარჯები	680
არაფინანსური აქტივების ზრდა	18,510
ნაშთის ცვლილება	1,303,219
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	3,071,252

ცენტრის ბალანსის მაჩვენებლები

ბალანსზე რიცხული აქტივები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის შეადგენდა 289,1 მლნ ლარს, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაიზარდა 98,1 მლნ. ლარით და შეადგინა 387,2 მლნ ლარი. 2021 წლის პერიოდში ცენტრის სასაწყობე მეურნეობაში ჯამურად მიღებულია 374,4 მლნ ლარის აქტივი, რომელიც გადანაწილებულია შემდეგი პროპორციით:



- COVID-19 ვაქცინების ჯამური ღირებულება - 205,5 მლნ. ლარი;
- COVID-19 სადიაგნოსტიკო ტესტების ჯამური ღირებულება - 102,6 მლნ. ლარი;
- რუტინული ვაქცინები - 38 მლნ. ლარი;

- ძირითადი აქტივები - 6,3 მლნ. ლარი;
- სხვა დანარჩენი მარაგები - 22 მლნ. ლარი.


2021 წლის პერიოდში ცენტრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 4 916,5 ათასი ლარი, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 4 203,6 ათასი ლარი, კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების 10% - 537 ათასი ლარი, ჯარიმები და სანქციები 101,9 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი - 74,5 ათასი ლარი.

შესყიდვების ანგარიში

2021 წლის საბიუჯეტო პერიოდზე ცენტრის მიერ ჯამურად გაფორმდა 861 შესყიდვის ხელშეკრულება, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 47 მლნ. ლარი, მათ შორის შესყიდვის მასშტაბურობიდან გამომდინარე ორ ყველაზე მსხვილ კატეგორიის (CPV) პროპორცია შემდეგნაირია:

- 51% - ფარმაცევტული პროდუქტები CPV 33600000
- 24% - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები CPV 85100000.


2021 წლის შესყიდვების საერთო ღირებულებასთან მიმართებით შესყიდვის ტიპები გადანაწილებულია შემდეგი პროპორციით:



ჯამურად გამოცხადდა 218 ელექტრონული ტენდერი, რომელიც დასრულდა შემდეგი სტატუსით:

- დადებულია ხელშეკრულება 72%;
- არ შედგა 13%;
- დასრულდა უარყოფითი შედეგით 8%;
- შეწყვეტილია 7%.

2013-2021 წლების გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების შედეგის დინამიკა სტატუსის კრილში



მაგისტრატურა

2021 წელს ცენტრში მუშაობდა 91 მაგისტრი. მაგისტრატურაში სწავლობდა 22 თანამშრომელი, აქედან დაამთავრა 8 თანამშრომელმა:

გვარი, სახელი	დაწესებულების დასახელება	სამაგისტრო ნაშრომის მიმართულება, დასახელება	ვადები	შენიშვნა
ფაშალიშვილი მარიამი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში	ფაკულტეტი: ადიქციის კვლევები	2018 - 2020	დაცულია 15.02.2021
გავაშელიძე მარი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გენეტიკის მიმართულება	2019 - 2021	დაცულია 15.09.2021
გელოვანი მიხეილი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამა - ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა	2019-2021	
თიკო ლავგილავა სტაჟიორი (გარემოს ჯანმრთელობის სამმართველო)	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამა - ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა	2019-2021	
ვახტანგ მარტაშვილი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა	2020 (ოქტომბერი) - 2022	
ანა ყურაშვილი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა	2020 (ოქტომბერი) - 2022	
რევაზ რევაზიშვილი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	2020 (ოქტომბერი) - 2022	
ნინო ზედგინიძე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართულ-ნორვეგიული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა	2020-2021	დაცულია 11.09.2021
ირინა კანდელაკი	საქართველოს უნივერსიტეტი	ხელოვნური აბორტი, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემის,	01.10.2019-25.06.2021	

		მართვის ზოგიერთი ასპექტის შესწავლა დაბადების რეგისტრში არსებული მონაცემების საფუძველზე		
დეა ბალათურია	საქართველოს უნივერსიტეტი	ნაადრევი ახალშობილების შემთხვევების ადმინისტრირება დაბადების რეგისტრში არსებული მონაცემების საფუძველზე	01.10.2019-25.06.2021	
ნინო ბაბილუა	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ახალშობილთა ჯანმრთელობა და თანდაყოლილი მალფორმაციების რისკი ხელოვნური განაყოფიერების დროს	01.10.2019-25.06.2021	დაცულია 11.09.2021
ელენე კობაიძე	კავკასიის უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	05.09.2020-05.09.2022	
სალომე ჯავაშვილი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა, მიმართულება: მოლეკულური ბიომეცნიერებები	2020-2022	
დალი ეფრემიძე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა, მოლეკულური ბიომეცნიერებები	2020-2022	
ზურა ჩხაიძე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა, მიმართულება: მოლეკულური ბიომეცნიერებები;	2020-2022	
ანა შუბითიძე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა, მიმართულება: მოლეკულური ბიომეცნიერებები;	2019-2022	
მარიამ ბაკურაძე	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ეპიდემიოლოგია	2000 - 2021	დაცულია 15.12.2021
ნინო საღირიძე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე- მოლეკულურ ბიოლოგიაზე.	2021 - 2023	
ქეთევან	თბილისის	პროგრამა „ეპიდემიოლოგია“.	2019-2021	დაცულია

ქავთარაძე	სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი			15.12.2021
დავით ზიბილაშვილი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამა „ეპიდემიოლოგია“.	2019-2021	დაცულია 17.12.2021
მანანა ჭიჭინაძე	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ეპიდემიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა.	2019-2021	დაცულია 15.12.2021
ლაშა დვალი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	2021 - 2023	

საკვალეფიკაციო თემებზე მუშაობა

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად 2021 წელს დესჯეცში მიმდინარეობდა მუშაობა 21 სადისერტაციო თემაზე, აქედან დაცულია 1 დისერტაცია:

1. მ. ზაკალაშვილი - „ურთიერთკავშირი HBV ვირუსის გენოტიპირებას, ვირუსის კონცენტრაციასა და ფიბროსკანის მონაცემებს შორის“. სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნანა კოშორიძე (თსუ), მერაბ კეკელიძე (NCDC);
2. რ. სუხიაშვილი - „რიკეტსიის სახეობათა მოლეკულური ტიპირება სხვადასხვა მოლეკულური მეთოდის გამოყენებით“. სამეცნიერო ხელმძღვანელები: მერაბ კეკელიძე (NCDC), ნანა კოშორიძე (თსუ);
3. ქ. ზარიძე - „ბიოლოგიური უსაფრთხოების და ბიოლოგიური დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება საქართველოში და მის საფუძველზე ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების რეკომენდაციები“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა (ილიაუნი);
4. თ. ჯაშიაშვილი - „ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსის შესწავლა საქართველოში, ვირუსის მოლეკულური დახასიათება“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ სოლომონია (ილიაუნი);
5. მ. თოფურაძე - „კიბოს პრევენციისა და კონტროლის პოლიტიკა, პრაქტიკა და მათი ზეგავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე საქართველოში“. მასტრიხტის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ჯანმრთელობის ხელშეწყობის დეპარტამენტი, მასტრიხტი, ნიდერლანდების სამეფო. სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჰეინ დე ვრისი Ph.D., პროფესორი;
6. ნ. სხვიტარიძე - „დედათა სიკვდილიანობა და მძიმე ავადობა საქართველოში“. სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ამირან გამყრელიძე (საქართველო), პროფესორი ფინ ეგილ შელდესტა (ნორვეგია), პროფესორი ერიკ ეიკ ანდა (ნორვეგია), პროფესორი ბრენ ტორმოდ (ნორვეგია);
7. ე. რუაძე - „პრევენციული კასკადი აივ ინფექცია/შიდსის მაღალი რისკის ჯგუფებში“.
8. სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა იმნაძე (NCDC);
9. ნ. ჭიტაძე - „ლეპტოსპიროზის გამომწვევების სახეობრივი მრავალფეროვნება და მოლეკულური ეპიდემიოლოგია საქართველოში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა იმნაძე (NCDC);
10. ს. დათუკიშვილი - “შიგა-ტოქსინის მაპროდუცირებელი E. coli: გენთა ექსპრესიის სპეციფიკური პატერნები და მათი როლი ბაქტერიის ვირულენტობაში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ სოლომონია (ილიაუნი);
11. ი. ბურჯანაძე - „გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების გამოყენება განსაკუთრებით საშიში ზოონოზური დაავადებების პრევენციაში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა იმნაძე (NCDC) და კოლინ ვებ, PhD, კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული დეკანი, ფორტ კოლინზი, კოლორადოს შტატი, აშშ;
12. თ. თოლორდავა - "მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტის გავლენა საქართველოს გეოპოლიტიკაზე მრავალარხიანი დიპლომატიის მიმართულებით და მისი კორელაცია რეგიონულ უსაფრთხოებაზე". ხელმძღვანელი რევაზ ჯორბენაძე (ილიაუნი);
13. დ. კეკელიძე - "საქართველოში ბავშვებში ტყვიით მოშხამვის გამომწვევი რისკ-ფაქტორები და პრევენცია". სამეცნიერო ხელმძღვანელი: იაგორ კალანდაძე (ილიაუნი);
14. თ. ქაშიბაძე - "ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ხარისხობრივი პარამეტრების მნიშვნელობა ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების პოლიტიკის განსაზღვრისათვის ქ.თბილისში". სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო კილაძე (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი); ელინა ბაქრაძე (გარემოს ეროვნული სააგენტო), ანკე ჰუელს (ემორის უნივერსიტეტი);

15. ტ. იმნაძე - „საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული *Yersinia*-ს სახეობების ეკოლოგიური და ფილოგენეტიკური კავშირები“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა ცანავა (NCDC);
16. ნ. ბერიშვილი - „რიკეტსიების ინფექციების ეპიდზედამხედველობა საქართველოში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა ცანავა (NCDC);
17. თ. მამაცაშვილი - „თამბაქოს მოხმარების საწინააღმდეგო ინტერვენციების ეპიდემიოლოგიური, ქცევითი და სოციალური კორელანტები“. სამეცნიერო ხელმძღვანელები: ლევან ბარამიძე (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), ნინო კილაძე (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი); კარლა ბერგი (ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი);
18. ა. დეკანოსიძე - „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გავლენა შფოთვით აშლილობაზე საქართველოში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლელა სტურუა (NCDC), ლევან ბარამიძე (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), კარლა ბერგი (ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი).
19. რ. წიკლაური - „ფოლატის დეფიციტის გავრცელება საქართველოში და მისი კავშირი ნერვული მილის დეფექტების ფორმირებასთან“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა ყაზახაშვილი (თსუ);
20. ნ. ადამაშვილი - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა იმნაძე (NCDC);
21. ნ. ჩხაბერიძე - „ტრავმატიზმის ეპიდემიოლოგია საქართველოში და ავადობის ტვირთის შეფასება საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის მაგალითზე“. სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნინო ჩიხლაძე (თსუ), მაია კერესელიძე (NCDC).

სხვა დაწესებულებების თანამშრომლების მიერ სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულება ცენტრის ბაზაზე:

1. ლომამე ელენე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკა (მოდული ბიოფიზიკა) დოქტორანტი. თემის დასახელება: „**ბაქტერიების ზრდის დამოკიდებულება სხვადასხვა ბიოფიზიკურ ფაქტორებზე**“. სამუშაო ადგილი: სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის ინსტიტუტი, თსუ;
2. მაია მეტრეველი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი. თემის დასახელება: „**კამპილობაქტერიოზი საქართველოში**“. სამუშაო ადგილი: სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრი, რისკის შეფასების სამსახურის უფროსი;
3. ნუშა დიასამიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი. თემის დასახელება: „**შიგელოზით დაავადებული ბავშვების კლინიკური მასალიდან გამოყოფილი ბაქტერიული შტამების ანტიბიოტიკომგრძობელობის შესწავლა**“. სამუშაო ადგილი: გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

დაცული დისერტაციები

2021 წელს დაცულია 1 დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად:

რობიზონ წიკლაური - „ფოლათის დეფიციტის გავრცელება საქართველოში და მისი კავშირი ნერვული მილის დეფექტების ფორმირებასთან“, სპეციალობა - 0904 „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“, საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში, 29.09.2021.

2021 წლის პუბლიკაციები და გამოცემები

2021 წელს გამოიცა 56 საგანმანათლებლო და სატრენინგო, სტატისტიკური ცნობარი და სხვა სახის მასალა:

1. „**ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული რეგისტრის (დაბადების რეგისტრი)**“. სამი წლის ანგარიში - 2018-2020, საქართველო, 2021, 1-62 გვ.
2. **“COVID-19 საქართველოში“**. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ანგარიში, მე-4 გამოცემა, თბილისი, საქართველო, 2021, გვ. 1-59;
3. **„COVID-19 საქართველოში“**. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ანგარიში, მე-5 გამოცემა, თბილისი, საქართველო, 2021, გვ. 1-72;
4. **„COVID-19 საქართველოში“**. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ანგარიში. მე-6 გადახედვა, თბილისი, 2021, გვ.1-92;
5. **„COVID-19 საქართველოში“**. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ანგარიში. მე-7 გადახედვა, თბილისი, 2021. გვ.1-66;
6. **„COVID-19 in Georgia“**. Report of the National Center for Disease Control and Public Health. The Fourth Revision, Tbilisi, 2021, 53pp.;
7. **„COVID-19 in Georgia“**. Report of the National Center for Disease Control and Public Health. The Fifth Revision, Tbilisi, 2021, 62 pp.;
8. **„COVID-19 in Georgia“**. Report of the National Center for Disease Control and Public Health. The Seventh Revision, Tbilisi, 2021, 56 pp.;
9. სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის **„2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში“**, თბილისი, 2021, 351 გვ.;
10. **„ბიოციდების ეროვნული რეესტრის და რაციონალური მართვის სისტემის შექმნა საქართველოში“**. პროექტის ანგარიში „ქიმიურ ნივთიერებათა რაციონალური მართვის სისტემის ძირითადი ელემენტების შექმნა აღმოსავლეთევროპის, ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის შერჩეულ ქვეყნებში (საქართველო, ბელარუსი, ყაზახეთი). თბილისი. 2021, 1- 69 გვ.;
11. **„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი“**, თბილისი, 2021;
12. ბროშურა - **„პესტიციდები და ჯანმრთელობა“**, თბილისი, 2021, გვ. 1-6;
13. სამახსოვრო - **„COVID -19- ის საწინააღმდეგო ვაქცინები - პანდემიის შეჩერების ეფექტური საშუალება!“**.თბილისი, 2021, გვ. 1-4;
14. ბროშურა - **„COVID -19 -ის საწინააღმდეგო ვაქცინები - პანდემიის შეჩერების ეფექტური საშუალებაა!“** .თბილისი, 2021, ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხური ენებზე, 4- 4 გვ.;
